



საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი
1922 წლიდან



განათლება

კელექტრონიკა: თეორიული და პრაქტიკული
დასკვნები და განხილვები
თეორიული და პრაქტიკული

GANATLEBA

Georgian Technical University
Georgian Academy of Education Sciences

Editors: Temur Jagodnishvili
David Gurgendidze
Jure Zovko

№ 1 (44) 2024

ISSN 2346-8300

DOI: <https://doi.org/10.36073/2346-8300>

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

GANATLEBA

ყოველკვარტალური რეფერირებადი და
რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

**1(44)
2024**

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ქურნალი გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო
საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით
(ოქმი №7)

№ 1(44), 2024 წელი

რედაქტორი თემურ ჯაგოდნიშვილი საქართველოს — ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს
განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

თანარედაქტორი დავით გურგენიძე — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კადემიკოსი, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი

ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

პასუხისმგებელი მდივანი: ლია ქათამაძე — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ს ა რ ე დ ა კ ტ ო რ ი კ ო ლ ე ბ ი ა :

მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბრალავა ანზორ — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბერიაშვილი მამუკა — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბონდარენკო თამარ — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გაბისონია ირაკლი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დეკანი

გაგომიძე გიორგი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

გასიტაშვილი ზურაბ — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში

კოპალიანი ვარლამ — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

კუტუბიძე იაშა — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აკადემიური საბჭოს მდივანი

მალრადე ვახტანგ — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მეზუკე თამარ — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მენთეშვილი ლია — პროფესორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

მეტრეველი ლია — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქურდაძე მარინა — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ყიფიანი გელა — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ჩაჩხიანი ზურაბ — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი

ხახუტაშვილი ელისაბედ — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ჯაგოდნიშვილი ივანე — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დეკანი

ჯავახიშვილი ნიკო — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ირეი კლაპკა — პროფესორი, კარლოსის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)

იურე ზოვკო — პროფესორი, ზადარის უნივერსიტეტი (ხორვატია)

ზდისლავ კრასნოდებსკი — პროფესორი, ვარშავის უნივერსიტეტი (პოლონეთი)

ერიკო ჰაიაში — პროფესორი, ჯანმრთელობის ფონდის კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი (იაპონია)

ნენსი კ. გიში — პროფესორი, პოტრლანდის უნივერსიტეტი (აშშ)

ტომას შმიდტი — პროფესორი, ბერნის უნივერსიტეტი (შვეიცარია)

სესილია ოდე — პროფესორი, ამსტერდამის უნივერსიტეტი (ჰოლანდია)

სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელი არიან ავტორები

მისამართი: 0160, თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კორპ. VI, სართ. VIII, ოთახი № 805⁹

ტელ.: +995 599 557 993; +995 577 938 858

web-გვერდი: <https://old.gtu.ge/Journals/newsletters/>

ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ – <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/482648>

ელ-ფოსტა: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300

DOI: <https://doi.org/10.36073/2346-8300>

GANATLEBA

International Science-Pedagogical Journal is published according with the decision of Editorial-Publishing Board of 19 December 2010 (act №7)

№ 1(44), 2024

EDITOR Temur Jagodnishvili – Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

COEDITOR Davit Gurgenidze – Academician of the National Academy of Sciences of Georgia, Rector of Technical University of Georgia

TECHNICAL EDITOR Asmat Pipia – Doctor of Business Administration

RESPONSIBLE SECRETARY Lia Katamadze – Associate professor, Georgian Technical University

EDITORIAL BOARD:

Metropolitan Anania (Japaridze) – Professor, Georgian Technical University

Abralava Anzor – Professor, Georgian Technical University

Beriashvili Mamuka – Professor, Georgian Technical University

Bondarenko Tamar – Associate professor Georgian Technical University

Gabisonia Irakli – Professor, Georgian Technical University

Gagoshidze Giorgi – Professor, Georgian Technical University. Full member of the Georgian Academy of Agricultural Sciences, Academician

Gasitashvili Zurab – Professor, Georgian Technical University, Deputy rector in the scientific field

Kopaliani Karlo – Professor, Head of Administration of Georgian Technical University

Kutubidze Iasha – Professor, Georgian Technical University, Secretary of the Academic Council

Magradze Vakhtang – Professor, Georgian Technical University

Mebuke Tamari – Professor, Georgian Technical University

Menteshashvili Lia – Vice-President of Georgian Academy of Education Sciences

Metreveli Lia – Professor, Georgian Technical University

Kurdadze Marina – Professor, Georgian Technical University

Kipiani Gela – Professor, Georgian Technical University

Chachkhiani Zurab – Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

Khakhutashvili Elisabeth – Associate professor, Georgian Technical University

Jagodnishvili Ivane – Professor, Georgian Technical University

Javakhishvili Niko – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Irji Klapka – professor, Karlos University (Czechia)

Jure Zovko – Professor, University of Zadar (Croatia)

Zdzislaw Krasnodebski – professor, University of Warsaw (Poland)

Eriko Hayashi – Professor, The Foundation for Global Health Care, Research Institute (Japan)

Nancy K. Gish – Professor, University of Portland (USA)

Tomas Schmidt – Professor, University of Bern (Switzerland)

Cecilia Ode – University of Amsterdam (Netherlands)

The authors are responsible for the accuracy of the facts in the article

Adress: 0175, Tbilisi, str. Kostava 77, GTU

TEL.: +995 599 557 993; +995 577 938 858

web-said's adress: <http://old.gtu.ge/Journals/newsletters>

digital library „Iveriel“ – <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/482648>

e-mail: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300

DOI: <https://doi.org/10.36073/2346-8300>

შიდაარსი

ივანე ოსაძე – 70	11
------------------------	----

ჟურნალისტიკა

ქეთევან გიორგობიანი

ბავშვთა საკითხების გაშუქების ზოგიერთი ასპექტი	13
---	----

ელენე კურდღელია, არსენ ზურჯალანი

მედიაწიგნიერება, როგორც დეზინფორმაციის ამოცნობის საშუალება	18
--	----

ირინა ყურუა, თემურ ჯაგოდნიშვილი

პროფესიული საქმიანობის შესრულება რისკის ფასად - ძალადობა მედიაზე	23
--	----

ფილოლოგია

ლადო მინაშვილი

პროზაულ თხზულებაზე ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მუშაობის ერთი თავისებურების შესახებ	31
--	----

თემურ ჯაგოდნიშვილი

ქართული მწერლობისა და ჰუმანიტარულ აზროვნების ევროპეიზმი	36
---	----

თამარ მეზუკე

გლობალიზაცია და კულტურათაშორისი კომუნიკაცია	44
---	----

მურმან თავდიშვილი

ნეხვაყოლის საიდუმლო	49
---------------------------	----

ისტორიის მკვლევარები

გერმანე ფიფია

ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის პრელუდიიდან ოპერაცია „ოვერლორდამდე“	52
--	----

ეთნოლოგია

ვაჟა სადრაძე, გიორგი კვიციანი

რეცენზია. თევდორე ისაკაძის ნაშრომზე „ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მოსახლეობის წარმომავლობის თვის“	60
--	----

საპრეტაშორისო ურთიერთობები

ნიკოლოზ ფიფია

მიგრაცია, საფრთხე თუ შესაძლებლობა.....64

ნუგზარ დურმიშიძე, თათია ტატინაშვილი

თანამედროვე რუსეთისა და თურქეთის პარტნიორობა და კონკურენცია სამხრეთ კავკასიაში.....68

მაკა ტყეზურავა, მანანა დარჩაშვილი

გოლიზმი - როგორც საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მახასიათებელი78

სალომე ბენაშვილი, შოთა შშვენიერაძე

ბიკამერალიზმი ქართულ რეალობაში - გამოწვევები და პერსპექტივები.....82

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

ვახტანგ აბაიშვილი

მრგვალებზე ჩარხის ჭრის მექანიზმის ლილვის კრიტიკული კუთხური სიჩქარის განსაზღვრა89

ზურაბ ჩაჩხიანი, ლალიტა დარჩიაშვილი

UFe₂ - UCo₂ სისტემის მყარი ხსნარების მაგნიტური თვისებები.....93

ბენაშვილი ირაკლი

ხელოვნური ინტელექტი და საქართველო98

ეკონომიკა და ბიზნესი

ელისაბედ ხახუტაშვილი, ასმათ ფიფია

ხელოვნური ინტელექტის ზეგავლენა ეკონომიკაზე102

თეა ბიძინაშვილი, ბექა მაისურაძე

ახალი გეოპოლიტიკური ლანდშაფტი და რეგიონული კონკურენცია სამხრეთ კავკასიაში (სავაჭრო კავშირები, ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივები და „ნდობა“, როგორც ანტიდოტი)106

ჰაატა გოგეშვილი

ინოვაციური განვითარება, როგორც სამშენებლო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდის ფაქტორი117

კონსტანტინე კუქსინი

ღრუბლოვანი ტექნოლოგიების როლი ბიზნესის განვითარებაში123

მაია ჯამბაზიშვილი

მობილური აპლიკაციები კულტურის სფეროში.....129

ფსიქოლოგია

ლაშა ჩეკურიშვილი

ინდივიდის ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის მნიშვნელობები სოციალური
სამუშაოს პრაქტიკის განვითარებაში134

სალომე საბიაშვილი, არსენ ბურჯაღლიანი

პიროვნული და ემოციური მახასიათებლების როლი ქრონიკული თავის ტკივილების
(შაკიკი, დაძაბული თავის ტკვილი) ეპიგენეზში.....138

CONTENT

Ivane Osadze – 70	11
-------------------------	----

JOURNALISM

<i>Ketevan Giorgobiani</i> Some aspects of coverage of children's issues.....	13
<i>Elene Kurdgelia, Arsen Burjaliani</i> Media literacy as a means of recognizing misinformation	18
<i>Irina Kurua, Temur Jagodnishvili</i> Performance of professional activity at the cost of risk - violence on the media	23

PHILOLOGY

<i>Lado Minashvili</i> About one peculiarity of Ilia Chavchavadze's creative work on prose works	31
<i>Temur Jagodnishvili</i> Europeanism of Georgian writing and humanitarian thought.....	36
<i>Tamar Mebuke</i> Globalization and Cross-Cultural Communication	44
<i>Murman Tavdishvili</i> The secret of Nekhvakoili	49

HISTORY SCIENCES

<i>Germane Pipia</i> From the prelude to the opening of the second front in Europe to Operation "Overlord"	52
---	----

ETHNOLOGY

Vaja Sadradze, Giorgi Kvirkvelia

Review. On the work of Teodore Isakadze, "For the origin of the population of the North-West Caucasus"60

INTERNATIONAL RELATIONS

Nikoloz Phiphia

Migration, a threat or an opportunity64

Nugzar Durmishidze, Tatia Tatinashvili

Modern Russian-Turkish partnership and competition in the South Caucasus68

Maka Tkebuchava, Manana Darchashvili

Gaulism - as an important feature of French foreign policy78

Salome Benashvili, Shota Mshvenieradze

Bicameralism in Georgian reality - challenges and perspectives82

SCIENCES

Vakhtang Abaishvili

Determination of the critical angular velocity of the mechanism shaft cutting circular saw.....89

Zurab Chachkhiani, Lalita Darchiashvili

Magnetic Properties of UF_{e2}-UC_{o2} System Solid Solutions.....93

Benashvili Irakli

Artificial intellect and Georgia.....98

ECONOMICS AND BUSINESS

Elisabed Khakhutashvili, Asmat Pipia

The Impact of Artificial Intelligence on the Economy.....102

<i>Tea Bidzinashvili, Beka Maisuradze</i>	
The new geopolitical landscape and regional competition in the South Caucasus (Trade links, prospects for economic cooperation and "trust" as an antidote)	106

<i>Paata Gogeshvili</i>	
Innovative development as a factor of growth of construction business competitiveness	117

<i>Konstantine Kuksini</i>	
The role of the cloud technologies in business development	123

<i>Maia Jambazishvili</i>	
Mobile applications in the field of culture	129

PSYCHOLOGY

<i>Lasha Chekurishvili</i>	
Meanings of the psychological anthropology of the individual in the development of social work practice	134

<i>Salome Sabiashvili, Arsen Burjaliani</i>	
The role of personal and emotional characteristics in the epigenesis of chronic headaches (migraine, tension headache)	148

ჩვენნი იუბილარები



ივანე ოსაძე – 70

დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების სასწავლო დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს ივანე ოსაძეს.

ივ. ოსაძე დაიბადა 1953 წლის 5 ნოემბერს და საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. 1979 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

1979-1980 წლებში მუშაობდა ქარელის რაიონის სოფელ აბისის საშუალო სკოლისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლის თანამდებობაზე, 1980-1989 წლებში მუშაობდა პროფკავშირების ქარელის რაიონულ კომიტეტში, კომპარტიის ქარელის რაიკომში. 1989 წლიდან 2008 წლის ჩათვლით ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა ქართული ჟურნალისტიკის ასპარეზზე - იყო გაზეთ „სახალხო განათლების“ კორესპოდენტი, გაზეთ „ერის“

რედაქტორის მოადგილე, გაზეთ „სამშობლო ფორტეს“ საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების განყოფილების რედაქტორი, გაზეთ „კავკაზის“ (რუსულენოვანი) საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განყოფილების რედაქტორი.

2003-2004 წლებში იყო პრეზიდენტის ფონდის მრჩეველი.

2008 წლიდან 2011 წლამდე იყო ფირმა „ლიდერი ენერჯის“ სარეკლამო სამსახურის უფროსი, ხოლო 2011 წლიდან დღემდე იღვწის ქართული საუნივერსიტეტო განათლების სფეროში. 2011-2015 წწ. იყო „ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სასწავლო უნივერსიტეტის“ მოწვეული პროფესორი, 2013-2016 წლებში „ხელოვნებისა და მეცნიერებათა აკადემიის“ კოლეჯის დირექტორის მოადგილე.

2012-2013 წლებში იმუშავა ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე, 2016 წლიდან კი საქართველოს ტექნიკური უნივერსი-

ტეტშია: 2016-2019 წწ. იყო სტუ საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი, ხოლო 2019 წლიდან დღემდე არის ამავე ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, უკითხავს ლექციებს „ქართულ ენაში მომზადების სახელმწიფო პროგრამის (1+4) მსმენელებს „ლინგვოქვეყანათმცოდნეობასა“ და „ტოლერანტობასა და მრავალფეროვნების ელემენტებში“. ამ ასპარეზზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და საინტერესო ხედვის, პროფესიონალის სახელი მოიპოვა.

2011 წელს ივ. ოსაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ისეთ აქტუალურ თემაზე, როგორცაა „საბჭოთა კავშირის დაშლა და დსთ-ს წარმოშობის ისტორიული პოლიტიკური ასპექტები 1990-2008 წწ.“. ამ ნაშრომისათვის ივ. ოსაძე 2012 წელს აირჩიეს საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრად (აკადემიკოსად).

ივ. ოსაძე აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა, კითხულობს ლექციებს, ხელმძღვანელობს მაგისტრანტების მომზადებას, აქვეყნებს ნაშრომებს სამეცნიერო პერიოდიკაში, მონაწილეობს სხვადასხვა რანგის სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში: გამოქვეყნებული აქვს ორი

ათეულზე მეტი სამეცნიერო სტატია, წერილი, ნარკვევი, რომელთაგან აღსანიშნავია:

„ევროკავშირის საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკის რეგიონული ასპექტები“ (2008), „საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი და სამომავლო პერსპექტივა“ (2009), „ყირიმი ჰიტლერის გეგმებში“ (2014), „რელიგიური და ეთნიკური ტოლერანტობა შუა საუკუნეების საქართველოში“ (2023) და სხვა. ამჟამად იგი ინტენსიურად მუშაობს საინტერესო მონოგრაფიაზე „მესამე ათინა - ძამას ხეობის მონასტერთა პოლიტიკური ჯვარიონი“, რომელშიც გაშუქებული იქნება საქართველოს ეკლესიის საპატრიარქოს თაოსნობით ძამას ხეობაში მიმდინარე ათონის მთისა და გრიგოლ ხანძთელის ტაო-კლარჯული ანალოგის თანამედროვე ანალოგის მშენებლობის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ასპექტები და მათი საერთო დირეზიონალობა.

ივ. ოსაძეს მონაწილეობა აქვს მიღებული ორ ათეულზე მეტი საერთაშორისო სამეცნიერო მუშაობაში.

გულითადად ვულოცავთ ჩვენს კოლეგას დაბადების 70 წლისთავს, ვუსურვებთ დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს და წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტი

ჟურნალ „განათლების“ რედაქცია

ქ უ ზ ნ ა ლ ი ს ტ ი კ ა

JOURNALIZM

ბავშვთა საკითხების გაშუქების ზოგიერთი ასპექტი

*ქეთევან გიორგობიანი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ნაშრომში კიდევ ერთხელ არის ხაზგასმული, რომ ჟურნალისტების უპირველესი მოვალეობა საზოგადოებისთვის ჭეშმარიტი, გადამოწმებული, დაბალანსებული ინფორმაციის მიწოდებაა, ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე პირველ რიგში ხომ სწორედ მათ აქვთ, ამასთანავე უამრავი რესურსიც გააჩნიათ ინფორმაციის გასავრცელებლად და რეალური ვითარებისა და პრობლემების წარმოსაჩენად. მათ მიერ მომზადებულმა მასალამ არ უნდა მიაყენოს ზიანი ადამიანის ღირსებას, პატივს, რეპუტაციას, მაგრამ მედიის წარმომადგენლებს განსაკუთრებული ძალისხმევა მართებთ და გარდამავალი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, როცა საქმე ბავშვებს ეხება; ყურადღება გამახვილებულია იუნისეფის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპებისა და მითითებების შესახებ, თუ როგორ უნდა გააშუქონ ჟურნალისტებმა ბავშვთა პრობლემები ისე, რომ დაიცვან მათი ინტერესები და უფლებები, ამასთანავე გაითვალისწინონ ყველა რისკი და საფრთხე, რაც შეიძლება ახლდეს ბავშვის იდენტიფიცირებას; საუბარია ჟურნალისტის ქცევისა და ქმედების შესახებ მოზარდთან უშუალო კომუნიკაციის დროს ინტერვიუს ჩაწერის პროცესში, მედიაპროდუქტის გამოქვეყნების შედეგებისა და თანმხლები მოვლენების დეტალურად აწონ-დაწონვისა და გაანალიზების აუცილებლობაზე; ასევე იმაზე, თუ როგორ უნდა გაშუქდეს არასრულწლოვანთა პრობლემები ომისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს, სად არის ზღვარი საზოგადოებრივ ინტერესებს, ექსკლუზივის მოპოვების სურვილს, სენსაციისაკენ მისწრაფებასა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებას შორის.

პროფესიონალმა ჟურნალისტმა უნდა მოახერხოს ის, რომ, ერთი მხრივ, დააკმაყოფილოს მედია-მომხმარებლის ინტერესი და, მეორე მხრივ, არ დაახიანოს მოზარდის ფსიქიკა; აღნიშნულია, რომ ემოციურად დამაბულ ფონზე ბავშვი არ უნდა იქცეს მანიპულირების და პროპაგანდის ინსტრუმენტად.

თითოეული ადამიანის მოვალეობაა ბავშვების დაცვა მოსალოდნელი საფრთხისგან, მავნე ზემოქმედებისგან, მათთვის ცხოვრების ნორმალური პირობების უზრუნველყოფა. ამას მშობლების, საზოგადოების, სახელმწიფოს, მედიის ერთობლივი ძალისხმევა სჭირდება. ჟურნალისტებს შესწევთ იმის ძალა და გარკვეულწილად მათი მოვალეობაც არის თავიანთი წვლილი შეიტანონ მოზარდთათვის სასიკეთო საქმეში შესაბამისი მედიაპროდუქტის შექმნის მეშვეობით.

საკვანძო სიტყვები: მოვალეობა და პასუხისმგებლობა; ბავშვთა ინტერესები; არასრულწლოვანთა იდენტიფიცირება; რისკები და საფრთხეები; უშუალო კომუნიკაცია მოზარდთან; ბავშვის დაფარვა; ომი და შეიარაღებული კონფლიქტები; ბავშვით მანიპულაცია და პროპაგანდა; ეთიკური და სამართლებრივი ნორმები.

შესავალი

ვინც ფლობს ინფორმაციას, ის ფლობს მსოფლიოს - ეს სიტყვები გერმანელ ბანკირს ნათან მაიერ როტშილდს ეკუთვნის. მართალია, მან ეს მე-19 საუკუნეში თქვა, მაგრამ ამ ფრაზას აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე პირველ რიგში ჟურნალისტებს აქვთ, მათ უამრავი რესურსი გააჩნიათ ინფორმაციის გასავრცელებლად, რეალური ვითარებისა და

პრობლემების წარმოსაჩენად: ბეჭდური მედია, ელექტრონული მაუწყებლობა, საკუთარი ბლოგები და ა.შ. ჟურნალისტის უპირველესი მოვალეობა რომ საზოგადოებისთვის ჭეშმარიტი, გადამოწმებული, სარწმუნო და დაბალანსებული ინფორმაციის მიწოდებაა, ამაზე არავინ დავობს; იმაზეც თანხმდებიან, რომ ჟურნალისტის მიერ მომზადებულმა მასალამ არ უნდა მიაყენოს ზიანი ადამიანის ღირსებას, პატივს, საქმიან რეპუტაციას. მედიის წარმომადგენლებს გაორმაგებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ, როცა საქმე ბავშვებს ეხება. იუნისეფმა შეიმუშავა სახელმძღვანელო პრონციპები და მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გააშუქონ ჟურნალისტებმა ბავშვების პრობლემები ისე, რომ დაიცვან მათი ინტერესები და უფლებები; მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა რისკი და საფრთხე, რაც შეიძლება თან ახლდეს ბავშვის იდენტიფიცირებას, დაუშვებელია მოხდეს მოზარდის სტიგმატიზაცია, ბავშვს მიადგეს ფიზიკური ან მორალური ზიანი, გახდეს დისკრიმინაციის მსხვერპლი; სრულად უნდა იყოს გარანტირებული ბავშვის უსაფრთხოება; მნიშვნელოვანია ზედმიწევნით დაცვა იმ წესების, რაც ბავშვის სახის დაფარვას ან მისი მონაცემების შეცვლას ეხება. ნებისმიერ სიტუაციაში მიუღებელია ბავშვის ღირსებისა და თავმოყვარეობის შელახვა და მისი იმ უფლების უგულვებლყოფა, რომლის თანახმადაც მოზარდის აზრი უნდა მოისმინონ, შემლებისდაგვარად გაითვალისწინონ, მხედველობაში მიიღონ მისი ასაკისა და გონებრივი სიმწიფის დონის შესაბამისად.

ძირითადი ნაწილი

განსაკუთრებული სიფრთხილე და გონივრული ქმედება მართებს ჟურნალისტს ბავშვთან უშუალო კომუნიკაციის დროს, როდესაც ინტერვიუს იღებს მისგან. კითხვები ისე უნდა შეირჩეს, რომ მოზარდი არ აღმოჩნდეს უხერხულ მდგომარეობაში. ჟურნალისტმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი კომენტარებისგან, რომელიც შეფასებად შეიძლება იქნეს აღქმული. არც ისეთი შეკითხვების დასმაც მართებული, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ბავშვის რეტრამპირება, გადატანილი ტკივილის კიდევ ერთხელ გახსენება. ზოგადად, არასრულწლოვანთან ნებისმიერი ურთიერთობის დროს, იქნება ეს მასთან ინტერვიუ, ვიდეოჩაწერა თუ ფოტოგადაღება, აუცილებელია ბავშვის მშობლების, მეურვის ან მოზარდის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, სასურველია წერილობითი საბუთი იმის დასაფიქსირებლად, რომ

ეს თანხმობა ნებაყოფლობითია, მიღებულია ყოველგვარი იძულების გარეშე. რა თქმა უნდა, მათ უნდა იცოდნენ, როგორ და რა მიზნით გეგმავს ჟურნალისტი ამ მასალის გამოყენებას, სრულად უნდა იყვნენ ინფორმირებული, რა რისკებისა და გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ ან რა სარგებელი შეიძლება მიიღონ. გასათვალისწინებელია ბავშვის აზრიც, რომელსაც მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ვამცნოთ ჩვენი სურვილი მასთან კომუნიკაციისა და მისგან თანხმობის შემთხვევაში მხოლოდ უფროსებთან, რომელსაც იგი ენდობა, მოთათბირების შემდეგ შევა გადაწყვეტილება ძალაში.

ინტერვიუს დროს ბავშვი თავს დამაბულად არ უნდა გრძნობდეს, მეგობრული და კეთილგანწყობილი გარემო უნდა შევუქმნათ. ვიდეო და რადიოინტერვიუს ჩაწერისას შესაბამისი განწყობის შესაქმნელად მნიშვნელოვანია ასევე მუსიკალური ფონი. განსაკუთრებით ყურადღებით უნდა გაანალიზდეს და აიწონ-დაიწონოს ის მოსალოდნელი შედეგი, რაც მასალის გამოქვეყნებამ შეიძლება გამოიწვიოს, რამდენად პოზიტიურად თუ ნეგატიურად შეიძლება აისახოს ბავშვის ცხოვრებასა და მომავალზე. თუკი ჟურნალისტი არ იქნება დარწმუნებული იმაში, რომ არანაირი საფრთხე არ არსებობს არასრულწლოვანისთვის, პრობლემა უნდა გაშუქდეს ზოგადად, მთლიანობაში, ყოველგვარი დაკონკრეტებისა და ბავშვის ვინაობის მითითების გარეშე, რადგან მოზარდის იდენტიფიკაცია საზოგადოებას ვერ მიაწვდის ისეთ ღირებულ ინფორმაციას, რომელიც გადაწონის ბავშვისთვის მოსალოდნელ საფრთხეს და ზიანს. უფრო მნიშვნელოვანია ფაქტი, მისი სწორად მიწოდება და შესაბამისი გაშუქება.

ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენა მთელი მსოფლიოსთვის არის შეიარაღებული დაპირისპირება, ომი და კონფლიქტები, რაც უდავოდ იწვევს დიდსაზოგადოებრივ ინტერესს. ბუნებრივია, აუცილებელია ადამიანთა ინფორმირება იმის შესახებ, რა ხდება ან რა მოხდება. მსგავს თემებს მედია გვერდს ვერ აუვლის, მაგრამ საქმისაა, როგორ უნდა გაშუქდეს არასრულწლოვანთა პრობლემები შეიარაღებული კონფლიქტების დროს, სად არის ზღვარი საზოგადოებრივ ინტერესს, ექსკლუზივის მოპოვების სურვილს, სენსაციისკენ მისწრაფებასა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებას შორის. ამ საზღვრის დადგენა მნიშვნელოვანია, რადგან ძალზე ემოციური მედიაპროდუქტი უნდა შეიქმნას. ომი რადიკალურად ცვლის ვითარებას, გარემოს, რომელშიც ვცხოვრობთ, ჟურნალისტების

მხრიდან ეთიკურ-მორალური ნორმების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ყალიბდება. ბუნებრივია, ომი ყოველმხრივ უნდა გაშუქდეს. ბავშვები ამ კონფლიქტის მონაწილეები ხდებიან საკუთარინება-სურვილისაწინააღმდეგოდ. მედიას დიდი ძალა და გავლენა აქვს, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას დიდწილად განსაზღვრავს. ჟურნალისტებმა უნდა აჩვენონ ომის ნამდვილი სახე. გონებიდან არასდროს ამოიშლება უკრაინელი ბიჭუნას სახე, მისი ემოციები, როცა მშობლიური მიწა-წყლის დატოვება უწევდა და პოლონეთის საზღვარს კვეთდა. ადამიანებმა თავად განიცადეს სამშობლოდან დევნილი ლტოლვილების ტრაგედია და კიდევ ერთხელ გაისიგრძეგანეს ომის საშინელება. ტრამვირებულ ადამიანებთან, განსაკუთრებით ბავშვებთან ურთიერთობისას ჟურნალისტს გონივრული ქცევა მოეთხოვება. მსგავს შემთხვევებში შესაძლოა ბავშვის ინტერესმა გადაწონოს საზოგადოებრივი ინტერესი. ომს გამოქცეული მოზარდის უპირველესი ინტერესი კი იმაში მდგომარეობს, რომ ის არ იქცეს კვლავ მსხვერპლად, არ მოუწიოს კიდევ ერთხელ განიცადოს გადატანილი საშინელება, რამაც შეიძლება დამანგრეველი გავლენა იქონიოს მის ჯანმრთელობაზე. მსგავს ემოციებთან გამკლავება მოზარდილ ადამიანსაც კი უჭირს, ბავშვების ფსიქიკა კი ბევრად სათუთია. ლტოლვილ ბავშვებთან ინტერვიუს დროს ჟურნალისტი უნდა ერიდოს მძაფრი ემოციის გამომწვევი შეკითხვების დასმას და მაშინვე უნდა შეწყვიტოს მოზარდთან საუბარი, როგორც კი შეატყობს, რომ ბავშვისთვის განსახილველი თემა ძალზე მტკივნეულია. არცერთი ადამიანი, მით უმეტეს ბავშვი, რომლის შესახებაც უნდა ვამცნოთ საზოგადოებას, არ უნდა აღმოჩნდეს უხერხულ სიტუაციაში, არ უნდა შეელახოს ღირსება, ამოტომ არ არის გამართლებული, უკიდურესი აუცილებლობის გარდა, სასოწარკვეთილი, ატირებული და შეშინებული ბავშვის გადაღება და შემდეგ ამ კადრების გავრცელება.

შესაძლოა ტკივილი და ცრემლი, არაორდინალური ვითარება აუდიტორიას უფრო აინტერესებდეს, ვიდრე ყოველდღიური ცხოვრების ჩვეულებრივი დინება და რუტინული ამბები, მაგრამ პროფესიონალმა ჟურნალისტმა უნდა მოახერხოს ის, რომ, ერთი მხრივ, დააკმაყოფილოს საზოგადოების ინტერესი და, მეორე მხრივ, არ დააზიანოს ადამიანის, განსაკუთრებით კი მოზარდის ფსიქიკა. ეთიკური კოდექსები პირდაპირ ავალდებულებს მედიპროფესიონალებს ყოველ სიტუაციაში, ყველა შემთხვევაში დაიცვან ადამიანის ღირსება და პატივი.

ძლიერ ემოციურ და დამაბულ ფონზე მოზარდის სასოწარკვეთილი სახის ჩვენება შეიძლება იქცეს ბავშვით მანიპულირების და პროპაგანდის ინსტრუმენტად ქცევის მიზეზად, რადგან მსგავსი შეტყობინება აღძრავს განსხვავებულ აზრებს, მაგ. ომის სასწრაფოს შეწყვეტის ან პირიქით, ბრძოლისა და შურისძიების შესახებ; შეძლებისდაგვარად საკუთარი წვლილის შეტანის სურვილს პრობლემის მოსაგვარებლად და საკუთარი თავის წარმოსაჩენად და ა. შ. მსგავსი ვითარება ადამიანის ყველაზე მგრძობიარე სიმებს ეხება, გარკვეულწილად ხდება ფაქტორი საკუთარი უსაფრთხოების და ახლობელი ადამიანების დასაცავად ნაჩქარევი, ბოლომდე გაუცნობიერებელი ნაბიჯების გადადგმისა და გაუმართლებელი ქმედებისა. საფრთხის შეგრძნებამ შესაძლოა სტრესი გამოიწვიოს და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ეს სტრესი არ იყოს ხანგრძლივი და ინტენსიური. სპეციალისტების აზრით, სტრესმა შეიძლება გამოიწვიოს გულსისხლძარღვთა სისტემის მოშლა, კანის პრობლემები, ძილის დარღვევა, მოუსვენრობა, დეპრესია, ერთი სიტყვით, გახდეს მიზიზი არასასურველი მოვლენებისა. ფსიქოლოგები განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას იმ რისკებზე, რაც უკავშირდება ბავშვის იდენტიფიცირებას არასწორად შერჩეული კონტექსტის ფონზე. კომუნიკაციის საშუალებებსა და ვირტუალურ სივრცეში არასრულწლოვანის გამოჩენა ისედაც არის გარკვეული რისკის შემცველი ბოროტი განზრახვის მქონე, ფსიქიკაშერყეული, გაუწონასწორებელი ადამიანების ანდა აგრესორების მხრიდან. ბავშვის გამოსახულებამ არასათანადო კონტექსტში შესაძლოა მავანს და მავანს აღუძრას არაჯანსაღი ფანტაზიები და უბიძგოს ყოვლად გაუმართლებელი ქცევისკენ, იქცეს გამომწვევად ისეთი მახინჯი გამოვლინებებისა, როგორცაა ვირტუალური ძალადობა, ონლაინაგრესია, ფლეიმი, ტროლინგი და ა.შ. ბუნებრივია, მოზარდს გაუჭირდება თავის დაცვანეგატიური ემოციებისგან, თავს დამცირებულად იგძნობს, შეელახება ღირსება ახლობლებისა და თანატოლების თვალში, რამაც შესაძლოა თავისი დაღი დაასვას მის ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობას და მისი ჰარმონიული განვითარებაც დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს.

თუკი ჟურნალისტი ჩათვლის, რომ მისი მასალისთვის და შემდგომ სწორი რეაგირებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვის გამოსახულების ჩვენება, არსებობს გამოსავალი, მოზარდის გადაღება იმ კუთხიდან, საიდანაც მისი სახე არ გამოჩნდება, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოსახულების ნაწილობრივ დაფარვაც, შესაბამისად, მისი

სრული იდენტიფიცირება ვერ მოხდება.

მობილური ტელეფონი და მისი კამერა თანამედროვე ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა, ამასთან დაკავშირებით გარკვეული წესების დაცვაა საჭირო, სპეციალისტთა რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინონ არა მხოლოდ ჟურნალისტებმა, არამედ მშობლებმაც, როდესაც აქვეყნებენ თავიანთი არასრულწლოვანი შვილების ფოტოებს ან ვიდეოებს. ალბათ, ბევრს აქვს სურვილი გახდეს პოპულარული, იხილოს თავისი თავი პუბლიკაციებში, სოციალურ ქსელებში და ა.შ. თუ სრულწლოვანს სურს ამის გაკეთება, ეს მისი საქმეა და ვერავინ ჩაერევა, მაგრამ ბავშვებთან დაკავშირებით სხვა ვითარებაა. მოზარდებს ბოლომდე ვერ ექნებათ გაცნობიერებული, ზოგჯერ რა შეიძლება მოჰყვეს მათ ასეთ „პოპულარობას“ და რა გავლენა შეიძლება იქონიოს მათ ცხოვრებაზე, ამიტომ პატარების მხრივ ასეთი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება ზოგ შემთხვევაში სახიფათოა.

დასკვნა

თითოეული ადამიანის მოვალეობაა ბავშვების დაცვა მოსალოდნელი საფრთხისგან, მათვე ზეგავლენისგან, მათთვის ცხოვრების ნორმალური

პირობების უზრუნველყოფა, ამას მშობლების, საზოგადოების, სახელმწიფოს, მედიის ერთობლივი ძალისხმევა სჭირდება. თანამედროვე რთულ, ათასგვარი კატაკლიზმებით დახუნძლულ ეპოქაში პრობლემებისგან სრულად თავის არიდება, ალბათ, ვერ მოხერხდება, ეს ნაკლებად მოსალოდნელია, მაგრამ საბედისწერო შეცდომა და გამოუსწორებელი ქმედება ბავშვებთან მიმართებაში კი ნამდვილად უნდა გამოირიცხოს. მოზარდს მაინც მოუწევს გარკვეულ წინააღმდეგობებთან შეჯახება, იმედგაცრუების, უსამართლობის მძაფრი შეგრძნების განცდა და გადატანა, მაგრამ ამან მის სულს დაღი არ უნდა დაასვას, მომავლის იმედი, უკეთესი მერმისის რწმენა არ უნდა ჩაუკლას, პირიქით, ბრძოლისა და თავდაცვის უნარი უნდა გამოიმუშავოს, სწორედ ამ დროს ესაჭიროება მოზარდს გვერდში დგომა, დახმარების ხელის გაწოდება და მისი ქმედებისთვის სწორი მიმართულების მიცემა, ეს კი უფროსებია ვალია. ჟურნალისტებსაც შესწევთ უნარი თავიანთი წვლილი შეიტანონ ბავშვებისთვის სასიკეთო საქმეში შესაბამისი მედიაპროდუქტის შექმნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში. თსუ. გაეროს ბავშვთა ფონდი. თბ. 2008
2. ეთიკურად გაშუქების სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. ნაწ. 2. თბ. 2017-2018
3. <https://www.unicef.org>eca>media>
4. <https://mediacritica.md>podcast>i>
5. <https;www.dkhw.de>schwerpunkte>

Some aspects of coverage of children's issues

*Ketevan Giorgobiani, associate professor
Georgian Technical University*

Summary

The paper once again emphasizes that the primary duty of journalists is to provide true, verified, balanced information to the public, they are the ones who have access to information in the first place, at the same time, they also have a lot of resources to disseminate information and present the real situation and problems. The material prepared by them should not harm human dignity, honor, reputation, but media representatives have to make special efforts and bear double responsibility when it comes to children; Attention is drawn to the guidelines and guidelines developed by UNICEF on how journalists should cover children's problems in a way that protects their interests and rights, while taking into account all the risks and dangers that may accompany the identification of a child; It is about the journalist's behavior and actions during the direct communication with the teenager during the recording of the interview, the need to weigh and analyze in detail the results of the publication of the media product and the accompanying events; Also on how to cover the problems of minors during war and armed conflicts, where is the line between public interests, the desire to obtain exclusiveness, the desire for sensationalism and consideration of ethical norms.

A professional journalist should manage, on the one hand, to satisfy the interest of the media user and, on the other hand, not to harm the teenager's psyche; It is noted that in an emotionally tense background, a child should not become an instrument of manipulation and propaganda.

It is the duty of every person to protect children from imminent danger, harmful effects, to provide them with normal living conditions. This requires the joint efforts of parents, society, the state, and the media. Journalists have the power and, to some extent, their duty to contribute to the good cause of youth by creating relevant media products.

Keywords: duty and responsibility; Children's interests; identification of minors; risks and dangers; direct communication with the teenager; covering the child; war and armed conflicts; child manipulation and propaganda; Ethical and legal norms.

მედიაწიგნიერება, როგორც დეზინფორმაციის ამოცნობის საშუალება

*ელენე კურდღელია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*არსენ ზურჯალიანი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

თუნდაც რამდენიმე ათეული წლის წინ, როდესაც მედიის მთავარ საშუალებებს გაზეთები, რდო და ტელევიზიები წარმოადგენდნენ, ნაკლები დეზინფორმაცია ვრცელდებოდა. ამას ხელს უწყობდა ამ ტიპის მედიასაშუალებების მთავარი მახასიათებლები: ინფორმაციის გაფილტვრა, რედაქტორის არსებობა, ინფორმაციის ნაკადების კონტროლი და ა.შ.

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სულ უფრო მეტად იზრდება დეზინფორმაციის ოდენობა მედიასაშუალებებში, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სოციალური მედია. სოციალურ მედიაში, მედიის კლასიკური სახეებისგან განსხვავებით ინფორმაციის გენერირება უფრო თავისუფლად ხდება. გაცილებით მეტი ადამიანია „ინფორმაციის“ შექმნელი. შესაბამისად, ის რასაც ტრადიციული მედიის ქვაკუთხედად მიიჩნევენ - ფაქტი წმინდაა, აქ დარღვეული და ფაქტიც შეიძლება გახდეს განსხვავებული თუ მის ინტერპრეტირებას მრავალი ადამიანი მოახდენს. გარდა ამისა, სოციალურ მედიაში ინფორმაცია იმაზე გაცილებით სწრაფად ვრცელდება ვიდრე, სხვა ნებისმიერი ტიპის მედიასაშუალებაში.

სოციალურ მედიაში დეზინფორმაცია შეიძლება სწრაფად და ფართოდ გავრცელდეს, რაც გავლენას ახდენს საზოგადოების აღქმაზე, შეხედულებებსა და აზრებზე, რაც ხელს უწყობს რეალური შედეგების ცვლილებას.

სოციალური მედიის პლატფორმები მომხმარებლებს უადვილებს ინფორმაციის სწრაფად გაზიარებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელს უწყობს მნიშვნელოვანი და ზუსტი ინფორმაციის სწრაფ გავრცელებას, ის ასევე საშუალებას აძლევს დეზინფორმაციას სწრაფად გახდეს ვირუსული.

თუ ტელევიზიებს ხშირად უწევთ ინფორმაციის წყაროს დასახელება (თუმცა შეუძლიათ წყარო ანონიმურად დატოვონ), სოციალური მედიის პლატფორმები მომხმარებლებს შესაძლებლობას აძლევს შექმნან ანონიმური ანგარიშები. ეს ართულებს დეზინფორმაციის პირველწყაროს დადგენას და ცრუ ინფორმაციის გავრცელებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას.

სოციალური მედია ხელს უწყობს არამარტო ტექსტის გავრცელებას, არამედ ვიზუალური მასალისაც, რომელსაც ხშირად მანიპულაციური სახე აქვს. ეს მანიპულაცია მიმართულია საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისკენ.

დეზინფორმაცია მაღალია პოლიტიკური შინაარსის ინფორმაციის გავრცელების დროსაც. პოლიტიკაში დეზინფორმაციის საკითხის გადასაჭრელად, გადამწყვეტია, რომ ინდივიდებმა განავითარონ მედიაწიგნიერების უნარები, გადამოწმონ ინფორმაცია და მოძებნონ სხვადასხვა პერსპექტივები.

ამ და სხვა გამოწვევების დასაძლევად, სოციალური ქსელების ადმინისტრაციები მუშაობენ მომხმარებლებში მედიაწიგნიერების დონის გასაზრდელად. ასევე ძალისხმევას დებენ ციფრული წიგნიერების დონისა და კრიტიკული აზროვნების უნარის ხელშეწყობაში.

საკვანძო სიტყვები: დეზინფორმაცია, მედიაწიგნიერება, ციფრული საზოგადოება, კრიტიკული აზროვნება, სოციალური მედია

შესავალი

დღესდღეობით ადამიანები მძლავრი მედიის სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც მედიის სხვადასხვა სახე ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიურადაა ჩართული. მედიის ტრადიციული სახეების გარდა, როგორებიცაა ტელევიზია, ბეჭდური (ჟურნალები, წიგნები) და ბილბორდები, ბოლო ათწლეულებში ჩვენს ცხოვრებაში შემოიჭრა ე.წ ახალი მედია - სოციალური მედია. ადამიანთა ჩართვა ციფრულ მედიაში გაცილებით მაღალია. კვლევებით დადგენილია, რომ სხვადასხვა ასაკის ბავშვების სოციალურ ქსელებში დაახლოებით 4-7 საათს ატარებენ. ასეთ დიდ დროს ონლაინ და ეკრანებთან, ისინი ექვემდებარებიან შეტყობინებებს და ინფორმაციას, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

ის ასობით შეტყობინება, რომელსაც ყოველდღიურად ვიღებთ მედიიდან, გვეხმარება ჩვენს დამოკიდებულებების, ღირებულებების, რწმენისა და იდენტობის ჩამოყალიბებაში. მედიის ფუნქციებიდან გამომდინარე, მისი სწორად გამოყენე-

ბის შემთხვევაში ის ჩვენთვის ხდება ინფორმაციის მიღების, ცოდნის შექმნისა და გართობის საშუალება, თუმცა არასწორი გამოყენების შემთხვევაში ძლიერი იარაღი, რომელიც ჩვენს ყოველდღიურობას ცვლის და ხშირად გვწყვეტს რეალობას. მედიის სათანადო გამოყენების მექანიზმად მიიჩნევა მედიაწიგნიერება.

თავის მხრივ, დეზინფორმაცია გულისხმობს ცრუ ან არაზუსტ ინფორმაციას, რომელიც ხშირად სრულიად გამიზნულად ვრცელდება. გამიზნულად გავრცელებული დეზინფორმაციის მიზანი საზოგადოების შეცდომაში შეყვანაა. დღევანდელი ციფრული ეპოქის კონტექსტში, დეზინფორმაცია შეიძლება სწრაფად გავრცელდეს სხვადასხვა არხებით, მათ შორის სოციალური მედიით, ვებსაიტებით და სხვა ონლაინ პლატფორმებით. მნიშვნელოვანია, დეზინფორმაცია განვასხვავოთ გაუგებრობისგან, რომელიც გულისხმობს არაზუსტი და შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელებას თუმცა არაგამიზნულად. შესაბამისად მის მიზანს არ წარმოადგენს საზოგადოების მოტყუება. ხოლო დეზინფორმაცია ცრუ ინფორმაციის განზრახ შექმნა და გავრცელება საზოგადოების მოტყუების მიზნით. დეზინფორმაცია, მათ შორის, გამოიყენება პოლიტიკური მოტივებითაც.

ძირითადი ნაწილი

მედიაწიგნიერება ფართო გაგებით გულისხმობს ადამიანის უნარს, ცოდნას გაანალიზოს მედიის როლი და შეაფასოს გავლენა. გამოიმუშავოს კრიტიკული აზროვნება, რათა მოახდინოს სწორი ნავიგაცია მედიის მრავალფეროვან კონტენტში. მედიაწიგნიერება, არა უბრალოდ ინფორმაციის მოხმარება, არამედ უპირველეს ყოვლისა, არის წვდომის, შეფასებისა და ანალიზის უნარი.

მედიაწიგნიერება გულისხმობს სათანადო ინფორმაციის სხვადასხვა წყაროში მოძიების უნარს. მათ შორის იგულისხმება, როგორც ტრადიციული, ისე ციფრული პლატფორმები. მედიაწიგნიერება გულისხმობს მედია შეტყობინებების სანდოობის, სიზუსტისა და მიკერძოების კრიტიკულად შეფასების უნარის გამომუშავებას. თავისთავად, ამაში იგულისხმება მედია მანიპულაციის საშუალებებისა და დეზინფორმაციის ამოცნობაც. ის უპირველეს ყოვლისა, სკეპტიკური აზროვნების განვითარებაა, რათა ადამიანმა თავიდან აიცილოს დეზინფორმაცია ან მიკერძოებული შინაარსი. (Hobbs, 2010)

მედიაწიგნიერების იდეის ერთ-ერთი ქვაკუთხედი დეზინფორმაციის ამოცნობა, რაც ინფორ-

მაციის გაფილტვრის ნაწილია. მედიაწიგნი-ერება ეხმარება იმის გაგებას თუ როგორ აყალიბებს მედია საზოგადოების აღქმას, დამოკიდებულებებს და ქცევებს. (European Digital Media Observatory, 2023)

მედიის თანამედროვე სახეების პირობებში, ინფორმაციის დიდი ნაკადების არსებობის გამო, სულ უფრო რთულია მათი გაფილტვრა და დეზინფორმაციის ამოცნობა. ცრუ ინფორმაცია შეიძლება ადვილად გავრცელდეს ისეთ პლატფორმებზე, როგორცაა Facebook, Twitter და Instagram, სადაც მომხმარებლები აზიარებენ და ხელახლა აქვეყნებენ შინაარსს მისი სიზუსტის გადამოწმების გარეშე. თუ ტრადიციულ მედიაში ადამიანი თავად იღებს გადაწყვეტილებას რომელ მედიასაშუალებას ან გადაცემას უყუროს, ინტერნეტ მედიაში ინფორმაციის უწყვეტი ნაკადი მოედინება, რომელიც ხშირად შეიცავს გაუფილტრავ ინფორმაციას. სწორედ ამ პირობებში ადამიანს განსაკუთრებით სჭირდება მედიაწიგნიერების უნარები.

მედიაწიგნიერების მეშვეობით, დეზინფორმაციასთან ბრძოლს რამდენიმე სტრატეგია არსებობს: (European Regulators Group for Audiovisual Media Services (ERGA), 2021)

1. ინფორმაციის გადამოწმება. მნიშვნელოვანია ინფორმაციის გადამოწმება მოხდეს სანდო წყაროსთან. ტრადიციული მედიასაშუალებები საუკეთესო შემთხვევაში ინფორმაციის გადამოწმებისთვის 3 სრულიად დამოუკიდებელ წყაროს იყენებენ. მედიაწიგნიერება ხაზს უსვამს ფაქტების შემოწმების მნიშვნელობას. მედიაწიგნიერება ადამიანებს ასწავლის თუ როგორ გადაამოწმონ ინფორმაცია მრავალი წყაროს ჯვარედინი მითითებით და ცნობილ ფაქტების შემოწმებელ ორგანიზაციებთან კონსულტაციებით.
2. ინფორმაციის მიღებისას მნიშვნელოვანია გადავამოწმოთ წყარო და თავად ფაქტი. მედიაწიგნიერება ეხმარება სანდო და საეჭვო წყაროების დიფერენცირებაში სხვადასხვა ფაქტორების დახმარებით.
3. მედიაწიგნიერების იდეის ავტორები მოგვიწოდებენ კრიტიკულად გაავანალიზოთ მიღებული ინფორმაცია. ეს უპირველეს ყოვლისა, ლოგიკური ბმების შექმნას და გაანალიზებას გულისხმობს. კრიტიკული აზროვნება ინფორმაციის სანდოობის შეფასების აუცილებელი კომპონენტია. შესაბამისი უნარების ადამიანები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ინფორმაციის შინაარსს, არკვევენ

ინფორმაციის მიღმა არსებული მოტივებს. ამოიცნობენ პოტენციურ მიკერძობებს მოწოდებული მტკიცებულებების გათვალისწინებით.

4. მედია ტექნიკის გაგება - მედიაწიგნიერება ადამიანებს ასწავლის მედიისა და კონტენტის შექმნისას გამოყენებულ ტექნიკებს. როგორცაა რედაქტირება, ჩარჩოები და მანიპულირება. მსგავსი ცოდნა ადამიანებს ეხმარება გააცნობიერონ, როდის არის ინფორმაცია შეცვლილი ან წარმოდგენილი ისე, რომ დამახინჯდა რეალური მნიშვნელობა.
5. მიკერძობების ამოცნობა - მედიაწიგნიერება ეხმარება ინდივიდებს გაიგონ სხვადასხვა სახის მიკერძობა, მათ შორის პოლიტიკური, კულტურული და კომერციული მიკერძობა.
6. მედიაწიგნიერება ადამიანებს ეხმარება ამოიცნონ ე.წ Clickbait და სენსაციისკენ სწრაფვა. Clickbait დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი გავრცელებული მარკეტინგული ხრიკია, რომელიც იყენებს სენსაციურ, შეცდომაში შემყვან და მატყუარა კონტენტს ინტერნეტ მედიაში გვერდის ნახვების მოსაზიდად. როგორც წესი, Clickbait გულისხმობს დამაინტრიგებელი, სენსაციური სათაურის შექმნას. შინაარსი კი გაცილებით ნაკლებად საინტერესო, ზუსტი ან ღირებულია, ვიდრე დაპირებული იყო. მედიაწიგნიერებაში განათლებული ადამიანები კი ნაკლებად ექცევიან ემოციურად დატვირთული ან შეცდომაში შემყვანი შინაარსის გავლენის ქვეშ. ამასთანავე, მარტივად ახერხებენ დამაინტრიგებელი შინაარსის სათაურის ამოცნობას.
7. მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციის გაზიარებისა და შესაბამისად გავრცელებისას ვიყოთ ფრთხილად, რათა ძალაუწიებურად არ გავხდეთ დეზინფორმაციის გამავრცელებლები.
8. მიშვნელოვანია ხელი შეეწყოს მედიწიგნიერების განათლებას. საგანმანათლებლო ინიციატივები ხშირად აერთიანებს მედიაწიგნიერებას სასწავლო გეგმებში, რათა აღიჭურვოს მოსწავლეები/სტუდენტები თანამედროვე მედიაგარემოში ნავიგაციისთვის საჭირო უნარებით.

მედიაწიგნიერება აქტიურადაა შესული სასკოლო გარემოში. 2011 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაამტკიცა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა,

რომელიც მედიაწიგნიერებას ერთ-ერთ გამჭოლ კომპეტენციად ასახელებს. მედიაწიგნიერების უნარებში მულტიმედია ტექსტების გაგება-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა იგულისხმება. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2011) მედიაწიგნიერების კონცეფცია დაკავშირებულია კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებასთან, რადგან ინფორმაციის ხარისხიანად დამუშავებას, სანდოობის განსაზღვრას და ამასთან, ახალი ინფორმაციის შექმნას სწორედ ზემოაღნიშნული უნარები უზრუნველყოფს.

ციფრული წიგნიერება-მედიაწიგნიერება ვრცელდება ციფრულ წიგნიერებაზე, რომელიც მოიცავს ალგორითმებისა და მექანიზმების გაგებას, რომლებიც გავლენას ახდენენ სოციალური მედიის პლატფორმებზე ნაჩვენებ კონტენტზე. მომხმარებლები უკეთესად არიან აღჭურვილი ონლაინ სივრცეებში ნავიგაციისთვის, რათა თავიდან აირიდონ შეუსაბამო კონტენტის მიღება. (Moody, 2023)

ცხადია, ყველა ტიპის მედიასაშუალებების მიზანს არ წარმოადგენს მასში დეზინფორმაციის გავრცელება. ვინაიდან, ის უარყოფითად აისახება მათ ავტორიტეტზე.

სოციალური ქსელები აქტიურად მუშაობენ თავიანთ პლატფორმებზე დეზინფორმაციისა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

სოციალური მედიის პლატფორმები ხშირად თანამშრომლობენ ფაქტების შემოწმებელ ორგანიზაციებთან ინფორმაციის სიზუსტის შესაფასებლად. იმ შემთხვევაში თუ კონტენტი ან მისი ცალკეული ნაწილი მონიშნულია როგორც ყალბი - სოციალური ქსელები ცდილობენ შეამცირონ მათი ხილვადობა, თუმცა ამ კონტენტის ყალბად მონიშვნა ნაწილობრივ თავად სოციალური ქსელის მომხმარებელთა პასუხისმგებლობაა. თუ მომხმარებლები სოციალური ქსელების ადმინისტრაციას შეატყობინებენ კონკრეტული კონტენტის ან სულაც გვერდის დეზინფორმაციულ შინაარსთან კავშირის შესახებ, სოციალური ქსელი მის ხილვადობას ამცირებს ან სულაც შლის მას. აქ კი განსაკუთრებული მნიშვნელობა კვლავ საზოგადოების მედიაწიგნიერებას ენიჭება. თუმცა, ამასთანავე სოციალური ქსელები ფლობენ ავტომატიზირებულ სისტემებსაც, რათა ამოიცნონ და წაშალონ კონტენტი, რომელიც არღვევს მათ პოლიტიკას, მათ შორისაა დეზინფორმაციაც. (Facebook, 2023) პლატფორმებმა შეიძლება შეცვალონ თავიანთი ალგორითმები, რათა პრიორიტეტუ-

ლად მიიჩნეონ კონტენტი სანდო წყაროებიდან და შეამცირონ კონტენტის ხილვადობა, რომელიც მონიშნულია როგორც ყალბი ან შეცდომაში შემყვანი. ეს ხელს უწყობს სანდო ინფორმაციის პოპულარიზაციას. თავის მხრივ, მსგავს ალგორითმებს შეუძლიათ პირიქით, უარყოფითი ზემოქმედება. ვინაიდან ალგორითმები ეყრდნობა მომხმარებლის მიერ უკვე ნანახს და საჭიროდ ჩათვლილს, ალგორითმი კვლავ განაგრძობს მომხმარებლისთვის იმ კონტენტის ჩვენებას, რაც მეტად შეესაბამება მის პრეფერენციებს. ამან შეიძლება შეზღუდოს სხვადასხვა პერსპექტივის გამოვლენა და ხელი შეუწყოს დეზინფორმაციის გაძლიერებას.

პოპულარული სოციალური ქსელები არცთუ ისე იშვიათად ატარებენ საზოგადოების ინფორმირებულობის კამპანიებს, რათა ასწავლონ მომხმარებლებს დეზინფორმაციის ამოცნობა და დაეხმარონ მათ თავიდან აცილებაში. ეს კამპანიები მიზნად ისახავს ციფრული წიგნიერების და კრიტიკული აზროვნების უნარების გაუმჯობესებას, რაც მედიწიგნიერების ხელშეწყობაა. არაერთხელ ყოფილა შემთხვევა ე.წ. ბოტების სისტემის გამოვლენის, მათ შორის საქართველოში.

მედიწიგნიერება მნიშვნელოვანია მედიაში პოლიტიკური დეზინფორმაციის ამოსაცნობადაც. მედიის დეზინფორმაცია პოლიტიკაში რთული და კომპლექსური საკითხია, რომელიც ციფრული მედიისა და სოციალური პლატფორმების გაძლიერებასთან ერთად კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა.

პოლიტიკაში დეზინფორმაციის გავრცელებას დიდწილად ხელს უწყობს საზოგადოების პოლიტიკური პოლარიზაცია, რაც იწვევს მედიაპოლარიზაციას. ადამიანები მიდრეკილნი არიან მიიღონ ის სიახლეები, რომლებიც ემთხვევა მათ უკვე არსებულ შეხედულებებს. მსგავსი მიდგომა კიდევ უფრო აძლიერებს უკვე არსებულ შეხედულებებს და ხელს უწყობს დეზინფორმაციის გავრცელებას. შესაბამისად, ძლიერ პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია შექმნას ატმოსფერო, სადაც დეზინფორმაცია უფრო მეტად მიიღება იმ პირების

მიერ, რომლებიც თვლიან, რომ იგი შეესაბამება მათ იდეოლოგიურ შეხედულებებს.

დასკვნა

მედიწიგნიერება აუცილებელია დღევანდელი ინფორმაციებით მდიდარ და ტექნოლოგიურად განვითარებულ საზოგადოებაში. ის აძლევს ინდივიდებს შესაძლებლობას მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები, ჩაერთონ შინაარსობრივ დისკუსიებში და ხელი შეუწყონ მედია ლანდშაფტის იმგვარად განვითარებას, რომელიც ხელს შეუწყობს გამჭვირვალობას, სიზუსტეს და პასუხისმგებელიან კომუნიკაციას.

დეზინფორმაციასთან ბრძოლა მოიცავს მედიწიგნიერების, კრიტიკული აზროვნების და ფაქტების შემოწმებას. კრიტიკული კვლევის იდეის ხელშეწყობით, თითოეულ ადამიანს შეუძლია ხელი შეუწყოს დეზინფორმაციის გავრცელებასა, მის საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებას. ამასთანავე, ხელი შეუწყოს ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

მედიის მომხმარებლებისთვის აუცილებელია სიფხიზლე, ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებისა და ფაქტების გადამოწმების უნარები. ამ და სხვა უნარების დახმარებით, ინფორმირებულობის ხელშეწყობით, მედიწიგნიერება ინდივიდებს აძლევს შესაძლებლობას, იყვნენ ინფორმაციის აქტიური და ინფორმირებული მომხმარებლები, რაც მათ ნაკლებად მგრძობიარეს ხდის დეზინფორმაციისადმი.

პოლიტიკაში დეზინფორმაციის საკითხის გადასაჭრელად, გადაწყვეტია, რომ ინდივიდებმა განავითარონ მედიწიგნიერების უნარები, გადამოწმონ ინფორმაცია ფაქტების გაზიარებამდე და მოძებნონ სხვადასხვა პერსპექტივები.

საგანმანათლებლო პროგრამებმა, საზოგადოებრივმა ინიციატივებმა და მედიწიგნიერების ხელშეწყობის მუდმივმა ძალისხმევამ შეიძლება ხელი შეუწყოს უფრო ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. European Digital Media Observatory. (2023). Media Literacy. Retrieved from edmo.eu: <https://edmo.eu/media-literacy/the-importance-of-media-literacy-in-fighting-disinformation/>
2. European Regulators Group for Audiovisual Media Services (ERGA). (2021). Improving Media Literacy campaigns on disinformation. ERGA.
3. Facebook. (2023). Misinformation - Policy details. Retrieved from transparency.fb.com: <https://transparency.fb.com/policies/community-standards/misinformation>

4. Hobbs, R. (2010). Digital and Media Literacy: A Plan of Action. Retrieved from www.aspeninstitute.org:https://www.aspeninstitute.org/wp-content/uploads/2010/11/Digital_and_Media_Literacy.pdf
5. Moody, J. (2023, 10 08). Misinformation vs. disinformation: School of Com prof on a digital literacy mission. Retrieved from news.illinoisstate.edu:https://news.illinoisstate.edu/2023/10/misinformation-disinformation/
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2011). მედიაწიგნიერება. მოპოვებული medialiteracy.ge: <https://medialiteracy.ge/ge/page/id/7/ra-aris-mediawigniereba-დან>

Media literacy as a means of recognizing misinformation

*Elena Kurdgelia, PhD student
Georgian Technical University*

*Arsen Bourjalian, professor
Georgian Technical University*

Summary

Even a few decades ago, when the main means of media were newspapers, radio and television, there was less misinformation. This was facilitated by the main features of this type of media: information filtering, presence of an editor, control of information flows, etc.

Over the past few decades, the amount of misinformation in the media has been increasing, among which social media stands out. In social media, unlike classical forms of media, information is generated more freely. There are much more people creating "information". Therefore, what is considered to be the cornerstone of traditional media - the fact is sacred, here it is violated and the fact can become different if it is interpreted by many people. In addition, information spreads much faster in social media than in any other type of media.

In social media, misinformation can spread quickly and widely, influencing public perceptions, beliefs and opinions, contributing to changes in real-world outcomes.

Social media platforms make it easy for users to share information quickly. While this facilitates the rapid dissemination of important and accurate information, it also allows misinformation to quickly go viral.

While broadcasters often have to name the source of information (although they can leave the source anonymous), social media platforms allow users to create anonymous accounts. This makes it difficult to identify the source of disinformation and to hold them accountable for spreading false information.

Social media facilitates the dissemination of not only text, but also visual material, which often has a manipulative appearance. This manipulation is aimed at shaping public opinion.

Disinformation is high even in the dissemination of information of political content. To address the issue of misinformation in politics, it is critical that individuals develop media literacy skills, verify information, and seek out different perspectives.

To overcome these and other challenges, social network administrations are working to increase the level of media literacy among users. Efforts are also being made to promote digital literacy levels and critical thinking skills.

keywords: Disinformation, Media literacy, Digital Society, Critical thinking,

პროფესიული საქმიანობის შესრულება რისკის ფასად - ძალადობა მედიაზე

*ირინა ყურუა, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*თემურ ჯაგოდნიშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

უსაფრთხო მედიაგარემო დემოკრატიული პროცესების განუყოფელი ნაწილია. ჟურნალისტებს, პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, პირად უსაფრთხოებაზე ფიქრი არ უნდა უხდებოდეთ თუ მათი საქმიანობა კონკრეტულად ომის, შეიარაღებული ან სხვა სახის კონფლიქტის გაშუქებას არ უკავშირდება.

საქართველოში მედიაგარემო მკვეთრად პოლარიზებულია (მედიაგარემოს შეფასება - 2022. ISFED), თუმცა უფრო მძიმეა მედიის უსაფრთხოების საკითხები, ჟურნალისტებზე ფიზიკური თავდასხმის შემთხვევები და პოლიტიკურ აგრესიასთან დაკავშირებული გამოწვევები (ქართული მედიის მიმართ ძალადობის 2023 წლის სტატისტიკა. TI). ხშირია მედიაზე ღია თავდასხმის ფაქტები, მუქარისა და სავარაუდო დაშინების მცდელობები და საპროტესტო აქციების გაშუქების პროცესში მათ წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობა-დაკავებისა თუ დაჯარიმების შემთხვევები. 2023 წელს, საქართველოში, მედიის წარმომადგენლებზე სხვადასხვა ტიპის ძალადობის, დაშინების მცდელობისა და შევიწროვების 45 შემთხვევა დაფიქსირდა (ქართული მედიის მიმართ ძალადობის 2023 წლის სტატისტიკა. TI).

ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების დროულ და ეფექტურ გამოძიებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ჟურნალისტების დისკრედიტაციის მცდელობის, მათზე თავდასხმის, პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის, ძალადობისა და შევიწროვების განხორციელებული შემთხვევები, დანაშაულებრივი ქმედებების გამოუძიებლობა და მოძალადეთა წახალისება, კლემენტარული მმართველობებისთვის არის დამახასიათებელი და საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატის შეუქცევად ზიანს აყენებს.

სტატიაში განხილულია მედიის წარმომადგენლებზე ძალადობის ფორმები, სიმძიმის ხარისხი და ფაქტების ინტენსივობა; საქართველოში, 2020-2023 წლებში, დაფიქსირებული დევნა-შევიწროვებისა და პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ნაჩვენებია

ჟურნალისტების წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედებების დინამიკა, ძალადობის აქტორების გამოვლენისა და დანაშაულებზე სახელმწიფოს რეაგირების სპეციფიკა. ნაშრომში, აშშ-ის 45-ე პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის (2017-2021წწ.) საჯარო გამოსვლების ტრანსდისციპლინური კვლევის ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზის მეთოდით, იდენტიფიცირებულია პოლიტიკური ლექსიკის მახასიათებლები და გაანალიზებულია მედიის წარმომადგენლების საწინააღმდეგო ქმედებათა თავისებურებები უცხოეთის ქვეყნებში.

საკვანძო სიტყვები: მედიაგარემო, ძალადობა მედიაზე, ჟურნალისტების დევნა, პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლა, მედიაომბუდსმენი.

შესავალი

მედიის წარმომადგენლებისთვის პროფესიული საქმიანობის შესრულება უსაფრთხო აღარ არის. საფრთხის წინაშე დგება ჟურნალისტების სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმეა კრიტიკული მედიების წარმომადგენლებისადმი დამოკიდებულება (მედია - ძალადობისა და ტოტალური უკანონო მოსმენების სამიზნე. TI). მედია, საქართველოში, ძალადობის სამიზნე განსაკუთრებით საარჩევნო პერიოდში ხდება. პოლიტიკური აქტორები რედაქციებზე გავლენის მოპოვებასა და მათი საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას ცდილობენ. ამიტომ ხშირად, მედია პოლიტიკური ბრძოლის იარაღად იქცევა და პოლიტიკური ინტერესების გამტარებელიც ხდება.

პოლიტიკური მიზნებით დამორჩილებული და პოლიტიკურ ბრძოლაში ჩართული მედია მაყურებლის, მკითხველისა თუ მსმენელის ნდობასა და რეპუტაციას კარგავს, მათი სარედაქციო პოლიტიკა ხშირად ემთხვევა ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის დღის წესრიგსა და მიზნებს, იმეორებს სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერის ლოზუნგებს და კარგავს მთავარს - მიუკერძოებლობასა და ობიექტურობას.

საბოლოოდ, მედია წაგებული რჩება, ვინაიდან პოლიტიკური გავლენებისგან გათავისუფლება და განადგურებული იმიჯის აღდგენას წლები

სჭირდება, ხშირ შემთხვევაში კი - შეუძლებელი ხდება.

მედიის ნაწილი განსაკუთრებით საარჩევნო კამპანიების პერიოდში, პოლიტიკური დაპირისპირების მხარეს წარმოადგენს, რედაქციები კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიასთან ან ჯგუფთან აფილირდებიან, რაც მათ ხშირად აგრესიისა და ძალადობის სამიზნეებად აქცევს.

ძირითადი ნაწილი

მედიის წინააღმდეგ ფიზიკური თავდასხმები თუ ვერბალური აგრესია არაერთხელ დაფიქსირდა.

ჟურნალისტებზე განხორციელებული საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო თავდასხმა "ღირსების მარშის" წინააღმდეგ გამართული კონტრაქციის გაშუქებისას დაფიქსირდა. მომალადე ჯგუფები ჟურნალისტებსა და ოპერატორებს დაესხნენ თავს, ფიზიკური დაზიანებები და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, ტექნიკა გაუნადგურეს და პროფესიულ საქმიანობაში ხელი შეუშალეს(განცხადება ჟურნალისტებზე მასშტაბური ძალადობის შესახებ.IDFI). შედეგად, 10 მედიაორგანიზაციის 53 წარმომადგენელი დაზავდა. 5 ივლისს, აქციის გაშუქებისას, მძიმე დაზიანებები მიიღო ტელეკომპანია „TV პირველის“ ოპერატორმა, ლექსო ლაშქარავამ, რომელიც 11 ივლისს გარდაცვლილი იპოვეს. იგი UNESCOM 2021 წელს მოკლული ჟურნალისტების სიაში შეიყვანა(UNESCO-მ ლექსო ლაშქარავა 2021 წელს მოკლული ჟურნალისტების სიაში შეიყვანა).

5 ივლისს, მომალადე ჯგუფები სასტიკად გაუსწორდნენ ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტს, რატი წვერავასაც. ქაშუეთის ეკლესიასთან, მასზე ძალადობის კადრებს საზოგადოება პირდაპირ ეთერში უყურებდა ("ფორმულას" ჟურნალისტს რატი წვერავას სიძულვილის ჯგუფები ფიზიკურად გაუსწორდნენ).

5-6 ივლისის საქმეებზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა (საიამ სტრასბურგის სასამართლოში 16 პირის სახელით საჩივარი გააგზავნა).

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სპეციალისტებმა მედიაზე ძალადობის წახალისებად შეაფასეს საქართველოს სააკვლაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, როდესაც უწყებამ ჯგუფური ძალადობის ბრალდება მოუხსნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დამნაშეველად ცნობილ პირებს(5 ივლისი: რატომ მოიხსნა ჯგუფური ძალადობის ბრალდება). 2021 წლის 5 ივლისს

ჟურნალისტებსა და აქტივისტებზე თავდამსხმელთა ექვსკაციან ჯგუფს სასჯელი შეუმცირდა. სწორედ ისინი გაუსწორდნენ ფიზიკურად ოპერატორს, ლექსო ლაშქარავას. პირველი სასამართლოს ინსტანციამ, 5-6 ივლისის საქმეზე ჯგუფური ძალადობის ბრალდება მხოლოდ ამ 6 ადამიანს დაუმტკიცა.

50-ზე მეტი დაშავებული ჟურნალისტის საქმეზე მხოლოდ 27 პირი დააპატიმრეს, მაშინ, როცა პირდაპირ ეთერში მკაფიოდ ჩანდა თუ როგორ ძალადობდა მედიის თითო წარმომადგენელზე ადამიანთა ჯგუფი; ძალადობის ორგანიზებისთვის არავინ დაუკავებიათ.

ჟურნალისტებზე სასტიკი ძალადობის ორგანიზატორად სახელდება „ალტ-ინფო“, რომლის ეთერშიც 5 ივლისამდე, ძალადობრივი მოწოდებები არ შეწყვეტილა (მედიაგარემოს შეფასება - 2022. ISFED). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით, პოლიტიკურ პარტიას ტელევიზიის მფლობელობა ეკრძალება, „ალტ-ინფო“ პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ საკუთრებაა. ტელევიზიის ღია ეთერიდან, კანონსაწინააღმდეგოდ, სიძულვილის ენა და ომის პროპაგანდა მუდმივად ისმის. ეს არის ერთადერთი მაუწყებლობა საქართველოში, რომელიც თთქმის ყოველდღე არღვევს კანონს. კომუნიკაციების კომისიამ, უხამსობისა და ძალადობის ტირაჟირების გამო, 2021 წლის აპრილში, რედაქცია 2500 ლარით დააჯარიმა, სოციალური ქსელის, Facebook-ის ადმინისტრაციამ კი 2022 წლის თებერვალში „ალტ-ინფოს“ გვერდები წაშალა(Facebook-მა წაშალა ალტ-ინფოსთან დაკავშირებული გვერდები). მიუხედავად ამისა, ტელევიზია შეუფერხებლად მაუწყებლობს.

როგორ ან რატომ დაგროვდა აგრესია ჟურნალისტების წინააღმდეგ? მედიამ თანდათანობით დაკარგა ობიექტურობა. ჟურნალისტების საქმიანობა დიდი ხანია გასცდა მიუკერძოებელ გაშუქებას. რედაქციები პოლიტიკური პროცესების მონაწილეებად იქცნენ და კონკრეტული პოლიტიკური ძალების ინტერესების შესაბამისად მაუწყებლობენ. სწორედ ამიტომ საზოგადოების ნაწილი მათ ცალკეული პოლიტიკური პარტიებისა და ლიდერების რუპორად აღიქვამს და არა - ობიექტურ და სანდო ინფორმაციის წყაროდ. 2021 წელს მედიაზე უპრეცედენტო ძალადობას პროცესების რამდენიმეწლიანი განვითარება უძღოდა წინ. ქრონოლოგია მძიმეა: ჟურნალისტები დაზავდნენ და მათ ტექნიკა დაუზიანეს 2020 წლის 8 ნოემბერს, როცა არჩევნების შედეგების გაყალბების წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციები

დაარბიეს (მედიագარემო საქართველოში.2020. საია).

მედიის 40-მდე წარმომადგენელი დაშავდა 2019 წლის 20-21 ივნისის საპროტესტო აქციების დაშლისას, როდესაც საზოგადოება საქართველოს პარლამენტში რუსი დეპუტატის, სერგეი გავრილოვის გამოჩენასა და სპიკერის სავარძლის დაკავებას აპროტესტებდა. დაზარალებულთა შორის იყვნენ როგორც ე.წ. სამთავრობო, ისე ოპოზიციური მედიის წარმომადგენლებიც. რამდენიმე საქმეს სტრასბურგის სასამართლო იხილავს (ევროსასამართლომ წარმოებაში მიიღო 20 ივნისის დაზარალებული ჟურნალისტების სარჩელი).

2021 წლის ივლისის მასშტაბურ დარბევამდე, მედიის მიმართ თანდათანობით იზრდებოდა პოლიტიკოსების აგრესიაც. არაკეთილგანწყობილი დეპუტატები როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციური პარტიებიდან, არ ერიდებოდნენ სამთავრობო თუ ოპოზიციური სატელევიზიო არხების რეპორტიორებისა და ტელეწამყვანების ბულინგს. მათი მიმართვა ხშირად სცდებოდა პოლიტიკური ეთიკის ჩარჩოებს. ჟურნალისტების მიმართ ძალადობის, პროფესიული შევიწროვებისა და მუქარის ფაქტები არც 5-6 ივლისის შემდეგ დასრულებულა.

ევროპული საქართველოს ლიდერი, გიგი უგულავა, 2020 წლის 8 ნოემბერს, ცესკოსთან მიმდინარე აქციის დროს, „ტელიმედის“ რეპორტიორის კითხვამ ისე გააღიზიანა, რომ მას აგრესიულად უყვიროდა და დავით-გარეჯის საქმეზე ორი ადამიანის დაკავებაში პერსონალურად ადანაშაულებდა. „შენი ბინძური პროპაგანდით ხარ პირადად პასუხისმგებელი, რომ ორი ადამიანი დაიჭირეს! ორი ადამიანი ციხეში ზის პირადად შენს გამო!“ - უყვიროდა გ. უგულავა ჟურნალისტს (გიგი უგულავა „იმედის“ ჟურნალისტს).

კითხვის დასმის მცდელობით გაღიზიანებული დეპუტატი, გია ვოლსკი, 2019 წლის სექტემბერში, აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტს პარლამენტში აკრედიტაციის შეჩერებით დაემუქრა (აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტს ვოლსკი აკრედიტაციის შეჩერებით დაემუქრა).

2021 წლის სექტემბერში, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ აგრესიული ლექსიკით, შეურაცხყოფა მიაყენა ჟურნალისტ დიანა ტრაპაძესა და მედიამენეჯერ ნიკა გვარამიას. ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების ან მისი ფაბრიკაციის გავრცელება იგეგმებოდა და ამის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა „ამ ორ გარყვნილ ადამიანს“.

2023 წლის ივნისში თავს დაესხნენ „ფორმულას“ ჟურნალისტს - მიმა მშვილდაძეს, საქმეზე ერთი პირი დააკავეს(მიმა მშვილდაძეზე თავდასხმის ბრალდებით ერთი ადამიანი დააკავეს).

„მთავარი არხისა“ და „ფორმულას“ გადამღებ ჯგუფებს თავს დაესხნენ და პროფესიულ საქმიანობაში ხელი შეუშალეს, 2023 წლის ივლისში, საგარეჯოში(საგარეჯოში ჟურნალისტებს თავს დაესხნენ).

2023 წლის სექტემბერში, თბილისში, „ტელეკომპანია პირველისა“ და „ფორმულას“ გადამღებ ჯგუფებს თავს დაესხა ყოფილი გენერალური პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის პირადი დაცვა, მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და აპარატურა წაართვა. ორივე შემთხვევაში, თავდამსხმელები მედიის წარმომადგენლებს გადაღებას უკრძალავდნენ.

2023 წლის მაისში, „ჯორჯიან მანგანეის“ საქმიანობასთან დაკავშირებული ჟურნალისტური გამოძიების გამო, სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ ინტერნეტგამოცემა „მთის ამბების“ რედაქტორს, გელა მთივლიშვილს.

სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ „ფორმულას“ ჟურნალისტს, ირაკლი ტაბლიაშვილსაც, 2023 წლის ივლისში. მას რუსულენოვანი მოქალაქეები ურეკავდნენ და „დასჯით“ ემუქრებოდნენ, მიზეზი კი რუსეთ-უკრაინის ომში ჟურნალისტის მიერ რუსეთის დადანაშაულება იყო.

საქართველოში, მედია მხოლოდ მოძალადე ჯგუფების სამიზნე არ ხდება. მაგალითად, მედიას, ძალის გამოყენებით დაატოვებინეს პარლამენტის შენობა, 2019 წლის დეკემბერში, როდესაც დეპუტატებს შორის დაწყებულ დაპირისპირებას აშუქებდნენ, რაც მოსამართლეების დანიშნვის საკითხს მოჰყვა.

2021 წლის 17 დეკემბერს პოლიციამ ბათუმში „მაუწყებლის“ ჟურნალისტები: რატი რატიანი და გიორგი არობელიძე დააკავა, წინასწარი დაკავების იზოლაციაში გადაყვანის შემდეგ კი სამართალდამცველები მათ ფიზიკურად გაუსწორდნენ. მედიის წარმომადგენლების ინფორმაციით, ისინი ნაცემ მთვრალ მამაკაცს გამოესარჩლნენ, რომელსაც პოლიცია საპატიმროში გადაყვანას უპირებდა. რატი რატიანზე პოლიციამ ძალა 2024 წლის 23 იანვარსაც გამოიყენა, როდესაც ჟურნალისტი თბილისში, კეკელიძის ქუჩაზე, ხატიაშვილების ოჯახის გამოსახლების პროცესს აშუქებდა. იგი მანქანის სახურავიდან ჩამოაგდეს. ამავე აქციაზე თავისუფლება აღუკვეთეს „მთის ამბების“ რედაქტორს, გელა მთივლიშვილს.

ხალხმრავალი აქციების დროს, პოლიცია სმარტფონებით მომუშავე ჟურნალისტების იდენტიფიცირებას არ ცდილობს და მათ ისევე აკავებს, როგორც დემონსტრაციის მონაწილეებს. ასე მოხდა 2023 წლის მარტშიც, როდესაც ე.წ. „რუსული კანონის“ წინააღმდეგ დაწყებული აქციების გაშუქებისას, ჟურნალისტები, ზურა ვარდიაშვილი და ბექა ჯიქურაშვილი დააკავეს და დააჯარიმეს. 2021 წლის 12 ივლისს კი „ქართული ოცნების“ ოფისთან, საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი, ირაკლი აბსანძე დააპატიმრეს.

მედიის წარმომადგენლებს სხვადასხვა ბრალდებით აკავებენ და პროფესიულ საქმიანობაში ხელს უშლიან უცხო ქვეყნებშიც. მაგალითად, 2023 წლის ივნისში, ბელარუსში, ექსტრემიზმის ბრალდებით, 8 ჟურნალისტი დააკავეს. მოსკოვში, 2024 წლის 3 თებერვალს, 20 ჟურნალისტი მაშინ დააპატიმრეს, როდესაც მობილიზებული სამხედროების ცოლების აქციას აშუქებდნენ. მედიის წარმომადგენლები პროფესიულ საქმიანობას ასრულებდნენ. ასევე რუსეთში, 2023 წლის მარტში, ჯაშუშობის ბრალდებით, „უოლ სტრით ჯორნალის“ ჟურნალისტი დააკავეს. 2022 წლის 18 ივლისს კი - ტელეწამყვანი, მარინა ოვსიანიკოვა, რომელმაც უკრაინასთან ომი პირდაპირ ეთერში გააპროტესტა. 2023 წელს, აზერბაიჯანში, 2 თვეში, 10 ჟურნალისტი დააპატიმრეს.

მედიაზე ზეწოლა, მათი დისკრედიტაციისა და რეპუტაციული ზიანის მიყენების შემთხვევები მხოლოდ საქართველოში არ ხდება. მსგავსი ფაქტები მსოფლიოს თითქმის, ყველა ქვეყანაში ფიქსირდება.

მედიასთან დაპირისპირებით ცნობილია აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი. მედიაპოლარიზება არც ამ ქვეყნისთვის არის უცხო. ორ პოლიტიკურ ბანაკად („რესპუბლიკელები“ და „დემოკრატები“) გაყოფილ გიგანტ სახელმწიფოში მედიამაგნატების ინტერესებიც პოლიტიკურ დისკურსს ემთხვევა. მედიაპოლდინგები დიდი ხანია, პოლიტიკური დღის წესრიგის შესაბამისად გადაჯგუფდნენ. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში და არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადების შემდეგაც, მედია აშშ-ში დ. ტრამპის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად იყო გაყოფილი. პრეზიდენტი განსაკუთრებით არ სწყალობდა ჟურნალისტებს ე.წ. „ანტიტრამპისტთა“ ბანაკიდან. იგი ხალხის მტრებად მიიჩნევდა შემდეგ ამერიკულ მედიაპოლდინგებს: the New York Times, the Washington Post, NBC News, ABC, CBS, and CNN და ხშირად აკრიტიკებდა ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაციასაც (BBC).

დონალდ ტრამპი კრიტიკული განწყობით

გამორჩეულ რედაქციებს „ყალბი ამბების“ შემქმნელებად მოიხსენიებდა, ჟურნალისტებს კი „საშინელ“ და „ამაზრზენ“ ადამიანებს უწოდებდა. ეს სიტყვები პრეზიდენტმა 2018 წელს, პენსილვანიაშიც გამოიყენა, როდესაც მხრდამჭერებს ხვდებოდა. მან თქვა, რომ ჟურნალისტები ამბებს კი არ აშუქებენ, არამედ - იგონებენ. BBC-ის ინფორმაციით, მან მედიას „ხალხის მტერი“ უწოდა. გაეროს ექსპერტები შემფოთებებს გამოხატავდნენ და შიშობდნენ, რომ ეს ჟურნალისტებზე თავდასხმებს გაზრდიდა.

„რა სულელური კითხვაა“, „თქვენ უამრავ სულელურ კითხვას სვამთ“ - მიმართა არასასურველი კითხვით გალიზიანებულმა პრეზიდენტმა CNN-ის ჟურნალისტს, ები ფილიპსს. თქვა, რომ იგი „ხელმოცარული“ და „წარუმატებელი“ და „აზრზე არ არის რას აკეთებს“ (April Ryan to Trump: I'm not a loser). ქვეყნის პირველმა პირმა იმავე არხის ანალიტიკოსსა და თეთრი სახლის რეპორტიორს, ეპრილ რაიანს „საზიზღარი“ უწოდა (President Trump vs. the media).

დონალდ ტრამპის გადაწყვეტილებით, თეთრ სახლში აკრედიტაცია შეუჩერეს სი-ენ-ენ-ის ანალიტიკოსს, ჯიმ აკოსტას. „თქვენს გამო სი-ენ-ენ-ს უნდა შერცხვეს! თქვენ ხართ უხეში, საშინელი პერსონა“ - უთხრა მან რეპორტიორს (Donald Trump clashes with media). მომხდარის გამო, რედაქციამ სასამართლოს მიმართა (What Went Through CNN Reporter).

2020 წლის 20 მარტს, ენ-ბი-სის რეპორტიორმა, პიტერ ალექსანდერმაც დაიმსახურა პრეზიდენტის წყრომა: „საშინელი რეპორტიორი ხართ“ (Trump vs. the media). ჟურნალისტებისადმი შეურაცხყოფელი ლექსიკით, იგი ცდილობდა მედიისადმი ხალხის ნდობა და პატივისცემა გაენადგურებინა.

დონალდ ტრამპმა, 2020 წლის 13 აპრილს, ტელეკომპანია სი-ბი-ეს-ის კორესპონდენტს, პაულა რედს უთხრა: „სამარცხვინო ხართ! იცით, რომ ყალბი ხართ!“, სი-ენ-ენ-ის ჟურნალისტს კი ასე მიმართა: „ხალხი გაწბილებულია თქვენი ყალბი ამბებით. თქვენ ყალბი ხართ! თქვენ ხომ სი-ენ-ენი ხართ?!“ (Trump vs. the media).

მას შემდეგ რაც Fox News-ის წამყვანმა, მეგან კელიმ, დ. ტრამპს პირდაპირ ეთერში, ქალების შესახებ მისი დამამცირებელი კომენტარები შეახსენა, რესპონდენტმა ჟურნალისტს დამაკნინებელი ტერმინით - "ბიმბო" მიმართა, რაც ითარგმნება, როგორც მიმზიდველი, მაგრამ არაინტელექტუალური ან არასერიოზული ახალგაზრდა ქალი (Megyn Kelly confronts Trump on his 'bimbo' tweets). ჟურნალისტებზე პერსონალური

ვერბალური თავდასხმებით, პრეზიდენტი ცდილობდა მათ იძულებას - თავი შეეკავებინათ კრიტიკული კითხვებისგან.

2017 წლის 11 დეკემბერს დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ამერიკული მედია ქვეყნის რეპუტაციას ზიანს აყენებს, მანამდე კი მედიასაშუალებებს კონკურსის ჩატარება შესთავაზა ყველაზე „უსინდისო, დამახინჯებული და გაყიდული“ ინფორმაციის გამოსავლენად.

2018 წლის 29 ოქტომბერს, აშშ-ს პრეზიდენტმა სოციალურ ქსელში, ტვიტერის საკუთარ გვერდზე დაწერა, რომ „ყალბი ამბები“ უნდა დასრულდეს, „ყალბში“ კი იგი კრიტიკულ მედიას მოიპარებდა (ტრამპი მედიის წინააღმდეგ).

„ყალბი და კორუმპირებული მედია ხალხის მტერია“ - დაწერა დონალდ ტრამპმა ტვიტერში 2019 წლის 18 თებერვალსაც, როდესაც ტელეკომპანია NBC-ის იუმორისტულმა გადაცემა - „შაბათის ღამის შოუმ“ მასზე ვიდეორგოლი მოამზადა.

აშშ-ს 45-ე პრეზიდენტი აგრესიით გამოირჩეოდა „დემოკრატიული პარტიის“ იდეოლოგიისა და მთავარი კონკურენტის, ჯო ბაიდენის მომხრე მედიების მიმართ. ამერიკული მედიის ანალიზი ადასტურებს, რომ მედიაკორპორაციები ნამდვილად ორი პოლიტიკური ბანაკის - დ. ტრამპისა და ჯ. ბაიდენის იდეოლოგიისადმი ლოიალობის მიხედვით ჯგუფდებიან და შესაბამისად, მათი საქმიანობა პელიტიკური მდგენელისგან დაცლილი სულაც არ არის. ასე, რომ ბოლო 200 წლის განმავლობაში ამერიკული დემოკრატიის საყრდენად მიჩნეული მედია ახლა გამოწვევების წინაშეა.

მედიაზე აშშ-ს პრეზიდენტის დაუსრულებელი

თავდასხმების გამო, ქვეყანაში „დემოკრატიული პარტიის“ მომხრეების მასშტაბური საპროტესტო კამპანია დაიწყო, რომელსაც „The Boston Globe“ ჩაუდგა სათავეში (The GOP must stop Donald Trump). 2018 წლის 16 აგვისტოს, 330-ზე მეტმა გაზეთმა, დ. ტრამპის წინააღმდეგ, საპროტესტო სარედაქციო სვეტი გამოაქვეყნა.

დასკვნა

საქართველოში მედიის თავისუფლებას იცავს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი, ასევე - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი. ჟურნალისტების უფლებებზე მუშაობენ იურისტები, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მედიაომბუდსმენი, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია; მედიის წარმომადგენლებზე ზეწოლის ფაქტები აისახება საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიურ და სპეციალურ ანგარიშებში. მიუხედავად ამისა, მედიის წარმომადგენლები თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ. მედიაგარემო განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდში მძიმდება, დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიება კი ან დროში ჭიანჭურდება, ან არასათანადო შედეგით სრულდება.

„მედიაომბუდსმენი“ იცავს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის (ე.წ. „რუსული კანონი“) წინააღმდეგ საპროტესტო აქციების გაშუქებისას დაშავებული და დაზარალებული 20-ზე მეტი ჟურნალისტისა და ოპერატორის უფლებებს, ასევე - „მთის ამბების“ რედაქტორს, გელა მთივლიშვილს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ორგანიზაცია. მედიაგარემოს შეფასება - 2022. <https://www.isfed.ge/geo/presrelizebi/Assessment-of-the-Media-Environment-2022>
2. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. ქართული მედიის მიმართ ძალადობის 2023 წლის სტატისტიკა და სახელმწიფოს რეაგირება. <https://transparency.ge/ge/blog/kartuli-mediis-mimart-zaladobis-2023-clis-statistika-da-saxelmcpis-reagireba>
3. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ორგანიზაცია. სიძულვილის ენა, მუქარა და დეზინფორმაციული გზავნილები „ღირსების მარშის“ წინ. <https://isfed.ge/ge/blog/sidzulvilis-enu-muqara-da-dezinformatiuli-gzavnilebi-ghirsebis-marshis-tsin>
4. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. მედია — ძალადობისა და ტოტალური უკანონო მოსმენების სამიზნე: წინასაარჩევნო მედიაგარემოს შეფასება. <https://transparency.ge/ge/post/media-zaladobisa-da-totaluri-ukanono-mosmenebis-samizne-cinasaarchevno-mediagaremos-shepaseba>
5. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. მედიაგარემო საქართველოში - 2020. https://gyla.ge/files/2020/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/Media%20Environment_Georgia.pdf

6. What Went Through CNN Reporter Abby Phillip's Head After Trump Called Her Question. 'Stupid' <https://www.elle.com/culture/a25014824/abby-phillip-interview-cnn-trump-stupid-question/>
7. Megyn Kelly confronts Trump on his 'bimbo' tweets. <https://edition.cnn.com/videos/politics/2016/05/18/megyn-kelly-donald-trump-twitter-bimbo-jnd-orig-vstan.cnn>
8. Editorial: The GOP must stop Donald Trump <https://www.bostonglobe.com/opinion/2016/04/09/etrump/JPOQJZK9hUBdBx5rdPkWFK/story.html>
9. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, 1 არხი. დონალდ ტრამპი - „ყალბი და კორუმპირებული მედია ხალხის მტერია“. <https://1tv.ge/news/enbisi-s-iumoristulma-gadacemam-donald-trampis-ukmayofileba-gamoiwvia/>
10. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. განცხადება ჟურნალისტებზე მასშტაბური ძალადობის შესახებ. <https://idfi.ge/ge/statement-on-%20the-large-scale-violence-against-journalists>
11. UNESCO-მ ლექსო ლაშქარავა 2021 წელს მოკლული ჟურნალისტების სიაში შეიყვანა. <https://formulanews.ge/News/62711>
12. "ფორმულას" ჟურნალისტს რატი წვერავას სიძულვილის ჯგუფები ფიზიკურად გაუსწორდნენ. <https://www.facebook.com/watch/?v=213762617288460>
13. 5 ივლისის საქმეზე საიამ სტრასბურგის სასამართლოში 16 პირის სახელით საჩივარი გააგზავნა. <https://netgazeti.ge/news/639387/>
14. 5 ივლისი: რატომ მოიხსნა ჯგუფური ძალადობის ბრალდება <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%90->
15. ცეკოსთან მიმდინარე აქციის გაშუქებისას დამავდნენ გადამღები ჯგუფები და დაზიანდა ტექნიკა. <https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/85135-cekosthan-mimdinare-aqciis-gashuqebisas-dashavdnen-gadamghebi-jgufebi-da-dazianda-teqnika>
16. ევროსასამართლომ წარმოებაში მიიღო 20 ივნისის დაზარალებული ჟურნალისტების სარჩელი – HRC. <https://publika.ge/evrosasamartlom-warmoebashi-miigho-20-ivniss-dazaralebuli-djurnalistebs-sarcheli-hrc>
17. გიგი უგულავა „იმედის“ ჟურნალისტს <https://www.youtube.com/watch?v=wErgDxx5XpQ>
18. აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტს ვოლსკი აკრედიტაციის შეჩერებით დაემუქრა. <https://batumelebi.netgazeti.ge/news/228503/>
19. კობახიძე ნიკა გვარამიასა და დიანა ტრაპაიძეს გარყვნილ ადამიანებს უწოდებს, <https://formulanews.ge/News/56609>
20. მიშა მშვილდაძეზე თავდასხმის ბრალდებით ერთი ადამიანი დააკავეს <https://formulanews.ge/News/93305>
21. საგარეჯოში ჟურნალისტებს თავს დაესხნენ, რა ხდება? <https://www.mediachecker.ge/mediagaremo/article/94999-sagarejoshi-zhurnalistebs-thavs-daeskhnen-ra-khdeba>
22. მედიის ადვოკატორების კოალიციის გამომხატურება. http://mediacoalition.ge/ge/a/5e2d9db6?fbclid=IwAR2vZwFZNeghAam047ZD0s6rJq8No78BkQUZTXByY2OXCA2x7AurVkrB_Ts
23. ჟურნალისტს სიცოცხლის მოსპობით ემუქრებიან. <https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/sazogadoeba/39129-journalists-sitsotskhilis-mospobit-emuqrebian>
24. მედიის ადვოკატორების კოალიციის განცხადება. http://mediacoalition.ge/ge/a/64bedaae?fbclid=IwAR1_mFGsbxZwIM86ZsYZo3PXcavLdujBGyk6Y9RV3pKOO4K_K2S2iAwWcU8
25. კომიტეტის დარბაზი მანდატურებმა ჟურნალისტებს ძალის გამოყენებით დაატოვებინეს. <https://on.ge/story/47426>
26. პოლიციის მეექვსე განყოფილებაში ფიზიკურად გაგვისწორდნენ - ბათუმელი ჟურნალისტები. <https://ajaratv.ge/article/88456>
27. კეკელიძეზე დაკავებულებს შორის ჟურნალისტი გელა მთივლიშვილიცაა. <https://netgazeti.ge/news/706212/>
28. “ტაბულას” ჟურნალისტი ბექა ჯიქურაშვილი სასამართლომ 2200 ლარით დააჯარიმა. <https://netgazeti.ge/life/665517/>
29. ბელარუსში 8 ჟურნალისტი დააკავეს ექსტრემიზმის ბრალდებით. <https://www.radiotavisupleba.ge/a/32455750.html>

30. მოსკოვში 20 ჟურნალისტი დააკავეს, რომლებიც მობილიზებული სამხედროების ცოლების აქციას იღებდნენ. <https://www.interpressnews.ge/ka/article/786141-moskovshi-20-zhurnalisti-daakaves-romlebic-mobilizebuli-samxedroebis-colebis-akcias-igebdnen/>
31. რუსეთში "უოლ სტრიტ ჯორნალის" ჟურნალისტი ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს. <https://www.amerikiskhma.com/a/russia-detains-wall-street-journal-reporter-on-suspicion-of-spying/7028773.html>
32. დააკავეს რუსი ჟურნალისტი, რომელმაც ომი ეთერში გააპროტესტა. <https://www.amerikiskhma.com/a/russian-tv-journalist-who-protested-war-on-air-arrested-/6663230.html>
33. აზერბაიჯანში უკვე მეთე ჟურნალისტი დააკავეს. <https://on.ge/story/125840-%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%95%E1%83%94-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%90%E1%83%97%E1%83%94-%E1%83%9F%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1>
34. April Ryan to Trump: I'm not a loser <https://www.youtube.com/watch?v=0t6UEwZxdNs>
35. President Trump vs. the media <https://www.youtube.com/watch?v=jWTOfvDx8JE>
36. Donald Trump clashes with media at chaotic midterm election press conference <https://www.youtube.com/watch?v=au3Zzf33vXw>
37. Trump vs. the media <https://www.youtube.com/watch?v=xDdTKBphRMs>
38. დონალდ ტრამპი - ამერიკულმა მედიამ კონტროლი დაკარგა. <https://1tv.ge/news/donald-trampi-amerikulma-mediამ-kontroli-dakarga/>
39. ტრამპი მედიის წინააღმდეგ. <https://www.amerikiskhma.com/a/trump-vs-media/4633853.html>
40. ჩამოვედი და ჩავბარდი - რატომ მიდიან ქართველი ჟურნალისტები ემიგრაციაში? <https://www.radiotavisupleba.ge/a/32392765.html>
41. ევროკომისიის 12 მოთხოვნა მოკლედ - რა უნდა გააკეთოს საქართველომ, EU-ს კანდიდატის სტატუსის მისაღებად. <https://www.radiotavisupleba.ge/a/31902732.htm>
42. პირობები, რომლებიც საქართველომ უნდა შეასრულოს — რაწერია ევროკომისიის დოკუმენტში <https://publika.ge/pirobebi-romlebic-saqartvelom-unda-sheasrulos-ra-weria-evrokomisiis-dokumentshi/>
43. Facebook-მა წაშალა ალტ-ინფოსთან დაკავშირებული გვერდები და ჯგუფები - ISFED. <https://www.radiotavisupleba.ge/a/31727971.html>

Performance of professional activity at the cost of risk - violence on the media

*Irina Kurua, PhD student
Georgian Technical University*

Summary

Supervisor: Temur Jagodnishvili, Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

A safe media environment is an integral part of democratic processes. Journalists, while performing their professional duties, should not have to worry about their personal safety unless their activities are specifically related to the coverage of war, armed or other types of conflict.

The media environment in Georgia is sharply polarized, however, media security issues, cases of physical attacks on journalists, and challenges related to political aggression are more serious. There are frequent cases of open attacks on the media, attempts of threats and alleged bullying threats and in the process of covering protest actions there are cases of violence against them - arrests or fines. In 2023, in Georgia, 45 cases of various types of violence, attempts at intimidation and harassment of media representatives were recorded.

Timely and effective investigation of crimes committed against journalists is of vital importance, since there are frequent cases of attempts to discredit journalists, attacks on them, interference in their professional activities,

violence and harassment, failure to investigate criminal acts and encouragement of perpetrators are characteristic of kleptocratic governments and cause irreversible damage to Georgia's young democracy.

The article discusses the forms of violence against media representatives, degree of severity and intensity of facts; In Georgia, in 2020-2023, on the basis of a comparative analysis of the facts of persecution-harassment and interference in professional activities, the dynamics of violent actions against journalists, the specifics of the identification of actors of violence and the state's response to crimes are shown. In the paper, based on the public speeches of the 45th President of the USA, Donald Trump (2017-2021), the features of actions against media representatives in foreign countries are analyzed.

Key words: media environment, media violence, persecution of journalists, interference in professional activities, media ombudsman.

ფილოლოგია

PHILOLOGY

პროზაულ თხზულებაზე ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით
მუშაობის ერთი თავისებურების შესახებ

*ლადო მინაშვილი, ასოცირებული პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ილია ჭავჭავაძე მოთხრობაზე შემოქმედებით მუშაობას იწყებს მაშინ, როდესაც მისთვის ტენდენცია, იდეური ჩანაფიქრი უკვე ნათელია, მხატვრული მასალაც მოპოვებულია და იდეასთან შესაბამისობაში მოყვანილი, მასზე დაქვემდებარებული. ნაწარმოებზე მუშაობის პროცესში, როცა მასალა კონკრეტულ სახეს იძენს, ჩნდება ახალი, ძირითადი ტენდენციისაგან რამდენადმე მაინც განსხვავებული თემა და მასალა, რაც დაუმაბავად, იდეის მასალაზე ბატონობის გარეშე იძენს თავისთავად ღირებულებას და სიცოცხლეს. ასე შეიქმნა პროზაული შედეგრი “კაცია-ადამიანი?!“ ცალკე, მოთხრობა გლახის ნაამბობიდან გამოყოფილი.

მოგვიანებით, მოთხრობაზე, რომელსაც ადრე „გიორგი“ რქმევია, მუშაობისას, წოდებათა ურთიერთობის ჩვენების იდეური ხაზიდან ცალკე ამოიზარდა ქართველი დედის ოთარაანთ ქვრივის პრაქტიკულად ცენტრალური ხაზი და საბოლოოდაც მოთხრობას “ოთარაანთ ქვრივი” ეწოდა. უნდა გარკვევით ითქვას, რომ ამ დიდებული მოთხრობის უკვდავებასაც ძირითადად სწორედ დედის სრულქმნილი მონუმენტური სახე აპირობებს.

საკვანძო სიტყვები: მოთხრობა, ტენდენცია, იდეის ბატონობა მასალაზე.

შესავალი

ყოველი ვრცელი ნაწარმოების შექმნისას მწე-

რალს ამოდრავებს გარკვეული მიზანდასახულება, რომელიც ტენდენციის სახით ვლინდება თხზულებაში. უტენდენციო თხზულება საერთოდ არ არსებობს (იხ. ამის შესახებ, მაგ. გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, 1957, გვ. 39).

მხატვრულ თხზულებაში ტენდენციის გამოვლენის ორ ძირითად ფორმაზე მიუთითებენ. პირველ შემთხვევაში ტენდენცია წარმართავს ნაწარმოებს. ასეთ შემთხვევაში იდეა იქვემდებარებს მხატვრულ მასალას, იგი ბატონობს მასალაზე. მასალის შერჩევა ხდება პირდაპირ იდეის შესაბამისად. ესაა გზა იდეისკენ პირდაპირი სვლისა. ასეთ გზას პირობითად „მილერისებურ“ გზას უწოდებენ. იგულისხმება, რომ სწორედ მილერის თხზულებებში პირდაპირ არის გამოხატული ტენდენცია. ცოცხალი მხატვრული მასალიდან თხზულებაში ძირითადად ისაა დატოვებული, რაც პირდაპირ პასუხობს მიზანდასახულებას, დანარჩენზე უარია ნათქვამი.

განსახიერების მეორე გზის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მწერალი გარკვეულ ტენდენციას გამოხატავს, მაგრამ ისე იქმნება ნაწარმოები, რომ ტენდენცია ვერ თრგუნავს მასალას, იგი გაუჩინარებულია მხატვრულ მასალაში, ისე, რომ თვითონ მასალა არ კარგავს თავისთავადობას, ცხოველმყოფელობას, პერსონაჟების ცხოვრება, ასახული გრძნობები თავისი ლოგიკით ვითარდება. ასეთ შემთხვევაში ნაწარმოებით მიღებული ესთეტიკური ტკბობა თავისთავად იდეის ხარჯზე კი არ ხდება, არამედ

მხატვრულ სახეთა სიცოცხლისუნარიანობა ამის პირობა. ასეთ დროს თვითონ მხატვრული მასალაა დამუხტული იდეის გამოხატვის უანრიო. ასეთ გზას პირობითად განსახიერების „შექსპირისებურ“ გზას უწოდებენ. შექსპირისებური განსახიერების შემთხვევაში ტენდენცია არ იმორჩილებს მასალას, სინამდვილე, გრძნობები ვითარდება ბუნებრივად, თავისი ლოგიკით.

უნდა ვიფიქროთ, რომ გამოხატვის ერთი ან მეორე ფორმა აპრიორი არ გულისხმობს ან სიმლიერეს, ან სისუსტეს. ნაწარმოების მაღალ-მხატვრულობა განსაზღვრულია თვითონ მწერლის შესაძლებლობებით, მისი ნიჭით.

ჩვენს წინაშე ასეთი კითხვა დაისმის, რა თავისებურებებს გვიჩვენებს ტენდენციის გამოვლენის თვალსაზრისით ილია ჭავჭავაძის პროზა?

გასაგებია, რომ ლიტერატურა XIX საუკუნის II ნახევრიდან ესთეტიკურ ფუნქციასთან ერთად, პირველ ყოვლისა, აღმზრდელი და საგანმანათლებლო მიზნებსაც, ხალხის დამრავლების ფუნქციას იერთებდა, რაც, ბუნებრივია, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ამდენად გარკვეული იდეების გამოხატვისაკენ მისწრაფება ჩვენი დიდი მწერლების დამახასიათებელი ნიშანი იყო. ჩვენს ლიტერატურაში ეს იყო სტადია მასალის შერჩევისა სრულიად გარკვეული თვალსაზრისით. ბუნებრივია, პირველ ყოვლისა, ეს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე ითქმის. ამასვე მოწმობს მწერლის ის თვითადიარებაც, მისი თვითდაკვირვებანი, რომ წერას იგი მაშინ იწყებს, როდესაც თხზულების თავი და ბოლო სავსებით მოფიქრებული აქვს. ი. ჭავჭავაძე ჯერ ცხადად წარმოიდგენს მიზანს, ნათლად ჩამოაყალიბებს იდეას და შემდეგ იწყებს ამ იდეის განსახიერებლად მასალის შერჩევას. ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ვაჟა-ფშაველას თვითდაკვირვება – ილიას თვითდაკვირვებიდან დიამეტრალურად განსხვავებული: ჯერ სურათები მომდის თავში და შემდეგ, როცა დავწერ და წავიკითხავ, მაშინ მეც მივხვდები ხოლმე, რა აზრიც არის შიგ” (ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, 1967, 276-277).

ასე რომ, ილიას შემთხვევაში წინასწარვე სავარაუდოა, რომ მის თხზულებებში ტენდენციის განსახიერების „მილერისებურ“ ფორმასთან გვეკონდეს საქმე. ასე ითქმის, მაგალითად, ილიას საპროგრამო ხასიათის მოთხრობაზე „მგზავრის წერილები”, რომელშიაც მხოლოდ ის მასალაა გადმოცემული მგზავრობის მდიდარი და მრავალფეროვანი შთაბეჭდილებებიდან და ამ

შემთხვევაშიაც მხოლოდ იმ მომენტებზეა ყურადღება გამახვილებული, რომლებიც უშუალოდ პასუხობენ მწერლის მკაფიო მიზანდასახულებას, იმ იდეებს, რომელთაც უშუალოდ სამწერლო თუ სამოღვაწეო პროგრამად ისახავს მწერალი.

ტენდენციურობის ამგვარივე სახის მატარებელია პატარა შედევი-მოთხრობა „სარჩობელაზე”. აქაც მკაფიოდაა დასმული პრობლემები საზოგადოებასა და მისი ცალკეული წევრის ურთიერთობისა, დანაშაულისა და სასჯელისა, უფლებებისა და მოვალეობების; მასალაც ამ პრობლემების საილუსტრაციოდაა შერჩეული. აქ, ამ მოთხრობაში, ძალიან თვალნათლივია ნაჩვენები, თუ როგორ იჩენს საზოგადოება გულგრილობას მისი წევრების მიმართ, რომელთაც დაცვა სჭირდება, პატრონობა, თუ როგორ უწყობს ხელს მათ დამნაშავეებად ჩამოყალიბებას, რათა შემდეგ გულგრილად დასაჯოს ისინი; ყოველივე ამის მოპასუხედ გამოდის ბეჟანისა და მისი უმცროსი ძმის ცხოვრების ისტორია.

ტენდენციის გამოვლენის ძალზე საინტერესო თავისებურება იქნა შემჩნეული მოთხრობებზე „გლახის ნაამბობი”, რომელსაც ილია ჭავჭავაძე თავის „პირმშოდ” თვლიდა, უკვდავ „კაცია-ადამიანზე?” და ილიას პროზის ბოლო დიდებული ნიშანსვეტის „ოთარანთ ქვრივის” შექმნაზე მწერლის შემოქმედებით მუშაობაზე დაკვირვებისას.

ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ „გლახის ნაამბობში” ტენდენცია პირდაპირ ყოფილიყო გატარებული. მართლაც აქ, ამ მოთხრობაში იდეა ბატონობს მხატვრულ მასალაზე, უფრო სწორად ცოცხალი სინამდვილიდან ძირითადად დატოვებულია ის ნაწილი, რომელიც იდეის უშუალოდ მოპასუხედ გამოდის, იმ ძირითადი იდეისა, რომელიც მოთხრობის მთავარი გმირის გაბრიელის პირით ასეა გამოვლენებული: „რა ვიცოდი მე უბედურმა რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია, რომ ბატონისა და ყმის შუა სიყვარულის ხიდი არასოდეს არ გაიდება”. სამეცნიერო ლიტერატურაში ისიცაა აღნიშნული, რომ „გლახის ნაამბობის” პერსონაჟები აღბეჭდილნი არიან ერთგვარი სქემატურობით. ცოცხალ ადამიანთაგან აქ დატოვებულია ძირითადად ის ნიშან-თვისებები, რომლებიც უშუალოდ პასუხობენ ტენდენციას. მოთხრობაში არ გვხვდება პარალელური ამბები, თხრობა მისწრაფვის ბოლოსაკენ, არაფერი არ გამოდის ხელისშემშლელად, რომ იდეის განხორციელება რამდენადმე შეფერხდეს. როგორც წესი, აქ უკუგდებულია ისეთი მასალის მოწოდება, რომელიც შეიძლება იდეიდან გადახვევად მოგვეჩვენოს.

მაგრამ მოთხრობის წერის პროცესში, როცა მწერალი კონკრეტულად შეეხო მხატვრულ მასალას, გამოიკვეთა რამდენადმე ახალი მასალა, ახალი თემისათვის – დათიკოს (კოლას) მშობლების წარმოსაჩენად, ეს მასალა აღმოჩნდა იმდენად ღირებული, იმდენად მოხიბლა და ჩაითრია მწერალი, რომ მალე დარწმუნდა საკუთრივ ამ მასალის თვითღირებულებაში, მთავარი მიზანდასახულების გარეშე, რამაც მწერალი ახალი მოთხრობის დაწერის აუცილებლობის წინაშე დააყენა. ასე სრულიად დაუმაბავად შეიქმნა სატირის უკვდავი ნიმუში „კაცია-ადამიანი?“

ეს მოთხრობა, რა თქმა უნდა, ბატონყმობის კრიტიკას ისახავს საბოლოო ჯამში მიზნად, გვიჩვენებს თუ სანამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი საერთოდ უმოქმედობამ, სოციალურმა პასიურობამ, თუ როგორია ბოლო ადამიანებისა, რომელთა საზრუნავი მთელი სიცოცხლის მანძილზე არ გასცილება სმა-ჭამაზე ფიქრს. მასალას მოთხრობაში სრულიად შენარჩუნებული აქვს მხატვრული ღირებულება. მწერალი მშვიდად, აუღელვებლად ხატავს ლუარსაბ თათქარიძის სასიცოცხლო გარემოს, ცოლ-ქმრის გარეგნულ პორტრეტებს, მათი სრულიად უაზრო ცხოვრების ეპიზოდებს, მათი დაქორწინებისა თუ აღსასრულის ისტორიებს. ეს ეპიზოდები არ არიან ერთმანეთთან აზრობრივად დაკავშირებულნი, რამდენადაც თვით მათ უაზრო ცხოვრებას არა აქვს არავითარი ლოგიკა. მოთხრობაში არა გვაქვს საქმე ერთიან სიუჟეტთან, რომლისკენაც მიისწრაფვის მოთხრობის ცალკეული ეპიზოდი. მწერალი აქ აღწერს ისეთ დეტალებს, რომლებიც სხვათათვის სრულიად შეუმჩნეველი დარჩებოდა. თითქოს მწერალს სწორედ ამ წვრილმანების გადმოცემა ხიბლავს. ჩვენ სწორედ ამ თვისობრივობით სავსე წვრილმანებით ვეზიარებით დიდ ხელოვნებას. ესაა სწორედ ის თვისება, რომელმაც რამდენჯერმე სიამოვნებით წააკითხა ეს თხზულება დიდ გრიგოლ ორბელიანს.

მოთხრობის ერთი პირველი კრიტიკოსი, მაშინ დიდი იმედების მომცემი ახალგაზრდა კრიტიკოსი ალექსანდრე ცაგარელი, რომელმაც პირველმა საინტერესოდ განიხილა ეს თხზულება, არსებითად მაინც ვერ ჩაწვდა ი. ჭავჭავაძის თხრობის თავისებურებას და მწერალს ნაკლად ჩაუთვალა, რომ მოთხრობა, მისი აზრით, იყო შეუკვრელი, ცალკეული ნაწილი ერთმანეთთან დაუკავშირებელი. ალ. ცაგარელი თავის ცნობილ სტატიაში „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“ წერდა: „მართალია, მას აღწერაში აქვს ის სიცხადე და მახვილგონიერება... ცოტა

სიტყვით ბევრის თქმა, ხშირად ძალიან მოსწრებით ხმარებულნი სიტყვის მასალები, ნამდვილად ქართული სიტყვა-პასუხი, მოხდენილი, მკვახე იუმორი, მაგრამ ის ერთი, ღრმა, ყველა ნაწილების შემაერთებელი ჰაზრი, რომელიც ჰკრავს და ბეჭდავს ერთ მთელ კავშირიან პოემად ამ მოთხრობას, არ არის გატარებული „კაცია-ადამიანში“. ეს არის პატარ-პატარა დიდი ხელოვნებით დაწერილი სცენები და სურათები. სხვადასხვა შემთხვევები, შეკრებილი ერთად, რომლებიც ხან სულ არა და ხან ძალიან ცოტა შინაგანი კავშირი აქვთ ერთმანეთთან“ (ილია ჭავჭავაძე ლიტერატურულ კრიტიკაში 1957, 211).

ის, რაც მაინც გაუგებარი გახდა ნიჭიერი ახალგაზრდა კრიტიკოსისათვის, შესანიშნავად იგრძნო ნიკო ნიკოლაძემ, რომელმაც „გლახის ნაამბობის“ განხილვისას აღნიშნა: „ილია ჭავჭავაძეს“ „კაცია-ადამიანი“ რომ არ დაეწერა, „გლახის ნაამბობი“ ჩინებულ მოთხრობად ჩაეთვლებოდა, მაგრამ რომლის თავი ჩვენ მკითხველ საზოგადოებას „კაცია-ადამიანმა დაავიწყა“ (იქვე, გვ. 236).

ისიც საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ „კაცია-ადამიანი?“ ისევე როგორც „გლახის ნაამბობი“ ბატონყმობის კრიტიკას ისახავს, უპირველეს ყოვლისა, მიზნად. ბატონყმობა, როგორც სოციალური წყობა დიდი ხანია ისტორიის კუთვნილება გახდა. ლიტერატურის ისტორიამ იცის ბევრზე ბევრი თხზულება, რომლებიც ბატონყმობის კრიტიკას მიემდგნა და თავისი ისტორიული ფუნქციის შესრულების შემდეგ დავიწყებას მიეცნენ. რაც შეეხება „კაცია-ადამიანს?“, იგი არ კვდება, ფაქტია, რომ ლუარსაბი ცოცხალია, იგი ჩვენთანაა, ჩვენი ღვიძლი ღვიძლთაგანია და სწორედ იმიტომ, რომ დიდმა მწერალმა უაღრესად ცოცხალი ადამიანები დახატა ლუარსაბის, დარეჯანის, დავითის, ელისაბედის სახით, ისინი იმ ნიშან-თვისებებით არიან სავსენი, რომლებიც არც ბატონყმობას მოჰყოლია და არც გაჰყოლია, ღრმად არის ადამიანების ბუნებაში გამჯდარი, მახინჯი სოციალური წყობა მხოლოდ ხელს უწყობს მათ გაღვივება-აყვავებას – იქნება ეს გაუმიზნავი შური, უსიამოვნება მახლობელთა – რძლებს, ძმებს შორის, ტრაზახი და მრავალი სხვა.

დათიკოს („გლახის ნაამბობის“ მთავარი პერსონაჟის) ჟინიანობა, ნამუსგაქნილობა ჩვენგან ძალიან დაცილებული თვისებებია, იმ დროს, როცა ლუარსაბი თავისი მადიანობით, სიზარმაცით, ტრაზახით ჩვენთვის ძალიან გასაგებია და არც ისე დაცილებული ჩვენგან, ჩვენთვის ძალიან გასაგებია ის ურთიერთობები, დარდი და

სიხარული, რაც „კაცია-ადამიანის?!“ პერსონაჟებს დაუფლებიათ. ასე იცილებს ეს მოთხრობა დროით შემოსაზღვრულობას. იგი სულ იქნება ცოცხალი ქართულ ლიტერატურასთან ერთად.

დაახლოებით მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე მოგვიანებით „ოთარაანთ ქვრივზე“ შემოქმედებითი მუშაობის შემთხვევაშიაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია მითითებულია, რომ „ოთარაანთ ქვრივში“ სრულიად გარკვევითაა მოცემული იდეა საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებს შორის ურთიერთობისა. თვით ფაქტი ილიას მიერ „ოთარაანთ ქვრივის“ ცალკეული თავების დასათურებისა თითქმის თეზისების სახით, მიგვითითებს, რომ მწერალს აქვს სრულიად გარკვეული აზრი და ამ აზრს თავის მძლავრ მხატვრულ ენაზე შეუნიღბავად გვაწვდის. ამ ნაწარმოებში ყველაფერი პირდაპირ და უშუალოდ უპასუხებს განსასახიერებლად არჩეულ მთავარ იდეას. აქ ყველა ეპიზოდი და საერთოდ ყველაფერი, რამდენადაც კი ეს მხატვრულ ნაწარმოებშია შესაძლებელი მწერლის ერთი მთავარი იდეის გამოსახატავად არის მოხმობილი” (გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, 1957, გვ. 34). ყოველივე ეს ასეა, ბუნებრივია, რომ ი. ჭავჭავაძემ „ოთარაანთ ქვრივის“ წერისას, როგორც თავად აღნიშნავს, ჯერ ცხადად წარმოიდგინა მიზანი, ნათლად ჩამოაყალიბა იდეა და შემდეგ დაიწყო განსასახიერებელი მასალის მოხმობა. ილიას მწერლური იდეის უშუალო მოპასუხენი იყვნენ, ერთი მხრივ, გიორგი და მეორე მხრივ, კესო და არჩილი, როგორც უშუალო გამააზრებელი, განმმარტებელი თუ შეიძლება ითქვას, ყველაფრისათვის სახელის დამრქმევი, ერთგვარი არბიტრი შექმნილი ვითარებისა. პრობლემასთან პირდაპირ, უშუალოდ ოთარაანთ ქვრივი, მისი ისტორია მანცდამაინც არაა დაკავშირებული. სავსებით დამარწმუნებელი ჩანს იაკობ მანსვეტაშვილის მოგონებაში დაცული ცნობა. მისი მოწმობით, თავდაპირველი სათაური მოთხრობისა არ იყოს ის, რითაც მას დღეს ჩვენ ვიცნობთ. ი. მანსვეტაშვილი გადმოგვცემს: „გვინდოდა რომ ივერისათვის რაიმე ახალი მოთხრობა მოეცა. იმისთვის ეს ძნელი არ იყო, რადგან, ვიცოდით,

რომ ჩონჩხად უკვე აქვს დაწყობილი მოთხრობა, რომლისთვისაც მწერალს წინათ განზრახვა ჰქონია, მგონი „გიორგი“ ეწოდებინა სახელად” (ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, ნახული და გაგონილი, 1936 წ. გვ. 116-117). მოთხრობის თავდაპირველად ნავარაუდები სათაური კარგად უჩვენებს მთავარი ჩანაფიქრისადმი მასალის დაქვემდებარების ფაქტს, რაც სათაურშიც თვალნათლივ გამოჩნდებოდა. მოთხრობაზე უშუალო მუშაობის პროცესში წარიმართა მონუმენტური სახე გიორგის დედისა – ოთარაანთ ქვრივის. როგორც ჩანს, ამ სახის შექმნამ დიდი შემოქმედებითი კმაყოფილება, სიამოვნება მიანიჭა მწერალს. ოთარაანთ ქვრივის სახემ სრულიად დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება შეიძინა. თუ გიორგის, კესოს, არჩილის სახეები ერთგვარი სქემატიზმით აღინიშნებიან იმ აზრით, რომ ისინი უშუალოდ, პირდაპირ პასუხობენ მწერლის მიზანდასახულებას და მათი, როგორც ცოცხალი ადამიანების თვისებათაგან ძირითადად თხზულების მთავარი ტენდენციის მიმთითებელი თვისებებია დატოვებული, საგანგებოდ პედალირებული. ასე სულაც არაა საქმე ოთარაანთ ქვრივის შემთხვევაში.

ეს სახე-ტიპი უაღრესად სისხლსავსეა. დიდი შემოქმედებითი ძალის მქონე. ოთარაანთ ქვრივის ხატება საერთოდ არ ტოვებს მკითხველს. იგი ამოზიდულია თხზულების საერთო კომპოზიციური ღერძიდან და თითქმის ყველაფერს ფარავს, რომ ირგლივ ყველაფერი ახალი სხივებით ააელვაროს. დიდმა მწერალმა „კაცია-ადამიანის?!“ ანალოგიით ახალი მოთხრობა კი არ დაწერა მუშაობის პროცესში მოპოვებული თვითაღიარებული მხატვრული მასალით, მაგრამ მოთხრობას კი სათაურად ამ მონუმენტური სახე-ტიპის სახელი უწოდა – „ოთარაანთ ქვრივი“.

აქ, ამ მოთხრობაში, თუ შეიძლება ითქვას ტენდენციურობის გამოვლენის ორი გზა თითქოს ერთმანეთს შეხვდა, შეერწყა, ამ ორი ტენდენციურობის გამოვლენის სინთეზთან გვაქვს საქმე.

უნდა გარკვევით ითქვას, რომ ამ დიდებულ მოთხრობის უკვდავებასაც ძირითადად დედის ცოცხალი მონუმენტური სახე აპირობებს.

ლიტერატურა:

1. კიკნაძე გრ., ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1957;
2. ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, თბილისი, 1967;
3. ილია ჭავჭავაძე ლიტერატურულ კრიტიკაში, თბილისი 1957;
4. მანსვეტაშვილი ი., მოგონებანი, ნახული და გაგონილი, თბილისი, 1939;

About one peculiarity of Ilia Chavchavadze's creative work on prose works

*Lado Minashvili, Associate Professor
Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

Summary

Ilia Chavchavadze starts to work creatively on the story when the trend, the idea is already clear for him, the artistic material is obtained and brought into conformity with the idea, subordinated to it. In the process of working on the product, when the material acquires a concrete form, a new theme and material appears, at least somewhat different from the main trend, which acquires its own value and life without tension, without dominating the material of the idea. This is how the prose masterpiece "Is human a man?!" („Katsia - Adamiani?!“) was created. A separate story separated from "The Story of a Beggar" („Glakhis Naambobi“).

Later, while working on the story, which was previously called "Giorgi", the practically central line of the Georgian mother's Otaraant widow grew out of the ideological line showing the relationship of ranks, and finally the story was called "The Widow of the House of Otar" („Otaraant Qvrivi“). It must be clearly said that the immortality of this great story is mainly due to the perfect monumental face of the mother.

Key words: story, trend, dominance of the idea over the material.

ქართული მწერლობისა და ჰუმანიტარულ აზროვნების ევროპეიზმი

თემურ ჯაგოდნიშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვეობის ჰეგემონი ქვეყნები კაცობრიობის ისტორიის გზაზე მსოფლიო ცივილიზაციაში შეტანილი ერთი თუ ორი ღირებულებით ამაყობენ...

პატარა საქართველომ ოთხი ვეებერთელა ღირებულებით დაამშვენა მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურს: ერთია მეტალურგიის (რკინის ცეცხლში წრთობის) ტექნოლოგია, მეორე სამედიცინო ცოდნა, მესამე - ვაზის კულტურა და ღვინის მის-ტერიალობით გამაოცებელი ფენომენი. და კიდევ: მსოფლიოს შესძინა დამწერლობის სამი უნიკალური სისტემა - ასომთავრული, ნუსხახუცური, მხერდრული.

ეს ღირებულებები უხსოვარი დროისანი არიან და მათი არსი ჩვენამდე მითოპოეტური ენით არის მოტანილ-შემორჩენილი. ამის გამო უცხოელები კი არა, თავად ქართველებიც კი ვეღარ იცნობიერებენ ქართული ცივილიზაციის ამ აისბერგების შინაარსს. მართალია, მითოპოეტურმა ენამ ისტორიის გულმავიწყობას გამოარადა ქართული ცივილიზაციის დიდი სახელები - ამირანი, მედეა (მეტალურგიისა და მედიცინის მითოსური მეტაფორები), ვაზისა და ღვინის კულტურა, მაგრამ დროყამის პრაგმატიკამ მაინც შეჰყარა ბუნდოვანება, თანაც იმდენად, რომ ახალი ეპოქების ქართველებს წინაპრების მიერ შექმნილი დიდი ცივილიზაციის ქვეცნობიერი შეგრძნებალა შეუნარჩუნა... და ამის გამო ახალი დროის ქართველი რადიკალიზირად გაუგებრად შწოიანობს; რადაც დიდით - დიადით თავმომწონეობს, რაც ხეირიანად ადარც ახსოვს და რაც უფრო გენეტიკიდან ასოციაციურად შეახსენებს თავს... იმასაც ნაკლებად იცნობიერებს, რომ ქართული ცივილიზაციის დიდი სივრცის რაობას და საზღვრებს ვეფხისტყაოსანი გვამცნობს... და მაინც:

ქართული კულტურა მხოლოდ წარსულით არ შეახსენებს თავს თანამედროვეობას. იგი ამჟამადაც ასაზრდოებს მსოფლიო კულტურას. მაგალითად თუნდაც „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების“ ფენომენი გამოდგება, რასაც თანამედროვე ევროპული კულტურის მონაპოვრად სახავენ. ამ ფენომენის საქართველოში ფაქტობრივმა არსებობამ, მაგალითად, XVII საუკუ-

ნეში გააოცა ფრანგი ნეგოციანტი ჟან შარდენი და ათქმევინა: „საქართველოში ყველას აქვს უფლება იცხოვროს თავისი რჯულის და ჩვეულებისამებრ, თავისუფლად ილაპარაკოს ამ საგანზე და დაიცვას თავისი შეხედულება“ (ჟ. შარდენი, „მოგზაურობა საქართველოში“, ფრანგულიდან თარგმნა ვ. ბარნოვმა, თბ., 1935, გვ. 85).

ქართული ცივილიზაციის თუნდაც ამ ფორმით არსებობა არ უნდა დაივიწყონ ქართული ცივილიზაციის არსებობაში დაეჭვებულმა სკეპტიკოსებმა...

აღნიშნულის საფუძველზე კი იმის თქმაც შეიძლება, რომ ძველთა-ძველმა (ისტორიამდელმა) ქართულმა ცივილიზაციამ ჩვენამდე გზავნილები მითოპოეტურად მოიტანა და მთავარი სათქმელი მწერლობას (ლიტერატურას) დააკისრა.

საკვანძო სიტყვები: ევროპეიზმი, ევროპის კულტურა, ქართული მწერლობა, ჰუმანიტარული აზროვნება.

*„ცივილიზაცია, უპირველეს ყოვლისა, არის მისწრაფება არსებობისათვის“
ხოსე ორტეგა ი გასეტი*

შესავალი

ევროპეიზმის ცნება საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა. ცნობილია, რომ ეს ტერმინი ქართულ მწერლობაში ახალი ტენდენციების აღსანიშნად პირველად პუბლიცისტმა და ლიტერატურის კრიტიკოსმა ნიკოლოზ ბერძენიშვილმა გამოიყენა 1857 წელს წერილში „ქართული ლიტერატურა - ჟურნალ „ცისკრის“ რვა წიგნაკი (მარტიდან ოქტომბრამდე)“.

იმ დროს ევროპეიზმის ცნებით გამოიხატა კავშირი ევროპის ლიტერატურულ ტრადიციებთან (ტენდენციებთან); ფართო გაგებით კი „ევროპეიზმის“ ცნებაში ქართულ სინამდვილეში ევროპული ცივილიზაციისა და კულტურის შემოჭრას გულისხმობდნენ.

XIX საუკუნეში „ევროპეიზმის“ ცნება ევროპულს გაუტოლდა, თუმცა კარგად იყო გაცნობიერებული, რომ ევროპეიზმი ბევრად აღემატება „ევროპულს“. იგი ევროპის კულტურას თავისი მასაზრდოებელი კულტურული არეალითურთ გამოხატავდა.

საერთოდ, „ევროპეიზმი“ „ევროპულზე“ ადრინდელიც არის და სივრცობრივად მასშტაბურიც. ასე რომ, „ევროპეიზმი“ კულტურული ღირებულებების თვალსაზრისით გაცილებით მეტ ევროპულს შეიცავდა, ვიდრე ევროპული კულტურა ითავისებდა და იცნობიერებდა დროჟამულობის წიად.

ძირითადი ნაწილი

ქართული ცივილიზაცია, კულტურა, მისი მეცნიერება (უპირატესად ფილოსოფია, ფილოლოგია, თარგმანმცოდნეობა და დამწერლობამცოდნეობა) მწერლობა ისტორიამდელსა და ისტორიულ ეპოქებში იმდაგვარი ღირებულებების შემცველი იყო, რამაც უკვე ახალ (ევროპის ჰეგემონობით აღბეჭდილ) ეპოქებში „ევროპეიზმის“ ცნებითი შინაარსი შეადგინა. ქართული ევროპეიზმი ისტორიულ კატაკლიზმათა გამოისობით ხან უმძლავრესად პულსირებდა, ხანაც ისე მიინავლებოდა, შემჩნევაც კი ჭირდა, მაგრამ მენტალურად მაინც ინარჩუნებდა ევროპაცენტროლობას და „ევროპეიზმის“ მკვებავ საინტერესო წყაროდ რჩებოდა. ამის ერთი ადრეული გამოვლენაა ამირანის თქმულება, რომელმაც მითოპოეტური ენით მოიტანა ჩვენამდე ქართული ცივილიზაციის ორიათასი წლის წინანდელი ამბავი რკინის ცივი ჭედვიდან ცეცხლში დნობა-წრთობაზე გადასვლის შესახებ. ამასთან ერთად, ახალი ეპოქებისათვის უმნიშვნელოვანესი ღირებულებითი ელემენტის - კაცობრიობის მოამაგეობისათვის დასჯილი გმირის - მეტაფორაც მისცა მსოფლიო კულტურას, რომელსაც ამირანის ბერძნული მემკვიდრის პრომეთეს „თავგადასავლით“ იცნობს ამჟამინდელი ევროპა. არავინ უკვირდება იმ რეალიებს, რომლებიც პრომეთეს მითის ერთი მოტივის - გმირის კლდეზე მიჯაჭვის - კავკასიურ წარმომავლობაზე მეტყველებენ და რაც გაბერძნულების დიდი მონდომების მიუხედავად ვერ დაფარეს. ამას ანტიკური ეპოქის ბერძენი ავტორები არც მალავენ და ბერძნული კულტურის ქართულ წყაროებზე პატიოსნად მიუთითებენ. ამ მხრივ საინტერესო მითოპოეტური ენით მოთხრობილი ის ისტორიამდელი ფაქტიც იქცევა ყურადღებას, რომელიც არგონავტების კოლხეთის სახელმწიფოში მოგზაურობის ნარატივად შემორჩა კაცობრიობას. განა თავად ბერძნები არ აღიარებენ ქართული სახელმწიფოდან ოქროცურვილობის ტექნოლოგიისა და სამედიცინო ცოდნის გადატანას? ისტორიული ფაქტების მითოპოეტურად გადმოცემის ფონზე უფრო დამარწმუნებელი და უტყუარი ფაქტები შემო-

გვინახა ფილოსოფიისა და ფილოლოგიის მეცნიერებებმა, დამწერლობამცოდნეობამ. ქართული ცივილიზაციის უპირველესი გამოხატულებაა ქართული ანბანი, დამწერლობა, ორიგინალური და თავისთავადი მსოფლიოში არსებულ 14 დამწერლობას შორის. ქართულმა დამწერლობამცოდნეობამ მსოფლიო წერა-კითხვის სამყაროს სამი ქართული ეროვნული ანბანი შესძინა: მრგვლოვანი, ნუსხახუცური და მხედრული, თანაც იმდაგვარი, ისტორიულ ქარტეხილებს რომ გამოსტაცა ქართული სიტყვა და XXI საუკუნის მკითხველსაც კი რომ წააკითხებს, მაგალითად, V-VI და შემდგომ საუკუნეთა ხელნაწერებს.

ფილოსოფიის სფეროში ქართული მეცნიერული აზრის სიდიადის მაუწყებელი ფაქტია არეოპაგიტის მოძღვრება, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ევროპულ ფილოსოფიურ აზროვნებაზე. ამ მოძღვრებამ გასდო სწორედ ხიდი ანტიკურ ფილოსოფიასა და ქრისტიანობას შორის. რაც მთავარია, არეოპაგიტის - გახდა ისეთი გრანდიოზული მოვლენის საფუძველი, როგორცაა რენესანსი.

ქართველმა მეცნიერმა შალვა ნუცუბიძემ დაადგინა, რომ არეოპაგიტის ქართული ფილოსოფიური მოვლენა და მისი ავტორია V საუკუნის დიდი სწავლული პეტრე იბერი (411-491), რომელიც ფსევდო დიონისე არეოპაგელის სახელით იყო ცნობილი. შ. ნუცუბიძის მოსაზრების უტყუარობა ბელგიელმა მეცნიერმა ჰონიგმანმა დაადასტურა საკუთარი კვლევებით.

გასათვალისწინებელია, რომ ევროპული რენესანსის მსგავსი მოვლენა საქართველოში უფრო ადრე - XI-XII სს. დაფიქსირდა, განსაკუთრებით სინამდვილის ღირებულებად გამოცხადების თვალსაზრისით და ადამიანის დაყენებით სამყაროს ცენტრში. ასე რომ, ქართული ანუ აღმოსავლური რენესანსი (შ. ნუცუბიძე) ევროპული ფილოსოფიური აზროვნების თავისებური სახესხვაობაა, გარკვეული აზრით კი მისი წინამორბედა.

შ. ნუცუბიძემ ცხადყო. რომ ევროპული რენესანსის წანამდღვრები „ვეფხისტყაოსანშია“ აღბეჭდილი, ისევე როგორც ქართული ცივილიზაციის სივრცის მითოპოეტური გაცხადება ამირანის მითოსური შინაარსის ახლებური ინტერპრეტაციით.

გასაოცარია, მაგრამ ფაქტია: XII-XIII სს. საქართველომ (მცირე ხნით, მაგრამ მაინც) შემლო ევროპის მეწინავე ბიზანტიისათვის ჩამოერთმია კულტურული მისიის მედროშეობა.

როგორც ცნობილია, ქართველები ბერძნებთან

ერთად ჩაებნენ ბიზანტიური რენესანსის კულტურტრეგერობაში, იმ რენესანსისა, რომელიც აღმოსავლეთის კულტურის დასავლურთან თანამშრომლობით იშვა. ევროპა კი სწორედ აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციათა მემკვიდრეა.

ქართული ფილოლოგიური, განსაკუთრებით მთარგმნელობითი სკოლის თარგმანმცოდნეობის ტრადიციათა კავშირს დასავლურ-ევროპულთან საუკეთესოდ ცხადყოფს ქართული სამონასტრო ცენტრების დაარსება საბერძნეთში (ათონის მთა), ბულგარეთში (პეტრიწონი, ბაჩკოვო), რუმინეთში. ამ ცენტრებში მოღვაწეობდნენ პროფესიონალი თარგმანმცოდნეები, მწერლები გიორგი, ექვთიმე მთაწმინდელები, ეფრემ მცირე, გრიგოლ ბაკურიანისძე და სხვები. ამ ცენტრების (განსაკუთრებით ათონის მთის მონასტრის) ვებერთელა დამსახურებაა „სიბრძნე ბალავარისას“ თარგმნა ქართულიდან ბერძნულ ენაზე და ევროპისათვის აღმოსავლური სიბრძნის დიადი მეტაფორის - „ბუდას ცხოვრების“ ნარატივის გაცნობა. ქართული ცივილიზაციის ისტორიაში XII-XIII სს. დიადი ეპოქალური დროჟამულობაა, თანაც სწორედ ევროპასთან მიმართების თვალსაზრისით. საერთოდ, ევროპასთან სიახლოვის მხრივ, მკვლევრები სრულიად საფუძვლიანად მიუთითებენ ორ ისტორიულ დროზე: ერთ დროდ მიიჩნევენ ახ. წ. ა. I-II საუკუნეებს, მეორედ - XII-XIII სს.

I-II სს. ევროპასთან სიახლოვის მაუწყებელ გრანდიოზულ მოვლენას წარმოადგენს ქართველი მეფის ფარსმანმეორის ქანდაკების რომში აღმართვის ფაქტი 134 წელს რომის იმპერატორ ანტონიუს პიუსის მმართველობის დროს, რაც ბუნებრივია, ქართველთა სახელმწიფოს განსაკუთრებული როლის აღიარება იყო.

XII საუკუნის საქართველო თავისი საერთაშორისო ავტორიტეტით გაუტოლდა ფარსმან მეფის ეპოქას. ამას ცხადყოფს ქართული კულტურისა და მეცნიერების აღნიშნული კერების ჩართულობა ევროპულ (ბერძნულ) კულტურულ ტრადიციებში. მწერლობაში ამის გამოვლენა იყო XII საუკუნის ქართული საფალავნო - საგმირო და სარაინდო რომანები „ვეფხისტყაოსანი“ და „ამირან-დარეჯანიანი“, რომლებიც ევროპული სარაინდო რომანების წინამორბედებს წარმოადგენენ.

„ევროპეიზმის“, ევროპული ლიტერატურული და ზოგადად ჰუმანიტარული აზროვნებითი ტრადიციები ქართულ სინამდვილეში არანაკლებ ინტენსიური იყო აღორძინების ხანაში. ქართული კულტურული ტრადიციების კვალად ამ პერიოდ-

შიც მეცნიერული კვლევა-ძიება საქართველოს საზღვრებს გარეთ, უპირატესად რომში გაიშალა. მაგალითად, მეფე თეიმურაზ პირველმა ევროპაში საგანგებო მისიით გააგზავნა ნიკიფორე ირბაქი (ირუბაქიმე-ჩოლოყაშვილი), რომელმაც რომში ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა გაშალა. 1629 წელს მან გამოსცა „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, იმავე წელს რომში დაარსდა ქართული სტამბა, გამოიცა ქართული ენის გრამატიკა... რომმა (ევროპამ) გაიცნო ქართული ენა და ლიტერატურა (მ. თამარაშვილი, ისტორია კათალიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 298). მწერლობაში ეს მოვლენა აღმოსავლური პოეზიის გავლენისაგან განთავისუფლებაში, ეროვნულ საფუძველზე განვითარებისა და საზოგადოებრივი სატკივრის ასახვაში გამოვლინდა. უპირველესად ეს აისახა თეიმურაზ I „მუხთალი სოფლის“ თემისადმი გამორჩეულ ინტერესსა და ამ პრობლემის „მარტივად მზობის“ ტენდენციაში; ამას გარდა წუთისოფლის წარმავლობისა და სიმუხთლის პრობლემების ასახვაში მეფე პოეტის არჩილის, ვახტანგ VI, განსაკუთრებით სულხან-საბა ორბელიანის თხზულებებში.

მეფე-პოეტ არჩილის შემოქმედებაში ევროპეიზმის ერთ გამოვლენად ჩათვლილია ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლა.

ევროპაში XVII-XVIII სს., გამორჩეულად გერმანიასა და საფრანგეთში, განსაკუთრებული ღირებულება შეიძინა ეროვნული ენის სიწმინდის დაცვის პრობლემამ. XVII საუკუნეში გერმანული ენა, როგორც ცნობილია, განიცდიდა ლათინური, რომანული, მომეტებულად ფრანგული ენების შეტევებს. იმდენად დიდი სიმძაფრე შეიძინა პრობლემამ, რომ უამრავი საზოგადოებრივი ორგანიზაცია შეიქმნა გერმანული ენის სიწმინდის დასაცავად.

არანაკლები სიმძაფრისა იყო ბრძოლა XVII ს. ფრანგული ენის სიწმინდისათვის. ამ პერიოდში გამოჩნდა სწორედ იოაქიმ დიუბელეს ნაშრომი „ფრანგული ენის დაცვისა და ამაღლებისათვის“. ამავე მიზანს შეიცავდა ნიკოლა ბუალო-დეპრეოს ნაწერები და ა. შ. ამ მოვლენების შესატყვისია სწორედ არჩილის მცდელობები.

XVIII ს. ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ლიტერატურულ ტრადიციებთან თავისი ზნეობრივი მოტივითა და თხრობის დიდაქტიკური ტონით უაღრესად ახლოს დგას სულხან-საბა ორბელიანი. მისი „სიბრძნე-სიცრუისა“, ამასთან ერთად, ეწყარება ე. წ. „ჩარჩოიანი თხრობის“ წესს, რაც წარმატებით არის რეალიზებული „დეკამერონში“.

ქართულ მწერლობაში ევროპული ლიტერატურული ტრადიციების დამკვიდრების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მამუკა ბარათაშვილის, დავით გურამიშვილის, თეიმურაზ მეორის, სულხან-საბა ორბელიანის მხატვრულ თხზულებებს. ევროპასთან კულტურული სიახლოვის მიუხედავად ერთად აღნიშნული ისტორიული დრო ქართული სახელმწიფოს ევროპის პოლიტიკურ-სამხედრო-ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირების მისწრაფებითაც გამოირჩა. ამ პოლიტიკის ერთი გამოვლენაა მეფე ვახტანგ მეექვსის მიერ ევროპაში საგანგებო მისიით დიდად გავლენიანი მოღვაწის, მეცნიერისა და მწერლის სულხან-საბა ორბელიანის მივლინება. მან მთელი სამი წელი დაჰყო ვატიკანსა და საფრანგეთში და ევროპის პოლიტიკის მესვეურთა საქართველოს ბედით დაინტერესებას შეეცადა, თუმცა სამწუხაროდ, ვერც ქრისტიანობის უდიდესი ცენტრის მამამთავრები და ვერც ევროპის ერთ-ერთი ჰეგემონი ქვეყნის ხალისუფალნი აღმოჩნდნენ მზად საიმისოდ, რომ ევროპეის კულტურული პროცესების მონაწილე ქრისტიანული საქართველოს როლი და მნიშვნელობა სათანადოდ გაეცნობიერებინათ.

მამუკა ბარათაშვილის შემოქმედება „სოფლის სამდურავის“ თემა გამოკვეთილად ეხმაურება აღორძინების ხანის პოეტების მთავარ სათქმელს. იგივე დიდი თემა გვხვმიანება თეიმურაზ პირველის, არჩილის, ვახტანგ მეექვსის ქმნილებებიდან.

დავით გურამიშვილმა ევროპეიზმი შემოიტანა „ქართული ლექსის გამოთქმაში“ (ილია ჭავჭავაძე), რაც იმაში გამოიხატა, რომ თამამად დაარღვია ძველი სალექსო საზომები. არანაკლებ მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მან დააყენა ადამიანის მიერ საკუთარი არსებობის საზრისის ქრისტიანობაში ძიების პრობლემა. დ. გურამიშვილმა ქართველ მკითხველს სახარებაში თავის პოვნის დიდი შინაარსი გადაუშალა, რაც ევროპული კონცეპტუალიზმის გამოვლენა იყო. დ. გურამიშვილმა უარყო აღმოსავლური პოეზიის თვითმიზნური ორნამენტულობა, უკიდურესად გაასადავა პოეტური თქმა, ხალხურ სასაუბრო კილოს მიანიჭა უპირატესობა, ფოლკლორული მოტივებითა და ლექსიკა-ფრაზეოლოგიის საფუძველზე გაამრავალფეროვნა პოეტიკა-ლექსიკა, ვერსიფიკაცია.

XVIII ს. ევროპული ფილოლოგიური და ლიტერატურული ტრადიციების ერთ გამოვლენად წარმოსდგა ინტერესის ზრდა ეროვნული ხალხური პოეტური შემოქმედებისადმი - ფოლკლორისადმი. ევროპელმა მკითხველმა გაიცნო მეკვერსონის „ოსიანის სიმღერები“, იოჰან გოტფრიდ ჰერდერის

ფილოლოგიურ-ფოლკლორისტული გამოკვლევა „ხალხთა ხმები სიმღერებში“ (Stimmen der Völker in Liedern), ორი ტომი, 1778-1779 წწ. პროფესიულ პოეზიაში ტრადიციად იქცა ფოლკლორული სასიმღერო მოტივების გამოყენება, რაც მთავარია მათზე მითითება მკითხველთა დაკვალიანების მიზნით. ამ პოეტურ ხერხს აქტიურად იყენებდა დ. გურამიშვილი. იგი საგანგებოდ მიუთითებდა რომელი ფოლკლორული სასიმღერო ხმის მიბადებით ან რომელი ხმის სანაცვლოდ ჰქონდა შეთხზული ლექსი. მაგალითად, „ხარებობის დღის შესხმა“, „ახა წმინდა კოპალეს სანაცვლოდ სამღერალი“, „ეეო, მეო, ქალო ქალთა მზეოს“ სანაცვლოდ სათქმელი და სხვა.

ცნობილია, რომ ფოლკლორით დაინტერესება XVIII ს. მხატვრული ლიტერატურის დემოკრატიზაციის პროცესის გამოვლენა იყო. ფოლკლორის შესწავლამ ევროპელი მკვლევრები გასაოცარ აღმოჩენამდე მიიყვანა. გამოირკვა, რომ ზეპირსიტყვიერების სფეროს ღიად ჰქონდა შენახული ევროპელების მიერ არა ერთი სიუჟეტისა და თუ მოტივის აღმოსავლეთის ხალხთა ფოლკლორიდან სესხების ფაქტები. ერთი ამგვარი ნასესხები ზეპირსიტყვიერი ნაწარმოები იყო ძველი ინდური (სანსკრიტული) იგავების კრებული „პანჩატანტრა“ (ხუთწიგნეული). სხვათა შორის, ამ კრებულის კვალი ქართულ მწერლობაშიც არის დადასტურებული. მისი ერთი წიგნი ქართულად თარმნა დიდმა მოღვაწემ სულხან-საბა ორბელიანმა „ქილილა და დამანს“ სახელწოდებით (პერსონაჟების სახელების მიხედვით). ევროპის ქვეყნების პოეტურ ფოლკლორში იმდენად უხვად აღმოჩნდა აღმოსავლური სიუჟეტები, რომ ევროპულ ფოლკლორისტიკაში მეცნიერული თეორიაც კი შეიქმნა თეოდორ ბენფის „ნასესხობის თეორიის“ სახელწოდებით. ამ თეორიის ვსევლოდ მიღერისეული ვერსიით აღმოსავლურ-ევროპული ნასესხობის პროცესში კიდევ უფრო გამოკვეთა ქართული ფოლკლორის როლი.

ევროპული ლიტერატურული ტრადიციების ერთი სიახლე იყო მდაბიორის შეყვანა მწერლობაში და მისი დადებით პერსონაჟად წარმოდგენა. ცნობილია, რომ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით განმანათლებლები გამოირჩნენ. მათ გააფეტიშეს შრომა, ზნეობა, ადამიანის შინა სამყარო, მისი ლტოლვა-მისწრაფებები. ეს ტენდენციები მთელი სისრულით აისახა დ. გურამიშვილის „დავითიანში“. აქ გლუხკაცი დადებითი გმირია, მომარჯვებულია „მართლის თქმის“ პრინციპი და სინამდვილე ემპირიული მასალის განზოგადების

პრინციპით არის ასახული; მხილებულია საზოგადოებრივი მანკიერებები. გაცნობიერებულია პოეზიის ზნეობრივ-ეთიკური ძალმოსილება. მთავარი კი ის არის, რომ განმანათლებლობის აღნიშნული ღირებულებითი სისტემის არსებითი მახასიათებლებია და ამიტომ დ. გურამიშვილი ევროპეიზმის უპირველეს მედროშედ არის მიჩნეული (დ. ლაშქარაძე).

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან, მომეტებულად XVIII საუკუნიდან, ქართულ სინამდვილეში დაუფარავად გამოჩნდა ევროპული პოლიტიკურ-კულტურულ ორიენტაციის პრიმატი. ეს მოვლენა ადრეულ შუა საუკუნეებშიც შეიმჩნეოდა, მაგრამ პრიორიტეტული სწორედ XVIII საუკუნეში გახდა. ევროპული ორიენტაციის მოღვაწეთა შორის ამ პერიოდში გამოირჩა ანტონ კათალიკოსი, რომელიც თავის ნაშრომებში ხშირად ემყარებოდა ნეტარ ავგუსტინეს, ალბერტ დიდს, თომა აქვინელს. იგი ევროპასთან კავშირურობების დამყარებისა და თანამშრომლობის გზად კათოლიკურ ეკლესიას სახავდა. ამ მხრივ მაგალითის მიცემას საკუთარი ცხოვრებით შეეცადა, კათოლიკობა მიიღო, ანუ გაფრანგდა და „ფლორენციის უნია“ აღიარა.

ქართულ ლიტერატურაში ევროპეიზმის დამკვიდრებისა და მკითხველის ლიტერატურული გემოვნების გაევროპულობის თვალსაზრისით დიდად საინტერესო ხელოვანად მიიჩნევენ პოეტ ბესარიონ გაბაშვილს. მისი პოეზიის ძალუმ გავლენას პოულობენ ქართველი რომანტიკოსი პოეტების ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში. აღორძინების ეპოქის ქართულ მწერლობაში ევროპეიზმის წყაროს უპირატესად ქართული ხალხური პოეზია და კლასიკური მწერლობა წარმოადგენდა. თუმცა არც ფილოსოფიისა და პოლიტოლოგიის სფეროები ჩამორჩებოდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში ითარგმნებოდა ფილოსოფიური ნაშრომები და პოლიტიკური ტრაქტატები (მაგალითად, ქართველი მკითხველი იცნობდა ბაუმისტერის, კონდილიაკის, ანსილსნის და სხვათა ნაწერებს); ასევე მშობლიურ ენაზე შეეძლო წაკითხა პეტარკას, შილერის, ჰიუგოს, მიცევიჩის, მანმორტელის თხზულებები და ა. შ.). XVIII-XIX სს. მიჯნაზე მოღვაწე ქართველი მოაზროვნეები ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების მომავალს ევროპული საზოგადოებრივი ყოფის პრინციპებზე დამყარებას უკავშირებდნენ. ისინი იცნობიერებდნენ ევროპული კულტურული

ღირებულებების შინაარსს, ქმნიდნენ ქართულ ანალოგებს და სთავაზობდნენ მკითხველს.

ევროპეიზმის იდეების პოპულარობის ერთი გამოვლენა ქართულ სინამდვილეში ისიც იყო, რომ XVIII-XIX სს. მიჯნაზე მტკიცედ იწყო დამკვიდრება ევროპული განათლების ტრადიციებმა; შეიქმნა ევროპული ტიპის კერძო სკოლები და პანსიონები. ამ სასწავლო დაწესებულებებში პედაგოგები უმეტესწილად ევროპელები იყვნენ. ისინი ევროპულ ენებსა და კულტურას აზიარებდნენ ქართველ და სხვა ეროვნების კავკასიელ მოსწავლეებსა და აღსაზრდელებს.

XIX საუკუნის დასაწყისში ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება, საერთოდ მოსახლეობის მეწინავე სოციალური კლასის - თავადაზნაურობის, განსაკუთრებით ინტელიგენციის ცხოვრების წესი ევროპულ ღირებულებებს დაემყარა. ამიერიდან ყოფითი კულტურაც პირწმინდად ევროპული ყაიდისა გახდა: ქალაქმშენებლობა, არქიტექტურა, მოქალაქეთა ჩაცმულობა, სხვა ყოფითი რეალიები და ტრადიციები. არისტოკრატის ენაც კი ევროპული (მომეტებულად ფრანგული) გახდა. თუმცა ეს ტენდენციები ევროპულისადმი ბრმა მიმბამველობას არ გამოხატავდა. ეს გარემოება რელიეფურად სულიერი კულტურის სფეროში იყო გამოხატული. ქართული კულტურა კოპირების გზით კი არ ვითარდებოდა, არამედ ევროპული კულტურული ნოვაციის ქართული ვერსიის შექმნით და ამდენად და ამის გამო საერთო ევროპულ კულტურულ მოვლენას ქართული ვერსიივით ამდიდრებდა. ყველაზე მკაფიოდ ეს მოვლენა მწერლობაში გამოჩნდა, სადაც მსგავსება-გავლენამ ორ დონეზე იჩინა თავი: ერთს ქმნიდა თემატურ-პრობლემური იდენტურობა, მეორეს - მხატვრული, ესთეტიკური, იდეურ-თეორიული.

XIX საუკუნეში ამგვარი მსგავსება იკითხება, მაგალითად, ისეთ ლიტერატურულ მოვლენაში, რომელიც რომანტიზმის სახელით შევიდა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. რომანტიზმი პირწმინდად ევროპული ლიტერატურული მოვლენა იყო, რთული და არაერთი ნიუანსობრივი სხვაობებით გამორჩეული (მაგალითად, პროგრესული თუ რეგრესული მიდრეკილებისა იენისა და ჰეიდელბერგის რომანტიკული სკოლების შესაბამისად). საქართველოში რომანტიზმი ევროპასთან შედარებით გვიან გაჩნდა. ამის მიუხედავად ქართულმა რომანტიზმმა ევროპული რომანტიზმის მარტო მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური პრინციპები კი არ გაიზიარა, არამედ მოტივებიც, პრობლემებიც, თუმცა ეს ყველაფერი ეროვნულ

ნიადაგზე გაიცნობიერა. რომანტიკული კონცეფციის საფუძვლად ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვა აქცია, ოღონდ ეგაა, რომ დაკარგულის გამო რომანტიკული გოდება უიმედობაში კი არ გადაზარდა, არამედ ეროვნულ სატკივარს გაუსწორა თვალი და საერთო საკაცობრიო ტკივილებამდე ამაღლდა, ხოლო სიცოცხლის აზრის ძიებისა და ადამიანის რწმენით თავისებურად გაამდიდრა რომანტიზმის რომანტიკული ოპტიმიზმის შინაარსი.

განსაკუთრებით ეს ითქმის ისეთი თემებისა და მოტივების დამუშავებაზე, როგორცაა ადამიანის ამქვეყნიური არსებობის აზრის ძიება, ბედისწერის უღმობელი გარდაუვალობა, მასთან ჭიდილით სულიერი თავისუფლების მოპოვება, სიცოცხლით აღტაცება. სწორედ ამით გამოირჩევა ალ. ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, მამია გურიელის, განსაკუთრებით ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები.

ამ პრობლემატიკით ქართველი რომანტიკოსები, განსაკუთრებით ნ. ბარათაშვილი, თამამად ეხმაურებიან პოლონელი რომანტიკოსი პოეტის ადამ მიცკევიჩის თუ ინგლისელი ჯორჯ ბაირონის პოეტურ ვიზიონებს, ამასთან ამ პრობლემათა განცდისა და გააზრების საფუძველზე ქართული ვარიაციების შექმნითაც გამოირჩევიან.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპეიზმის ერთ უაღრესად აქტუალურ, გამოვლინებად წარმოდგა ქართული საზოგადოებრივი აზრის მანიფესტაციის ევროპული ტექნოლოგია - პუბლიცისტიკა - აქტუალური საზოგადოებრივი პრობლემების გამოხატვის ფორმა. პუბლიცისტიკა სათქმელის თქმის ღიაობით, დაუფარაობით (ტენდენციის ღიად გამჟღავნებით) ქართველი ხალხის ეროვნული მოძრაობის გაშლის შედეგისმომნტანი აღმოჩნდა. მოკლე დროში ქართული პუბლიცისტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების აკვარგის, ეროვნული იდეალების გამოხატვის საუკეთესო საშუალება გახდა. პუბლიცისტურობა მძლავრად შეიჭრა მწერლობაში, მათ შორის ისეთ ემოციურობითა თუ ექსპრესიულობით გამორჩეულ სფეროში, როგორც არის ლირიკა. ამას ყველაზე მეტად XIX საუკუნის უპირველესი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის ლირიკა ცხადყოფს.

პუბლიცისტიკის ენა გახდა პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერების პრობლემათა მასობრივ აუდიტორიამდე მიტანის საუკეთესო ფორმა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში პუბლიცისტიკის პოპულარობას ის ფაქტიც ცხადყოფს, რომ საზოგადოებრივ ასპარეზზე ნიჭიერი პუბლიცისტების მთელი თაობა გამოვიდა, რომელთა შორის განსაკუთრებით ორი დიდი მოღვაწე გამოირჩა - ილია

ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. მათ ძალიან მალე გვერდში ამოუდგა ქართული პუბლიცისტიკის მესამე დიდი სახელი - ნიკო ნიკოლაძე.

სწორედ პუბლიცისტიკის ენით შექმნა ილია ჭავჭავაძემ ქართული XIX საუკუნე, განსაზღვრა (რაც მთავარია, გაუცნობიერა ხალხს) ქვეყნის განვითარების გეზი და ქართველად მყოფობის პოლიტიკური ფილოსოფია.

ნიკო ნიკოლაძე თავისი პირველხარისხოვანი პუბლიცისტიკით არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც აქტიურად იყო ჩართული ევროპულ საზოგადოებრივ-საზოგადოებრივ პროცესებში. იგი წლების განმავლობაში ცხოვრობდა ევროპის ქვეყნებში, აქტიურ პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწეოდა, ურთიერთობდა იმ რანგის ევროპელ მოაზროვნეებთან, უპირატესად პოლიტიკოსებთან, რომლებიც იმჟამად ქმნიდნენ ევროპის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აზრს. ნ. ნიკოლაძის ურთიერთობა მათთან ამ საზოგადოებრივ პროცესებში თანასწორ ჩართულობას და მონაწილეობას წარმოადგენდა. ეს ფაქტი, ვფიქრობთ, ახალ ეპოქაში ქართული გონის, ნიჭის ევროპეიზმის ქმნალობაში მონაწილეობის საინტერესო გამოხატულებაა.

ევროპეიზმის კულტურულ არეალში ჩართულობის თვალსაზრისით შთამბეჭდავი ფაქტებითა და მოვლენებით არის აღსავსე ქართული XX საუკუნის დასაწყისიც. აღნიშნულის ერთი გამოხატულებაა ქართულ მწერლობაში სიმბოლისტური ლიტერატურული სკოლის შექმნა.

XX საუკუნის დასაწყისში (უპირატესად გასაბჭოებამდე) ქართველი ახალგაზრდები განათლების მისაღებად ევროპის ქვეყნებში მიემგზავრებოდნენ. ევროპული უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ბევრი ევროპაში (მათ შორის უნივერსიტეტებში) რჩებოდა სამუშაოდ. ამასთან, თავისებურ პოლიტიკურ მიზნად იქცა ევროპაში თუნდაც მცირე ხნით ცხოვრება, ევროპული კულტურის გაცნობა-გააზრების მიზნით. სწორედ ევროპაში მიღებული განათლების მქონე ახალგაზრდებმა დაამკვიდრეს საქართველოში ევროპული კულტურული ტრადიციები, ამ კულტურის უკანასკნელი მიღწევები და ევროპულად გამართეს ქართული სულიერი კულტურა და საზოგადოებრივი ყოფა. ეს გარემოება ყველაზე გამოკვეთილად ქართულ მწერლობას დაეტყო. აღნიშნულის ერთი გამოვლენა იყო, როგორც ითქვა, ქართული სიმბოლიზმი.

ქართული სიმბოლიზმის ლიტერატურული სკოლა ქუთაისში ჩამოყალიბდა. ამ სკოლის წარმომადგენლებმა თავიანთ ლიტერატურულ გა-

ერთიანებას ცისფერყან-წელთა სკოლა უწოდეს. ცისფერი სიწმინდის სიმბოლისტური ფერი - ამ სახელწოდებაში კომპოზიტურად ქართული ბოჰემის მეტაფორას - ყანწს (როგორც ღვინის სასმისს) ერწყმოდა. ცისფერყანწელთა სკოლა ერთხანს ქუთაისში არსებობდა, შემდეგ თბილისში გადმოვიდა და თბილისის „ლიტერატურული ბოჰემა“ ერთბაშად გააევროპულა, საბოლოოდ განდევნა ადმოსავლური (სპარსული) ლიტერატურული ტრადიციები ხალხური პოეტების - აშუღების პოეზიის ფორმით რომ შემორჩენოდა, ევროპულად გამართა ისეთი პოეტების მხატვრული ცნობიერებაც, რომლებიც ადმოსავლური მოტივების, ბაიათების თხზვაში ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. ამის თვალსაჩინო მაგალითია იოსებ გრიშაშვილი, იმ დროის თბილისის უპირველესი პოეტი, მეეტლეობასა და აშუღობაზე მეოცნებე ფირუზა მამულაშვილი. იგი სწორედ ცისფერყანწელთა მაღალმა ესთეტიზმმა და ევროპულმა ლიტერატურულმა ცნობიერებამ, გემოვნებამ შეაბრუნა ახალი, ევროპული ყაიდის, პოეტური ტედენციებისაკენ და ისეთი კეთილნაყოფიერი ზეგავლენა მოახდინა, რომ კლასიკოსი, სახალხო პოეტის რანგშიც კი აამაღლა მისი პოეზია. ამასთან ერთად, იგი, გარკვეულწილად ახალი ლიტერატურის თეორეტიკოს-მკვლევრადაც კი გადააქცია, რასაც უტყუარად მოწმობს მისი ორიგინალური გამოკვლევა - თბილისის ლიტერატურული მატთანე - „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ (1928).

„ცისფერყანწელთა“ მიზანი იყო თბილისის გადაქცევა „ადმოსავლეთის პარიზად“. ეს იდეა ღიად (დეკლარირებულად) არის გაცხადებული ცისფერყანწელთა ლიტერატურულ მანიფესტში, რომლის ავტორობა უნიჭიერეს პოეტს პაოლო იაშვილს ეკუთვნის.

ქართველმა სიმბოლისტებმა ფრანგ სიმბოლისტ პოეტებთან პ. ვერნელთან, ა. რემბოსთან, შ. ბოდლერთან, ს. მალარმესთან სულიერი ერთიანობა ღიად განაცხადეს და ევროპული პოეტური აზროვნების სიმბოლისტური ხედვა-ხილვების თბილისში გადმოიტანა დაისახეს მიზნად.

ცისფერყანწელებმა მთელი ეპოქა შექმნეს XX საუკუნის ქართულ პოეზიაში: თემატიკასთან ერთად ლექსწყობაშიც გადმოიტანეს ევროპული საზომები (სონეტი, ტრიოლეტი...); რაც მთავარია, ქართულმა პოეზიამ შეიძინა ერთი თაობისათვის წარმოდგენილად ბევრი დიდი სახელი პოეტებისა, რომლებიც წარმატებით დაამშვენებდნენ რაგინდარა ქვეყნის პოეზიის პარნასს. ამ მხრივ

თუნდაც ისეთი სახელების გახსენებაც რად ღირს, როგორებიცაა პაოლო იაშვილი, ტიცინა ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, სანდრო ცირეკიძე, კოლაუ ნადირაძე; მათთან პოეტური ვიზიონებით ახლოს მყოფნი გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე და სხვანი. ევროპულ ლიტერატურულ მიმდინარეობებთან განუყოფლობის მისწრაფებები საბჭოურმა იდეოლოგიამ და სოციალისტური რეალიზმის ნამძალადევად თავსომოხვევამ შეაჩერა. 1937 წელი აღმოჩნდა ევროპეიზმის კულტურული ტრადიციებისა და ნოვაციებისათვის „რკინის ფარდით“ გზის გადაკეტვის წლად. იდეოლოგიურ წნეხს პირდაპირი (ფიზიკური) რეპრესიებიც დაერთო და ამ პოლიტიკის შედეგად ევროპული კულტურის, ზოგადად ევროპეიზმის ღირებულებების მიმდევარი არა ერთი ხელოვანი სიკვდილით დაისაჯა და ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან.

1937 წელი ქართულ კულტურაში ევროპეიზმის კულტურული ტრადიციების ნამძალადევი შეფერხების წელი აღმოჩნდა. ევროპეიზმი საბჭოთა ეპოქაში საქართველოში არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდა. XX საუკუნის 40-50 წლებიდან ევროპეიზმის იდეები, ევროპის კულტურული ტრადიციები კერძო კომუნიკაციების მეშვეობით აღწევდა. ქართველი საზოგადოება სხვადასხვა გზითა და ფორმით ეცნობოდა ევროპეიზმის სიახლეებს, ოღონდ ეგ იყო, რომ ქართული კულტურის (ხელოვნების, მწერლობის...) მოღვაწენი იძულებით „საქმის კურსში ყოფნის“ შესაძლებლობებით კმაყოფილდებოდნენ.

ქართული კულტურის უფრო რადიკალურად (ოპოზიციურად) განწყობილმა მოღვაწეებმა კი საბჭოთა საქართველოში დარჩენას უცხოეთში (უპირატესად ევროპაში) ემიგრირება ამჯობინეს და იქ თქვეს თავისი სათქმელი. მაგალითისათვის, უნიჭიერესი მწერლის, მოაზროვნის, პუბლიცისტის გრიგოლ რობაქიძის სახელის გახსენებაც იკმარებს. იგი 37 წლის რეპრესიებამდე გაეცალა ბოლშევიკურ საქართველოს, ევროპაში (უმთავრესად გერმანიაში) დამკვიდრდა და იქ გაშალა გასაოცარი შემოქმედებითი მოღვაწეობა. მან მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია გერმანულ პოლიტიკურ აზროვნებას, მწერლობას (აღიარეს გერმანული ლიტერატურის კლასიკოსად), პუბლიცისტის კლასიკოსად, იგი წარმატებული ორენოვანი (ქართული, გერმანული) მოაზროვნის, მწერლის, პუბლიცისტის კლასიკოსად შევიდა ქართული და გერმანული კულტურების ისტორიაში.

საბჭოური იდეოლოგია და „რკინის ფარდის“ სიმკაცრე კომუნისტური რეჟიმის მძვინვარების

წლებშიც კი ვერ ანელებდა ინტერესს ევროპისა და ევროპეიზმისადმი. ქართული ჰუმანიტარული აზროვნება, ფილოსოფიის, ფილოლოგიის მეცნიერებები, ისტორიამცოდნეობა თავისებურად (იდეალად) თვალს ადევნებდა ევროპის ქვეყნების ხელოვნების, მწერლობის, ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი მეცნიერებების განვითარებას, ეხმიანებოდა, ქართულ ვარიაციებს ქმნიდა და ამ ფორმით შეჰქონდა თავისი წვლილი ევროპეიზმის დიდი შინაარსის გაღრმავებასა და გამრავალფეროვნებაში.

დასკვნა

ქართული კულტურა, მწერლობა, ფილოსოფიური და ფილოლოგიური აზროვნება იმდამდგარია, რასაც მოგვიანებით ევროპულის სახელი დაერქვა; იგი ევროპული კულტურის სადავეებთან დგას, მარად ეხმიანება იმით, რომ ევროპეიზმის დიდი

შინაარსის განსაზღვრაში მონაწილეობს.

ქართული ისტორიის კატაკლიზმების გამო ქართული კულტურა ევროპულს დრო და დრო ძალადობრივად მოწყდებოდა ხოლმე, მაგრამ გენეტიკური ერთიანობის განცდა კვლავ და კვლავ აბრუნებდა ევროპისაკენ.

ქართული კულტურა ამჟამადაც ევროპეიზმის კულტურული არეალის დიდი შინაარსის გამოვლენას წარმოადგენს. ამჟამად, ევროპასთან დაახლოებისა და ევროპულ კულტურაში ინტეგრირების თვალსაზრისით უპრეცედენტო შესაძლებლობების ეპოქაში ქართულ კულტურულ ცნობიერებას, მისი ღირებულებითი სისტემის ელემენტებს-ფილოლოგიას, ხელოვნებას, მწერლობას, ჰუმანიტარულ აზროვნებას დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ევროპული კულტურის ამჟამინდელი კრიზისის დაძლევაში.

Europeanism of Georgian writing and humanitarian thought

*Temur Jagodnishvili, professor
Georgian Technical University*

Summary

Hegemonic countries of modern times are proud of one or two values included in the world civilization on the way of human history...

Little Georgia decorated the treasures of the world civilization with three great values: one is the technology of metallurgy (forging iron in fire), the second is medical knowledge, the third is the culture of vines and the mysterious phenomenon of wine.

These values are from time immemorial and their essence has been brought to us in mythopoetic language. Because of this, not only foreigners, but even Georgians themselves are no longer aware of the content of these three icebergs of Georgian civilization. It is true that the mythopoetic language kept the great names of Georgian civilization from the oblivion of history - Amiran, Medea (mythical metaphors of metallurgy and medicine), vine and wine culture, but the pragmatics of time still added ambiguity, and so much so that the Georgians of the new eras preserved the subconscious feeling of the great civilization created by their ancestors. ... and because of this, the Georgian of the new age is somehow incomprehensible; He prides himself on something big, which he doesn't even remember, and which he reminds himself of by association from genetics... He is also less aware that the leopard skin tells us the extent and boundaries of the great expanse of Georgian civilization... and yet:

Georgian culture does not remind itself of modernity only with the past. It is currently nourishing the world culture. For example, even the phenomenon of "tolerance and diversity" can be used, which is seen as an achievement of modern European culture. The actual existence of this phenomenon in Georgia, for example, in the 17th century, surprised the French businessman Jean Chardin, who said: "Everyone in Georgia has the right to live according to their laws and customs, to speak freely about this matter and to defend their opinion" (J. Chardin, "Traveling in Georgia", translated from French V. Barnov, vol., 1935, p. 85).

Skeptics who doubt the existence of Georgian civilization should not forget the existence of Georgian civilization even in this form...

On the basis of the mentioned, it can be said that the ancient (prehistoric) Georgian civilization brought messages to us in mythopoetic form and assigned the main message to writing (literature).

Key words: Europeanism, European culture, Georgian writing, humanitarian thinking.

Globalization and Cross-Cultural Communication

*Tamar Mebuke, Professor
Georgian Technical University*

Abstract

Nowadays, when the process of globalization has made borders between countries transparent, exchange of information and professional contacts on everyday basis a common practice, knowledge of a common language as a means of communication has become a necessity. As the main language of science, computers and cross-cultural communication, the English language has acquired a special position among other languages. Knowledge of the English language has become a must for anyone if they want to succeed in their career, no matter which one. This implies the necessity of considering all issues involved in the process of teaching English that people of other cultural backgrounds come across. Teaching students a foreign language should be based on acquiring language competences together with broad cultural studies of other countries as well as development of respect to one's own language and realization of responsibility for its preservation and development. Consequently, the process of globalization stresses the importance of using an English language classroom as an opportunity for forming appropriate attitude for evaluation of the world around us, as foreign language teaching, unlike teaching other subjects, involves not only development of the four basic language skills, i.e. listening, speaking, reading and writing. Teaching a foreign language should also include teaching of appreciation of foreign people, helping learners to readjust their attitude towards the world and towards themselves. Multicultural education develops appreciation and understanding of one's own culture, and other cultures; understanding of uniqueness of one's own culture and acceptance of other cultures.

Keywords: globalization, cross-cultural studies, language, communication, culture

Introduction

Understanding principles underlying successful communication have become especially important nowadays with the process of globalization going on and leading to close interaction of people of different cultures and nationalities. It has created the need for tolerance of other cultures, their respect and understanding. It has also engendered studies of the essence of communication, relations between language and culture, the role of

language in formation of personality, national character, community and culture. Attention to these question has become a necessity in Foreign Language Teaching, which firstly requires understanding of what language is and the role it plays in the life of man and a society.

Language is defined as human and non-instinctive method of communicating ideas, feelings and desires by means of a system of sounds and sound symbols (Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English). While to communicate means to pass on (news, information, feelings, etc.), and communication is defined as an act of imparting (esp. news); intercourse. As a social being that lives in a society, man has to socialize, to communicate with other members of community. Words social and socialize, community and communicate are related, which indicates to the close connection of the notions they express. Language, used for communication, distinguishes man from all other living beings. Communication guides people, their lives, development, behaviour, as well as their perception of the world and themselves within it.

As a means of communication, language has a unique role in the life of human beings. It is not just a way of expressing of a particular view of the world by a definite nation; it is of a significance as it is able to express a separate culture. In its turn, culture is understood as a set of beliefs and values about what is desirable in a community of people and a set of formal and informal practices to support the values. Culture also includes shared traditions, norms that regulate human life, customs, arts, history, folklore, and institutions of a group of people, as well as their views, experience, and attitudes to different and new ideas. Consequently, teaching a foreign language has cross-cultural importance, as cultural competence presupposes extra linguistic knowledge, skills and ways of appropriate behavior when communicating with representatives of other cultures, ability to perform cross-cultural communication based on language knowledge and cultural awareness and their appropriate implementation in different situations when coming into contact with representatives of different cultures with the purpose of better mutual understanding. Mutual understanding in the dialogue of cultures may only be gained by understanding a foreign culture, by its respect and ac-

knowledge of its importance. It includes awareness and respect of the system of values of another nation.

The Main Part

Language reflects culture and transfers it to future generations in a form of lexis, grammar, idioms, sayings, folklore and literature. It forms a person as together with learning a mother tongue, a child acquires common cultural experience of previous generations, their world perception, mentality and attitudes. According to Sepir (1993: 211), language does not exist without culture, i.e. without socially inherited practical skills and ideas that are characteristic to our way of life. Hence, teaching a foreign language in a cross-cultural context should involve explaining a foreign culture as something that coheres its people as a society (Hall 1997). Cultural studies help learners get used to the idea that there are many equally justifiable lifestyles, cultures, and points of view which we all should try to understand and respect as all cultures have made significant contributions to civilization.

In its turn, understanding of a culture and its people becomes deeper by studying their language. Emmitt and Pollock (1997) argue that even if people are brought up under similar behavioural backgrounds and culture, but speak different languages, they may have very different world view. As Sapir-Whorf (1993: 124) argue, different thoughts are brought about by the use of different forms of language. Both grammatical and verbal structure of a person's language influences how they perceive the world; that is language either determines or influences one's thoughts. Even people brought up in the same culture and speaking the same language will have some differences in behaviour and way of speaking determined by their regional differences.

Language is rooted in culture and culture is reflected and passed on by language from one generation to the next (Emmitt, Pollock 1997). That is the reason why language is regarded as one of the main bases of national identity. Consequently, it is not enough to know meanings of words and grammar rules in order to be able to use a language as a means of communication. Background knowledge is of equal importance. The knowledge of how to say or write, when, to whom, how and in whose presence; of how a definite meaning, notion or idea exist in the minds and reality of the bearers of a studied language are not less important. That is, socio-cultural reflection of reality should be taught along with a foreign language that reflects it (Ter-Minasova 2000: 29).

Specific features of languages and cultures are only

revealed when we compare a foreign language with our native one, a foreign culture – with our own culture. Simultaneously, linguistic and cultural comparisons broaden minds of those who learn about them. As Wilhelm von Humboldt wrote, through multitude of languages we reveal the richness of the world and the diversity of what we learn about it; and human existence becomes richer for us, as languages in distinct and effective ways show us different ways of thinking and perception (1985: 349).

Importance of adequate comprehension was highlighted in Austin's Speech Act Theory (1975). According to this theory, a speaker simultaneously performs three acts: locutionary, illocutionary, and perlocutionary acts. Performing a locutionary act, a speaker is conveying literal meaning by means of syntax, lexis and grammar. An illocutionary act expresses the speaker's intention for saying something. A perlocutionary act is the consequence, or the change brought about by the utterance. If the listener does not comprehend according to the speaker's intention, the perlocutionary act fails, which leads to communication failure. In cross-cultural communication such failure may be caused by ignorance of cultural differences, or by inadequate knowledge of the language.

Cross-cultural education implies knowledge of foreign languages. That is why the above mentioned questions have gained a paramount importance in the modern world where language skills and abilities are among factors which determine competitiveness in personal and social life, in business and on labor market. That is why all aspects of successful cross-cultural communication should be studied thoroughly starting from the first stage of learning a foreign language. According to Critical Period Hypothesis, capacity for acquiring languages declines with maturation (Dong G., Ren H. 2013: 2) as after the formation of the world picture is completed, the portal of another language acquisition becomes very narrow since the denotations and connotations are already tied to particular objects or phenomena of material or spiritual environment of certain culture. Consequently, another language acquisition often means substitution of written or spoken signs depicting the words in the native language by corresponding foreign signs. Hence, foreign language teaching should include description and explanation of the peculiarities of the foreign language system as a whole.

Nowadays all above mentioned issues are aggravated by the process of globalization of the English language. Knowledge of the English language has become a must

for anyone if they want to succeed in their career, no matter which one. Globalization has made borders between countries transparent, exchange of information and professional contacts on everyday basis a common practice, which requires knowledge of a common language as a means of communication. This process is aided by the increasing influence of television and internet which have brought down the world to a single "village". Such reality shows that our world has entered the age of globalization of the English language, in which most observers see a tendency towards homogeneity of values and norms (Stromquist, Monkman 2000: 7).

Nevertheless, we should try to protect and develop our native languages while teaching a foreign language. We should keep in mind that by giving away our native languages by and by we not only give away our languages that represent the basis of our psyches, world perception and culture, but are on a way of losing national identities. This question is of paramount importance for language teachers at all levels of education and should be especially considered while teaching English at Universities. Teaching different courses of translation may be one way of solving the problem, as translation has always been regarded not only as a transmitter of truth and knowledge, but also of culture. It will give students a better understanding of the subject matter, as well as a habit of finding equivalents for foreign terms, that is thinking in a native language. It will teach them respect for their languages and the responsibility for preserving and developing them. Simultaneously, university programs should have courses on cultural studies of native country and Anglo-American world, which show similarities and differences in world perception, attitudes to moral and ethical values, differences in life styles.

In connection with this we may recall T.S. Eliot's attitude to the national problem. Affirming diversity of culture, he saw the need for what he termed "regions" to remain culturally distinct. In "Notes towards the Definition of Culture" he argued that a man should feel himself to be, not merely a citizen of a particular nation, but a citizen of a particular region of his country, with local loyalties. In the essay "Christianity and Culture" he points out that "regions," whom he calls "satellite cultures," contribute to the richness and complexity of English culture. He suggests two reasons for sustaining of local cultures, the first one is that any vigorous small people wants to preserve its individuality. The other reason for the preservation of local culture is ... that the satellite exercises a considerable influence upon stronger culture; and so plays a larger part in the world at large

than it could in isolation." That is "... the survival of the satellite culture is of very great value to the stronger culture" (Christianity and Culture). In our opinion, if we transfer T.S.Eliot's approach to a national problem into a broader context, we will get the right attitude to one of the main problems we are facing today.

Hence, only that language or cultural policy may be considered to be right if it allows any culture to become known to the world at large, to say its say in the dialogue of cultures. Teaching students a foreign language should be based on acquiring language competences together with broad cultural studies of other countries as well as development of respect to one's own language and realization of responsibility for its preservation and development.

The process of globalization stresses the importance of using an English language classroom as an opportunity for forming appropriate attitude for evaluation of the world around us. According to Wilga M Rivers (1983) foreign language teaching, unlike teaching other subjects, involves not only development of the four basic language skills, i.e. listening, speaking, reading and writing. Teaching a foreign language should also include teaching of appreciation of foreign people; helping learners to readjust their attitude towards the world and towards themselves. Multicultural education develops appreciation and understanding of one's own culture, and other cultures; understanding of uniqueness of one's own culture and acceptance of other cultures.

Conclusion

Such approach to foreign language teaching helps to avoid such problems of learners, as language shock i.e. doubt and confusion when using a foreign language, and a culture shock, i.e. anxiety and stress that some people experience when coming into contact with a cultural and linguistic environment that is significantly different from their own (Schumann, 1978), which often results from the fact that most people are used to the idea of ethnocentrism, i.e. believing that their culture is the best. While interacting with people of a different culture, one may find that some of his/her own assumptions about life and cultural values may be different, or not equally important to members of another culture. Religion, moral behavior, justice, racial equality, work ethic and privacy are areas where there are a great deal of cultural variations, and people may have difficulty dealing with these differences.

During the process of globalization countries and cultures are increasingly interacting with each oth-

er. Unfortunately, increased contacts often lead to increased miscommunication. Carl Rogers (1961) states that real communication takes place when we listen with understanding. However, when cultural stereotypes come into play, speakers may communicate with no real understanding. Language contains extremely rich cultural connotations, which not only have the history and cultural heritage, but also mirror the reality of the culture (Zhang, 2007). Miscommunication may result even from misunderstanding of a body language of the representatives of another culture. In this connection the authors of the book “Essentials of Business Communication” Mary Ellen Guffey and Richard Almonte give a very amusing example of misunderstanding. A group of Canadian businessmen arrived in Japan with a business proposal. During their meeting with the Japanese colleagues they explained the essence of their proposal

and were delighted that the Japanese listened to them attentively and nodded their heads. However the next day they were greatly surprised by the fact that the Japanese had not signed the contract. Why? Because for the Canadians nodding meant agreement, while for the Japanese it only meant understanding of the subject matter being discussed.

Taking into consideration all above mentioned factors, we understand the importance of cross-cultural studies and the necessity of their inclusion into programmes of all educational establishments, especially at a higher levels of education when young people are prepared for contacts and collaboration with colleagues in cross-cultural environment of the modern world. Understanding of cultural differences and tolerance to them can only be achieved through knowledge and respect of other cultures.

References:

1. Austin, J. L. 1975. *How to Do Things with Words*. Britain: 2nd ed. Oxford: Clarendon Press. *How Language and Culture Barriers Can Hinder the Healthcare Process*. printed on July 27, 2017. National Institute of Health (NIH) <https://www.ncbi.nlm.nih.gov>
2. Dong, G., Ren, H. *The Role of Age in Second Language Acquisition - A Psychological Perspective*. *British Journal of English Linguistics* Vol.1, No.1, December 2013, pp.1-6, p.2.
3. Emmitt M. Pollock J. 1997. *Language and learning: an introduction for teaching* (2nded). Melbourne: Oxford University Press.
4. Grice, H. P. 1975. *Syntax and Semantics 3: Speech Acts*. New York: Academic Press. Hall, S. (Ed.). 1997. Introduction, representation: Cultural representations and signifying practices. (pp. 1-52). Hipsher, Scott A. (2006) *The Internet TESL Journal*, Vol. XII, No. 3.
5. Humboldt W. von. 1985. *Language and philosophy of culture*. Moscow, p. 349. Rivers, Wilga M. 1983. *Communicating Naturally in a Second Language*. Cambridge: Cambridge University Press.
6. Sapir, E *Communication // Selected works on linguistics and cultural studies*. M., 1993, p. 211. Schumann, J. 1978. *The Acculturation model for second language acquisition*. In R. Gingras (ed.). *Second Language Acquisition and Foreign Language Teaching*. Arlington, VA. Center for Applied Linguistics.
7. . Stromquist N.P., Monkman K. 2000. *Defining globalization and assessing its implications on knowledge and education*. In NP Stromquist & K Monkman (eds) *Globalization and education: integration and contestation across cultures*. Lanham: Rowman & Littlefield, pp 3–20
8. Ter-Minasova. S.G. 2000 *Language and intercultural communication*. Moscow, Slovo.
9. Zhang Rude. 2007. *Word Form and Meaning Identification*. Yunnan: Yunnan University Press.

*თამარ მეზუკე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

დღეს, როდესაც გლობალიზაციის პროცესმა ქვეყნებს შორის საზღვრები გამჭვირვალე გახადა, ყოველდღიურად ინფორმაციის გაცვლა და პროფესიული კონტაქტები ჩვეულებრივი პრაქტიკაა, საერთო ენის, როგორც კომუნიკაციის საშუალების ცოდნა აუცილებლობად იქცა. როგორც მეცნიერების, კომპიუტერებისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის ძირითადი ენა, ინგლისურმა ენამ განსაკუთრებული პოზიცია დაიმკვიდრა სხვა ენებს შორის. ინგლისური ენის ცოდნა ყველასთვის აუცილებელი გახდა, თუ მათ სურთ ნებისმიერ კარიერაში წარმატების მიღწევა. ეს გულისხმობს ინგლისური ენის სწავლების პროცესში ჩართული ყველა საკითხის გათვალისწინების აუცილებლობას, რომელსაც სხვა კულტურული წარმოშობის ადამიანები აწყდებიან. სტუდენტებისთვის უცხო ენის სწავლება უნდა ეფუძნებოდეს ენობრივი კომპეტენციების შეძენას სხვა ქვეყნების ფართო კულტურულ კვლევებთან ერთად, აგრეთვე საკუთარი ენისადმი პატივისცემის განვითარებასა და მის შენარჩუნებაზე პასუხისმგებლობის გაცნობიერებას. შესაბამისად, გლობალიზაციის პროცესი ხაზს უსვამს ინგლისური ენის კლასის გამოყენების მნიშვნელობას, როგორც ჩვენს გარშემო არსებული სამყაროს შესაფასებლად სათანადო დამოკიდებულების ჩამოყალიბების შესაძლებლობას, რადგან უცხო ენის სწავლება, სხვა საგნების სწავლებისგან განსხვავებით, მოიცავს არა მხოლოდ ოთხი ძირითადი ენობრივი უნარების განვითარებას, ანუ მოსმენას, საუბარს, კითხვას და წერას. უცხო ენის სწავლება ასევე უნდა მოიცავდეს უცხო ადამიანების დაფასების სწავლებას, ეხმარებოდეს მოსწავლეებს გააცნობიერონ თავიანთი დამოკიდებულება სამყაროსა და საკუთარი თავის მიმართ. კულტურათაშორისი განათლება ავითარებს საკუთარი კულტურისა და სხვა კულტურების დაფასებას და გაგებას; საკუთარი კულტურის უნიკალურობის გაგებას და სხვა კულტურების მიღებას.

ნებვაყოილის საიდუმლო

მურმან თავდიშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნებისმიერი გენიალური ნაწარმოების თავისებურება ასეთია: აქ ზოგიერთი საყოველთაოდ ცნობილი სიტყვა ან ცნება ხშირად აფართოებს საკუთარ სემანტიკურ ველს და არაერთ შინაარსს იტევს. შეინიშნება სხვა რაიმეც: არა ოდენ შინაარსის ოდნავ შერხევას ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა საბოლოო აზრის გამოტანისას, არამედ თვით ფორმასაც კი. ხშირად ამა თუ იმ სემანტიკური ოდენობის ფორმოზრევ შერხევა-შეცვლასაც კი შინაარსის ან იდეის გარდაქმნა და გადასხვაფერება ძალუძს.

ამის მაგალითებით მდიდარია „ვეფხისტყაოსანი“. ავიღოთ სიტყვა ლები. მას პოემაში შეიძლება ჰქონდეს (კონტექსტის მიხედვით) სილურჯის, დაჟეჟილობის, წყლულის და, ბოლოს, თვალთ უხილავი სიყვარულის წყლულის მნიშვნელობაც კი! შეიძლება მოვიყვანოთ საამრიგო საუკეთესო მაგალითი. ესაა სიტყვა „კარგი“, რომელმაც უკვე მოასწრო და ბევრი სწავლული დააბნია, რაკილა იგი მხოლოდ დღევანდელი გაგებით გაიაზრეს. აბა, და, ვინ მოიფიქრებდა, თუ **კარგი**, არც მეტი, არც ნაკლები, ძველად ნიშნავდა **რიგს, მწკრივს, კატეგორიას, სირას ...**

რუსთველოლოგები იკვლევდნენ და იძიებდნენ სიტყვა ნებვს, რომელიც პოემაში ორჯერ არის მოხსენიებული და ლამობდნენ მისი შინაარსის დადგენას, თუმცა ამ მხრივ საკითხი ბოლომდე ვერ გადაწყვიტეს. პრობლემა ბუნდოვანების ნისლითაა მოცული თვით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის ოქმებშიც. არადა ამ კომისიაში ქართველ მეცნიერთა საუკეთესო ძალები იყვნენ თავმოყრილი: აკადემიკოსები ალ. ბარამიძე, გ. წერეთელი, შ. ძიძიგური, ივ. გიგინეიშვილი; პროფესორები გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, მ. არაბული და სხვანი. კომისიის ოქმებით დასტურდება: საკითხი გადაუწყვეტელია. კომისიის წევრები ვერ შეთანხმდნენ, თუ რასა ნიშნავს ფორმა „ნებვთა“; საგულისხმოა, რომ მათ მოსაზრებებში სამეცნიერო არგუმენტი არც კი ჭაჭანებს.

ჩვენ კი ვფიქრობთ: აღმოვაჩინეთ პოემის საძიებელი პასაჟის პარადიგმული ნიმუში პოემის წინამორბედ ნაწარმოებში. ეს გახლავთ „ვისრამიანი“. ამან საშუალება მოგვცა, დაგვედგინა: ნებვი ყოფილა მატითელათა რიგის მცენარე და მას ჰქონია

მეორე სახელიც – ესაა წალიკა, სწორედ ისე, როგორც გვაქვს ორი პარალელური სახელი სხვა მცენარისა **კომში** და **ბია**.

ამ მიგნების შედეგად მოიხსნა საკითხი: „ვეფხისტყაოსნის“ ნებვი მცენარის ყვავილია თუ საქონლის ნაკელი – **ფუნა**.

შესავალი

ცნობილი მკვლევარი-რუსთველოლოგი პროფ. ვუკოლ ბერიძე მიუთითებდა: ისე ღრმა და უძირა „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივი სამყარო, რომ ზოგჯერ რომელიმე კონკრეტული სიტყვის გამოძიება მთელი სრული გამოკვლევის დაწერას მოითხოვსო. რაც უფრო მეტს მუშაობ ამ მიმართულებით, აღნიშნული სიტყვების ჭეშმარიტებაში მით უფრო მეტად რწმუნდები. მართლაც რომ მთელი გამოკვლევის დაწერა სჭირდება პოემაში ნახმარი ისეთი სიტყვების შინაარსისა და მართებული ფორმის დადგენას, როგორებიცაა **კარგი, მეკრე, უცხო, ნებვი...**

ძირითადი ნაწილი

ამჟამად განვიხილოთ ქმნილებაში ორჯერ ნახსენები სიტყვა ნებვი. იგი ორივეჯერ ამ ფორმითაა მომარჯვებული – **ნებვთა**.

აღნიშნული ლექსემა ბევრჯერ ყოფილა მსჯელობის საგანი. მის შესახებ ვიეთნი რას ამბობდნენ და ვიეთნი – რას!

საგულისხმოა, რომ მასზე მსჯელობა გამართეს პოემის ტექსტის დამდგენ კომისიაში, სადაც თავშეყრილი იყვნენ საუკეთესო რუსთველოლოგები, ცნობილი პროფესორები და აკადემიკოსები, რომელთაც საკითხის ისტორია ზედმიწევნით იცოდნენ. კომისიის სხდომათა ოქმები გამოქვეყნებულია ორ ტომად. მეორე ტომში დაბეჭდილია მკვლევართა მოსაზრებანი. მათ, კერძოდ, სამსჯელოდ აქციეს სტროფი, რომელშიც ჟღერს სტრიქონი:

უმისოდ ნებვთა ზედა ვზი ბულბული მსგავსად ყვავისად.

ტაეპს მოსდევს კომენტარი: „ც. კიკვიძისა და ს. ცაიშვილის აზრით, ნებვი ჩვეულებრივი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ; „ვეფხისტყაოსანში“ მას ყვავილის, მცენარის მნიშვნელობა არა აქვს; ი.

გიგინეიშვილის, შ. ძიძიგურის, გ. კარტოზიას აზრით, არ არის გამორიცხული, ნეხვი „ვეფხისტყაოსანში“ ყვავილის მნიშვნელობით იხმარებოდეს” (II, 47).

როგორც ვხედავთ, გადაჭრით ვერც ერთი მხარე ვერ აცხადებს, ნეხვი მცენარეა თუ არამცენარე, ვთქვათ, ნაკელი, ფუნა. მკვლევრები ოდენ ვარაუდს გვთავაზობენ. ეს კი მეცნიერება აღარაა. ამასთანავე, როგორც დავინახეთ, არც ერთ მხარეს რაიმე სამეცნიერო არგუმენტი არ მოჰყავს.

ჩვენი აზრით, იძებნება არაერთი საბუთი, რომლებიც საკითხის გადაწყვეტის საშუალებას იძლევიან.

არგუმენტი პირველი:

პოემაში ნეხვი, შეუძლებელია, ჩვეულებრივ, დღევანდელ გაგებას შეიცავდეს. ამაზე მეტყველებს უბრალო ლოგიკა. შევიხსენოთ ქმნილების სხვა ადგილი, სადაც ნათქვამია:

**ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა ნუშმა შენ მოგეწყინების!**

როგორც კარგად ვხედავთ, აქ ერთუროს უპირისპირდება ვარდი და ნეხვი, რაც იმას მოასწავებს, რომ ორივე მცენარეა!

მთავარი სხვა რამაა: თუ ქართველ გლეხკაცს ფუნას ადარებს რუსთველი, მაშინ რაღა კაცია?! ნუთუ მაღალი სულიერებისა და მამულიშვილური პათოსის მქონე ავტორი ამგვარ მკრებელობას ჩაიდენდა?! მეორეც, განა გონიერებით, მაღალი პასუხისმგებლობით აღვსილი მამა-მეფე როსტევეანი ასეთ რასმე ასწავლის და შეაგონებს ქალიშვილს, რომ თავადი ვარდია, ხოლო გლეხკაცი – ფუნა?!

ნუ იყოფინ?

ესეც მეორე არგუმენტი.

უფრო მნიშვნელოვანია **მესამე არგუმენტი:**

რუსთველი პარალელიზმის დიდოსტატია. ავიღოთ ცნობილი მონაკვეთი:

**ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების!**

ვხედავთ: ერთი მხრივ, ერთუროს დაუპირისპირდა **ვარდი** და **ნეხვი**, ხოლო ამის შესაბამისად, პარალელიზმის კანონიდან გამომდინარე, მეორე მხრივ, ერთმანეთს დაუპირისპირდა **დიდთა** და **წვრილთა**.

ვინაა **დიდი** და ვინაა **წვრილი**?

ეჭვი არაა, **დიდნი** გახლავან ბობოლა არაბები, წარჩინებულნი, დიდებულნი, თავადნი, ხოლო **წვრილნი** არიან ხელოსნები, გლეხები, მუშები, ანუ წვრილი ხალხი, დაბალი ფენა, წვრილი ერი.

ამისდა კვალობაზე უნდა განვიხილოთ პარალელიზმის პირველი წყვილიც. ეჭვი არაა, **დიდთა** შეესატყვისება **ვარდთა**. მაშასადამე, დიდია ვარდი, ხოლო, თუ **წვრილთა** პარალელს მოვუძებნით, შეუძლებელია ის იყოს ფუნა, რადგან **ფუნა ვარდზე** დიდია?

მართო ამ ლოგიკითაც კი შეუძლებელია, წვრილი ნიშნავდეს ნეხვს (ფუნას).

მაშასადამე, რაკილა დიდი გახლავთ ვარდი, ნეხვის ყოილი უნდა იყოს რაღაც მცენარე, რომელსაც წვრილი ყვავილი აქვს, ყოველ შემთხვევაში, **დიდ ვარდზე** პატარა მაინც.

ირკვევა: ეს მართლაც ასეა და ისიც დგინდება, რომ **ნეხვს** ჰქონია მეორე სახელიც, სწორედ ისევე, როგორც გვაქვს **ბია** და **კომში**.

ნეხვის მეორე სახელი ყოფილა **წალიკა**.

„ვისრამიანში“ აღმოვაჩინე იგივე პარალელიზმი, როგორც „ვეფხისტყაოსანში“. იქაც **ვარდს** უპირისპირდება მასზე მდაბალი და პატარა საგანი და ეგ საგანი გახლავთ ასევე მცენარე, ოღონდ ხარისხით დიდად მდარე. აი, ეს სენსაციურად მნიშვნელოვანი პასაჟი. ვისი აცხადებს: „მე ვარდი დავთესე და მისგან ნაყოფი მომივიდა, აწ **ზედითსა მყარალსა წალიკასა** აღარ ვემებო“ (ქართული მწერლობა, 3, 200).

ამრიგად, გაირკვა, რომ **სურნელოვან ვარდს** (მცენარეს) უპირისპირდება **მყარალი ნეხვიყოილი**, რომელსაც მეორე სახელად რქმევია წალიკა.

ახლა კი ვნახოთ, რას წარმოადგენს **წალიკა**. ეს გახლავთ ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე მატიტელასებრთა ოჯახისა; აქვს მოგრძო ფოთლები და **მტევნებად ან თავთავისებურად შეკრული წვრილ-წვრილი წითელი ყვავილები**. ეგ წვრილი ყვავილები ჩარიგებულია ერთმანეთის მიყოლებით, მწკრივად; ლათინურად ეწოდება ასე – Polygonum hydropiper (ქეგლ-ი, ერთტომეული, 1986, 551).

აქედან არის შექმნილი სამეტყველო ერთეული **წალიკ-წალიკად**, რაიც გულისხმობს ერთიმეორის მიყოლებით, მწკრივად რაიმეს დაჯრას ან სვლას; აქედანვე მომდინარეობს სოფლის სახელი წალიკარი და ქალაქის სახელწოდება წალკა (წალიკა → წალკა).

დასკვნა

ამრიგად, ნათელი გახდა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ერთუროს უპირისპირდება **სურნელოვანი მსხვილი ყვავილი ვარდი** და **მდარე ხარისხის წვრილი ნეხვიყოილი**, იგივე **წალიკა**; პარალელიზმის არსიც გამოიკვეთა: მსხვილ ვარდსაც და წვრილ წალიკაყვავილსაც თანაბრად ეფინება მზე და შენც, მზეო თინათინ, თანაბარი პატივი მიაგე

დიდგვაროვნებსაც და წვრილ ერსაც!

როგორცა ვხედავთ, ცამდე მართალი გამოდგა
 ვუკოლ ბერიძე, როცა აცხადებდა: „ვეფხისტყაოსნის“
 ზოგიერთი სიტყვის განმარტება მთელი

გამოკვლევის დაწერას უტოლდებო!

ვფიქრობ, ამიერიდან მაინც აღნიშნული საკითხი
 აღარ გახდება დავისა და კამათის საგანი.

The secret of Nekhvakoili

*Murman Tavdishvili, professor
 Georgian Techniacal University*

Summary

The peculiarity of any ingenious work is the following: some famous words or concepts often expand their semantic field and contain multiple contents. Another thing can be noticed: the most important thing for making the final impression is not so much a slight change in content, but even the form itself. Often, even a formal shake-up of one or another semantic sum can transform and change the content or idea.

There are lots of examples like this in the poem "The Knight in the Panther's Skin". We may consider the word „Lebi“. In a poem it can have the meaning (depending on the context) of a blueness, a bruise, a sore, and finally even the invisible sore of love. We can provide the best example of this kind. It is the word “Good” that has already confused many scientists, since they only understood it in its current meaning. Well, who would have thought that “Good”, no more, no less, used to mean queue, row, rank, turn...

Rustelologists have studied and researched the word „Nekhvi“, mentioned twice in the poem, and tried to understand its content, but have not been able to completely resolve the issue in this regard. The problem is unclear even in the protocol of the text-setting commission of “The Knight in the Panther's Skin”. Although this commission brought together the best of Georgian scientists: academicians Al. Baramidze, G. Tsereteli, Sh. Dzidziguri, Iv. Gigineishvili; Professors: G. Kartoziya, Ts. Kikvidze, M. Arabuli and others. This is confirmed by the commission's protocol: the issue has not been resolved. The members of the commission could not agree on what the form "Nekvta" meant; It is significant that in their opinion there is not even a scientific argument.

Meanwhile, we think: we find the paradigmatic model of the search passage of a poem in its predecessor. It is "Visramiani". This allowed us to determine: “Nekhvi” was a plant of the Matitella variety and had another name - Tsalika, just as we have two parallel names for other plants – Komshi and Bia (quince).

As a result of these findings, the issue was resolved: whether in “The Knight in the Panther's Skin” it is a plant flower or livestock manure.

ისტორიის მეცნიერებები

HISTORY SCIENCES

ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის პრელუდიდან ოპერაცია „ოვერლორდამდე“

*გერმანე ფიფია, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ)*

რეზიუმე

აშშ და დიდი ბრიტანეთის „ატლანტიკური“ სოლიდარობის ტრადიციებს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საფუძველი ჩაუყარეს პრემიერმა უ. ჩერჩილმა და პრეზიდენტმა ფ. რუზველტმა. დასავლური სამყაროს ორი გიგანტის თანამშრომლობას განსაკუთრებული ელფერი შესძინა ომის წლებში საბჭოეთის ლიდერის ი. სტალინის პერსონამ, რომლის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა მოკავშირეთა მიერ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება და რეალიზაცია.

ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის პრობლემამ თავი იჩინა საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმისთანავე. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების ათეულობით წლების შემდეგაც, როგორც დასავლეთის, ისე პოსტსაბჭოთა ეპოქისა და სივრცის პროფესიონალ მკვლევართა საზოგადოებებს შორის დღემდე გრძელდება დისკუსია პრობლემის დიპლომატიურ მდგენელზე.

მეორე ფრონტის პრობლემა ბრიტანულ - საბჭოურ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში იმთავითვე ხდება განხილვის საგანი, რასაც ადასტურებს ლონდონში საბჭოთა ელჩის ი. მაისკის საუბარი ბრიტანეთის სამხედრო კაბინეტის წევრ ლორდ ბივერბრუკთან (1941 წლის 27 ივნისი). ლორდმა ელჩს ევროპაში სამხედრო ოპერაციების საინტერესო გეგმაც შესთავაზა, მაგრამ ამას ოფიციალური გაგრძელება არ მოჰყოლია. „ნისლიანი ალბონის“ პრემიერის პოზიცია საბჭოეთის მიმართ უპირატესად ვერბალური დაპირებებით და პერიფერიებზე სამხედრო მოქმედებების განხორციელებით შემოიფარგლებოდა, რაც ძირითადად დამახასიათებელი იყო დასავლელი მოკავშირეებისათვის ოპერაცია „ოვერლორდის“ სტარტამდე.

1941 წელს მეორე ფრონტის გახსნას ჩერჩილი „აბსურდად და სისულელედ“ მიიჩნევდა. თუმცა, მეორე ფრონტი ევროპაში არც 1942 წელს და არც 1943 წლებში გახსნილა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებლობები ამისათვის „დიდი სამეულის“ ბრიტანულ-ამერიკულ მხარეებს საკმარისად გააჩნდათ. გენერალ დე გოლის შეფასებით, მათ ფარულ გათვლებში დომინირებდა სურვილი მტერს (ჰიტლერელებს) რუსეთის (აღმოსავლეთის) ფრონტზე არაქათი გამოსცლოდა მათთვის სარისკო ძალისხმევის გარეშე.

დიდი სამეულის თეირანის სამიტმა სტალინის დიპლომატიის მოქნილობით წერტილი დაუსვა ბრიტანულ-ამერიკულ „პინგ-პონგს“ მეორე ფრონტის გახსნის საკითხში. 1944 წლის 6 ივნისს ბრიტანულ-ამერიკულმა დესანტმა ლა-მანშის ფორსირება განახორციელა. ოპერაცია „ოვერლორდი“ დაიწყო. საინტერესოა, რომ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას, საფრანგეთის განთავისუფლებას ოკუპანტებისაგან გარკვეული ბედისწერით უკავშირდება საფრანგეთიდან ქართული განძის გამოსხნის დიპლომატიაც.

შესავალი

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში აშშ-დიდი ბრიტანეთის „ატლანტიკური“ სოლიდარობის ტრადიციებს საფუძველი ჩაეყარა დიდი ბრიტანეთის პრემიერის უ. ჩერჩილისა და აშშ პრეზიდენტის ფ. რუზველტის დუეტით. დასავლური სამყაროს ორი გიგანტის თანამშრომლობას მეორე მსოფლიო ომი განმავლობაში განსაკუთრებული ელფერი და დატვირთვა შესძინა საბჭოთა ლიდერის, „წითელი დიქტატორის“ ი. სტალინის პერსონამ, რომლის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა მოკავშირეთა,

„დიდი სამეულის“ ალიანსის მიერ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება და რეალიზაცია.

აღსანიშნავია, რომ „დიდი სამეულის“ ალიანსის ჩამოყალიბება ისეთივე მოულოდნელობა იყო, როგორც თავის დროზე საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის პაქტი. უ. ჩერჩილმა და ფ. დ. რუზველტმა თვალი დახუჭეს სტალინის დიქტატორულ პრაქტიკაზე და მიდრეკილებებზე (რაც მიუღებლად და გაუმართლებლად მიაჩნდათ), თავის მხრივ, ი. სტალინმაც დასავლურ ლიბერალიზმთან დროებითი დაზავება და შეფუება არჩია (რაც მისთვისაც ისეთივე მიუღებელი იყო, როგორც ფაშიზმი და ნაციზმი).

ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის პრობლემამ თავი იჩინა საბჭოეთზე გერმანიის თავდასხმისთანავე. ანტიკომუნისტური კოალიციის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების კვალდაკვალ ეს გარემოება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა და საბოლოო ჯამში საკვანძო მომენტად გადაიქცა მოკავშირეთა („დიდი სამეულის“) ურთიერთობებში.

დღემდეც კი, მეტწილად სამეცნიერო წრეებში სადისკუსიოდ რჩება ამ პრობლემატიკის ისეთი ასპექტები, როგორცაა მოკავშირეების მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციების მსვლელობასა და საბოლოო გამარჯვებაში მეორე ფრონტის გახსნის მნიშვნელობის დადგენა და შეფასება, მასთან დაკავშირებული დამაბული პოლიტიკური და დიპლომატიური ბატალიების პერიპეტიები.

„ცივი ომის“ ეპოქაში, ცხადია, მეორე ფრონტის პრობლემატიკამ ინგლის-ამერიკულ სამეცნიერო და მემუარულ ლიტერატურასთან მიმართებაში მწვავე პოლემიკის ხასიათი მიიღო. დასავლურ გამოცემებში ანტიკომუნისტური კოალიციის საერთო გამარჯვებაში ინგლის-ამერიკის მხარის წვლილი გადაჭარბებულად იყო შეფასებული, ხოლო საბჭოეთისა შედარებით დაკნინებული. ანალოგიური მიდგომა თვალმისაცემია საბჭოურ გამოცემებშიც. „ცივი ომის“ ეპოქის იდეოლოგიური შტამში თავს იჩენდა ორივე სამყაროს წარმომადგენელთა ნააზრევში (ვფიქრობთ, ამგვარი დამოკიდებულებისაგან დაზღვეული არ იქნება ჩვენი თანამედროვეობაც ახალი მსოფლიო წესრიგის ძიების მეტად დრამატულ სინამდვილეში). წინამდებარე სტატიაში ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ათეულობით წლის წინ უკვე გარდასული კატაკლიზმების ლაბირინთში „დიდი სამეულის“ მოქმედების პოლიტიკური და დიპლომატიური მდგენელი.

ძირითადი ნაწილი

უ. ჩერჩილისათვის ბედის მოულოდნელი და

ნამდვილი საჩუქარი იყო 1941 წლის 22 ივნისი. ამ საბედისწერო დღის დილიდანვე პრემიერი უკვე დარწმუნებული იყო, რომ ბრიტანეთი მარტო არ იქნებოდა ომში (20, 156). ის და იმ დილით მასთან ერთად მყოფი სამხედრო კაბინეტის წევრები იდენი, ბივერბრუკი, ასევე იმპერიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ჯ. დილიდასაბჭოეთში ბრიტანეთის ელჩი ს. კრიპსი სოლიდარული იყვნენ რუსეთისათვის (საბჭოეთისათვის - გ. ფიფია) დახმარების გაწევის აუცილებლობაში. ბრიტანელებს, ცხადია კარგად ესმოდათ, რომ გერმანიასთან სრულმასშტაბიანი ომი არ ემოქმედებოდათ ვიდრე ვერმახტის ურდოებს საბჭოეთი შეაკავებდა, მაგრამ ამ უკანასკნელის თავდაცვისუნარიანობა მათში სერიოზულ შემფოთებას ბადებდა. სტაფორდ კრიპსის მოწმობით, „დიპლომატიურ წრეებში ელოდნენ, რომ წითელი არმია 3-4 კვირაზე მეტს ვერ გაუძლებდა (18, 332). ლონდონსა და ვაშინგტონში, ექსპერტები, მიიჩნევდნენ, რომ გერმანელთა სამხედრო კამპანია 3 თვის განმავლობაში დასრულდებოდა. ამერიკელი სამხედროების (უ. ლეგი გერმანელთა სამხედრო კამპანიის გამარჯვებით დასრულებას შესაძლებლად მიიჩნევდა 2-3 თვის ვადაში) მისივე ვარაუდით გერმანელთა გამარჯვება სახეზე იქნებოდა 1941 წლის ზაფხულშივე (11, 403).

ძალზე ემოციური და შთამბეჭდავი იყო ჩერჩილის რადიომიმართვა (22 ივნისი) ნაციისადმი. მასში ნათქვამი იყო, რომ ფაშისტური გერმანიის თავდასხმა საბჭოეთზე „ბრიტანეთის კუნძულებზე ჰიტლერელთა შეჭრის პრელუდიაა მხოლოდ ... ამიტომ საფრთხე, რომელიც დაემუქრა რუსეთს (საბჭოეთს - გ. ფიფია) გვემუქრება ჩვენ და შეერთებულ შტატებს ... რუსეთსა და რუს ხალხს (საბჭოეთსა და საბჭოთა ხალხს - გ. ფიფია) ჩვენ აღმოუჩენთ ყველანაირ დახმარებას, როგორსაც შევძლებთ (16, 171). ბრიტანეთის პრემიერის რადიომიმართვაში გაცხადებული პოლიტიკური კურსი მოწონებული იქნა სამხედრო კაბინეტის მიერ მეორე დღესვე პრაქტიკულად ყოველგვარი განხილვის გარეშე (9, 14). ფაქტია, რომ ჩერჩილი, როგორც „რეალპოლიტიკოსი“, შექმნილ ვითარებაში წარმოჩინდა დიდი მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწედ. მან შეძლო დაენახა მისი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები და განეჭვრიტა თუ როგორი პოლიტიკა იქნებოდა უფრო ადეკვატური ამ ინტერესების უზრუნველსაყოფად. ვ. ტრუხანოვსკის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიდი ბრიტანეთის ისტორიის ცნობილ მკვლევარს, თუ დავესესხებით, ეს იყო უ. ჩერჩილის

საუკეთესო დრო (რუს მეცნიერს მხედველობაში ჰქონდა ჩერჩილის კარიერა). არც ადრე და არც შემდეგში ბრიტანეთის პრემიერი არ ამადლებულა სახელმწიფოებრივი სიბრძნის ასეთ მწვერვალამდე. ეს იყო უმნიშვნელოვანესი შემობრუნება „ნისლიანი ალბიონის“ პოლიტიკასა და თვით ჩერჩილის მოღვაწეობაში. ასეთი შემობრუნება განსაკუთრებით საგულისხმოა იმიტომაც, რომ ინგლისში სხვა არავინ მტრობდა ისე შეუპოვრად საბჭოეთს, როგორც სერ უინსტონ ჩანდოლფ ჩერჩილი (13, 336-337).

შეერთებულმა შტატებმაც მხარდაჭერა აღუთქვეს საბჭოეთს, თუმცა ოდნავ მოგვიანებით, შტატების ომში ჩაბმის მომხრე-მოწინააღმდეგე შორის უმწვავესი პოლემიკის ფონზე. ცნობილია, რომ საბჭოეთზე გერმანიის თავდასხმამდე რამდენიმე დღით ადრე რუზველტმა აცნობა ჩერჩილს საკუთარი სურვილის შესახებ „მისალმებდა რუსეთს (საბჭოეთს – გ. ფ.), როგორც მოკავშირეს“ (6, 151). რუზველტს მხარი დაუჭირეს მისმა სპეციალურმა თანაშემწემ ჰ. ჰოპკინსმა და რიგმა სხვა პოლიტიკოსებმა. 24 ივნისს პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შტატები ყოველმხრივ დაეხმარება საბჭოეთს გერმანიასთან ომში (17, 112). ამ განცხადებას წინ უძღოდა აშშ სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებლის ს. უელსის მხარდამჭერი განცხადება – „მთავარ საფრთხეს ამერიკის კონტინენტისათვის დღეს ჰიტლერული ურდოები წარმოადგენენ“ (6, 151).

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობამ პრაქტიკულად მაშინვე წამოაყენა ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის იდეა. პრობლემა, უწინარესად, განხილვის საგანი გახდა საბჭოთა და ბრიტანეთის მთავრობებს შორის (აშშ იმხანად ომში არ მონაწილეობდა). ევროპაში ბრიტანეთის არმიის აქტიური სამხედრო მოქმედებების შესახებ საკითხი პირველად 1941 წლის 27 ივნისს დაისვა ლონდონში, საბჭოთა ელჩის ი. მაისკის ლორდ ბივერბრუკთან საუბრისას. ლორდის საბჭოთა დიპლომატთან საუბრით გაირკვა, რომ ინგლისი გაადლიერებდა დასავლეთგერმანიისა და ჩრდილოეთსაფრანგეთის დაბომბვებს, მურმანსკისა და პეტსამოს რაიონში გაიგზავნებოდა ინგლისის ფლოტის ნაწილი გერმანელთა წინააღმდეგ საზღვაო ოპერაციების საწარმოებლად, და ასევე, ინგლისელები მასშტაბურ რეიდებს განახორციელებდნენ საფრანგეთის ჩრდილოეთ სანაპიროებთან მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტების (ჰავრი, შერბური და სხვ.) დაკავების მიზნით, თუნდაც დროებით მაინც (9, 20).

ლორდ ბივერბროკისეული გეგმის ეს მონახაზი არ დაიწუნებოდა, მაგრამ ეს იყო ბრიტანეთის

მთავრობის წევრის მხოლოდ პირადი მოსაზრებები და ის არ გამოხატავდა მთავრობის ოფიციალურ პოზიციას, თუმცა საბჭოეთის საგარეო უწყების მეთაურმა ვ. მოლოტოვმა კრიპსთან საუბრისას განაცხადა, რომ ბივერბრუკის ყველა წინადადებას საბჭოთა ხელმძღვანელობა მიიჩნევს აქტუალურად და გამართლებულად (12, 53). მოგვიანებით, მოლოტოვი, მოსკოვში ჩასულ ბრიტანელთა სამხედრო მისიას განუცხადებს: თუ ბივერბრუკი გულწრფელია, ამგვარი მოქმედებებისათვის სწორედ ახლაა ყველაზე შესაფერისი დრო (12, 57).

ბრიტანეთის კაბინეტს, ევროპაში სამხედრო მოქმედებების დაწყების საკითხი სერიოზულად არ განუხილავს. მაგრამ ბრიტანეთში იყვნენ პოლიტიკოსები, რომლებიც გერმანიის მიმართ ევროპაში დაუყოვნებელი სამხედრო ოპერაციების განხორციელებას გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევდა. ასე, მაგ., 6 ივლისს ჩერჩილისადმი გაგზავნილ თავის პირად წერილში ს. კრიპსი წერდა: „ჩვენ ახლავე აუცილებლად უნდა ვიმოქმედოთ ისე, რომ რუსებს (საბჭოეთს – გ. ფ.) ვაჩვენოთ ჩვენგან დახმარების სურვილი, თუნდაც ჩვენთვის სარისკოც.“ კრიპსი მიიჩნევდა, რომ ბრიტანეთის მთავრობა კატასტროფის რისკის ქვეშ აღმოჩნდებოდა, თუ საბჭოეთს დაუყოვნებლივ არ აღმოუჩენდა „გულწრფელ და სრულმასშტაბიან დახმარებას“ (10, 133).

სტალინს, ცხადია, ეშურებოდა გერმანიის წინააღმდეგ დახმარების აღმოჩენის ბრიტანული შეპირების დროული პრაქტიკული რეალიზება. საფიქრებელია, რომ ჩერჩილი ჯეროვნად აცნობიერებდა სტალინის სრულიად ბუნებრივ და მართებულ მისწრაფებებს. შესაძლოა, სწორედ ამიტომ ამცნო მან პირადი მიმოწერით სტალინს თავის 8 ივლისით დათარიღებულ წერილში, რომ ბრიტანეთის ავიაციამ დაბომბა გერმანელთა მიერ ოკუპირებული და თვით გერმანიის ტერიტორიები, ასევე აფრიკაში მოსალოდნელი სერიოზული ოპერაციების შესახებ (4, 19), მაგრამ ერთი სიტყვაც არ დასცდენია საფრანგეთის ჩრდილოეთში დესანტის გადასხმაზე.

1941 წლის 12 ივლისს, ი. სტალინის ინიციატივით ბრიტანეთისა და საბჭოთა მთავრობებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში ყოველმხრივი ურთიერთდახმარების შესახებ (12, 82). ფაქტობრივად ეს აქტი იყო ბრიტანეთ-საბჭოეთის სამხედრო კავშირის დადასტურება.

აღნიშნული აქტის გაფორმებას მოჰყვა ჩერჩილისადმი სტალინის პირველი მიმართვა,

რომელშიც მან ოფიციალურად დასვა საკითხი ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შესახებ. ის წერდა, რომ ორივე ქვეყნის - ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის სამხედრო მდგომარეობა „საგრძნობლად გაუმჯობესდებოდა ჰიტლერის წინააღმდეგ რომ შექმნილიყო ფრონტი დასავლეთსა (ჩრდილოეთ საფრანგეთი) და ჩრდილოეთში(არქტიკა). ფრონტს საფრანგეთის ჩრდილოეთში შეეძლო ჰიტლერის ძალები არა მარტო უკან დაეწია აღმოსავლეთიდან, არამედ შეუძლებელიც გაეხადა ჰიტლერის შეჭრა ინგლისში“ (4, 21). სტალინს, როგორც გენიალურ სტრატეგს, მიაჩნდა, რომ, როდესაც ჰიტლერის ძალების ყურადღება კონცენტრირებულია აღმოსავლეთისაკენ და ვერ მოუხწრია დაკავებული პოზიციების გამაგრება, ყველაზე ადვილი და მოხერხებული იქნებოდა ამგვარი ფრონტის შექმნა.

„ნისლიანი ალბიონის“ მესვეურის რეაქცია საბჭოთა ლიდერის ამ წინადადებაზე მკვეთრად ნეგატიური იყო. თავის მემუარებში ჩერჩილი ვერ მალავს აღშფოთებას საბჭოთა მხარის დაჟინებული მოთხოვნების გამო „გაწამებული და ქედუხრელი“ ინგლისის მიმართ და რომ აღნიშნული ფაქტები ზემოქმედებას ვერ მოახდენდნენ მის აზრთა წყობაზე (16, 174). შეთავაზებაზე უარის დაფიქსირების შემდეგ, სტალინს 1941 წლის განმავლობაში არც ერთხელ არ წამოუწვია ეს საკითხი წინა პლანზე.

1941 წლის 7 დეკემბრიდან მეორე მსოფლიო ომის პანორამამ საყოველთაო, პლანეტარული მნიშვნელობა შეიძინა. აშშ უძლიერეს სამხედრო-საზღვაო ბაზა პერლ-ჰარბორზე იაპონელთა თავდასხმის შემდეგ შტატებიც ჩაებნენ გლობალურ დაპირისპირებაში. 18 დეკემბერს რაიხსტაგში გამოსვლისას ჰიტლერმა რუზველტს „ამ ომის მთავარი დამნაშავე“ (14, 202) უწოდა.

აშშ ჩაბმამ ომში შეება მოჰგვარა ბრიტანეთის მმართველ წრეებს. პრემიერ ჩერჩილს განუმტკიცდა რწმენა, რომ ომი მოგებულ იქნებოდა, მაგრამ ერთდროულად საფრთხესაც გრძნობდა. ლიდერს სრულიად ბუნებრივი კითხვები უჩნდებოდა: ომი წყნარი ოკეანის აუზში ხომ არ გამოიწვევდა შეერთებული შტატების დახმარების შესუსტებას ინგლისისადმი? ხომ არ იტყვიან უარს ამერიკელები ადრე მიღებულ თავიანთ კონცეფციაზე „გერმანია უპირველეს ყოვლისა“ და ხომ არ გადაწყვეტენ თავიანთი ძირითადი ძალების კონცენტრაციას იაპონიის წინააღმდეგ (23, 181). ამიტომ ჩერჩილმა დაუყოვნებლივ მიმართა რუზველტს შეხვედროდნენ ომის სტრატეგიის საერთო საკითხების განსახილველად.

ბრიტანულ-ამერიკული კონფერენცია, რომლის

პირობითი სახელია „არკადია“, გაიხსნა 1941 წლის 22 დეკემბერს და მუშაობდა სამი კვირის განმავლობაში (დიდი ბრიტანეთის დელეგაციამ ჩერჩილის მეთაურობით ინგლისური ლინკორით „ჰერცოგი იორკელი“ რვადლიანი ვოიაჟი მოანდომა ატლანტიკის გადაცურვას). კონფერენციაზე დისკუსიები მიმდინარეობდა ძირითადად ინგლისური პროექტების გარშემო (ჩერჩილმა ნაყოფიერად გამოიყენა ვაშინგტონამდე დახარჯული დრო - გ. ფ.). პრეზიდენტი რუზველტი თავიდანვე მხარს უჭერდა პრინციპს, რომ გერმანიის გამარჯვება ან დამარცხება განსაზღვრავდა ამერიკის ბედისწერას, მიუხედავად იმისა, რომ სამოკავშირეო სტრატეგია და მის საფუძველზე განსახორციელებელ მოქმედებათა გეგმა ჯერაც გაურკვეველი რჩებოდა.

პრემიერმა კონფერენციაზე გააკეთა საკმაოდ ემბაკური სვლა. მან ფორმალურად მხარი დაუჭირა მეორე ფრონტის გახსნის იდეას, მაგრამ ამერიკელებს შესთავაზა მისეული გეგმა „გიმნასტი“, რომელიც ითვალისწინებდა ინგლის-ამერიკული დესანტის გადასხმას მაროკოში, კასაბლანკის რაიონში. იმავდროულად, ინგლისელებს სინქრონულად უნდა განევითარებინათ შეტევა ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკიდან (ეგვიპტიდან) და წარმატების შემთხვევაში მოკავშირეები ერთმანეთს შეხვდებოდნენ ტუნისში (22, 23-24).

მართალია, რუზველტი, მოცემულ შემთხვევაში, მეტ დაინტერესებას იჩენდა ევროპის ბედი-სადმი, მაინც ჩერჩილის პოზიციამ და ხედვამ იმძლავრა. საბოლოო ჯამში, თვით პრეზიდენტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გერმანელთა შეჩერება ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში და ატლანტიკისაკენ გამავალ კუნძულებთან (14, 206). ორივე ლიდერმა მიიჩნია, რომ ნებისმიერ დროს სწორედ ეს ტერიტორიები შეიძლება მიზანში ამოიღოს ჰიტლერმა და ამან შესაძლოა შეამციროს შეერთებული შტატების კონდიციები მიადგეს ევროპის კონტინენტს სამხრეთ-დასავლეთიდან.

საბჭოთა ისტორიოგრაფია ჩრდილოაფრიკულ რეგიონთან მიმართებაში გამოყოფს ბრიტანული სტრატეგიის რუზველტისათვის მისაღებობის რამდენიმე მიზეზს: პირველი - ამ ტერიტორიის გერმანული ოკუპაციის დაუშვებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანია მიიღებდა ატლანტიკისაკენ გამავალ პლაცდარმს; მეორე - გათვლა ფრანგებისაგან დახმარების მიღებაზე; მესამე - ჩრდილოეთ აფრიკის გაკონტროლებით, შედარებით მცირე დანაკარგების ფასად მოპოვებულიყო

მისასვლელი ევროპის რეგიონთან, საიდანაც ადვილად მოსახერხებელი იქნებოდა თვალყური დევნება მთავარი, გადამწყვეტი მოვლენებისათვის იმ ანგარიშით, რომ კრიტიკულ მომენტებში შესაძლებელი ყოფილიყო მათში ჩარევა (14, 211-212).

ამერიკელი ისტორიკოსები გამოყოფენ მიზეზების რიგს, თუ რამ განაპირობა ამერიკელების მიერ ამ გეგმის მიღება: „ისინი დაკავებული იყვნენ იმჟამინდელი რეალობით – იაპონიის აგრესიით წყნარ ოკეანეში და დასავლეთ ნახევარსფეროს უსაფრთხოებით; ისინი აცნობიერებდნენ არხის გავლით ერთჯერადი მასირებული შეჭრის გეგმა უფრო გვიანდელ პერსპექტივაში შეიძლებოდა მომხდარიყო შეზღუდული რესურსებისა და ატლანტიკისათვის მებრძოლი ხომალდების მოსალოდნელი მნიშვნელოვანი დანაკარგის გამო; ისინი „არკადიაზე“ (ბრიტანულ-ამერიკული კონფერენცია – გ. ფ.) შედარებით მოუმზადებელი წარსდგნენ ბრიტანული გეგმების წინაშე, მაშინ, როცა ეს გეგმები ბრიტანელების მიერ წინასწარ იყო მოფიქრებული და მომზადებული“ (23, 182).

კონფერენცია „არკადიის“ შედეგებს ორივე მხარე საკუთარი ინტერესების შესაბამისად განიხილა (15, 110). ევროპაში შეჭრის ველაზე ხელსაყრელ პლაცდარმად დიდი ბრიტანეთი და ჩრდილოეთ აფრიკა იქნა მიჩნეული. შესაბამისად, კონფერენციის მონაწილეებმა დაავალეს შეირადებული ძალების თავიანთ გენერალურ შტაბებს ოპერაცია „ბოლერო“ (ჯარების გადასროლა დიდ ბრიტანეთში) და ოპერაცია „გიმნასტი“ (შეჭრა ჩრდილოეთ აფრიკაში). ამით შეთანხმება დასრულდა. მხოლოდ ამის შემდეგ იჩინა თავი ბრიტანულ-ამერიკულმა უთანხმოებამ. ინგლისელებს სურდათ შეტევის განხორციელება ჩრდილოეთ აფრიკაში („გიმნასტი“), ხოლო ამერიკელებს – ჯარების თავმოყრა ინგლისში და იქიდან, ლა-მანშის გავლით, საფრანგეთში დესანტის გადასხმა („ბოლერო“).

ინგლისელ ისტორიკოს მეთიუ ჯონსს თუ დავესესხებით, ვაშინგტონის კონფერენციაზე გამოითქვა მხოლოდ „ბუნდოვანი იმედები იმის შესახებ, რომ ევროპის კონტინენტზე დაბრუნება შესაძლებელი იქნება 1943 წელს... მაგრამ არავითარი ზუსტი გეგმები არ შემუშავებულა“ (21, 17).

ამრიგად, აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ომში „დიდი სამეულის“ ყველა წევრის ჩაბმის მომენტიდანვე, ევროპაში მეორე ფრონტის პრობლემა ერთ-ერთ საკვანძო პრობლემად გადაიქცა, მაგრამ იმ სიტუაციაში, როცა ომის მონაწილეთა („დიდი სამეულის“) ბედი უახლოეს პერსპექტივაში ჯერაც არ იყო

ნათელი, არა მხოლოდ ერთიანი ოპტიმალური პოზიციის შემუშავება, არამედ ურთიერთგაგებაც კი მიუღწეველი აღმოჩნდა.

„დიდი სამეულის“ დიპლომატიური ძალისხმევა კვლავაც გრძელდებოდა სანამ, ბოლოსდაბოლოს არ შედგა ინგლის-ამერიკული საექსპედიციო ჯარების დესანტირება (ოპერაცია „ოვერლორდი“). საინტერესოა ამ ისტორიული პროცესის ზოგიერთი დიპლომატიური ნიუანსი.

დასკვნა

თეირანის ისტორიული კონფერენციის (1943 წლის 28 ნოემბერი-1 დეკემბერი) მუშაობას უშუალოდ წინ უძღოდა ინგლის-აშშ ქაიროს კონფერენცია (1943 წლის 22-26 ნოემბერი) კოდური სახელწოდებით „სექსტანტი.“ კონფერენციის მუშაობაში ჩერჩილისა და რუზველტის გარდა მონაწილეობდა ჩან კაიმიც.

„ოვერლორდის“ გარშემო მსჯელობისას კონფერენცია ჩიხში შევიდა, ფაქტობრივად კვებეკში შემუშავებული გეგმა (1943 წლის აგვისტოში კვებეკის კონფერენციაზე შეთანხმებული), რომელიც ითვალისწინებდა მეორე ფრონტის გახსნას ევროპაში 1944 წლის 1 მაისისათვის. ამ თარიღის დაცვა-რეალიზაცია კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდა. მიზეზი იყო ის, რომ კვლავ თავი იჩინა პრობლემის გარშემო ინგლის-ამერიკულ მიდგომებში განსხვავებულობამ. საინტერესოა პრობლემასთან დაკავშირებით დე გოლისეული შეფასება: „შეერთებულ შტატებს მიაჩნდათ, რომ შეეძლოთ ებრძოლათ ევროპისათვის უმოკლესი გზით, საფრანგეთის გავლით ... ინგლისელები, და, უპირველეს ყოვლისა, ჩერჩილი მდგომარეობას სხვანაირად აფასებდნენ, მათი აზრით, ამერიკელები მტერზე თავდასხმას გეგმავდნენ ყველზე რთულ უბანზე ანუ ერთი ხელის დაკვრით ცდილობდნენ საქმის მოგვარებას... ინგლისელების აზრით, საჭირო იყო მიზანზე გასულიყვნენ იტალიის, ბალკანეთისა და ევროპის დუნაისპირა ქვეყნების გავლით...“

ექვს არ იწვევს, რომ ეს სტრატეგიული გეგმა შეესაბამებოდა ლონდონის პოლიტიკას, რომლის მიზანი იყო ინგლისის გაბატონება ხმელთაშუა ზღვაზე და, უწინარეს ყოვლისა, ინგლისის მესვეურები, შიშობდნენ იქ გერმანელების ნაცვლად რუსები არ გამოჩენილიყვნენ“ (8, 300-301).

თეირანის კონფერენცია მიმდინარეობდა კოდური სახელწოდებით „ევრიკა“. „დიდი სამეულის“ - ი. სტალინს, ფ. რუზველტს, უ. ჩერჩილს თან ახლდათ სამივე სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები, პოლიტიკურ და სამხედრო

მრჩეველთა დიდი ჯგუფი. საინტერესოა, რომ კონფერენციის გახსნამდე ერთი საათით ადრე საბჭოთა მთავრობის მეთაური შეხვდა პრეზიდენტ რუზველტს, რომელიც უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებით დათანხმდა საბჭოთა საელჩოში გაჩერებას (აშშ საელჩოს საბჭოთა და ბრიტანული საელჩოებისაგან საკმაოდ დაშორებულობის გამო). ორი ლიდერის დიალოგს ესწრებოდა და თარჯიმნობას უწევდა საბჭოთა წარმომადგენელი ცნობილი დიპლომატი ვალენტინ ბერეჟკოვი (ეს იყო პრეზიდენტ ფ. რუზველტის დიპლომატიური ჟესტი. მან სპეციალურად არ მიიჩნია საჭიროდ საკუთარი წარმომადგენლის ჩ. ბოლენის ხლება, რითაც სურდა ეგრძნობინა ი. სტალინისათვის განსაკუთრებული პატივისცემა და ნდობა – გ. ფ.). კონფერენციაზე დიპლომატიური ეტიკეტის ამგვარი გამოვლინებები თანამედროვეთა მოგონებებში ჯეროვნად არის ასახული (გრომიკო, ბერეჟკოვი, ელიოტ რუზველტი...).

რუზველტთან ხანმოკლე საუბრისას სტალინმა მადლიერება და კმაყოფილება გამოხატა რუზველტის შეპირებაზე 30-40-მდე გერმანული დივიზია განერიდებინა აღმოსავლეთის ფრონტისაგან (5, 29). ორი ლიდერის საუბარი, რომელიც ურთიერთგაცნობით ხასიათს ატარებდა, სხვა საკითხებსაც შეეხო (5, 30-32) თუმცა მალე დასრულდა, ვინაიდან სამიტის პირველი პლენარული სხდომა ახლოვდებოდა.

სამიტზე უმთავრესი იყო ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის საკითხი. მისმა მსვლელობამ დაადასტურა სტალინის ეჭვები იმის თაობაზე, რომ დასავლელ მოკავშირეებს (უწინარესად, ჩერჩილს) სურდათ მეორე ფრონტის გახსნის იდეისათვის მისი ნამდვილი არსი გამოეცალათ. სამიტზე ბრიტანეთის პრემიერის „მანევრები“ მოსკოვის (სტალინის) თვალში სამართლიან უნდობლობას აღვივებდა. მაგრამ საბჭოეთის ლიდერის ყოველმხრივ არგუმენტირებული და მტკიცე პოზიციის გამო საბოლოო გადაწყვეტილება მეორე ფრონტის ევროპაში გახსნის ადგილისა და ვადების შესახებ მიღებულ იქნა.

თეირანში ანტიპიტლერული კოალიციის ისტორიაში პირველად შემუშავდა კოორდინირებული სტრატეგია საერთო მტრის წინააღმდეგ. ოპერაცია კოდური სახელწოდებით „ოვერლორდი“ განხორციელდებოდა 1944 წლის მაისის განმავლობაში სამხრეთ საფრანგეთში ოპერაციასთან ერთად. პრეზიდენტ რუზველტის ვაჟი ელიოტი იხსენებს მამის განწყობას: „როგორც იქნა გადაწყდა! მივიღეთ გადაწყვეტილება დასავლეთიდან შეჭრის შესახებ... რუსებისათვის ბედნიერ დღეს 1 მაისს... მამა დიდ

შვებას გრძნობდა ამის გამო... მოკავშირეები მივიდნენ საბოლოო შეთანხმებამდე... ასევე შევთანხმდით ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან შეტევაზე... სამხრეთ საფრანგეთის გავლით... აღმოსავლეთიდან რუსების შეტევა... ყველაფერი ერთდროულად დაიწყება...“ (3, 202). 1 დეკემბერს რუზველტმა სტალინს მტკიცე პირობა მისცა მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლის დანიშვნის საკითხზე. „შეერთებულ შტატებს“, აღნიშნა მან სამიტზე, „ჯერ არ დაუნიშნავთ ოპერაცია ოვერლორდის მთავარსარდალი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მთავარსარდალი დანიშნება 3 ან 4 დღეში, როგორც კი დავბრუნდებით ქაიროში“. მიცემული პირობა შესრულდა.

თეირანის სამიტზე ჩერჩილმა ეფექტური, სიმბოლური დიპლომატიური ჟესტით გამოიჩინა თავი (7, 178). პრემიერმა ბრიტანეთის მონარქის გეორგ VI და ბრიტანელი ხალხის სახელით სტალინს გადასცა საპატიო ხმალი მასზე ამოტივტირებული წარწერით: „მეფე გეორგ VI საჩუქარი იმადამიანებს, რომლებსაც ფოლადის გულები უცემთ მკერდში - სტალინგრადის მოქალაქეებს ინგლისელი ხალხისაგან პატივისცემის ნიშნად (3, 189-190).

1944 წლის 6 ივნისს დაიწყო სადესანტო ოპერაცია „ოვერლორდი“, რომელმაც საფუძველი დაუდო მეორე ფრონტს ევროპაში. იმავდროულად გენერალი დე გოლი ქმნის საფრანგეთის რესპუბლიკის დროებით მთავრობას. გენერალმა საჭიროდ მიიჩნია დადებულიყო საფრანგეთ-საბჭოეთის ხელშეკრულება, რომელიც პარტნიორებთან შეთანხმების შემდეგ დადებითად გადაწყდა.

საინტერესოა საერთაშორისო დიპლომატიის ისტორიაში ექსკლუზიური, იშვიათი ფაქტი, რომელიც უკავშირდება 1921 წელს საქართველოდან საფრანგეთში გატანილ ეროვნულ განძს: ფრანგი პატრიოტი გენერალი, ევროპაში ბრიტანულ-ამერიკული მეორე ფრონტის გახსნა, ქართველი სტალინი („დიდი სამეულის“ თვალსაჩინო პერსონა), ექვთიმე ღვთისკაცი და ქართული ეროვნული საუნჯე ... ალბათ, თუ არ განგების ნება, სხვამხრივ ძნელია აიხსნას საოცარი და განსაკუთრებული დამთხვევა ისტორიული მოვლენებისა, პერსონებისა, ფაქტებისა ...

ცნობილი ქართველ მეცნიერს გივი ჟორდანიას თავის სპეციალურ გამოკვლევაში „დაბრუნებული საუნჯე“ (1983) დიდებულად და ფილიგრანული სიზუსტით აქვს აღწერილი ქართული განძის ეს საოცარი თავგადასავალი. მეცნიერი წერდა: „ექვთიმე თაყაიშვილი... სწორად ხსნის საუნჯის დაბრუნების მთავარ მიზეზს... „განძეულობის

დაბრუნების საკითხი გადასწყვიტა... ამხ. სტალინის უმაგალითო გამარჯვებამ... ამ გამარჯვებამ დიდი სახელი გაუთქვა სტალინს საფრანგეთში... ომი გათავებული არ იყო, საბოლოო შველა და ხსნა საფრანგეთისა სტალინზე იყო დამყარებული... “ (ე. თ.) ექვთიმეს ამ მოსაზრების სისწორეს, სავსებით ადასტურებს მსოფლიო ომის დროინდელი მსვლელობა.“ (2, 134). სწორედ, სტალინისა და დე გოლის 1944 წლის 2-10 დეკემბერს გამართულ მოლაპარაკებას უკავშირდება მენშევიკური მთავრობის მიერ 1921 წელს უცხოეთში გატანილი ქართული განძეულის სამშობლოში დაბრუნება (2, 136). ასე აღმოჩნდა გლობალური პოლიტიკის თანმხლებ მოვლენათა შორის ქართული ეროვნული საუნჯეც, რომელიც რჩეულმა ბედისწერამ კვლავ მშობლიურ წიაღს დაუბრუნა.

წინამდებარე ნაშრომი მართებულად მიგვაჩნია დავასრულოთ მცირე ამონარიდით დასავლელი ავტორების – სარა დევისის და ჯეიმს ჰარისის 2005

წელს გამოქვეყნებული საყურადღებო გამოკვლევადან STALIN: A New History: მეორე მსოფლიო ომის მიწურულს საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში წამყვან ლიდერებს (სტალინი, რუზველტი, ჩერჩილი) ჯეროვნად ჰქონდათ გაცნობიერებული პერსპექტივაში ქმნადი რეალობა, რეალობა იმისა, რომ ევრაზიის კონტინენტზე ტრანსფორმაცია გარდაუვალია, მათი (ამ ლიდერი ქვეყნების – გ. ფ.) გეოსტრატეგიული ინტერესები დაკონკრეტებულია, ახალ მსოფლიო ორგანიზაციაში (იგულისხმება გაერო – გ. ფ.) მათი კუთვნილი ადგილი და როლი გარანტირებულია. ეს რეალობა გულისხმობდა არა მხოლოდ თეირანის, იალტის, პოტსდამის შეთანხმებებს და 1944 წლის ოქტომბრის სტალინ-ჩერჩილის შეთანხმებას გავლენის სფეროების შესახებ, არამედ, აგრეთვე „დიდი სამეულის“ მიერ არაფორმალურად შეთანხმებულ გარანტიებს და გარიგებებსაც (19, 156).

ლიტრატურა:

1. თეირანი, იალტა, პოტსდამი, დოკუმენტების კრებული, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1969
2. ჟორდანია გ. დაბრუნებული საუნჯე, „მეცნიერება“, თბ., 1983
3. რუზველტი ელიოტ, მისი თვალთ დანახული, „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“, თბ., 2012
4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიმოწერა აშშ-ის პრეზიდენტებთან და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრებთან 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს, „საბჭოთა საქართველო“, სბ., 1985
5. Бережков В. И., Тегеран, 1943. На конференции Большой тройки и в кулуарах, М., 1971
6. Волков Ф. Д. Тайное становится явным, Политическая литература, М., 1989
7. Громико А. А. Памятное, кн 1., М., изд. политической литературы, М., 1988
8. Де Голль Шарль, Военные мемуары, М., 1960 т. 2
9. Земсков И. Н. Дипломатическая история второго фронта в Европе М., 1982
10. Из дневников и писем посла Великобритании в СССР в 1941 – 1945 гг. С. Крипса Новая и новейшая история 1991., №3
11. Леги У. Д. Советник двух президентов Вторая мировая война в воспоминаниях М., 1990
12. Советско-английский отношения во время Великой Отечественной войны 1941-1945 т.1, М., 1983
13. Трухановский В. Г. Уинстон Черчилль политическая биография, „Мысль“, М., 1968
14. Уткин А. И. Дипломатия Франклина Рузвелта, Свердловск., Уральский университет, 1990
15. Френкель М. Ю. Второй фронт в Европе или в Африке? Неизвестные страницы истории, Восток, 1995 №3
16. Черчилль У. Вторая мировая война Кн. 2. Т. 3, 1991
17. Burn J., Roosevelt: The soldier of Freedom, NY, 1970
18. Collier B., The Lion and Eagle: British and Anglo-American strategy, 1900-1950, NY, 1972
19. Davies S., Harris J., Stalin! A New History., Cambridge University-Press, 2005
20. Fontain A., History of the Cold War. From October Revolution to the Korean War, 1917-1950, NY., 1968
21. Jones M., Britain, The United States and the Mediterranean War, 1942-1944, Oxford 1966
22. Stoler M. A., The politics of the Second Front: American military planning in coalition warfare, 1941-1943 Westport, 1977
23. The Second World War. Europe and the Mediterranean. Wayne, 1984

From the prelude to the opening of the second front in Europe to Operation "Overlord"

*Germane Fifia, Associate Professor
National University of Georgia (SEU)*

Summary

The prime-minister W. Churchill and the president F. Roosevelt laid foundation of the basis of „Atlantic“ solidarity traditions between the USA and the Great Britain. Cooperation of two great leaders of the western world during the war was influenced by the Soviet leader I. Stalin, that was the key factor of the allies strategy decision making and realization.

Opening the second front in Europe arose as a problem instantly since German military aggression against the USSR. After 80 years from the second world war the diplomatic problem component is discussed among the professional societies researching the epoch and space of the west and post-soviet areas.

The second front problem in Britain- Soviet diplomatic negotiations appeared to be the main concern, that was confirmed by the Soviet ambassador I. Maysky's discussion with Lord Biverbruk – British military cabinet member (June 27, 1941). The Lord offered the ambassador a very interesting plan of military operations, that did not continue officially. The prime-minister of „Foggy Albion“ tended to give verbal promises to the USSR and was limited to military actions in peripheries, that was typical for the western allies until the operation “Overlord” started. Churchill considered the existence of the second front as “absurd and nonsense” in 1941. The second front problem was ignored in 1942 and 1943, even though British-American members of “Big Three” had enough opportunities to open it. According to general Ch. De Gaule, they (British-Americans) wished the enemy (Hitlerians) to be weakened on the Russia's (eastern) front without their risky actions.

Tehran summit of “Big Three,” via Stalin's diplomatic flexibility, ended British-American “ping-pong” opening the second front issues. British-American landing party forced the English Channel in 1944, June 6. The operation “Overlord” started. It is worth mentioning. That opening the second front in Europe, France deoccupation are fatefully connected to diplomacy of returning Georgian treasure.

ეთნოლოგია

ETHNOLOGY

რეცენზია

თევდორე ისაკაძის ნაშრომზე „ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მოსახლეობის წარმომავლობისთვის“

*ვაჟა სადრაძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*გიორგი კვიციანი, მაგისტრი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

ნაშრომი ძირითადად ეხება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის იმ მოსახლეობის წარმომავლობის საკითხს, რომელთა სასაუბრო ენა აფხაზურ-ადიღურ ენათა ოჯახს განეკუთვნება.

ავტორი არქეოლოგიის, გენეტიკისა და ლინგვისტიკის ჭრილში ემყარება ჩვენი აზრით წარმატებითაც, არსებული მონაცემებს ამოწმებს უკვე არსებულ ჰიპოთეზებს და ამისთვის პოპულაციურ გენეტიკას ეყრდნობა.

მიუხედავად იმისა, რომ პოპულაციური გენეტიკა ახალგაზრდა დისციპლინაა, უკვე „ფლობს საკმაოდ საიმედო ინსტრუმენტებს ხალხთა ადრეული მიგრაციების მარშრუტებისა და ქრონოლოგიური მონაკვეთის დასადგენად“.

თევდორე ისაკაძე სიღრმისეული კვლევებისთვის მიმოიხილავს აფხაზ-ადიღურების თანამედროვე გენეტიკურ სურათს და პალეოგენეტიკურ მასალას, ასევე ანალიზებს არქეოლოგიურ და ლინგვისტიკურ მონაცემებს. ავტორის მიხედვით, ეს ნაშრომი მულტიდისციპლინური მიდგომის გამოყენებით აგრძელებს ხალხთა ადრეული მიგრაციებისა და პოპულაციების ფორმირების კვლევას.

Introduction ნაწილში:

ავტორი მეცნიერულ დაკვირვებათა არეში მოაქცევს კავკასიაში დასახლებული აფხაზურ-ადიღურ ენათა წარმომადგენლებსა და ირონებისა და დიგორების ოსურენოვან მოსახლეობას; აგრეთვე სამხრეთ კავკასიის მთიანეთში მცხოვრებთა მაჟორულ ჰაპლოჯგუფებს და ასკვნის, რომ ეს ფაქტები თავს იჩენს სუბკლადების დონეზე, თუმცა ამ საერთო

წინაპარი ჰაპლოჯგუფის ფარგლებში მკაფიოდ იკვეთება კლასტერული მრავალფეროვნება. აღსანიშნავია, რომ მონაცემები მაღალი სიხშირით ვლინდება აფხაზებში, ადიღელებსა და ჩერქეზებში.

თ. ისაკაძე აღნიშნავს, რომ თანამედროვე აფხაზურ-ადიღურ ენათა ოჯახის წარმომადგენლების კვლევა გრძელდება და მონაცემები ზუსტდება, თუმცა აშკარაა, რომ ეს რეგიონი ჰაპლოჯგუფების ყველაზე მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება.

მეორე სუბკლადი, G2a1a1 (P18) ხშირად გვხვდება ოსებში, ირონებსა და დიგორებში. მისი აზრით, იგივე ჰაპლოჯგუფი დამახასიათებელია ქართველებისათვისაც, განსაკუთრებით მთიანი რეგიონების მკვიდრთათვის.

არსებობს მოსაზრება, რომ ეს ორი ჰოლოჯგუფი ერთი წინაპრიდან მომდინარეობს და წარმოადგენს ჰაპლოჯგუფის სუბკლადებს, რომლებიც თანამედროვე მოსახლეობის გენეტიკურ და პალეოგენეტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით მათი მოძრაობა-განსახლების განსხვავებულ სურათს წარმოგვიდგენს.

ავტორი მათგან ძირითადად ყურადღებას ერთ ჰაპლოჯგუფზე G2a2-CTS4367 და მის სუბკლადებზე ამახვილებს.

3. Discussion

ნაშრომის სარეცენზიო 3.1. ქვეთავი არქეოლოგიური კულტურების პალეოგენეტიკის განხილვას ეძღვნება.

მკვლევარი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ადრეული ენეოლითის ეტაპზე დარკვეთ-მემო-კოს

კულტურაში თვალს ადევნებს კავკასიელ მონადირე-შემგროვებლების (რამდენიმე ინდივიდის შესწავლის საფუძველზე) კვალს „ახლოდმოსავლური მინარევებით“.

ეს ინდივიდები (I1722, I2056, I2055) დარკვეთ-მემოკოს კულტურას განეკუთვნებიან და გენეტიკურად უკავშირდებიან ნოვოსობოდნაიას ადრეულ ეპოქის ძეგლებს და აგრძელებენ ფუნქციონირებას შემდგომ ათასწლეულებშიც. მაგალითისთვის ავტორი იყენებს მარჩენკოს გორის სამი ათასი წლით დათარიღებულ J ჰაპლოჯგუფის პალეოგენეტიკურ (I2051) მასალას. დაკვირვებით, ზემოაღნიშნული სურათის ფონზე მასზე ადრეული ინდივიდი I6272 დლინაია პოლიანიდან ამოვარდნილია მაიკოპისა და მოგვიანო იამნაიას გენეტიკურ სურათთან და არქეოლოგიური მონაცემებითაც ნოვოსობოდნაიას (ცარსკაიას) კულტურისკენ იხრება. ავტორისათვის უფრო ის მოსაზრება, რომ ნოვოსობოდნენსკაია მაიკოპის კულტურის გაგრძელება კი არა, არამედ უფრო ნათესაობას დასავლეთ ევროპის კულტურების მონათესავეა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ 3 ათასი წლის შემდგომ მაიკოპი წყვეტს ფუნქციონირებას და მის ადგილას იკავებს ნოვოსობოდნენსკაიას კულტურა და მისი შემქმნელი გენეტიკური პლასტი, რომელიც დასავლეთ ევროპულ კულტურასთან ამჟღავნებს ნათესაურ კავშირს.

ნაშრომში ასევე მიმოხილულია ევროპული კულტურების წარმოშობა-განვითარების საკითხები და თანმდევი პალეოგენეტიკა. სრულყოფილი ანალიზის საფუძველზე ავტორი ვარაუდობს, რომ ანატოლიელი ექსპატრიანტებისა და ადგილობრივი მონადირე-შემგროვებლების მატარებელი გენების ასიმეტრიული სიმბიოზი მათ თანაარსებობაზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი ერთის მიერ მეორის ასიმულირებაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

კითხვაზე, რა წინაპირობები უნდა არსებულებოდა „ამ ევროპული კულტურების წარმოშობისთვის და რას მიგვანიშნებს ზემოაღნიშნულის“ შესახებ პალეოგენეტიკა? მკვლევარი მიუთითებს, რომ ევროპის ნეოლითური კულტურების ჩამოყალიბებაში ლომის წილი მიუძღვნის ანატოლიიდან მიგრირებულ არეულ მიწათმოქმედ საზოგადოებას, რაც ადასტურებს მიგრირებული ერთობის ანატოლიური წარმოშობისა წარმომადგენელთა Y-ჰაპლოჯგუფ G2a2-ს და სუბკლადებს - G2a2a-სა და G2a2b-ს.

ანატოლიიდან ნეოლითელი საზოგადოების ექსპანსია ევროპისაკენ სხვადასხვა გზით მიმდინარეობდა. როგორც ჩანს, ეს ე. წ. – „ოკუპაცია“ სამ

ეტაპად 5200, 5200-4000, 4000-2000 მიმდინარეობდა.

თ. ისაკაძის აზრით ბალკანეთის პალეოგენეტიკური მონაცემები აჩვენებს G2a2 წინაპარი ჰაპლოჯგუფის ორი სუბკლადის პარალელურ თანაარსებობას. პირველი სუბკლადი (G2a2) არქეოლოგიური კულტურის ანალიზის საფუძველზე ხაზოვან-ლენტური კერამიკის ფუნქციონირების (5500-4500 BCE) დროს ემთხვევა. მეორე სუბკლადი G2a2b ბუგო-დნესტრის (ასაკი - 6300-5000 BCE) და დნეპრო-დონის (ასაკი - 5000-4200 BCE) ნეოლითური კულტურის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა, ხოლო მესამე ე.წ. შერეული ვერსია (6400-6200, 5700-4500 BCE) ჩრდილო-ხმელთაშუა ზღვის კულტურას ემთხვევა და ჩათალ-ჰუიუკის ანატოლიურ კულტურის ზეგავლენით ხასიათდება.

ავტორის აზრით, ძვ.წ. IV ათასწლეულის დასაწყისში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ანატოლიური იმპულსების მატარებელი უკვე თავს იჩენს ანატოლიური წარმომავლობის დასავლურ-ეპოქური კლასტერი ჰაპლოჯგუფით G2a2b, რომელიც დღესაც აფხაზეთისა და ადიღელების პოპულაციის მაჟორული ჰაპლოჯგუფია.

ნაშრომის 3.2. პარაგრაფში არქეოლოგიური მემკვიდრეობითობა ავტორი ხაზს უსვამს, იმ გარემოებას, რომ ჩრდილო კავკასიაში ახლო აღმოსავლეთიდან მოძრაობის კვალი პალეოგენეტიკური მასალითა და სხვა მატერიალური მონაცემებით დასტურდება.

ძეგლების განხილვის პროცესში, ავტორი ყურადღებას ამახილავს ხაზოვან-ლენტური კერამიკის (5500-4000 BCE) კულტურაზე და აღნიშნავს, რომ ამ კულტურამ მოიცვა აღმოსავლეთი ევროპა და განსაკუთრებული წვრილი შეიტანა ადრეული ევროპის სახის ფორმირებაში. როგორც ვარაუდობენ, ეს კულტურა სახეს იცვლის, ტრანსფორმირდება როგორც „ადგილობრივი ვარიაცია“. ესენია: როსენის, ლენდელის და ტრიპოლიე-კუკუტენის, ასევე სტარჩევო-კრიშკის კულტურები. ახალ-მოსახლეთა მიგრაციის კვალი კონტინენტის სიღრმეშიც ვლინდება. ისინი ბრიტანეთისა და სკანდინავიის ტერიტორიაზეცაა წარმოდგენილი.

დასკვნის სახით, ავტორი მიგვანიშნებს, რომ სახეზე გვაქვს ევროპის ადრეული კულტურები, მკაფიო მემკვიდრეობითი ხაზი და მისი ანატოლიური პროტოტიპი, რაც კარგად ჯდება პალეოგენეტიკური მასალით დემონსტრირებული მიგრაციის ქრონოლოგიის მარშრუტის სქემაში და მიუთითებს ანატოლიიდან ევროპაში ექსპანსიის ხასიათზე.

ლინგვისტიკური მასალების შესწავლისას, თ.

ისაკაძის აზრით, აფხაზურ-აიღური და არქაულ ანატოლიური, ასევე ხათურის მსგავსების საკითხები პოპულაციური გენეტიკის გამოჩენამდე განიხილებოდა.

თუმცა უძველესი ისტორიის წარმოსადგენად გენეტიკას უფრო მყარი და სანდო ინსტრუმენტები მოეპოვება. დიაჩკოვ-ტარასოვი, სოლოვიოვი, ი. დიაკონოვი, გ. მელიქიშვილი, გ. კლიმოვი, მუნჩაევი, ვ. ივანოვი და სხვანი განიხილავდნენ ტერმინოლოგიას, ფლორისა და ფაუნის, ასევე სხვა ტიპის ლექსიკას.

ავტორი მოცემული მასალებისა და ვიზუალური ივანოვის მოსაზრებას აღნიშნავს, რომ „ხათური ენა, უნდა დავინახოთ, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიურ ენათა ოჯახის საკმაოდ არქაული წარმომადგენლის როლში.

სარეცენზიო ნაშრომის 3.4 ქვეთავში ეთნოკულტურული პარალელების ძიებისას თ. ისაკაძე მიუთითებს ხათურის ძლიერ გავლენაზე აფხაზურ-აიღური მოსახლეობის მატერიალურ კულტურულ და რიტუალურ ტრადიციებზე. მისი ხედვით, ხათური ლექსიკა გასაოცრად ემსგავსება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის პოპულაციების ენებს, რაც მათ უცილობო ნათესაობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. ამგვარი ნათესაობის კვალი შემორჩენილია აფხაზურ-აიღური მოსახლეობის ფოლკლორულ მეხსიერებაშიც.

გამოკვლევის 3.5 ქვეთავში „კონტაქტების საკითხისათვის“- ავტორი დ. ენტონისა და ა. ბოჰარდის კონცეფციაზე დაყრდნობით ავითარებს მოსაზრებას, რომ დარკვეთ-მეშოკოსა და მისი მემკვიდრე მაიკოპის კულტურები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის წინაპარი ენის ადგილებია, ის სივრცეა, სადაც ისინი დღემდე შემორჩნენ.

ავტორის აზრით, დარკვეთში პალეოგენეტიკური მასალის არარსებობის გამო ამ ძეგლის საფუძველზე ოპერირება შეუძლებელია, თუმცა მეშოკოს სეგმენტიდან (უნაკოზოვსკაიადან ინდივიდები I1722, I2056, I2055) მოპოვებული მასალა ანატოლიურ და ირანულ ნეოლითთან ერთად კავკასიელ მონადირე-შემგროვებლების კვალს ამჟღავნებენ.

თუ აფხაზურ-აიღურის წინაპრის კერად ჩრდილოეთ კავკასიას განვიხილავთ და არა ანატოლიას, სარეცენზიო ნაშრომი განხილული არქეოლოგიური და გენეტიკური მასალის გათვალისწინებით დასაშვებია დიფუზიის ვარიანტი. ამ შემთხვევაში ხდება გენის იმპორტი და ექსპატრიანტები გადადიან ადგილობრივი ეთნოსის სამეტყველო ენაზე. ეს, ავტორის აზრით

„არქეოლოგიური მონაცემებით დგინდება, რომ ჰაპლოჯგუფ G2a2- ის სავარაუდო აქტიური მიგრაციისას ნოვოსვობოდენსკაიას კულტურის პერიოდში ადგილი ჰქონდა ინოვაციური კულტურული ელემენტების შემოტანასაც, რომელიც დასავლეთ ევროპის კულტურების გაგრძელებაა. ამ შემთხვევაში ადგილობრივი ენა-სუბტრატი ამჟღავნებს გასაოცარ სიცოცხლისუნარიანობას და მიგრანტების სასაუბრო ენა ხდება“.

სავარაუდოა, რომ ბომჰარდი კვლევის პროცესში იყენებს ინდოევროპული ენების მასალას „რომელიც ამჟღავნებს მორფოლოგიურ და ლექსიკურ მსგავსებას აფხაზურ-აიღურთან“.

გამოკვლევის 3.6. პარაგრაფში ჰიდრონიმების განხილვაც ზემოაღნიშნულზე მიგვანიშნებს. სტატის ავტორი განიხილავს რა უკრაინისა და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ჰიდრონიმებს და გამოთქვამს ვარაუდს, რომ ნეოლითში ანატოლიიდან ჩრდილოეთ კავკასიაში დასავლეთ საქართველოს გავლით გადაადგილდებიან.

დასავლეთ საქართველოს სამხრეთ რეგიონში შემორჩენილი ჰიდრონიმები და ტოპონიმები ზემოაღნიშნულის ვარაუდს არსებობის უფლებას აძლევს, თუმცა ნეოლითში კოლხეთის ჭაობიანი გარემო ამ კონცეფციას ძლიერ ასუსტებს, რადგან ამ „პერიოდში არ გვხვება არქეოლოგიური ძეგლები“. რისი დათარიღებაც თანამედროვე მონაცემების საფუძველზე ძნელია (იხ. ლ. ნებიერიძე, გ. გრიგოლია და სხვ.). ზემოაღნიშნულის დასტურია რიონის მარცხენა სანაპიროზე გამოვლენილი ნეოლითური (ანასეული I, II, გურიანთა, მამათი და სხვ. - ლ. ნებიერიძე) და ენეოლითური ე.წ. „დამირული ნამოსახლარები“ (ისპანი, ჭოლიპა, შემოქმედი და სხვ. - ლ. ჯიბლაძე, ვ. სადრამე). მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ავტორი დაასკვნის, რომ აქ არ ჩანს ანატოლიიდან მიგრაციის დიდი ტალღის კვალი.

4. conclusions- სა და 5. Abstracts for future research-ში შემჭიდროვებითაა მოცემული კვლევის შედეგები.

ავტორი ეხება რა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხთა წარმომავლობის საკითხს, აფხაზურ-აიღური ოჯახის განვითარება-ჩამოყალიბებასა და ანატოლიურ (ხათურ-ხეთური) კავშირებზე ამახვილებს ყურადღებას.

ნაშრომი შინაარსობრივად მონოგრაფიული გამოკვლევას წარმოადგენს და არქეოლოგიის, გენეტიკისა და ლინგვისტიკის ინტერდისციპლინარული პრინციპითაა განხილული.

გამოკვლევა საკმაოდ ბევრ კითხვებს ბადებს. ართმევს თავს და მომავალში გენეტიკის მიმართუ-
იმედია ავტორი ამ კითხვებსაც წარმატებით გა- ლეზით არა ერთ გამოკვლევას შემოგვთავაზებს.

Review

On the work of Teodore Isakadze, "For the origin of the population of the North-West Caucasus"

*Vazha Sadradze, associate professor
Georgian Technical University*

*Giorgi Kvirkvelia, Master
Georgian Technical University*

Summary

The research mainly deals with the issue of the origin of the population of the North-West Caucasus, whose spoken language belongs to the Abkhazian-Adyghe language family.

In our opinion, the author successfully relies on existing data from the point of view of archaeology, genetics and linguistics. It tests existing hypotheses and relies on population genetics for this.

Despite the fact that population genetics is a young discipline, it already "possesses quite reliable tools for determining the routes and chronological sections of early migrations of peoples".

For in-depth research, Tevdore Isakadze reviews the modern genetic picture and paleogenetic material of the Abkhaz-Adyghe people, as well as analyzes archaeological and linguistic data. According to the author, this work, using a multidisciplinary approach, continues the research of early migrations of peoples and the formation of populations.

The research reviews the issues of the origin and development of European cultures and the accompanying paleogenetics. Based on the analysis, the author assumes that the asymmetric symbiosis of genes carrying Anatolian expatriates and local hunter-gatherers should indicate their coexistence, and in some cases, the assimilation of one by the other.

The researcher points out that the lion's share in the formation of the Neolithic cultures of Europe is dedicated to the chaotic farming community that migrated from Anatolia.

In his opinion, At the beginning of the 4th millennium(BC), the Western European cluster of Anatolian origin with the haplogroup G2a2b, which is still the major haplogroup of the Abkhazian and Adyghe population, appeared in the North-West Caucasus.

The author emphasizes the fact that traces of movement from the Middle East in the North Caucasus are confirmed by paleogenetic material and other material data.

In the review paper, while searching for ethno-cultural parallels, T. Isakadze points to the strong influence of Khaturi on the material cultural and ritual traditions of the Abkhaz-Adyghe population. According to his view, the Khatarian vocabulary is remarkably similar to the languages of the populations of the North-West Caucasus, which should indicate their inevitable kinship. Traces of such kinship have been preserved in the folklore memory of the Abkhaz-Adyghe population.

The author deals with the issue of the origin of the peoples of the North-West Caucasus, focuses on the development and formation of the Abkhaz-Adyghe family and the Anatolian (Khattur-Hittite) connections.

The work is a monographic study and is discussed according to the interdisciplinary principles of archaeology, genetics and linguistics.

Thus, it can be concluded that the research performed at a high level also raises a lot of questions. I hope the author will successfully deal with these questions and in the future will offer more than one study in the direction of genetics.

საპროტოკოლის უკონკრეტოებო

INTERNATIONAL RELATIONS

მიგრაცია, საფრთხე თუ შესაძლებლობა

ნიკოლოზ ფიფია, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მიგრანტი არის ნებისმიერი ადამიანი, რომელიც გადაკვეთს ქვეყნის საერთაშორისო საზღვარს ან გადაადგილდება ქვეყნის შიგნით თავის საცხოვრებელი ადგილიდან, მიუხედავად ამ გადაადგილების გამომწვევი მიზეზისა, იძულებითი თუ ნებაყოფლობითი შინაარსისა და გარე მიგრაციის შემთხვევაში ამ გადაადგილების კანონიერი თუ უკანონო ხასიათისა.

ზოგადად, განსხვავებული შეხედულებაა საერთაშორისო მიგრაციის გავლენის შესახებ. არსებობს მოსაზრება, რომ მიგრანტები სამუშაოს ართმევენ ადგილობრივ მოსახლეობას და საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოს კეთილდღეობას. ზოგიერთი კვლევა ასეთ მიდგომას სიყალბედ აღიქვამს და ამის საპირისპიროდ აცხადებს, რომ მიგრანტები სწორედ იმ საქმიანობას ეწევიან რაზეც ადგილობრივი მოსახლეობა უარს აცხადებს, შესაბამისად მათ სიკეთე მოაქვთ მასპინძელი ქვეყნისთვის და დადებითი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ლეგალური მიგრაციისგან კიდევ უფრო მეტად განსხვავებული საკითხია არალეგალურ მიგრაცია, რომელიც გულისხმობს წარმოშობის ქვეყნიდან დანიშნულების (მასპინძელ) ქვეყანაში მიგრანტის შეღწევას ლეგალური საშუალებებისაგან თავის არიდების გზით. აღნიშნული კი თავისთავად კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა, რაც სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად. არალეგალური გარე მიგრაციის ძირითადი გზებია: ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), საზღვრის უკანონო კვეთა, ადამიანის საზღვარზე უკანონოდ

გადაყვანა და ქვეყნის ტერიტორიაზე ლეგალურად ყოფნის ვადის ამოწურვის შემდგომ დარჩენა. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა მასშტაბებით მეორე დანაშაულებრივი ინდუსტრიაა მსოფლიოში და მსხვილი საერთაშორისო კრიმინალური ქსელების მიერ იმართება.

მიგრაციას გააჩნია როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ეფექტი. ის შეიძლება იყოს საფრთხე და ამავე დროს შესაძლებლობა. ამიტომ აუცილებელია კომპლექსური მიდგომა და ანალიზი მიგრაციის გავლენის შესაფასებლად და მიგრაციული პროცესების სამართავად. თავის მხრივ არალეგალურ მიგრაცია, როგორც ფაქტი ახდენს ზემოქმედებას როგორც ეკონომიკაზე და ასევე სოციალური მიმართულებით. აქვე უნდა ითქვას, რომ უმეტესწილად, არალეგალური მიგრანტები ცდილობენ მასპინძელ ქვეყანაში საკუთარი ყოფნის ლეგალიზაციას, ერგებიან იმ კონკრეტული სოციუმს და სიტუაციას, სადაც მათ უწევთ საქმიანობა და ამგავარ ერთვებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია, გარე მიგრაცია, ლეგალური და არალეგალური მიგრაცია, მიგრანტი, ლტოლვილი,

ძირითადი ნაწილი

ლტოლვილისგან განსხვავებით, რომელიც იძულებული გახდა, რომ დაეტოვებინა თავისი წარმოშობის ქვეყანა რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო, მიგრანტი არის ნებისმიერი ადამიანი, რომელიც გადაკვეთს ქვეყნის საერთაშორისო

საზღვარს ან გადაადგილდება ქვეყნის შიგნით თავის საცხოვრებელი ადგილიდან, მიუხედავად ამ გადაადგილების გამომწვევი მიზეზისა, იძულებითი თუ ნებაყოფლობითი შინაარსისა და გარე მიგრაციის შემთხვევაში ამ გადაადგილების კანონიერი თუ უკანონო ხასიათისა (ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო, 2019).

საერთაშორისო მიგრაციას თავისი გამომწვევი მიზეზები გააჩნია. გარე მიგრაცია შეიძლება გამოწვეული იყოს პოლიტიკური დევნით, უფლებების დარღვევით, შეიარაღებული კონფლიქტებით, სამუშაოს ძიების სურვილით და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ოჯახის სხვა წევრებთან ერთად ყოფნით, რომლებიც უკვე იმყოფებიან დანიშნულების ქვეყანაში, ასევე სასწავლებლად და სხვ. მათგან ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული მიგრაციის მიზეზად მიჩნეულია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გარემო (environmental migration) პირობები (Nematov, 2018).

საქართველოდან მიგრაციის მთავარი მიზეზი იყო და არის ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, რომელმაც სერიოზული დარტყმა მიიღო საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად. ამ პროცესმა ყველაზე მეტად სასოფლო-სამეურნო სექტორი განადგურა. 2004 წელს მშპ 1989 წლის მაჩვენებლის 45% უტოლდებოდა. 2011 წელს ოფიციალური მონაცემებით დასაქმების მაჩვენებელი 55,4% იყო (გორგოშიძე, ვაგნერი, ნოაკი, & საბადელო, 2014, გვ. 17).

საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან მიგრაციის საკითხზე მსჯელობისას რასაკვირველია საინტერესოა იმ მიზეზებზე და გარემოებებზე ყურადღების გამახვილება, რამაც განაპრობა მათი მასპინძელ ქვეყანაში წასვლა და რა მივიღეთ შედეგად. ამ საკითხს კომპლექსურად უნდა მივუდგეთ და გავანალიზოთ მიგრაციის გავლენა, როგორც მიგრანტთა, ასევე საზოგადოების, ქვეყნის დემოგრაფიულ, ეკონომიკურ, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. უცხოეთიდან საქართველოში ჩარიცხული ფულადი გზავნილების მოცულობას მზარდი დინამიკა გააჩნია. საყურადღებოა, რომ 2018-2020 წლებში ფულადი გზავნილების ოდენობამ გადააჭარბა ამავე წლებში განხორციელებულ პირდაპირ უცხო-ურ ინვესტიციებს. ფულადი გზავნილების მოცულობის ზრდა პირდაპირი გამოძახილია საქართველოში დაბადებული და საზღვარგარეთ მცხოვრები მიგრანტების დიდი რაოდენობის, რომელთა რიცხვი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეფასებით 2020 წელს 861,077-მდე

გაიზარდა. სწორედ ემიგრაციის ზრდამ განაპირობა საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების ყოველწლიური მოცულობაც. აღსანიშნავია, რომ გზავნილებმა 2020 წელს ბოლო 21 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია და თითქმის 1,9 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. შესაბამისად, მიგრაციის გავლენა ემიგრანტთა ოჯახებზე ცალსახად დადებითია, მითუმეტეს, რომ მათთვის ეს გზავნილები მნიშვნელოვან საარსებო წყაროს წარმოადგენს (საქართველოს მიგრაციის პროფილი, 2021, გვ. 13, 18).

ზოგადად, განსხვავებული შეხედულებაა საერთაშორისო მიგრაციის გავლენის შესახებ. არსებობს მოსაზრება, რომ მიგრანტები სამუშაოს ართმევენ ადგილობრივ მოსახლეობას და საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოს კეთილდღეობას. ზოგიერთი კვლევა ასეთ მიდგომას სიყალბედ აღიქვამს და ამის საპირისპიროდ აცხადებს, რომ მიგრანტები სწორედ იმ საქმიანობას ეწევიან რაზეც ადგილობრივი მოსახლეობა უარს აცხადებს, შესაბამისად მათ სიკეთე მოაქვთ მასპინძელი ქვეყნისთვის და დადებითი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში (ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო, 2019).

ამერიკის შეერთებული შტატები იმიგრანტების ქვეყანაა, სადაც მცხოვრები მოქალაქეების წინაპრებმა დატოვეს თავიანთი სამშობლო ამერიკაში უკეთესი ცხოვრების სურვილით და იმედით. აშშ-ს ისტორიის გადმოსახედიდან იმიგრაცია იყო ეკონომიკის გაჯანსაღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რადგან ქვეყნის მდიდარ, აუთვისებელ დიდ გეოგრაფიულ ტერიტორიას, ეკონომიკურ რესურსს და შესაძლებლობებს სწორედ დიდი ადამიანური რესურსი სჭირდებოდა. სწორედ ამიტომ მიგრაციას თავისი დადებითი ეფექტი ქონდა ამერიკისთვის და იყო როგორც სარგებელი ქვეყნისთვის, ასევე შესაძლებლობა მიგრანტებისთვის. აშშ-ში მიგრაციის პროცესი დღემდე გრძელდება და ის ერთ-ერთი დღემდე ყველაზე მეტად სასურველი დანიშნულების ქვეყანაა ემიგრანტებისთვის.

დღეს, ზემოაღნიშნული დამოკიდებულებას და მიდგომას განსხვავებული ახსნა გააჩნია. რასაკვირველია დროთა განმავლობაში იცვლება მოცემულობა, მიდგომები და შეხედულებები სხვადასხვა ფაქტებთან დაკავშირებით. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ აშშ ფაქტიურად ახორციელებს სიღარიბის იმპორტს და ამას ხსნიან ორი მიზეზით: ა) შრომის ბაზარზე კონკურენციის გაზრდით მცირდება ხელფასები ადგილობრივ

დასაქმებულებზე და უფრო მეტს სიღარიბეში აყენებს მათ; ბ) თავად ემიგრანტები ხშირად ღარიბები არიან. შესაბამისად, ვინაიდან ემიგრანტები არიან ღარიბები და ნაკლებად განათლებულები, ისინი იხდიან ნაკლებ გადასახადს და უფრო ხშირად იღებენ საზოგადოებრივ სარგებელს, ვიდრე ადგილობრივები. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ იმიგრაციის უარყოფითი გავლენა ფედერალურ, სახელმწიფო და ადგილობრივ ფინანსებზე გაიზარდება, რაც უფრო მზარდი იქნება უცხოეთში დაბადებული მოსახლეობის წილი. რასაკვირველია, იმიგრაცია ამცირებს ხელფასებს ადგილობრივ მუშებში, ვინაიდან მიგრანტები შრომით ბაზარზე წარმოადგენენ კონკურენტულ და იაფ მუშხელს. თუმცა, აქაც კომპლექსური მიდგომაა საჭირო. აუცილებელია საკითხის ანალიზი და მისი ყოველმხრივი და ობიექტური შეფასება. მიგრაციაზე საუბრისას, რომ არ მოახდინოს მან უარყოფითი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე და არ აისახოს მოსახლეობაზე ნეგატიურად აუცილებელია მიგრაციული პროცესის სწორად მართვა. აქვე უნდა გავიაზროთ, რომ იაფი მუშხელის არსებობით ადგილობრივი დამსაქმებლები სარგებელს იღებენ, ვინაიდან მას შეუძლია დაიქირავოს მუშხელი უფრო დაბალი ხელფასის გადახდის პირობით. ეს კი ადგილობრივი დამსაქმებლის მოგებას და კაპიტალს ზრდის (Edwin S. Rubenstein, 2016).

ლეგალური მიგრაციისგან კიდევ უფრო მეტად განსხვავებული საკითხია არალეგალურ მიგრაცია. ლეგალური მიგრაციისაგან განსხვავებით, არალეგალური მიგრაცია გულისხმობს წარმოშობის ქვეყნიდან დანიშნულების (მასპინძელ) ქვეყანაში მიგრანტის შეღწევას ლეგალური საშუალებებისაგან თავის არიდების გზით. აღნიშნული კი თავისთავად კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა, რაც სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად. არალეგალური გარე მიგრაციის ძირითადი გზებია: ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), საზღვრის უკანონო კვეთა, ადამიანის საზღვარზე უკანონოდ გადაყვანა და ქვეყნის ტერიტორიაზე ლეგალურად ყოფნის ვადის ამოწურვის შემდგომ დარჩენა. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა მასშტაბებით მეორე დანაშაულებრივი ინდუსტრიაა მსოფლიოში და მსხვილი საერთაშორისო კრიმინალური ქსელების მიერ იმართება. (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია)

თავის მხრივ არალეგალურ მიგრაცია, როგორც ფაქტი ახდენს ზემოქმედებას როგორც ეკონომიკა-

ზე და ასევე სოციალური მიმართულებით.

გაერთიანებული სამეფოს მაგალითზე ჩატარებული კვლევებით ირკვევა, რომ არალეგალური მიგრანტები ძირითადად დასაქმებულები არიან მშენებლობაზე, სასოფლო-სამეურნეო სფეროში, სასტუმროებში, რესტორნებში სხვ. ესენი წარმოადგენენ იმ სფეროს სადაც დასაქმების მხრივ გარკვეულ სირთულეებს აწყდებიან ადგილობრივი მუშხები და ლეგალური მიგრანტები. როგორც ჩანს ამის მიზეზი არის დაბალი ანაზღაურება, რაზეც თანხმობას არალეგალური მიგრანტები აცხადებენ. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ბრიტანეთის ეკონომიკაში გარკვეული პოზოტიური წვილი არალეგალურ მიგრანტებსაც შეაქვთ. ძირითადად რაც იზიდავთ დამსაქმებლებს არალეგალურ მუშხებში ეს არის ის რომ ისინი მზად არიან მიიღონ დაბალი ანაზღაურება გაწეული სამუშოსთვის და ამავე დროს არ უჩივიან სამუშო პირობებს. (Chappell, Glennie, Latorre, & Mulley, 2011)

აქვე უნდა ითქვას, რომ უმეტესწილად, არალეგალური მიგრანტები ცდილობენ მასპინძელ ქვეყანაში საკუთარი ყოფნის ლეგალიზაციას, ერგებიან იმ კონკრეტული სოციუმს და სიტუაციას, სადაც მათ უწყვეტ საქმიანობა და ამგავარ ერთეებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

დასკვნა

ქვეყნის გარეთ, როგორც ლეგალურ ასევე არალეგალურ მიგრაციას თავისი ლოგიკური ახსნა და გამომწვევი მიზეზები გააჩნია. მიუხედავად მიგრაციის ნებაყოფლობითი თუ იძულებითი ხასიათისა, სხვადასხვა მიზეზ-ფაქტორებისა და მათი გავლენის ხარისხის თუ მნიშვნელობისა, ერთი რამ უდავოა; მიგრანტი ამ ნაბიჯს დგამს უკეთესი მომავლის იმედით. ეს არის მისი სრულიად ბუნებრივი უფლება და სურვილი - იყოს ბედნიერი. როგორც თითოეულ ადამიანს მიგრანტსაც აქვს უფლება იცხოვროს უკეთ და თუ ეს შეუძლებელია მიაჩნია თავის წარმოშობის ქვეყანაში, საცხოვრებელ ადგილას, იგი იღებს გადაწყვეტილებას და ეძებს ახალ, მისი აზრით უკეთეს ქვეყანას, სადაც შესაძლებელი იქნება მისი უფლებების დაცვა და სურვილების განხორციელება. თავის მხრივ მიგრაციას გააჩნია როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ეფექტი. ის შეიძლება იყოს საფრთხე და ამავე დროს შესაძლებლობა. ამიტომ აუცილებელია კომპლექსური მიდგომა და ანალიზი მიგრაციის გავლენის შესაფასებლად და მიგრაციული პროცესების სამართავად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გორგოშიძე, ქ. ვაგნერი, ვ. ნოაკი, მ. საბადელო, მ. (2014). „საქართველოს დიასპორა და მიგრანტთა გაერთიანებები გერმანიაში, საბერძნეთსა და თურქეთში, ტრანსნაციონალური რეალობა და კავშირები საქართველოსთან. თბილისი;
2. საქართველოს მიგრაციის პროფილი, (2021). თბილისი;
3. ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის, ნაწილი I (2019, February), from <https://rm.coe.int/georgian-version-human-rights-at-local-and-regional-levels-vol-1/1680a05214>;
4. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, არალეგალური მიგრაციის საფრთხეები, from https://migration.commission.ge/index.php?article_id=148&clang=0;
5. Nematov E- (2018). International migration, United Nations, Peace, dignity and equality on a healthy planet, from <https://bit.ly/3HSjFx2>;
6. An NPG Forum Paper by Edwin S. Rubenstein, THE NEGATIVE ECONOMIC IMPACT OF IMMIGRATION ON AMERICAN WORKERS (2016), from <https://npg.org/wp-content/uploads/2016/02/2016NegativeEconomicImpactForumPaper.pdf>;
7. Chappell, L. Glennie, A. Latorre M. and Mulley, S. (2011) The impacts of irregular migration, from https://migration.etuc.org/en/docs_en/6%20The%20impacts%20of%20irregular%20migration.pdf

Migration, a threat or an opportunity

*Nikoloz Phiphia, professor
Georgian Technical University*

Summary

A migrant is any person who crosses the international border of a country or moves within the country from his place of residence, regardless of the reason for this movement, forced or voluntary content, and in the case of external migration, regardless of the legal or illegal nature of this movement.

In general, there are different views on the impact of international migration. There is an opinion that migrants take the jobs away from the local workers and threaten the well-being of the state. Some studies perceive such an approach as false and state that, on the contrary, migrants engage in exactly the activities that the local workers refuses, therefore they make a positive contribution to the host country to the development of the country's economy.

Illegal migration is an even more different issue from legal migration, which involves the entry of a migrant from the country of origin to the country of destination (host) by avoiding legal means. This is an illegal action in itself, which entails legal responsibility in accordance with the legislation of the host country. The main ways of illegal external migration are: human trafficking (trafficking), illegal crossing of the border, illegal transfer of a person to the border and staying after the expiration of the legal stay in the territory of the country. It should be noted that human trafficking and illegal border crossing is the second largest criminal industry in the world and is managed by large international criminal networks.

Migration has both positive and negative effects. It can be a threat and an opportunity at the same time. Therefore, a complex approach and analysis is necessary to assess the impact of migration and to manage migration processes. On the other hand, illegal migration, as a fact, affects both the economy and the social direction. It should be said here that, for the most part, illegal migrants try to legalize their stay in the host country, adapt to the specific society and situation where they have to work, and thus engage in public life.

თანამედროვე რუსეთისა და თურქეთის პარტნიორობა და კონკურენცია სამხრეთ კავკასიაში

*ნუგზარ დურმიშიძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*თათია ტატინაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება სამხრეთ კავკასიის, მათ შორის საქართველოსთვის, უმნიშვნელოვანეს საკითხს: ორი დიდი რეგიონული აქტორის - რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობებს, მათ სტრატეგიულ ინტერესებს და შესაბამისად, პარტნიორობისა თუ კონკურენციის ძირითად ასპექტებს დღეს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებისა და არსებული სერიოზული პრობლემების ფონზე.

სამხრეთ კავკასიისა და განსაკუთრებით საქართველოს ისტორიაში, რუსეთისა და თურქეთის ფაქტორი ყოველთვის მეტად აქტუალური იყო მე-16 საუკუნიდან მომდინარე და გამორჩეულად მე-18-მე-19 საუკუნეებში, ასევე გასული ასწლეულის დასაწყისში, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. ისტორიულად, ამ ორი ევრაზიული იმპერიის - რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობებში, დაპირისპირება და ომები გაცილებით ხშირი იყო, ვიდრე მშვიდობიანი თანაცხოვრების პერიოდები, თუმცა ზოგჯერ ორმხრივ გარიგებებსაც ჰქონდა ადგილი სამიზნე რეგიონში გავლენების გადანაწილების თვალსაზრისით და ყოველი ასეთი „ჯენტლემენური“ გარიგება მუდამ ძალიან ცუდად უბრუნდებოდათ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, ყველაზე მეტად კი საქართველოს. სამოცდაათწლოვანი საბჭოთა რეჟიმის პირობებში თურქეთის ფაქტორის როლი ჩვენი რეგიონისთვის უმნიშვნელო იყო, რადგან ცივი ომის დროს თურქეთი, ნატო-ს აღმოსავლეთის ფორპოსტი, იძულებული იყო უფრო თავის ეროვნულ უსაფრთხოებაზე ეზრუნა, ვიდრე გეოპოლიტიკური ინტერესების რეალიზაციაზე, თუმცა ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ვითარება საგრძნობლად შეიცვალა.

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკა მეტად სწრაფი ცვლელადობით გამოირჩევა. ხშირად, მოვლენების განვითარება ნაკლებად ექვემდებარება ელემენტარულ ლოგიკას და სულ უფრო ძნელად პროგნოზირებად ხასიათს იძენს; ზოგჯერ მოტივაცია კი ძალზე რთული ასახსნელია როგორც გლობალურ, ისე რეგიონულ აქტორთა მოქმედებაში, რისი ნათელი მაგალითებიცაა რუ-

სეთის სრულმასშტაბიანი აგრესია უკრაინაში, რომელიც უკვე 2 წელია გრძელდება და ისრაელ - „ჰამასის“ მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი, რომლებსაც დაწყების მომენტისათვის თითქოს არანაირი თვალსაზრისი წინაპირობა არ გააჩნდა.

ნაშრომის მიზანია, ამ მოვლენათა ფონზე განვიხილოთ რუსეთისა და თურქეთის დღევანდელი ურთიერთობების ზოგიერთი ასპექტი, რაც მეტად მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით, რადგან აღნიშნული ევრაზიული სახელმწიფოები ჩვენი რეგიონისთვის უმსხვილეს მოთამაშეებს, ძირითად რეგიონულ აქტორებს წარმოადგენენ და ამდენად, მათი ინტერაქციის ხასიათი, იქნება ეს პარტნიორობა, კონკურენცია თუ დაპირისპირება, მრავალწილად განსაზღვრავს სამხრეთ კავკასიის, მათ შორის საქართველოს, უსაფრთხოების ხარისხს.

შესავალი

რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობათა ისტორია გასული საუკუნის ოციან წლებამდე, ანუ პირველი მსოფლიო ომის დასასრულამდე, არსებითად მათ შორის ომების ისტორიაა, რაც უმთავრესად კავკასიაში, ბალკანეთსა და მეტადრე, შავი ზღვის რეგიონში დომინირებისათვის მძაფრ კონკურენციას უკავშირდება. ამათგან, ჩვენი ნაშრომის განხილვის ობიექტი სამხრეთ კავკასიისათვის მეტოქეობა გახლავთ.

ორ ევრაზიულ იმპერიას შორის ურთიერთობებში შესამჩნევი ცვლილებები მოხდა 1920-1921 წლებში, როდესაც პირველ მსოფლიო ომს „შეწირული“ ეს ორი ქვეყანა, ასე ვთქვათ, „ერთ ბედქვეშ“ აღმოჩნდა: „ანტანტის“ გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა რუსეთს „არ დაუფასეს“ ომში გაწეული ერთგული მოკავშირეობა, რითაც რევოლუციური ქაოსისა და გერმანიის წინაშე ფაქტობრივი კაპიტულაციისათვის გაწირეს იგი (ცნობილი ბრესტ-ლიტოვსკის ზავი), რამაც თითქმის ყველა იმპერიული სამფლობელო დააკარგვინა რუსეთს და რაც დიდი ბედნიერება იყო სხვადასხვა დროს მის მიერ დაპყრობილი ერებისთვის; ხოლო გერმანიასთან ერთად დამარცხებული თურქეთი, რომ არა ქემალ ათათურქი და მისი თანამებრძოლების უდი-

დესი ძალისხმევა, არათუ ჯერ კიდევ არსებულ იმპერიული სამფლობელოების ნარჩენებს, არამედ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასაც დაკარგავდა, საერთოდ გაქრებოდა რუკიდან, როგორც სახელმწიფო.[6]

ამდენად, იმ კრიზისულ პერიოდში ამ ორ ტრადიციულ მეტოქეს, რუსეთს და თურქეთს ისე სჭირდებოდათ ერთმანეთი, როგორც არასდროს. საბჭოთა რუსეთი როგორც შეემლო დაეხმარა დამოუკიდებლობისათვის ომის „ბოლომდე მიყვანაში“ ქემალისტურ ხელისუფლებას როგორც ფინანსურად და მატერიალურად, ისე შეიარაღებით, ხოლო ამის სანაცვლოდ ქემალისტურმა თურქეთმა „უპრობლემოდ“ აღიარა სამხრეთ კავკასიის ქვეყნები რუსეთის ექსკლუზიური ინტერესებისა და გავლენის სფეროდ. ხოლო 1921 წლის მარტის მოსკოვის და იმავე წლის სექტემბრის ყარსის ხელშეკრულებით საბოლოოდ გადანაწილდა გავლენები ერთადერთ შემორჩენილ საკონკურენტო რეგიონში - სამხრეთ კავკასიაში: ტაოკლარჯეთი, ანუ ართვინის რეგიონი და სომხეთის დასავლეთი ნაწილი ისევ თურქეთის შემადგენლობაში დაბრუნდა, სამხრეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები კი რუსეთის „საკურატორო ზონად“ გამოცხადდა, ხოლო აჭარას და მთიან ყარაბაღს ავტონომიური სტატუსი განესაზღვრათ შესაბამისად საბჭოთა საქართველოს და საბჭოთა აზერბაიჯანის ფარგლებში. ასეა, „გულითადი“ შეთანხმებები რუსეთსა და თურქეთს შორის თითქმის ყოველთვის, ცუდად უბრუნდებოდათ სამხრეთ კავკასიის ერებს.[6]

ცივი ომის დროს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში განსაკუთრებული არაფერი ყოფილა გარდა იმისა, რომ თურქეთი 1952 წელს ნატო-ში გაწევრიანდა, რითაც დასავლეთის აღმოსავლური ფორპოსტის ფუნქცია იკისრა. იმ დროისათვის თურქეთის უპირველეს სტრატეგიულ მიზანს შეადგენდა საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ანუ საბჭოეთიდან მოსალოდნელი პოტენციური საფრთხის პრევენცია და განეიტრალება დასავლეთის აქტიური დახმარებით, რისთვისაც აუცილებელი იყო ამ უკანასკნელთან მჭიდრო თანამშრომლობა და მისი პოლიტიკის უპირობო გატარება, რასაც პირნათლად ასრულებდა კიდევ თურქეთი, მაგრამ ბევრი რამ შეიცვალა ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.[2]

რუსეთი და თურქეთი ცივი ომის შემდგომ პერიოდში

როგორც ცნობილია, 1991 წლის 9 დეკემბერს

მოხდა მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული მოვლენა, რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, თავისი მნიშვნელობით მე-2 მსოფლიო ომის დამთავრებას არ ჩამოუვარდება, რადგან მან დაასრულა ე.წ. ცივი ომი და ორპოლუსიანი საერთაშორისო სისტემა, როდესაც მსოფლიო ორი ბირთვული ზესახელმწიფოს - ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის გარშემო იყო დაჯგუფებული. ბელორუსიაში, ბელოვეჟის ტყეში შეკრებილმა საბჭოეთის სამი დამფუძნებელი რესპუბლიკის - რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის ხელმძღვანელებმა სსრ კავშირი, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, გაუქმებულად გამოაცხადეს, ხოლო სანაცვლოდ შემოგვთავაზეს ახალი რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციის - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნა. ეს გამოცხადდა, მაგრამ აქ საკვრველი ის არის, რომ ამას საკავშირო ცენტრიდან თითქმის არანაირი სერიოზული რეაგირება არ მოჰყოლია, 3 კვირის შემდეგ კი კრემლმა ოფიციალურად დაადასტურა საბჭოთა კავშირის დაშლა, დათხოვნილ იქნა ყველა საკავშირო სტრუქტურა და ბოლოს გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა ამ სახელმწიფოს პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა მიხაილ გორბაჩოვმა; და ყველაფერმა ისე მარტივად „ჩაიარა“, თითქოს არაფერი მომხდარა. ყოველივე ეს ძლიერ უცნაურად, მეტი რომ არ ვთქვათ, გამოიყურებოდა და იმდენად წარმოუდგენელი ჩანდა, რომ სერიოზულ კითხვებს ბადებდა, რომლებზე პასუხებიც დღემდე არ არის; თუმცა ეს სულ სხვა სფეროა, წინამდებარე ნაშრომის თემა არ გახლავთ და ჩვენი განხილვის საგანს არ შეადგენს.[1]

მაშ ასე, 1991 წლის დეკემბერში არსებობა შეწყვიტა დასავლეთში ბოროტების იმპერიად წოდებულმა საბჭოთა კავშირმა, რამაც „პირველი შოკის“ გავლის შემდეგ საკმაოდ ოპტიმისტური განწყობა და ბევრი საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო იმედები გააჩინა მთელ მსოფლიოში მაგრამ ამავე დროს გაჩნდა ძალის უზარმაზარი ვაკუუმი, რომელიც შევსებას საჭიროებდა და ასევე, ძველი ბიპოლარული სისტემის ნაცვლად შესაქმნელი გახდა ახალი მსოფლიო წესრიგი, რომელიც დღემდე არ ჩამოყალიბებულა საბოლოო სახით.[1]

რაც შეეხება თურქეთს, საბჭოთა კავშირის დაშლამ მას ნამდვილად ბევრი პრობლემა მოუხსნა. პირველ რიგში, გაქრა საბჭოთა-კომუნისტური საფრთხე და საერთო სახელმწიფო საზღვარი რუსეთთან, იგი სამხრეთ კავკასიის ახალმა დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა - საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა ჩანაცვლეს და თითქოს

რუსული ტოტალიტარიზმის ეპოქაც საბოლოოდ დასრულდა; ყოველ შემთხვევაში მაშინ ასე ჩანდა. ყველაფერმა ამან თურქეთის რესპუბლიკას საშუალება მისცა მეტნაკლებად დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე ეფიქრა და აღარ დაკმაყოფილებულიყო ოდენ დასავლეთის აღმოსავლური ფორპოსტის როლით. ამის პირველი ნიშნები ჯერ კიდევ 90-ან წლებში გახდა შესამჩნევი; იქმდეც კი, რომ 1996 წელს საპქრლამენტო არჩევნები მოიგო რადიკალურ-ისლამისტურმა „კეთილდღეობის პარტიამ“ ნიჯმედინ ერბაქანის მეთაურობით, რომელიც ღიად აცხადებდა, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო ისლამური სამყარო და მასთან სტრატეგიული პარტნიორობა, ქვეყანას კი ისლამური ტრადიციებით და შარიათის კანონებით უნდა ეცხოვრა; ხოლო დასავლეთის გზა მცდარი იყო და დამღუპველი. მართალია მისმა მთავრობამ ერთი საარჩევნო ვადაც ვერ შეასრულა, რადგან არმიამ გამოიყენა ჯერ კიდევ მის ხელთ არსებული კონსტიტუციური უფლება ისლამისტურ „მიდრეკილებებში შემჩნეული“ მთავრობის გადაყენებისა და მისი პარტიის აკრძალვის შესახებ, მაგრამ თავისთავად ასეთი პარტიის არჩევნებში გამარჯვება უკვე მოსახლეობის დიდ ნაწილში არსებულ განწყობებზე მიუთითებდა და საკმაოდ დამაფიქრებელი ჩანდა. ცივი ომის დროს მსგავსი პოლიტიკური ძალის შექმნა და დარეგისტრირებაც კი წარმოუდგენელი იყო.[2]

21-ე საუკუნის დასაწყისი ორივე სახელმწიფოში რადიკალური ცვლილებებით აღინიშნა. 2000 წელს რუსეთის პრეზიდენტად აირჩიეს ვლადიმირ პუტინი, [1] რომელიც მანამდე, ელცინის ადმინისტრაციაში ჯერ უშიშროების ფედერალური სამსახურის (ФСБ) დირექტორის, შემდეგ კი, ცოტა ხნით, პრემიერ-მინისტრის თანამდებობას იკავებდა, საპრეზიდენტო არჩევნებში კი ჩეჩნეთის მეორე ომში წარმატების „ტალღაზე“ გაიმარჯვა. თურქეთში კი 2002 წლის საპარლამენტო არჩევნები მოიგო სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ (Adalet ve kalkilman Partisi) რეჯებ თაიფ ერდოღანის მეთაურობით, რომელიც ადრე ნ. ერბაქანის „კეთილდღეობის პარტიის“ ერთ-ერთი აქტივისტი იყო მაგრამ თავისი „სულიერი მოძღვრისგან“ ზომიერი, არარადიკალური პოლიტიკითა და პრაგმატული აზროვნებით განსხვავდება, უმაღლეს ხელისურლებში მოსვლამდე კი ქვეყნის უდიდესი ქალაქის - სტამბოლის მერი იყო.[2]

საინტერესოა ამ ორი ლიდერის საგარეო პოლიტიკური კურსის ეტაპობრივი მეტამორფოზის პროცესი.

ვლადიმირ პუტინი, თავის პირველ საპრეზიდენტო ვადაში ერთი შეხედვით, აგრძელებდა წინამორბედი ხელისუფლების პროდასავლურ პოლიტიკას, მჭიდრო თანამშრომლობას აშშ-თან და ევროკავშირთან, საქმიანობას ე.წ. ნატო-რუსეთის საბჭოში (აღსანიშნავია, რომ არცერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა არ იყო ისე დაახლოებული ნატოსთან, როგორც რუსეთი) და ა.შ. ისიც უდავოდ მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ 9/11 ტრაგედიისას არცერთი სახელმწიფოს ლიდერს არ გამოუხატავს მზაობა და არ გაუწევია ისეთი დახმარება ამერიკისთვის, როგორც ეს პუტინმა გააკეთა. მაგრამ მოგვიანებით ყველაფერი შეიცვალა.

უთანხმოებები ჯერ კიდევ 2003 წლიდან დაიწყო, როდესაც გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე, სადაც ერაყში სამხედრო ინტერვენციის საკითხი იხილებოდა, ჯორჯ ბუშმა ანგარიშიარ გაუწია რუსეთის, ჩინეთისა და საფრანგეთის ვეტოს ამასთან დაკავშირებით და მაინც დაიწყო საომარი მოქმედებები დიდ ბრიტანეთთან ერთად. ხოლო პუტინის პრეზიდენტობის მეორე ვადაში, როდესაც ნათელი გახდა დასავლეთის, პირველ რიგში კი აშშ-ს „ზედმეტი დაინტერესება“ ისეთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებით, როგორიცაა საქართველო, უკრაინა და მოლდოვა და თუნდაც ბუნდოვნად მაგრამ მაინც გამოჩნდა ამ ქვეყნების ევროატლანტიკური ინეგრაციის პერსპექტივის კონტურები, ინტერესთა კონფლიქტი კიდევ უფრო გაღრმავდა; რუსული ისტებლიშმენტი ე.წ. სუვერენულ დემოკრატიაზე და ევრაზიონიზმზე ალაპარაკდა, ხოლო მიუნხენის ევროპული უსაფრთხოების ფორუმზე ვ. პუტინმა სსრ კავშირის დაშლას მე-20 საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა უწოდა, მოგვიანებით კი პოსტსაბჭოთა სივრცე თავისი ექსკლუზიური სტრატეგიული ინტერესების ზონად გამოაცხადა. სწორედ ყოველივე ამის საფუძველზე განვითარდა ყველა შემდგომი დრამატული მოვლენები, მათ შორის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ 2008 წელს, ყირიმის ამექსია და დაონბასის ოკუპაცია 2014 წელს და 2022 წელს დაწყებული სრულმასშტაბიანი ომი იმავე უკრაინაში, რომელიც დღემდე მიმდინარეობს, რაც ახლო აღმოსავლეთის ბოლოდროინდელ მოვლენებთან ერთად, დიდი ხანია გაცდა რეგიონული კონფლიქტის ფარგლებს და გლობალური მასშტაბები შეიძინა, რადგან მასში პირდაპირ თუ ირიბად, თითქმის მთელი მსოფლიოა ჩართული და შეიძლება ითქვას, სისტემათა კონფრონტაციის სახეს ატარებს, რაც მეტად სახიფათოა მსოფლიო მშვიდობისათვის.[1]

მსგავსი გზა გაიარა თურქეთმაც რ.თ. ერდოღანის

მმართველობის საწყის პერიოდში. არცთუ მცირე ძალისხმევა დასჭირდა მას დასავლეთის და თურქი ქემალიტების დასარწმუნებლად იმაში, რომ მისი პარტია წარმოადგენს არა ისლამისტურ, არამედ მუსლიმანურ-დემოკრატიულ პოლიტიკურ ძალას და უზრალოდ მხარს უჭერს რელიგიის და რწმენის გამოხატვის თავისუფლებას ყოველგვარი ფუნდამენტალიზმის გარეშე; იქვე ფიგურალურ არგუმენტსაც იშველიებდა იმაზე, რომ თუკი ევროპაში დასაშვებია ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიების არსებობა, რითაც ევროპული დემოკრატია არაფერს კარგავს, რატომ არ შეიძლება მუსლიმანური დემოკრატია თურქეთში; მთავარ საგარეოპოლიტიკურ პრიორიტეტად კი ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას აცხადებდა, რისთვისაც მზად იყო სერიოზულ დათმობაზე წასულიყო კვიპროსის პრობლემის მოგვარების საკითხში და მოეწოდებინა ჩრდილოეთ კვიპროსის სეპარატისტული რეგიონისთვის ამ საკითხზე ჩასატარებელ რეფერენდუმზე კუნძულის ბერძნულ ნაწილთან, ანუ საერთაშორისოდ აღიარებულ კვიპროსის სახელმწიფოსთან გაერთიანებისათვის მიეცა ხმა, რაც გაითვალისწინა კიდევ თურქულმა მოსახლეობამ და ასეც მოიქცა, მაგრამ მოხდა ერთი შეხედვით საკვირველი ფაქტი და ბერძნულმა ელექტორატმა 2005 წელს სარეფერენდუმო კითხვას უარყოფითი პასუხი გასცა, რის გამოც რეინტეგრაციის გეგმა ჩავარდა და თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივამაც კიდევ უფრო შორს გადაიწია. ეს კი, რათქმაუნდა, ხელს ვერ შეუწყობდა თურქულ-ევროპული ურთიერთობების შემდგომ „ჰარმონიულ განვითარებას.“ სწორედ მაშინ გახდა შესაძენველი თურქეთსა და დასავლეთს შორის უთანხმოებისა და დამაბულობის პირველი ელემენტები. დამაბულობა კიდევ უფრო გამოიკვეთა 2016 წლის არშემდგარი გადატრიალების შემდეგ, როდესაც ანკარამ ვაშინგტონს იმჟამად აშშ-ში მყოფი თურქი ოპოზიციური ლიდერის ფეითულაჰ გიულენის, ერდოღანის მიერ გადატრიალების ხელმძღვანელობაში ბრალდებულის, ექსტრადაცია მოსთხოვა და რაზეც უარი მიიღო.[2]

პირველი საარჩევნო ვადის შემდეგ თანდათან გამოიკვეთა ერდოღანის მთავრობის ახალი საგარეოპოლიტიკური კურსი, რასაც დასავლეთში ნეოსმანიზმის პოლიტიკა უწოდებს, რაც გამოიხატება თანამედროვე თურქეთის არცთუ არარეალისტურ პრეტენზიებში რეგიონულ ლიდრობასა და ძალის ცენტრობაზე, დიდი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ამბიციებში, რადგან თანამედროვე თურქეთი ნამდვილად დიდი და ძლიერი სახელმწიფოა ყველა პარამეტრით -

განვითარებული ეკონომიკით, მაღალი სამხედრო პოტენციალით (მეორე არმია ნატო-ში აშშ-ს შემდეგ) და 80 მილიონიანი მოსახლეობით. დღევანდელი თურქეთი აშკარად განსხვავდება ცივი ომის დროინდელისაგან და თუ ამას საბჭოთა საფრთხის გაქრობასაც დავუმატებთ (ახლანდელი რუსეთის ფედერაციის შედარება საბჭოთა კავშირთან არასერიოზულია), სავსებით გასაგები გახდება ახალი საგარეო საგარეო პოლიტიკის საფუძველი. თურქეთის მიზანია გაავრცელოს თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა (და სადაც შესაძლებელია - კულტურულიც) იმ არეალზე, რაც ოდესღაც ოსმალეთის იმპერიის ინტერესების სივრცეს შეადგენდა, ანუ ახლო აღმოსავლეთზე (ნაწილობრივ მაინც), სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონზე; არც თითქოს დროთა მანძილზე „მივიწყებული“ პანთურქიზმის იდეა უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა თუ გავიხსენებთ, რომ ყოფილი საბჭოთა ცენტრალური აზიის ქვეყნები ტაჯიკეთის გარდა და აზერბაიჯანთან ერთად თურქულენოვან სამყაროს შეადგენენ. აქედან მომდინარეობს დღეს რეალურად თანაბარძალოვანი გეოპოლიტიკური კონკურენცია რუსეთსა და თურქეთს შორის ყველა ზემოაღნიშნულ რეგიონში, თუმცა წინამდებარე ნაშრომის თემას კონკრეტულად სამხრეთ კავკასიაში მათი კონკურენციის განხილვა და ანალიზი შეადგენს.

რუსეთისა და თურქეთის კონკურენცია სამხრეთ კავკასიაში

ჩვეულებრივად, დიდი სახელმწიფოები ერთმანეთთან მიმართებით ან კონკურენციის რეჟიმში იმყოფებიან, ან პარტნიორობის. მაგრამ, არ არის გამორიცხული, ამ ორ მდგომარეობას სხვადასხვა „გაგრძელებები“ მოჰყვეს: როდესაც კონკურენცია კონფრონტაციაში გადადის, ომის საფრთხე ჩნდება, ხოლო სტრატეგიულ პარტნიორობაში გადაზრდილი თანამშრომლობა სამოკავშირეო ურთიერთობებს უდებს საფუძველს; მაგრამ ამას გარდა არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოები კონკურენტებიც არიან და პარტნიორებიც მეტნაკლები ხარისხით და გააჩნია რა საკითხებში, რადგან არსებობს ე.წ. თემატური პარტნიორობა და ასევე, სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური კონკურენცია სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე.

დღევანდელ რუსულ-თურქულ ურთიერთობებსაც სწორედ ამგვარი დუალიზმი, გაორება ახასიათებს, სადაც პარტნიორობა და კონკურენცია, ანუ მეტოქეობა, საკმაოდ წარმატებით ახერხებენ „თანაცხოვრებას.“ და ყოველივე ისე გამოიყურება,

თითქოს ერთი მეორეს ხელს არ უშლის. არც მაგალითების მოძიება გაგვიჭირდება: თურქეთი რუსეთისგან ყიდულობს სარაკეტო სისტემებს, ანუ თანხმდება მასთან სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობას, რაც ცალსახად მიუღებელია ნატო-ს წევრი ქვეყნისთვის ალიანსის ქარტიიდან გამომდინარე, ხელი ეწერება შეთანხმებას გაზის მიწოდების „სამხრეთის ნაკადის“ და თურქეთში რუსეთის მიერ ატომური ელექტროსადგურის აშენების თაობაზე და ამავე დროს სირიის საზღვართან თურქეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა აგდებს რუსულ სამხედრო თვითმფინავს, თუმცა ამ ინციდენტის შემდგომი გამწვავებისგან ორივე მხარემ თავი შეიკავა და ყოველივე რაღაც „გაუგებრობას“ დაბრალდა, ასევე წინააღმდეგობაში მოდის რუსეთისა და თურქეთის ინტერესები სირიაში ქურთთა საკითხსა და ასადის მხარდჭერასთან დაკავშირებით, თურქეთი არ უერთდება უკრაინაში ომის გამო დასავლეთის მიერ რუსეთისათვის დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს, განაგრძობს რუსეთთან ვაჭობას და ერთობლივი პროექტების განხორციელებას, რაც უდაოდ პარტნიორული ჟესტია და ამავე დროს სამხედრო დახმარებას უწევს უკრაინას თურქული დრონების მიწოდებით, თავისი აქტიური შუამავლობით უგვარებს უკრაინას მარცვლეულის ექსპორტთან დაკავშირებულ პრობლემას და ბოსფორის სრუტეში არ უშვებს რუსულ სამხედრო ხომალდებს, რასაც მონტროს კონვენციის დაცვის აუცილებლობით ასაბუთებს და ა.შ. კიდევ არაერთი ფაქტის გახსენება შეიძლება. მაგრამ ასეთი „უცნაურობები“ ალბათ ნაკლებ გაკვირვებას უნდა იწვევდეს, როდესაც საქმე ეხება ამ ორ დიდ ევრაზიულ სახელმწიფოს - რუსეთს და თურქეთს.

რაც შეეხება სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის რეგიონს, აქ უკვე პარტნიორობა, როგორც იტყვიან, მეორე პლანზე ინაცვლებს და სწორედ აქ გადის რუსულ-თურქული კონკურენციის მთავარი ხაზი, თუმცა იმაზე მაინც თანხმდებიან, რომ სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის რეგიონების პრობლემები რეგიონისვე სახელმწიფოების საქმეა და მათში არარეგიონული აქტორები არ უნდა ერეოდნენ.

ვიდრე უშუალოდ კონკურენციაზე ვისაუბრებდეთ, ორიოდ სიტყვით შევეხებით აღნიშნული რეგიონების გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას მსოფლიო პოლიტიკის დიდი აქტორებისთვის ზოგადად და არამარტო რეგიონული მოთამაშეებისთვის.

სამხრეთ კავკასიის და ცენტრალური აზიის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე ვრცლად არ შევჩერდებით, ეს ისედაც საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია: ცენტრალური აზია ე.წ. დიდი აბრეშუმის

გზის შუაგულშია, ხოლო მისი გარე სამყაროსთან, კონკრეტულად კი ევროპასა და რუსეთთან დამაკავშირებელი ელთ-ერთი ძირითადი სახმელეთო მარშრუტი სამხრეთ კავკასიაზე გადის. ხოლო მე-20 და 21-ე საუკუნეთა მიჯნაზე ამ ტრადიციულ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ფაქტორს კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი (თუ უფრო მეტად არა) კომპონენტი დაემატა: ეს არის კასპიური ნავთობი და გაზი, რაც დასავლეთის მიერ ენერგომომარაგების ახლოაღმოსავლური და რუსული გზების ალტერნატივად მოიაზრება, რაც საფუძველშივე ეწინააღმდეგება რუსეთის ტრადიციულ ინტერესებს ევრაზიულ, ანუ ყოფილ საბჭოთა სივრცეზე. ამიტომაც, ცენტრალური აზია და სამხრეთ კავკასია, ასე ვთქვათ, ცალ-ცალკე „არავის სჭირდება“ და მას როგორც დასავლეთი, ისე რუსეთი და უკვე ჩინეთიც ერთ მთლიან გეოსტრატეგიულ რეგიონად განიხილავს. თუმცა რუსეთს ამ დიდი გეოპოლიტიკური არეალის ორ მთავარ შემადგენელ ნაჭილში სხვადასხვა „პარტნიორ-კონკურენტებთან“ უწევს მეტოქეობა: ცენტრალურ აზიაში რუსეთის გარდა დიდ რეგიონულ აქტორს წარმოადგენს ჩინეთი, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ამ სივრცეს, ხოლო სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ძირითადი კონკურენცია თურქეთი, ასევე შეიძლება ითქვას, ირანიც მაგრამ დღეის მდგომარეობის გათვალისწინებით, მას რეგიონზე რაიმე სახის სერიოზული გავლენის გავრცელების გაცილებით ნაკლები შანსი აქვს, ვიდრე თურქეთს. რატქმაუნდა არც აშშ-ს და ევროკავშირის ინტერესების და შესაძლებლობების გაუთალისწინებლობა იქნებოდა მართებული, მაგრამ ჩვენ ამჟამად რუსეთისა და თურქეთის კონკურენციაზე ვსაუბრობთ.[4]

ეს კონკურენცია, მართალია არცთუ მანიფესტირებული ფორმით, მაგრამ ჯერ კიდევ 90-ანი წლების პირველი ნახევრიდან, ანუ ფაქტობრივად საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაიწყო. თავიდან იგი ზომიერ და შედარებით ფრთხილ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ესეც არ იყო სასიამოვნო პროცესი ელცინის რუსეთისთვისაც კი, ვინაიდან „დემოკრატიზაციის“ მიუხედავად ისიც ვერ დალატობდა ყოველი იმპერიისთვის დამახასიათებელ „ისტორიულ ჩვევას“ და მტკივნეულად განიცდიდა ნებისმიერი „უცხო ძალის“ თუნდაც მოკრძალებულ აქტიურობას, ანუ ჩარევას მის „ტრადიციული ინტერესების სფეროში,“ ანუ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების საქმეებში; მაგრამ ღიად გაპროტესტებასაც ერიდებოდა, რადგან 90-ების პოსტსაბჭოთა რუსეთი საკმაოდ ქაოსურ და ნახევრად პარალიზებულ მდგომარეობაში

იმყოფებოდა და ბევრი თვალსაზრისით დასავლეთის დახმარებაზე იყო დამოკიდებული და ამიტომ ის პირიქით, ცდილობდა რაც შეიძლება პროდასავლურადწარმოეჩინათავი;განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ვაშინგტონმა სრული „კარტ ბლანში“ მისცა აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტების „მოგვარებაში“. არც მოლდოვასა და ტაჯიკეთში შეუშლია ხელი, რადგან არც დასავლეთს აწყობდა „დემოკრატიის გზაზე დამდგარი“ რუსეთის დაკარგვა და პოსტსაბჭოთა სივრცეზე უპირობო ნდობას უცხადებდა მას. თუმცა ეს ალბათ იმასაც მიანიშნებდა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის იქით მას აღარაფერი ესაქმებოდა, მაგრამ სამწუხაროდ რუსულმა ისტებლიშმენტმა, როგორც ჩანს, არცთუ სწორად გაიგო და შეაფასა ეს დიპლომატიური გზავნილი. შედეგებმა არ დააყოვნა: დამაბულობის პირველი ნიშნები ჯერ კიდევ ელცინის მმართველობის დროს გაჩნდა, კერძოდ ბოსნიისა და კოსოვოს საკითხებთან დაკავშირებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვ. პუტინმა თავიდან სცადა კეთილგანწყობისა და პარტნიორობის სრულად აღდგენა, მაგრამ მოგვიანებით როგორც მოსკოვმა ისე ვაშინგტონმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ რუსეთს და დასავლეთს ერთმანეთის მიმართ ნდობა დაეკარგათ და სტრატეგიული პარტნიორებიდან მეტოქეებად ქცეულიყვნენ.[1]

თურქეთის „კონკურენტული“ საქმიანობა სამხრეთ კავკასიაში დაიწყო რეგიონის ქვეყნების დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე. დაიწყო ფრთხილად, ეკონომიკური და კულტურული აქტიურობით. თურქეთმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 90-ანი წლების დასაწყისში სამოქალაქო და აფხაზეთის ომებით სრულიად პარალიზებული, ენერგოკრიზისითა და ქაოსით მოცული საქართველოს მიმართ საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების პროცესში, ასევე ხსენებულ პერიოდს უკავშირდება მისი ბიზნესაქმიანობის დაწყება განსაკუთრებით თბილისსა და ბათუმში.[2]

ასევე თვალსაჩინო გახდა კულტურულ-საგანმანათლებლო ექსპანსია ისევედაისევე უპირატესად აჭარასა და თბილისში, რაც ძირითადად გამოიხატა მთიან აჭარაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ისლამს აღიარებს, მეჩეტების მშენებლობის ხელშეწყობასა და საულიერო სკოლების გახსნაში, თბილისში გაიხსნა ე.წ. დემირელის სახელობის კოლეჯი, ხოლო მოგვიანებით დაარსდა შავი ზღვის უნივერსიტეტი. აზერბაიჯანთან თანამშრომლობა და მისდამი დახმარება კიდევ უფრო ფართო და ინტენსიური იყო ყოველთვის და ეს სავსებით

ბუნებრივია, ვინაიდან თურქეთი აზერბაიჯანს მუდამ განიხილავდა და განიხილავს თავის ორგანულ ნაწილად, ანუ, როგორც რ.თ. ერდოღანი უწოდებს „ერთი ერი - ორი სახელმწიფოს“ პრინციპით.

რაც შეეხება სომხეთს, მასთან თურქეთს არასდროს ჰქონია პოზიტიური ურთიერთობა, განსაკუთრებით 1915 წლის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, მაგრამ ცუდი ისტორიული მეხსიერების გარდა, დაპირისპირების საგანი ახალმა დრომაც წარმოშვა: ეს არის სომხეთ-აზერბაიჯანის ხანგრძლივი კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის გამო, სადაც ანკარას ბუნებრივია, იმთავითვე აზერბაიჯანის მხარე ეჭირა, რაც რამდენადმე რუსეთთან დაპირისპირების რისკსაც შეიცავდა, რადგან ეს უკანასკნელი ყოველთვის ღიად, სრულიად არაორაზროვნად მფარველობდა და ეხმარებოდა სომხეთს როგორც ფინანსური და მატერიალური, ისე სამხედრო-ტექნიკური და ტაქტიკური თვალსაზრისით და სწორედ ამ დახმარების წყალობით მოახერხა სომხეთმა ყარაბაღის პირველი ომის მოგება, შედეგად კი როგორც ყარაბაღის სადაო ტერიტორიის, ისე მისი მიმდებარე „სუფთა“ აზერბაიჯანული რაიონების ოკუპირება. ასეთ ვითარებაში, თურქეთის თანადგომა აზერბაიჯანის მიმართ მხოლოდ დიპლომატიური მხარდაჭერით და პოლიტიკური შეფასებებით შემოიფარგლა, ვინაიდან ანკარა იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო იმ კონდიციაში, რომ მოსკოვთან დისკუსიაში რიტორიკის იქით წასულიყო. ამიტომაც გასული საუკუნის 90-ან წლებში რაიმე სახის დაზაბულობას რუსულ-თურქულ ურთიერთობებში, ადგილი არ ჰქონია; კონკურენციაც კი თითქმის არ შეიმჩნეოდა. სომხეთთან კი განუსაზღვრელი დროით დაკეტა საზღვარი, ხოლო დიპლომატიური ურთიერთობა არც დაუყარებია; საერთაშორისო ორგანიზაციებში თურქეთი, ცხადია, მუდამ აზერბაიჯანის მხარდამჭერ და სომხეთის გამამტყუნებელ გადაწყვეტილებებს აძლევდა ხმას.

ვ. პუტინის და რ.თ. ერდოღანის მეორე ვადით არჩევის შემდეგ ორივეს საგარეო პოლიტიკა საგრძნობლად გააქტიურდა დასავლეთისთვის არცთუ სასურველი მიმართულებით, ვინაიდან ორივე ლიდერმა, მყარად იგრძნო რა თავი, გადაწყვიტა ბევრად უფრო დამოუკიდებელი, ცალსახად ეროვნული სტრატეგიული ინტერესების შესაბამისი საერთაშორისო საქმიანობა ეწარმოებინა, ანუ როგორც დიდ მოთამაშეს, “თავისი თამაში ეთამაშა.“ თუმცა თურქეთის ამბიციები მაინც შედარებით მოზომილი და რეალისტურია პუტინის „რუსულ სამყაროსთან“ (Русский Мир) შედარებით.

აღნიშნული ტენდენცია მკაფიოდ გამოიკვეთა 2008 წელს, საქართველოს მიმართ რუსეთის სამხედრო აგრესიის დროს, როდესაც საომარი მოქმედებების დამთავრების და ომის ასე ვქთვათ, „გაყინვის“ შემდეგ ერთდროულად რეგიონში მთავარი მშვიდობისმყოფელის ფუნქცია იკისრა და როგორც დაპირისპირებულ მხარეებს, ისე სამხრეთ კავკასიის ყველა ქვეყანას შესთავაზა „კავკასიის უსაფრთხოების პლატფორმა“, სამშვიდობო პროცესში რუსეთის, თურქეთის ირანის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ასევე აშშ-ს და ევროკავშირის მონაწილეობით. ეს პროექტი რომ არარეალური და განუხორციელებელი იყო გასაგებ მიზეზთა გამო, ცხადი გახლდათ თვით ერთდროულად, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა; მთავარი იყო მშვიდობისმყოფელის კიდევ ერთი „ქულის ჩაწერა“ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე. ამ მიმართებით, იმავე პერიოდში, ერთდროულად კიდევ ერთი პოლიტიკურად მომგებიანი ნაბიჯის გადადგმას შეეცადა, ანჯერად უკვე კონკრეტულად სომხეთთან დაკავშირებით. გადაწყვიტა ამ სახელმწიფოსთან ურთიერთობის ნორმალიზაცია პირველ რიგში დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებით, საზღვრის გახსნით და სავაჭრო კავშირების განვითარებით. ეს ასევე მომგებიანი და მისაღები იყო სომხეთისათვის, რადგან ამით შანსი ეძლეოდა თავი დაედგინა ცალსახად რუსეთზე დამოკიდებულებისაგან და ალტერნატიული და „სხვა კონტაქტებიც მოესინჯა“, მაგრამ მხარეები თავიდანვე შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული მიზნის რეალიზაციამდე არ შეხებოდნენ ისეთ თემებს, რომლებიც მთავარ დაბრკოლებებს წარმოადგენდნენ მათ შორის ურთიერთგაგების და სასურველი კომპრომისის მიღწევის გზაზე: მთიანი ყარაბაღის და 1915 წლის სომეხთა გენოციდის აღიარების საკითხებს. ორმხრივი ვიზიტებშიც განხორციელდა სახელმწიფოს მეთაურთა დონეზე, რამაც ცოტა უცნაური, „სპოტული“ შეფერილობაც კი მიიღო: ჯერ სომხეთის მაშინდელი პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი დაესწრო სტამბოლში თავისი ქვეყნის და თურქეთის საფეხბურთო ნაკრებთა მატჩს, ხოლო შემდეგ რეჯებ თაიფ ერთდროულად დაესწრო შეხვედრას ერევანში იგივე გუნდების მონაწილეობით. ამ ფაქტს საერთაშორისო მედიაში „საფეხბურთო დიპლომატია“ უწოდეს. მაგრამ ეს პოზიტიური პროცესი მალევე შეწყდა, რადგან ერევანმა მოულოდნელად ისევ გენოციდის აღიარებაზე წამოაყენა პრეტენზია, რამაც იქვე დაასრულა ყველაფერი. ძალიან რთული სათქმელია რა მოხდა რეალურად, ეს საქმე „მყარი ბურუსით“ არის მოცული და არანაირი მამტკიცებელი საბუთი

არ არსებობს, მაგრამ შეიძლება არსებობდეს ლეგიტიმური ეჭვი, რომ ამაში მაინც რუსული ფარული და არცთუ „რბილი“ დიპლომატია ურევია, რადგანაც მოლაპარაკებები ფაქტობრივად სომხეთმა ჩაშალა. დანამდვილებითკი ცხადია, ვერავინ ვერაფერს იტყვის.[4]

შემდეგი და ჯერჯერობით ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ბოლო წლების კავკასიური პოლიტიკისთვის იყო ყარაბაღის მე-2 ომი, მისი შედეგები და მათთან დაკავშირებული დიპლომატიური ძალისხმევანი.

როგორც ცნობილია, 2020 წლის შემოდგომის 44-დღიანი ომი აზერბაიჯანის არმიის სრული გამარჯვებით დამთავრდა, რის შედეგადაც ბაქომ დაიბრუნა როგორც სომხეთის მიერ ოკუპირებული ყარაბაღის მიმდებარე აზერბაიჯანული რაიონები ისე თვით მთიანი ყარაბაღის დიდი ნაწილი, მათ შორის ქალაქი შუშა, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობის გარდა, განსაკუთრებული ისტორიულ-ემოციური დატვირთვა აქვს აზერბაიჯანისთვის. ხოლო ნოემბრის დიპლომატიურ მოლაპარაკებებზე რუსეთის შუამავლობით და თურქეთის მონაწილეობით, ეს „აზერბაიჯანული რეკონკისტა“ დოკუმენტურადაც გაფორმდა. თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა: ქვეყანამ ძალის გამოყენებით აღადგინა ასევე ძალით დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, ანუ დაიბრუნა დაკარგული მიწები, რაც კანონიერად ეკუთვნოდა. მაგრამ თვით ამ პროცესის მიმდინარეობა არ იყო მთლად ჩვეულებრივი და „სტანდარტული.“ აქ ძალზე საყურადღებოა კონფლიქტში ჩართული დიდი რეგიონული მოთამაშეების ქცევა.

უპირველეს ყოვლისა, გაკვირვებას იწვევდა რუსეთის რეაგირების მეტად უცნაური ფორმა, რაც წსორედ იმაში გამოიხატებოდა, რომ რეაგირება თიტქმის არ იყო, ანუ სრულ უმოქმედობაში. არადა, რუსეთიც და სომხეთიც პოსტსაბჭოთა სივრცის სამხედრო ორგანიზაციის - კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების (ОДКБ) წევრები არიან, რომლის წესდებაც, ისევე როგორც NATO-ს ქარტია, ავალდებულებს ორგანიზაციის თითოეულ წევრს ერთმანეთისთვის სამხედრო დახმარების აღმოჩენას რომელიმე «მესამე ქვეყნის» მხრიდან აგრესიის შემთხვევაში. აქ კი არც რუსეთს და არც სხვა მოკავშირეებს პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებიათ სომხეთის დასახმარებლად ცეცხლის შეწყვეტისა და მოლაპარაკებისკენ მოწოდებების გარდა. ამგვარი ქცევა, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია და კითხვებს აჩენს. თუმცა ვ. პუტინმა სცადა თავისი უმოქმედობა იმით გაემართლებინა, რომ ომი სომხეთის „ლეგიტიმურ“, საერთაშორისოდ

ალიარებულ ტერიტორიაზე არ მიმდინარეობდა, მთიანი ყარაბაღი კი თვითგამოცხადებული სახელმწიფოა, რომელსაც რუსეთი არ აღიარებს და არც რაიმე სამხედრო ვალდებულებები აკავშირებს მასთან. ეს არგუმენტი სამართლებრივად კი სწორია, მაგრამ მაინც საკმაოდ არადამაჯერებლად გამოიყურება და აქ შეიძლება ვიკითხოთ: განა 1992-93 წლებში ყარაბაღი სომხეთის შემადგენლობაში შედიოდა? ეს რიტორიკული კითხვაა და პასუხზეც არავის „შეუწუხებია თავი.“ რუსეთი მხოლოდ საომარ მოქმედებათა ბოლო ეტაპზე, როდესაც გამარჯვებულის ვინაობა ეჭვს აღარ იწვევდა, ჩაება „საქმეში“ დიპლომატიური მიმართულებით: მან უკვე დაბეჯითებით მოუწოდა მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისა და მოლაპარაკებების დაწყებისაკენ, სადაც შუამავლობა თვითონ შესთავაზა და „მხარეთა თანხმობით“ თავისი 2000- კაციანი სამშვიდობო კონტინგენტი ჩააყენა გამყოფ ხაზზე, ანუ შუშასა და სტეფანაკერტს შორის, რითაც იმ ეტაპზე რეგიონის სომხური ნაწილი გადაარჩინა.[7]

რაც შეეხება თურქეთს, მის ქცევაში საკვირველი ან საეჭვო არაფერი შეინიშნებოდა. მან, რომ იტყვიან, პირნათლად შეასრულა სამოკავშირეო მოვალეობა აზერბაიჯანის მიმართ. აქტიური პოლიტიკური და დიპლომატიური მხარდჭერის გარდა, მან სამხედრო-ტექნიკური დახმარებაც გაუწია სტრატეგიულ პარტნიორს დრონების დიდი პარტიის და სხვა საბრძოლო საშუალებათა მიწოდებით, ასევე თავისი ინსტრუქტორების მიერ აზერბაიჯანულ სამხედრო მოსამსახურეთა მომზადებით; ყველფერმა ამან კი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საომარ მოქმედებათა მსვლელობაში.

რამდენად პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, აზერბაიჯანს არანაკლები დახმარება გაუწია რუსეთმაც თავისი მოულოდნელი პასიურობით, ანუ არჩარევით, რაც ხელშეწყობის ტოლფასი იყო, რადგან რუსეთის აქტიური მონაწილეობის გარეშე, აზერბაიჯანი, დიდი ალბათობით, თურქეთის დაუხმარებლადც მოიგებდა ომს. და მაინც, რატომ მოიქცა კრემლი ასე? ამაზე ზუსტი პასუხის გაცემა მხოლოდ თავად კრემლს შეუძლია, მაგრამ ამას არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებს, ვინაიდან ასეთ დროს მთავარი, გადაწყვეტილების მიმღები აქტორები სიმართლეს საგულდაგულოდ მალავენ და საზოგადოებას „ლეგენდებს“ თავაზობენ. ისღა დაგვრჩენია „ლეგიტიმური ვარაუდები“ გამოვთქვათ იმასთან დაკავშირებით, რომ დასჯილიყო „ურჩი ქვეშევრდომი“ სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი, რომელმაც ჯერ მოსკოვთან „შუეთანხმებლად“ მოახდინა რეკოლუცია და მოვიდა ხელისუფლებაში, შემდეგ

კი იმთავითვე რუსეთისთვის მეტად არასასურველი პროდასავლური „გადახრები“ გამოავლინა, ჩათვალა რა რომ მხოლოდ რუსეთზე დამოკიდებულება საზიანო იყო ქვეყნის ეროვნული ინტერესებისათვის. რა ქმა უნდა, ჯობდა დაესაჯა სხვისი და არა საკუთარი ხელით და ამისთვის აზერბაიჯანზე უკეთესს ვის იპოვიდა. ამით ნათლად დაანახვებდა როგორც ფაშინიანს, ისე მთელ სომხურ პოლიტიკურ ელიტას და ხალხსაც, რომ მოსკოვის გარეშე ერევანი არაფერს წარმოადგენს, ანუ აბსოლუტურად დაუცველია და განწირული. გარდა ამისა, კავკასიაში კონკურენციის თვალსაზრისით რუსეთისთვის ენერგორესურსებით მდიდარ აზერბაიჯანი, ალტერნატიული კასპიური გზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი, გაცილებით ღირებული პარტნიორია და მისი კეთილგანწყობა უფრო სასარგებლო. ნოემბრის მოლაპარაკებებზე გადაწყდა, რომ მთიანი ყარაბაღის ნაწილი უპირატესად აზერბაიჯანული მოსახლეობით ბაქოს კონტროლს დაექვემდებარებოდა, ხოლო ქალაქი სტეფანაკერტი და სხვა სომხური რაიონები, სტატუსის საბოლოო გარკვევამდე რჩებოდა თვითგამოცხადებული მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის იურისდიქციაში, სომხეთ-ყარაბაღის დამაკავშირებელ ლაჩინის დერეფანს კი რუსული სამშვიდობო კონტინგენტი გააკონტროლებდა. თურქეთმა კი თავისი სამხედრო დამკვირვებლების განლაგების უფლება მიიღო გამყოფი ხაზის აზერბაიჯანულ მხარეს. ასევე დაიგეგმა აზერბაიჯანში არსებული სომხური ანკლავის - ზანგეზურის რაიონის გახსნა სახმელეთო მიმოსვლისთვის, რაც რუსეთს და აზერბაიჯანს თურქეთთან პირდაპირ დაკავშირების საშუალებას მისცემდა ასევე სომხეთისთვისაც იხსნებოდა ახალი სატრანზიტო შესაძლებლობები თურქეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის შემთხვევაში, რაც მეტად სასურველია ერევნისთვის. ეს ყველაფერი არცთუ სასიამოვნო პერსპექტივად ჩანს საქართველოსთან მიმართებაში, რადგან ალტერნატიული, კონკურენტული გზების სახეს იღებს, მაგრამ ყველა ეს გზა ჩრდილოეთ-სამხრეთის მარშრუტს განეკუთვნება, საქართველოზე გამავალი სატრანზიტო მაგისტრალები კი უპირატესად აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებას ეკუთვნის, რომლის ალტერნატივაც ჯერჯერობით არავის მოუფიქრებია, თუმცა მაინც სიფრთხილე გვართებს.

და აი აქ გამოიკვეთა ბოლო 30 წლის მანძილზე ყველაზე თვალსაჩინოდ რეგიონული კონკურენცია სამხრეთ კავკასიური პოლიტიკის ორ უდიდეს აქტორს შორის. 2020 წლის ნოემბრის შემდეგ ბევრი დასავლელი პოლიტიკოსი ბჭობდა იმაზე თუ ვინ მოიგო ეს ომი - რუსეთმა თუ თურქეთმა, ვინაიდან

არავინ არის იმდენად გულუბრყვილო, რომ მის შესახებ ორ კავკასიურ სახელმწიფოს შორის კონფლიქტის დონეზე იმსჯელოს. ვინ ვის ასახელებს გამარჯვებულად და ცდილობს განმარტოს თუ რატომ, ეს ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური გემოვნებისა და ინტერესების საკითხია. ჩვენ კი ფაქტების ლოგიკას მივყვით, რომელიც ასეთია: ომი მოიგო თურქეთის მოკავშირე აზერბაიჯანმა (აქ „პროქსი ომების“ პრინციპი მოქმედებს: ვისი სატელიტიც იგებს, გამარჯვებულიც ის არის), ომი წააგო რუსეთის მოკავშირე სომხეთმა, აზერბაიჯანმა დაიბრუნა ადრე დაკარგული ტერიტორიები, სომხეთმა კი პირიქით, დაკარგა ის რაც 1992-93 წლების ომით მოიპოვა და ამ ფაქტს სულაც არ ცვლის ის გარემოება რომ ომის ასეთი შედეგი რუსეთსაც აწყობდა. და კიდევ, 100 წლის შემდეგ პირველად გამოჩნდნენ კავკასიაში თურქი სამხედრო მოსამსახურეები; მართალია დამკვირვებლების სახით, მაგრამ ამას მაინც უდიდესი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა და მნიშვნელოვანი მორალური „ბონუსი“ იყო. ხოლო რაც შეეხება დაგეგმილ ალტერნატიულ სატრანზიტო გზებს, თუ საერთოდ შედგა, მას ანკარა და მოსკოვი დიდი ალბათობით ერთობლივად, კონდომინიუმის პრინციპით გააკონტროლებენ.

ამ ომიდან ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ, რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაიწყო სრულმასშტაბიანი ომი უკრაინაში, რამაც მოქმედების მეტი თავისუფლება მისცა აზერბაიჯანს, რომელმაც დაუყოვნებლივ ისარგებლა ამით და კონტროლი დაამყარა როგორც მთელ ყარაბაღის რეგიონზე სტეფანაკერტის ჩათვლით და ლაჩინის დერეფანზე რუსი სამშვიდობოების სრული იგნორირებით და აიძულა ადგილობრივი სომხური მოსახლეობა დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილები და სომხეთისთვის შეეფარებინა თავი, ანუ, თუ თავის სახელს დავარქმევთ, ეთნიკური წმენდა ჩაატარა, მაგრამ რუსეთს არც ამჯერად გამოუღია თავი, აღშფოთებაც კი არ გამოუხატავს, თუმცა ახლა ეს არ არის გასაკვირი, ვინაიდან ომში ჩაბმული სახელმწიფო სხვა ვერაფრისთვის მოიგლის. თუმცა საინტერესოა, როდესაც ფაშინიანის მთავრობამ აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა აღიარა და ამით დაუსვა ომს წერტილი, ვ. პუტინმა „ოლიმპიური სიმშვიდით“ განაცხადა, რომ ეს სომხეთის ნება იყო, მას სურდა ასე და ამით კიდევ ერთხელ მოიხსნა პასუხისმგებლობა, რითაც კიდევ ერთი „ქულა“ ჩაიწერა აზერბაიჯანთან. ასე რომ, ორივე დიდი მოთამაშე - რუსეთიც და თურქეთიც მეტნაკლებად მოგებული დარჩა, მოიგო ცხადია აზერბაიჯანმა,

მაგრამ მოიგო თუ წააგო საბოლოოდ სომხეთმა, ამას მომავალი გვიჩვენებს, რადგან ომი ყოველთვის ბრძოლის ველზე არ მთავრდება.

ამ ომის შემდეგ თურქეთმა კიდევ ერთი ინიციატივა შემოგვთავაზა, რომელიც რეგიონში მყარ, ხანგრძლივ მშვიდობასა და სტაბილურობას ისახავს მიზნად. ეს არის სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების მე-2 პლატფორმა, რომლის შემადგენლობა ამჯერად გაცილებით ახლოსაა რეალობასთან, ვიდრე პირველ შემთხვევაში: რუსეთი, თურქეთი, ირანი ერთის მხრივ და აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი მეორე მხრივ. ეს ფორმატი, რომელსაც „3+3“ ფორმატს უწოდებენ, სავსებით მისაღები აღმოჩნდა რუსეთისა და ირანისათვის, ვინაიდან აქ არარეგიონული აქტორები არ ფიგურირებენ; რუსეთი, როგორც ჩანს, მზად არის მცირე მოცულობით თავის ევრაზიულ პარტნიორობასაც გაუყოს სამხრეთ კავკასიაზე გავლენა, რადგან ხვდება რომ აბსოლუტურად ერთპიროვნული კონტროლის დამყარება რეგიონზე გაუჭირდება და თან არც ანკარაა ვაშინგტონი და არც თეირანი. ამ ფორმატში მონაწილეობაზე თანახმა არიან აზერბაიჯანი და სომხეთიც (უკვე პირველი შეხვედრებიც გაიმართა), რადგან ისინი ამით „ძველ პროტექტორსაც“ ინარჩუნებენ და ახლებსაც იძენენ, სხვა გამოკვეთილ პრეტენზიებს კი ჯეჯჯერობით არ ამჟღავნებენ. საქართველო კი დღემდე არ ჩქარობს დადებითი პასუხის გაცემას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიიღო, თუმცა არც კატეგორიულ უარს აცხადებს. ჩვენი ქვეყანა კვლავ აგრძელებს „სრატეგიული ლოდინის და მოთმინების“ პოლიტიკას, რაც საფიქრებელია, სამომავლოდ წარმატებას მოუტანს. საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება: უკვე რამდენი წელია, 2008 წლიდან დაწყებული, სამხრეთ კავკასიური პოლიტიკის საკითხებში ყოველი „ინოვაციის“, ანუ ყველა ახალი შეთავაზების ინიციატორად თურქეთი გამოდის და ფაქტობრივად, რეგიონის პოლიტიკურ დღის წესრიგს ის განსაზღვრავს. ალბათ, ამაზეც ღირს დაფიქრება.

დასკვნა

ამრიგად, როგორც აღვნიშნეთ, ორი დიდი ევრაზიული სახელმწიფო - რუსეთი და თურქეთი ბოლო წლებია, რაც „პარტნიორულ-კონკურენტულ“ ურთიერთობაში იმყოფებიან. ამის პრეცედენტები ადრეც ყოფილა, მაგრამ ნამდვილი, მყარი პარტნიორობა და მოკავშირეობა ამ სახელმწიფოებს შორის ისტორიულად არ დაფიქსირებულა არცერთ ეპოქაში, მითუფრო, სტრატეგიული პარტნიორობა

არ ყოფილა არასდროს, ის ყოველთვის ევენტუ-
ალურ ხასიათს ატარებდა, ანუ მიმდინარე ვითარ-
ებიდან გამომდინარეობდა, რადგან მათი სტრატე-
გიული ინტერესები არასდროს ემთხვეოდა
ერთმანეთს. ასეა დღესაც. რთულია განსაზღვრო
რა უფრო მეტია მათ დღევანდელ ურთიერთობაში:
კონკურენცია თუ პარტნიორობა, განსაკუთრებით
სამხრეთ კავკასიასთან მიმართებით. მათ აქვთ
ერთი მთავარი საერთო ინტერესი. ესაა არ დაუშვან

არარეგიონული მოთამაშეების ჩართვა კავკასიურ
პოლიტიკაში, მაგრამ „გასაყოფიც“ არანაკლები
აქვთ. ძნელი სათქმელია სადამდე გასტანს ეს
„ევრაზიული დუალიზმი.“ მანამ კი საქართველოს
მაქსიმალურად ფრთხილი და გაწონასწორებული
პოლიტიკის გაგრძელება მართებს, ვიდრე ეს
უკიდურესად დამაბული საერთაშორისო სიტუაცია
არ განიშუბტება, რადგან ამ დროს ერთი „ზედმეტი
მოძრაობაც“ კი შეიძლება ძალიან ძვირი დაჯდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. სიხარულიძე, „რუსეთი,“ თბილისი, 2014;
2. თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008, პროფ. ჰ. ჩაქმაქის რედაქციით, თბილისი, 2014;
3. ვ. გურული, „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921), თბილისი, 2011;
4. ნ. დურმიშიძე, „კავკასიისა და ცენტრალური აზიის სტრატეგიული მნიშვნელობა გლობალურ ძალთა
გადანაწილებაში,“ ჟ. „საისტორიო ვერტიკალები,“ #28, 2013;
5. ე. ფაჟავა, „საერთაშორისო ფაქტორი თურქეთის სამხრეთკავკასიურ პოლიტიკაში,“ თბილისი, 2917;
6. ნ. დურმიშიძე, „რუსეთ-თურქეთის ისტორიულ შეთანხმებათა როლი და მნიშვნელობა
საქართველოსთვის,“ ჟურ. „საისტორიო ვერტიკალები,“ #35-36, 2016;
7. Stanly Johny, “Explained Who won the War over Nagorno Karabakh.” November 16,2020

Modern Russian-Turkish partnership and competition in the South Caucasus

*Nugzar Durmishidze, associate professor
Georgian Technical University*

*Tatia Tatinashvili, PhD student
Georgian Technical University*

Summary

Presented article concern the very important issue for South Caucasus and Georgia in particular: Relations between the two big regional actors – Russia and Turkey, their strategic interests and correspondingly the main aspects of their partnership and concurrence in connection with ongoing serious events in the World today.

In the history of South Caucasus and especially of Georgia, the factor of Russia and Turkey always was very actual from the 16th century and in 18 and 19th centuries in particular, also in the beginning of 20th century, after the World War 1. In historical aspect, in relations of Russia and Turkey, two Euroasian empires, the confrontation and wars were much more, than constructive interaction, but sometimes, also took place compromises and agreements on division of influence areas in the target regions and each of these “gentleman” agreements always reflected tragically on nations of South Caucasus. During the 70 years Soviet regeeme, the role of Turkey in our region was minimal because Turkey the eastern forpost of NATO in period of the Cold War, had to think more about it’s security than on geopolitical interests and ambitions. But after the end of Cold War and colaps of Soviet Union, situation has changed radically.

The modern international policy is interesting by rapid changes and transformation. Very often the development of events is hardly suits the simple logice and is very difficult to prognose. Sometimes even the motivation is not clear enough in action of either global or regional actors. Examples of this are the fullskill aggression of Russia in Ukraine and the war between Israel and “Hamas.” As it seems, they had not any evident background at all.

The aim of presented article isto discus and analise some aspects in relations between Russia and Turkey today as it is very important for the national security for countries of South Caucasus, because these Eurasian states are the general actors of our region and the character of their interaction – partnership or concurrence, mostly forms the degree of security for national interests of regional states.

გოლიზმი - როგორც საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მახასიათებელი

*მაკა ტყეშელაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*მანანა დარჩაშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

თანამედროვე საერთაშორისო ურთერთობების შესწავლისას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეხსიერების პოლიტიკის, თუნდაც უახლოესი ისტორიიდან, მნიშვნელოვანი დეტალების ხელახალ გააზრებას, რადგან ფაქტია ბოლო პერიოდში ყველა სოციალურ თუ ეთნიკურ ჯგუფში წარსულისადმი დამოკიდებულება არსებითად შეიცვალა შესაბამისად, ჩვენს მიერ საკვლევად შერჩეული საკითხი „გოლიზმი - როგორც საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მახასიათებელი“, როგორც საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის განსაკუთრებული განმსაზღვრელი ფაქტორი, ვფიქრობთ აქტუალურია.

გოლიზმი, შარლ დე გოლის იდეებითა და ქმედებებით შთაგონებულ პოლიტიკურ აზროვნებაა, რომელიც ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობისა და შემგომში პრეზიდენტების - შარლ დე გოლის მოსაზრებებსა და მოქმედებას ეფუძნება. შარლ დე გოლის ძირითადი თემა საგარეო პოლიტიკაში იყო ეროვნული დამოუკიდებლობა და ფრანგულ კოლონიებზე მაქსიმალური კონტროლის შენარჩუნება. მათ შორის NATO-სა თუ ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობასთან გარკვეული ოპოზიციის ხარჯზე. მის მიხედვით, საფრანგეთი არცერთ უცხო სახელმწიფოზე არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული, არც აშშ-სა და არც საბჭოთა კავშირის მორჩილი არ უნდა ყოფილიყო. გოლიზმმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაზე მომდევნო ათწლეულებში მას მერეც რაც გოლისტები ხელისუფლებაში აღარ იყვნენ. ფაქტია, შარლ დე გოლის გარდაცვალების შემდეგ გოლიზმი მიმდინარეობდა ჩამოყალიბდა, რომელსაც როგორც იდეოლოგიას პოლიტიკურ პარტიებიც კი ჰყავს მიმდევრებად, რომლებიც ეყრდნობიან მის მიერ ინიცირებულ ტრადიციას. "გოლიზმის" მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა. 1970 წლის შემდეგ კი მინიშნებაა, ნაწილობრივი და ზოგჯერ განსხვავებული ინტერპრეტაციებით, მეხუთე რესპუბლიკის დამაარსებლის მემკვიდრეობის მალარებლების მხრიდან. ფაქტია, მეხუთე რესპუბლიკის პრეზიდენტების, სამხედრო-პოლიტიკური საქმიანობის ანალიზიდან ირკვევა,

რომ ნატო - საფრანგეთის ურთიერთობებში ისინი ძირითადად ხელმძღვანელობდნენ გოლისტური პრინციპებით. კერძოდ, პრეზიდენტმა ჟ. პომპიდუმ (1969-1974) 1970 წლის თებერვალში, აშშ-ში ვიზიტის დროს ღიად განაცხადა, რომ მოკავშირეებთან თანამშრომლობა ისეთივე ბუნებრივი და მნიშვნელოვანია ჩვენთვის, როგორც სურვილი, ვიყოთ ინტეგრირებული ორგანიზაციაში და შევინარჩუნოთ ის, რასაც გენერალი შარლ დე გოლი უწოდებდა ჩვენს დამოუკიდებლობას, ე.ი. თავისუფლებას გადაწყვეტილებების მიღებაში. ჩვენ მოკავშირეები ვართ თავისუფალ არჩევანში და არა ვალდებულებებში.

საკვანძო სიტყვები: საფრანგეთი, მეხსიერება, გოლიზმი, შარლ დე გოლი, საგარეო პოლიტიკა, მსოფლიო, ატლანტიკური ალიანსი.

შესავალი

გენერალ დე გოლის აზრით, როგორც მორის კუვე დე მერვილი (საგარეო საქმეთა მინისტრი) აღნიშნავდა - „მთლიანად დომინირებდა სურვილი, დაებრუნებინა საფრანგეთს მსოფლიოში ის როლი და ადგილი, რომელიც მას უნდა ჰქონოდა“ (de Murville, 1971, გვ.15) ეს ამბიცია ითვალისწინებდა ორი პირობის შესრულებას: საფრანგეთის მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენას, მათ შორის საკუთარი შეიარაღებული ძალების სრული კონტროლის ჩათვლით, ხოლო შემდეგ იმბლოკების დაშლას, რომლებიც „დამნაშავენი“ იყვნენ ძველი ქვეყნების, "ორი ჰეგემონის" უღელში ჩართვაში.

აღსანიშნავია, რომ გენერალმა არ დაგმო ატლანტიკური პაქტი და უარი არ თქვა ევროპის ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანების მხარდაჭერაზე. დე გოლი თვლიდა, რომ ევროპა, რომელიც ემორჩილებოდა ზეეროვნულ წესებს, არა მხოლოდ აუტანელი საფრთხე იქნებოდა ფრანგი ხალხის დამოუკიდებლობისთვის, ეს იქნებოდა ევროპა, ინტერესების გარეშე, რადგან უპირატესობა ექნებოდა იმ პარტნიორების თვალსაზრისს, ვისთვისაც შეერთებული შტატების მხრიდან დაცვა პრიორიტეტულ საკითხად კიდევ დიდხანს დარჩებოდა. გენერალი ყოველთვის ავლენდა სისტემურ წინააღმდეგობას ამგვარი „ატლანტიკურ

ევროპის“ მიმართ: ამის ყველაზე დრამატული ილუსტრაცია გახლდათ 1963 წლის იანვარში, მისი პირადი გადაწყვეტილება არადიპლომატიურად დაესრულებინა მოლაპარაკებები ბრიტანეთის წევრობის მოთხოვნაზე (de Murville, 1971, გვ. 302). ამასთან მიმართებაში აღსანიშნავია პოლ ჰენრი სპაკის (ნატოს გენერალური მდივანი) მოსაზრება, რომ გენერლის მტრობა არასოდეს განიცდიდა შეუპოვრობის ან უწყვეტობის ნაკლებობას.

ძირითადი ნაწილი

შარლ დე გოლისთვის მართალია ატლანტიკური პაქტი არასოდეს იქნებოდა უცვლელი ღერძი, რომლის გარშემოც პარტნიორებს სურთ შეექმნათ „გაერთიანება“, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის გამოცდილებითა და რეალობის გათვალისწინებით 1959 წელს მტკიცედ განაცხადა: "ვინაიდან ატლანტიკური ალიანსი არ არსებობდა, ამიტომ ვერაფერი შეუძლიდა ხელს საბჭოთა დიქტატურის გავრცელებას მთელს ევროპასა და აფრიკაში და, იქიდან, მთელ მსოფლიოში. ისე! საფრანგეთს ურჩევნია შეინარჩუნოს ატლანტიკური ალიანსი იმ დღემდე, სანამ მშვიდობა ნამდვილად იქნება უზრუნველყოფილი" (Duroselle, 1976, გვ.226).

დე გოლს როგორც ჩანს, სურდა შეცვლილიყო პაქტი სხვა შეთანხმებებით, რაც მოასწავლებდა ძველი კონტინენტის ორ გიგანტთან გაერთიანების დასრულებას. მაგრამ ალიანსი, რომელსაც ის ყოველთვის განასხვავებდა ინტეგრირებული სამხედრო სისტემისგან, არ იწვევდა მასში მტრობას. ეს მას სსრკ-სთან პირისპირ ურთიერთობისას მყარ პოზიციას უქმნიდა, რომელიც არ ექნებოდა მათგან იზოლირებულად.

გენერალი ცდილობდა, დროდადრო გამოეყენებინა ფორმულა "ევროპა ატლანტიკიდან ურალამდე". მას სურდა იმის შეხსენება, რომ ძველი კონტინენტის დაყოფა გამოიწვია მხოლოდ უბედურმა შემთხვევამ, რომ დასავლეთ ევროპა არ შეიძლება იყოს ამერიკის, ხოლო აღმოსავლეთ ევროპა საბჭოთა კავშირის გავლენის ზონა (Bohlen, 1973, გვ.513).

გენერალს როგორც ჩანს, არასოდეს ეპარებოდა ეჭვი, რომ ის ეკუთვნოდა დასავლურ ბანაკს, იმ ქვეყნებს, რომლებიც ახორციელებდნენ „ნამდვილ დემოკრატას“, ამის შესახებ, 1959 წელს მან მისწერა შეერთებული შტატების პრეზიდენტს (Tournoux, 1971, გვ. 199), მაგრამ ეს სოლიდარობა, რომელიც შეუცვლელი იყო მოწინააღმდეგე ბანაკის აგრესიისას, ის არავითარ შემთხვევაში ყურადღების მიღმა არ ტოვებდა კიდევ ერთი საფრთხის

სერიოზულობას, კერძოდ შეერთებული შტატების მიერ თავისი მოკავშირეების ნელ-ნელა „შთანთქმის“ სურვილს, რომლის ნებაც და „დიდი ჩანაფიქრი“ მისთვის ყველაზე საშიში წარმოსადგენი იყო.

გენერლის ატლანტიკური და ევროპული პოლიტიკისთვის უდავოდ მნიშვნელოვანი იყო სხვა ელემენტიც: კრემლის აგრესიულობა, რომელიც ამრავლებდა "ინციდენტებს", აიძულებდა დასავლეთს შეევიწროვებინათ თანამშრომლობა სავარაუდო კანდიდატ ქვეყნებთან და ამ დროისთვის კრძალავდა კონტინენტის ორ ნაწილს შორის რაიმე სახის დაახლოებას.

1963 წლის შემდეგ გენერალი მიხვდა, რომ მისი იდეა დამოუკიდებელი დასავლეთ ევროპული ბლოკის შესახებ იმ დროისთვის შეუძლებელი იყო, რადგან იძულებულნი იყვნენ რა, გაეკეთებინათ არჩევანი შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს შორის, მისი პარტნიორები ყოველთვის პირველს აირჩევდნენ. ის ასევე უარს ამბობდა პროექტებზე, რომლებიც როგორც გამოცდილებამ აჩვენა, ძალიან ოპტიმისტური ან ნაადრევი იყო (Michel, 1974, გვ.159).

საფრანგეთის მიერ ატომური ბომბის წარმატებული გამოცდის შემდეგ, დე გოლმა უარი თქვა პენტაგონისმეთურობითმრავალმხრივიბირთვული ძალების შექმნაზე და ნატოს მეთაურობიდან გამოიყვანა საფრანგეთის ატლანტიკური ფლოტი. ამერიკელებმა დე გოლის პოლიტიკა შეაფასეს როგორც "გიჟი მოხუცის" უცნაურობა, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ კიდევ რას აპირებდა საფრანგეთის პრეზიდენტი. გოლისტური თვალსაზრისით, ბირთვული იარაღის ექსკლუზიურად ეროვნული ხასიათი, როგორც ჩანს, აპრიორი გამორიცხავდა ნებისმიერ „ევროპულ ბირთვულ ძალას“. ამიტომ, უმეტესმა ქვეყნებმა ამჯობინა ატლანტიკური ალიანსის გაძლიერება, ვიდრე დამოუკიდებელი დასავლეთ ევროპული ბლოკის პერსპექტივა.

„შთანთქმის“ რისკის წინააღმდეგ საბრძოლველად გენერალმა ჯერ კიდევ 1965 წლის თებერვალში დაიწყო ენერგიული შეტევა დოლარის, როგორც სარეზერვო ვალუტის, ისე ეროვნული ვალუტის პრივილეგიების წინააღმდეგ და მოითხოვა ეროვნული ვალუტის არა დოლარით, არამედ ოქროთი უზრუნველყოფა. ბრეტონ-ვუდის (1944 წ.), შეთანხმების საფუძველზე დე გოლმა ოფიციალურად შესთავაზა ამერიკელ კოლეგას ლინდონ ჯონსონს საფრანგეთის სახელმწიფო რეზერვებიდან ერთნახევარი მილიარდი დოლარის ოქროზე გადაცვლა. აშშ იძულებული გახდა საკუთარი ფული ოქროზე გაეცვალა 35

დოლარი ერთ უნციაზე, რითაც მისი მარაგი 1650 ტონით შემცირდა. ვაშინგტონმა და გოლის ეს ნაბიჯი ჩათვალა პროვოკაციად და პარიზის ეს ქმედება არამეგობრულ ნაბიჯად შეაფასა. თუმცა ფრანგი მკვლევარი და პოლიტოლოგი, არნო მანასი, აღნიშნავს, რომ “დე გოლი თავისი გადაწყვეტილებით არ ესწრაფვოდა საფინანსო სიტემის მოშლას, ან დაპირისპირებას ნებისმიერ ფასად. პირიქით, ცდილობდა ბრეტონ ვუდსის საერთაშორისო სავალუტოსისტემის რეფორმირებას და გაუმჯობესებას. მას სურდა თანასწორობა მეტი სტაბილურობისთვის. დოლარის ჰეგემონური ძალა და ამერიკული ფულადი ეგოიზმი იყო რისკ-ფაქტორი და სუსტი სტრუქტურული მიზეზი მთელი მსოფლიოსთვის. სწორედ ამიტომ ფრანგები ცდილობდნენ შეემუშავებინათ ისეთი „თამაშის წესები“ რომელსაც, სავარაუდოდ, ყველა პატივს მიაგებდა უკეთესი და სამართლიანი საერთაშორისო თანამშრომლობის იმედით“ (Manas, 2022).

ფაქტია, მეხუთე რესპუბლიკის პრეზიდენტების სამხედრო-პოლიტიკური საქმიანობის ანალიზიდან ირკვევა, რომ ნატო - საფრანგეთის ურთიერთობებში ისინი ძირითადად ხელმძღვანელობდნენ გოლის-ტური პრინციპებით. 1972 წელს ჟ. პომპიდუს დროს მიღებულმა „საფრანგეთის თავდაცვის შესახებ თეთრმა წიგნმა“ დაადასტურა, რომ ალიანსი რჩება როგორც საფრანგეთის პოლიტიკისა და დასავლური სამყაროს მომავლის ფუნდამენტურ კომპონენტად, რომელსაც ის მიეკუთვნება (Guehenno, 2013, გვ 143).

პრეზიდენტ ვ. ჟისკარ დ'ესტენის (1974-1981) პოზიცია საფრანგეთსა და ნატოს შორის ურთიერთობების საკითხზე ყველაზე მკაფიოდ ჩამოაყალიბა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟ. სოვანიარგუმ. 1976 წელს ოტავაში გამართულ

ალიანსის სესიაზე სიტყვით გამოსვლისას, მინისტრმა ხაზი გაუსვა ბლოკის წინაშე ქვეყნის ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას და განაცხადა, რომ “ნატოს ინტეგრირებული სტრუქტურიდან გასვლის გადაწყვეტილება შეუქცევადია და განხილვას არ ექვემდებარება“ (Славенов, 1981, გვ.58).

საერთოდ, გენერალ დე გოლისადმი მიძღვნილ ყველა კვლევასა თუ მემუარებში, არაერთგზის აღინიშნა მისი პოლიტიკის წინააღმდეგობრივი ხასიათი, სადაც აღნიშნულია, რომ საფრანგეთის პარტნიორები შეიძლება კანონიერად გაღიზიანდნენ, როდესაც დაინახეს, რომ იგი მოითხოვდა ევროპის თანამეგობრობის პოლიტიკის დამკვიდრებას და ამავე დროს, აცხადებდა რომ კლასიკური ნაციონალიზმი ამართლებდა მისი საგარეო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებს. უფრო ზოგადად, მათ შეემლოთ, როგორც ამას აკეთებდა ჰენრი სპაკი, ესაყვედურათ კიდევ, რომ ევროპულ მშენებლობას მხოლოდ ფრანგების პროექტების ინსტრუმენტად მოიაზრებდა.

დასკვნა

ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ძველი კონტინენტის ინტერესები ავტომატურად არ ემთხვევა შეერთებული შტატების ინტერესებს. რთულია იმის მტკიცება, შეუძლიათ თუ არა წევრ ქვეყნებს აზრთა სხვადასხვაობის დაძლევა, რომელთა მიმართაც გენერალი ასე მგრძნობიარე იყო, მაგრამ იმედოვნებდა მათ გადალახვას. მხოლოდ ისტორია ოდესმე გამოავლენს, იყო თუ არა ევროპული სახელმწიფოების კავშირი ფიქცია თუ წარმატებული ინტეგრაციული პროექტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bohlen, Charles, 1973, In Witness to History, 1919-1969, New York, Norton,
2. Duroselle, Jean-Baptiste, 1976, La France et les Etats-Unis des origines à nos jours, Paris, Seuil.
3. Guehenno, Jean-Marie, 2013, Livre blanc sur la défense et la sécurité nationale, Paris.
4. Manas, Arnaud, 2022, «L'Or de la guerre froide» par Bertrand Coty interview, le journal de leconomie, paris.
5. Maurice Couve de Murville, 1971, Une politique étrangère, 1958-1969, Paris, Plon.
6. Michel, Albin, 1974, Cité in Cyrus L. Sulzberger, L'ère de la médiocrité, Paris.
7. Tournoux, Raymond, 1971, Lettre citée in Jamais dit, Paris, Plon.
8. Славенов В.П., 1981, Внешняя политика Франции: 1974—1981., М.

Gaulism - as an important feature of French foreign policy

*Maka Tkebuchava, PhD student
Georgian Technical University*

*Manana Darchashvili, professor
Georgian Technical University*

Summary

In the study of contemporary international relations, it is important to reinterpret the politics of memory, even of recent history, in terms of important details, because the fact is that in recent times the attitude towards the past has changed substantially in all social or ethnic groups. Therefore, we think that the issue we have chosen to examine, "Gaulism as an important feature of French foreign policy", as a particularly defining factor of French foreign policy, is relevant.

Gaullism is a political ideology inspired by the ideas and actions of Charles de Gaulle, based on the French Resistance movement and the ideas and actions of its predecessor, Charles de Gaulle. The main theme of Charles de Gaulle's foreign policy was national independence and maintaining maximum control over the French colonies. Including some opposition to NATO or the European Economic Community. According to him, France should not be dependent on any foreign state, nor should it be subservient to the United States or the Soviet Union. Gaullism had a significant influence on French foreign policy in the decades after the Gaullists were no longer in power. In fact, after the death of Charles de Gaulle, Gaullism has become a current that even political parties have adopted as an ideology, based on the tradition initiated by him. The meaning of "goliathism" has varied over time. After 1970, it is a reference, with partial and sometimes different interpretations, to the legacy of the founder of the Fifth Republic. In fact, an analysis of the military-political activities of the presidents of the Fifth Republic shows that in the relations between NATO and France, they were mainly guided by Gaullist principles. In fact, an analysis of the military-political activities of the presidents of the Fifth Republic shows that in the relations between NATO and France, they were mainly guided by Gaullist principles. In particular, President S. Pompidou (1969-1974) During a visit to the United States in February 1970, he openly stated that cooperation with the Allies was as natural and important to us as the desire to be integrated into the organization and to preserve what General Charles de Gaulle called our independence, e. Y Freedom to make decisions. We are allies in free choice, not obligation.

Key words: France, Memory, Gaulisme, Charles de GAULLE, Foreign policy, Word, Nato.

ბიკამერალიზმი ქართულ რეალობაში - გამოწვევები და პერსპექტივები

*სალომე ბენაშვილი, სტუდენტი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა მშენიერაძე, სტუდენტი
ლილის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)*

რეზიუმე

თანამედროვე სამყაროში, ისე როგორც არასდროს, მეტად მასშტაბურია ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს თითოეული მოქალაქის როლი და მნიშვნელობა. ამგვარი რეალობა ბუნებრივია ისეთ სახელმწიფოებში, სადაც დაცულია ადამიანის უფლებები და ზოგადად, დემოკრატიის მნიშვნელობის სათანადო და ობიექტური აღქმა ხდება. სწორედ დემოკრატიული სახელმწიფოს დემოკრატიული პროცესების გაძლიერებას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომიც.

საქართველო დღეისათვის არის სახელმწიფო, რომლის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობაც შელახულია და ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს არ ექვემდებარება ორი სეპარატისტული რეგიონი. აღნიშნულ ტერიტორიებზე კონტროლის აღდგენის შემდეგ საქართველოს კონსტიტუციაში განსაზღვრულია მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ცვლილებების გატარება და სახელმწიფოებრივი მოწყობის ახლებური მოდელის შემოღება. კერძოდ, საქართველოში ამჟამად მოქმედი ერთპალატიანი პარლამენტი უნდა გარდაიქმნას ორპალატიან საკანონმდებლო ორგანოდ, რომელიც განსხვავებული წესით უნდა იქნას დაკომპლექტებული. კონსტიტუციით განსაზღვრულია, რომ ზედა პალატა წარმოდგენილი იქნება სენატის სახით, ხოლო ქვედა პალატად განისაზღვრება რესპუბლიკის საბჭო. კანონმდებლობა ამ ეტაპისათვის აღნიშნულთან დაკავშირებით აზუსტებს მხოლოდ რამდენიმე საკითხს სახელმწიფო ხელისუფლების ახლებურად ორგანიზების თაობაზე, თუმცა არაერთი ტექნიკური თუ შინაარსობრივი საკითხი კვლავაც სამომავლოდ განსასაზღვრ საკითხებს შორის რჩება.

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის აღდგენა მეტად მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენი სახელმწიფოსათვის, რასაც თან ერთვის კონსტიტუციური დებულება საკანონმდებლო ხელისუფლების ახლებური ჩამოყალიბების შესახებ, მნიშვნელოვანია აკადემიური წრეების მიერ, მოხ-

დეს აღნიშნულ საკითხზე მუშაობა, მათი ანალიზი და მათზე დაფუძნებული დასკვნების წარმოდგენა. სწორედ იმისათვის, რომ მომავალში, როდესაც აქტიური დღის წესრიგის ნაწილად იქცევა ქვეყნის დეოკუპაციის პროცესის დასასრულამდე მიყვანა, მომავალი თაობა და საზოგადოება არ აღმოჩნდეს იმ გაურკვევლობისა და ბუნდოვნების წინაშე, რომელიც ერთიანობის საკითხს საერთო სახალხო სიხარულის ფონზეც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს.

ამგვარი შემთხვევა ცხადია დაასუსტებდა რეინტეგრაციის პროცესს ისევე, როგორც სახელმწიფოს უახლოეს სამომავლო პოლიტიკურ თუ სამართლებრივ პერსპექტივას და საბოლოო ჯამში არასტაბილურობის საფრთხის წინაშე დააყენებდა მას.

საკვანძო სიტყვები: ბიკამერალიზმი, ტერიტორიული მთლიანობა, საკანონმდებლო ხელისუფლების რეორგანიზაცია.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ქმედითი იარაღი უდაოა, რომ იყო, არის და იქნება ადამიანი. დემოკრატიული იდეის ფარგლებში უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა - მოქალაქე, რადგან სწორედ ამ ჭრილში ხდება სახელმწიფოსა და პიროვნების კომუნიკაცია ანუ უფლებების დაცვა, რეალიზება თუ ურთიერთგაწონასწორება. თავისმხრივ მოქალაქეს, როგორც პოზიტიური სამართლით ჩამოყალიბებული უფლებები, ასევე სოციუმიდან გამომდინარე დაუწერელი მორალური პრინციპები გააჩნია. აღარ სჭირდება იმ ფაქტს კონსტანტაცია, რომ მხოლოდ ზემოთხსენებულ იდეათა ერთობლიობა განაპირობებს ქმედით ნაბიჯებს, რომელიც გამოხატულებას როგორც ინდივიდის ცხოვრებაში, ასევე პირდაპირპროპორციულად ქვეყნის მასშტაბითაც ჰპოვებს. ამ ყველაფრის სისრულეში მოყვანის მთავარი წინაპირობაა - დრო. დრო, რომელმაც და რომლის საშუალებითაც, ხვალინდელი დღის უკეთესობისკენ შეცვლა შეგვიძლია. სწორედ ამის გამოძახილია, დღეს, ქვეყნის უმაღლეს კანონში არსებული ჩანაწერი, რომელიც „საქართველოს მთელს ტერიტორიაზე

საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელახალ ფორმირებას შეეხება. როგორც აღვნიშნეთ დროის საკითხია, როდის აღმოჩნდება ქართული საზოგადოება ამ გამოწვევის წინაშე. შესაბამისად, ნებისმიერი მოქალაქის უპირველესი ვალდებულებაა დაიწყოს ფიქრი და მსჯელობა ჩანაწერის შინაარსსა, მისი რეალიზების საშუალებებსა, საფრთხეებსა თუ სარგებლიანობაზე - „გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ბიკამერალიზმი, ეს პანაცეაა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ“, რამდენადაც ეს წინასწარ შეიძლება შეფასდეს და განისაზღვროს (Giovanni Facchini & Cecilia Testa, 2005). სწორედ ამ მიზნის წერილობით შესრულებას ემსახურება აღნიშნული სტატია, რადგან მომავალი თაობა და საზოგადოება არ აღმოჩნდეს იმ გაურკვევლობისა და ბუნდოვანების წინაშე, რომელიც ერთიანობის საკითხს საერთო სახალხო სიხარულის ფონზე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს.

ცვლილება

სახელმწიფო და საზოგადოება მუდმივად საზრდობს საკუთარი თუ სხვათა გამოცდილებით, რომელიც დროთა განმავლობაში შესაძლოა, როგორც რეგრესის, ისე პროგრესის წინაპირობად ჩამოყალიბდეს. დემოკრატიას თანდაყოლილი პლურალიზმის ფონზე დღეს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ფარგლებში საკანონმდებლო ორგანოს ფორმირების სახესთან დაკავშირებით მრავალი მოსაზრება არსებობს, მათ შორის როგორცაა ჩვენი მდგომარეობა დღეს, აწმყო ანუ მონოკამერალიზმი (მონოკამერული) და მომავალი ანუ ბიკამერალიზმი. პარლამენტის ამ ორ ფორმირებას შორის არსებობს გარკვეული ძირეული განსხვავებები, რომელთა ხაზგასმა ნათელს გახდის კონსტიტუციაში დაანონსებული ცვლილების არსს.

რამდენადაც ნაშრომის მიზანი, ქართულ პერსპექტივაში ბიკამერალური საკანონმდებლო ხელისუფლების ჩამოყალიბებაა, ძირითადი აქცენტიც სწორედ ქართულ კონტექსტში პოტენციურ გამოწვევებსა და მახასიათებლებზე იქნება დასმული. წინაპირობა კი სრული იურისდიქციის აღდგენა, კონსტიტუციის 37-ე მუხლის მიხედვით: „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი“. მოცემულ ცვლილებას საფუძვლად გარკვეული

პოზიტიური გარემოებები/ მახასიათებლები უდევს, როგორცაა მათ შორის: ტერიტორიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, კომპეტენციების განაწილება, საკანონმდებლო ხელისუფლების ინსტიტუციური უზრუნველყოფა (უწყვეტობა) და ა.შ. საინტერესოა ამ ლეგიტიმური მიზნების განსახორციელებლად ზემოთ ხსენებული ცვლილება აუცილებელი და ერთადერთი საშუალებაა თუ ერთპალატიანობის პირობებშიცაა შესაძლებელი ბიკამერალიზმის დადებითი მახასიათებლების იმპლემენტაცია გარკვეული წესების ცვლილებების ხარჯზე (მხედველობაშია დათხოვნა/არჩევა/კვორუმთა გადანაწილება და ა.შ). გარემოება, რომელიც ბიკამერალიზმის იდეის ერთ-ერთი ფუძემდებელია ესაა ფედერალიზმი ანუ ტერიტორიული მასშტაბები, რომელიც უხეშად რომ ითქვას საჭიროებს პარლამენტის შემადგენლობის გაზრდას, რათა უზრუნველყოფილი იყოს წარმომადგენლობა. ამ ნაწილში საინტერესოა თუ რამდენად რელევანტურია ჩვენი ქვეყნის ფართობის გათვალისწინებით მსგავსი სისტემის ჩამოყალიბება, თუმცა ეს არ გულისხმობს ბიკამერალიზმის უარყოფითად შეფასებას. ეს სისტემა შესაძლოა მოგვევლინოს „შეკავება-გაწონასწორების“ მექანიზმად ე.წ ძალის კონცენტრაციისგან. მართლაც, მთელმა რიგმა საზოგადოებებმა წარმატებას მიაღწიეს იმგვარი პოლიტიკური სისტემების ჩამოყალიბებაში, სადაც სახელმწიფოს ძალაუფლება შეზღუდული იქნებოდა. მათი წარმატების გასაღები ძვეს იმ ფაქტის აღიარებაში, რომ ძალის შეზღუდვა, მხოლოდ ძალითაა შესაძლებელი. ამ ყოველივეს პირდაპირ მივყავართ იმ კონსტიტუციურ თეორიამდე რომლებიც ცნობილია, როგორც შეკავება-გაწონასწორების პრინციპი (Gordon, 1999, pp. 2, 14-15).

მნიშვნელოვანია კონტროლის მექანიზმებიც, იდეა რომელიც ქვედა პალატის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებას გულისხმობს, ხოლო ზედა პალატის მიერ მთელი რიგი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების დანიშვნას. საინტერესოა როგორ მოხდება „დათხოვნის არსის რეალიზება“ - როგორც წესი ზედა პალატა ვადამდე დათხოვნას არ ექვემდებარება, რაც თავისმხრივ საქმიანობის უწყვეტობას უზრუნველყოფს. ზედა პალატის არსი მდგომარეობს წარმომადგენლობის უზრუნველყოფაში იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური აქტორის შენარჩუნება მოხდეს ფორმალური პოლიტიკის ფარგლებში, რაც გააძლიერებს დემოკრატიზაციის პროცესს (Ketterer, 1998, pp. 2, 10-11. p. 8).

ძალიან ბევრ სახელმწიფოში (უმრავლესობაში), თითოეული პალატა განსხვავებული ფუნქციებით არის აღჭურვილი, ქვედა პალატისთვის ერთგვარი უპირატესობის მინიჭების პირობებით. ერთი სიტყვით, თანაბარი უფლებამოსილებებით აღჭურვილმა ბიკამერალურმა პარლამენტმა ამოწურა ის მიზანი, რომელიც მას მე-19 საუკუნეში ჰქონდა და მე-20 საუკუნეში ე.წ. სუსტი ზედა პალატის მქონე ორპალატიან პარლამენტებს დაუთმეს გზა (Mazza & Vedeschi, 2000, 224.). ამ სისტემაში განსაკუთრებით საყურადღებოა მისივე შეზღუდვის ხარისხი, რაც პლურალიზმის ფონზე შესაძლოა „საჯილდო ქვად“ იქცეს. გარდა ამისა ზემოთხსენებულმა მასშტაბურმა გარდასახვამ გამოიწვევს გარკვეული ისეთი ნორმების მოდიფიკაცია როგორცაა პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა, ან თუნდაც მსჯელობა იმაზე თუ რა საკითხებზე გახდება საჭირო ორივე პალატის თანხმობა (იქნება ეს ფუნდამენტური ინსტიტუციონალური საკითხები, საერთაშორისო ხელშეკრულებები თუ კონსტიტუციური კანონები), ეს დეტალები ცალკე საკანონმდებლო რეგულირების საგანია, რომელსაც მოგვიანებით განვიხილავთ. შეჯამების სახით რომ ითქვას ცვლილება, რომელიც ხვალ განხორციელდება საკანონმდებლო სისტემას ბევრ კითხვის ნიშანს გაუჩენს, რომელთა გადაჭრა დღეს თუ არა ხვალ აუცილებელი გახდება.

გარემოება, რომელიც ამ და სხვა ცვლილებებზე მსჯელობას აზრს დაუკარგავს ესაა დაყოფის ფორმალური ხასიათი, რაც ქვეყნისთვის მომავლის პერსპექტივაში, კაპიტალიზმის ფონზე, ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებთ შესაძლოა სავალალო აღმოჩნდეს.

ძირითადი გამოწვევები და პერსპექტივები

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რამდენადაც უკვე მნიშვნელოვანწილად გახლავთ წარმოდგენილი ბიკამერული საკანონმდებლო ორგანოს ძირითადი მახასიათებლები, კიდევ უფრო მასშტაბური დატვირთვა ენიჭება იმ პოტენციური გამოწვევებისა და სიკეთების თაობაზე მსჯელობას რომლებიც შესაძლოა, ქართულ რეალობაში დღის წესრიგში დადგეს.

ამგვარ გამოწვევათა შორის, თეორიულ დონეზე შესაძლოა არაერთი საკითხი იქნას ჩამოთვლილი, ხოლო თუკი ამავე სიას იმ პოტენციურად უარყოფითი დატვირთვის საკითხებსაც შევმატებთ, რომლებზედაც კონსტიტუციონალისტები მსჯელობენ, მოცემულ ნაშრომში განხილვისთვის მხოლოდ რამოდენიმე ძირითადი საკითხი თუ

დარჩება. მსჯელობის ეს ნაწილი უშუალოდ დაეთმობა იმის განხილვას, თუ რა პოტენციურ უარყოფით შედეგებთან შესაძლოა იყოს ორპალატიანი პარლამენტის მოქმედება დაკავშირებული, ხოლო მათთან ერთად განხილული იქნება ის პოზიტიური პერსპექტივებიც, რომლებიც ამ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს ჩვენს რეალობაში.

ამგვარ საკითხთა შორის, უპირველესად უნდა აღინიშნოს პოტენციური კრიზისის ალბათობა, რაც თავად ორი პალატის დაკომპლექტების წესიდან გამომდინარეობს. საერთაშორისო დონეზე ბიკამერალიზმის ერთი-ერთი მახასიათებელი, კერძოდ, პალატების განსხვავებულად დაკომპლექტების წესი ასახულია საქართველოს კონსტიტუციაშიც. კონსტიტუციის 37-ე მუხლში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი. რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან. სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან. პალატების შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი (საქართველოს კონსტიტუცია, 37-ე მუხლი).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული საარჩევნო კანონმდებლობის ჩამოყალიბების პასუხისმგებლობა ორგანულ კანონზეა დელეგირებული, საქართველოს კონსტიტუციაც პრინციპების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს პასუხობს. აქ იგულისხმება ის, რომ რესპუბლიკის საბჭო დაკომპლექტებული იქნება სრულად პროპორციული საარჩევნო წესით, ხოლო სენატში გათვალისწინებულ იქნება გეოგრაფიული ფაქტორი და ასევე, მასში შევა პრეზიდენტის მიერ დანიშნული ხუთი წევრი.

პალატების მოცემული დაკომპლექტების წესი, როგორც ყველგან ასევე აქაც ქმნის ანალოგიურ შესაძლებლობას, რომ პალატები განსხვავებული პოლიტიკური შემადგენლობით დაკომპლექტდნენ. ასეთ შემთხვევაში სახეზე იქნება იმგვარი პოლიტიკური კრიზისის რისკი, სადაც საკანონმდებლო ორგანოს ორი პალატა, შესაძლოა ვერ შეთანხმდეს გარკვეულ საკითხებზე

განსხვავებული პოლიტიკური იდეოლოგიიდან თუ ორიენტაციიდან გამომდინარე.

მეორეს მხრივ, სწორედ ჩამოთვლილი საკითხები შესაძლოა იყოს ის ფაქტორები, რომელიც კიდევ უფრო გააუმჯობესებს საკანონმდებლო პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო პრაქტიკაც ცხადყოფს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავებული პოლიტიკური კონექტურის პალატები რიგ საკითხებზე თანხვედრაში ვერ მოდიან, რაც ზოგჯერ საკანონმდებლო პროცესის შეფერხებით სრულდება, სწორედ ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს კიდევ უფრო მაღალი კანონშემოქმედების სტანდარტს.

ასევე, ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კომპეტენციების მკაფიო გამიჯვნა ორ პალატას შორის უდიდესი მნიშვნელობის იქნება. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, პალატათა უფლებამოსილებები ორგანული კანონის საფუძველზე განისაზღვრება. მასადაამე, კარდინალური მნიშვნელობა სწორედ ამ უკანასკნელს ენიჭება, რათა ერთის მხრივ, მაქსიმალურად იქნას შემცირებული კრიზისების ალბათობა და მეორეს მხრივ სრულად იქნას დაცული ის დაბალანსების მექანიზმი, რასაც ბიკამერული პარლამენტის ინოვაცია ისახავს მიზნად. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ბიკამერალიზმის პირობებში თავად საკანონმდებლო ხელისუფლების შტოს შიგნით ინსტიტუციურად იქმნება შეკავებისა და გაწონასწორების ეფექტური სისტემა, რაც ამცირებს საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებისას ნაჩქარევი, დაუბალანსებელი და დაუფიქრებელი გადაწყვეტილებების მიღების რისკებს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, პალატათა შორის დავასა და დისკუსიაში უფრო სავარაუდოა, რომ დაიბადოს პოლიტიკური ჭეშმარიტება (ყურაშვილი & ბუჩუკური, 2011, გვ. 6-7).

შემდეგი საკითხი, რასაც ამ თავში უნდა შევეხოთ, სახელმწიფო ხელისუფლების ვერტიკალური ორგანიზების საკითხი გახლავთ. ზოგადად, ბიკამერალიზმი ფედერალური მოწყობის მქონე, ტერიტორიულად დიდი სახელმწიფოების მახასიათებელია. მის მიზანი დიდწილად სახელმწიფოს შიგნით არსებული ტერიტორიული და თუ სხვა სახის სუბიექტების ინტერესების წარმოჩენა და უფლებათა დაცვა გახლავთ, რაზეც განსაკუთრებული აქცენტი, როგორც წესი ერთი რომელიმე პალატის ფარგლებში კეთდება.

საქართველო უნიტარული მოწყობის სახელმწიფოა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს შემად-

გენლობაში შედის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები, მისი ვერტიკალური მოწყობა არ არის დაშენებული ფედერალიზმის პრინციპებზე. აქედან გამომდინარე, არაერთი კონსტიტუციონალისტის მსჯელობის საგანია ის, თუ რამდენად ეფექტიანი შესაძლოა იყოს ორპალატიანი საკანონმდებლო ხელისუფლების დანერგვა ტერიტორიულად მცირე ზომის სახელმწიფოში, რომელსაც ფედერალური მოწყობა არ გააჩნია.

ამ არგუმენტების საპირწონედ, საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზით, შესაძლოა დასახელებული იქნას ტერიტორიულად თუ მოსახლეობის ზომით არაერთი მომცრო სახელმწიფო, რომელთა საკანონმდებლო ხელისუფლებები ორი პალატის ფარგლებში ხორციელდება. ამგვარ სახელმწიფოთა რიგებს მიეკუთვნება ავსტრია, ჩეხეთის რესპუბლიკა, შვეიცარია, ბელგიის სამეფო, ირლანდიის რესპუბლიკა და სხვა. ამ სიის გაგრძელება კიდევ შესაძლებელია, თუმცა იმის სადემონსტრაციოდ, რომ მცირე ზომის შემდგარი დემოკრატიის სახელმწიფოებშიც არსებობს ორპალატიანი პარლამენტის არსებობის პრაქტიკა ესეც საკმარისია.

აქვე, არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლება ორპალატიანი მხოლოდ მას შემდეგ გახდება, რაც აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. რამდენადაც მათ შორის სამართლის საბოლოო ამოცანაც მოცემულ შემთხვევაში პრაქტიკულ საჭიროებებზე მორგება და რეალობასთან შესაბამისობაა, უნდა ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ, ქართული სახელმწიფო ახალი გამოწვევების წინაშე დადგება. ამას სავარაუდოდ, უპირველესად, დღეისათვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები საზოგადოების სეპარატისტული განწყობები განაპირობებს, რომლებსთვისაც ახალ პრიორიტეტად იქცევა საკუთარი თვითმყოფადობის ნიშნების შენარჩუნება. ბიკამერალური პარლამენტი არსებითი ელემენტია ფედერაციისა და იმ სახელმწიფოთათვის, რომელთაც სურთ ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობის უზრუნველყოფა. ამგვარ სახელმწიფოებში, ერთი პალატა წარმომადგენს ხალხს ერთიანობაში და სახელმწიფოს ერთიანობის გარანტიად გვევლინება, ხოლო მეორე პალატა, უზრუნველყოფს ტერიტორიული ერთეულების, მათ შორის მცირე ტერიტორიული ერთეულების

საერთო სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებში მონაწილეს (მაჭარაძე, 2017, გვ. 26). ამ ყოველივე-დან გამომდინარე ბიკამერალური საკანონმდებლო ხელისუფლება შესაძლოა იქცეს ერთგვარ გარანტად, რომელიც მათ შორის დღეისათვის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ე.წ. „ცხინვალის რეგიონში“ მცხოვრები პირების ყველა სახის უფლებათა დაცვას ემსახურება, რაც გააადვილებს შიდასახელმწიფოებრივი ინტეგრაციის პროცესს.

მორიგი შეკითხვა, რაც ქართული ბიკამერალიზმის მოდელის მიმართ ისმის, ესაა ის, თუ რა საკითხებზე იქნება უფრო ეფექტიანი საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელება ორი პალატის ფარგლებში, ვიდრე დღეს მოქმედი მოდელით. ამ შეკითხვაზე კონკრეტული პასუხი დღეისათვის არ არსებობს, რამდენადაც ეს საკითხიც, შემდგომში ორგანული კანონით უნდა დარეგულირდეს. მიუხედავად ამისა, ცალსახად ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ სხვა სახელმწიფოთა მაგალითები, ნათლად აჩვენებს კომპეტენციათა პალატებისთვის დელეგირების წარმატებულ მაგალითებს.

ფორმირებასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები

როგორც უკვე ვახსენეთ, საქართველოს კონსტიტუცია გამოყოფს ორგანული კანონის მნიშვნელობას საქართველოში ბიკამერალური პარლამენტის ფორმირების, კომპეტენციების განსაზღვრისა და არჩევის წესის თაობაზე. შესაბამისად მეტად დიდი იქნება ამ კანონის მნიშვნელობაც საქართველოს კონსტიტუციური წესრიგის ჩამოყალიბებისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით კი, კანონის მიღებამდე საჭიროდ მივიჩნევთ რამოდენიმე საკითხის ხაზგასმას.

უპირველესი ამგვარი საკითხი შეეხება დაკომპლექტების ვადებს. ამ მხრივ განსხვავებულია საერთაშორისო პრაქტიკა, თუმცა საკანონმდებლო ორგანოს წევრთა უფლებამოსილების ვადა უმეტესწილად 4 ან 5 წელია. მიუხედავად იმისა, თუ როგორ დარეგულირდება აღნიშნული საკითხი ქართულ რეალობაში, აუცილებელია არ იყოს დიდი განსხვავება პალატების დაკომპლექტების თარიღებს შორის. აღნიშნული, პარლამენტის საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის დაცვით, მეტად მოახდენს პალატების განსხვავებული პოლიტიკური წარმომადგენლობებით დაკომპლექტების პრევენციას, რაც საბოლოო ჯამში პალატათაშორის შეუთანხმებლობის მიზეზით პოტენციური კრიზისების რისკების შემცირებას ემსახურება.

ასევე, სწორედ აღნიშნულ მიზანსვე უნდა ემსახურებოდეს კომპეტენციების მკაფიო გამიჯვნა პალატებს შორის. ორგანულმა კანონმა არ უნდა დატოვოს თუნდაც მცირე გაურკვეველი ჩამონათვალი, რომელმაც შესაძლოა პოტენციური კრიზისი ან კონფლიქტი წარმოშვას მხარეებს შორის.

გამომდინარე იქედან, რომ მიუხედავად კომპეტენციათა გამიჯვნისა, მაინც დარჩება სივრცე, სადაც ორი პალატის უფლებამოსილება ერთმანეთს გადაფარავს, რაც პოტენციური კრიზისის საფუძველი შესაძლოა გახდეს, შესაძლოა ჩამოყალიბდეს რაიმე ახალი რგოლი, ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს მედიაციას პალატებს შორის. აღნიშნულის არაპირდაპირ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ევროპის კავშირის საკანონმდებლო უფლებამოსილების განხორციელებელ ინსტიტუტებს, ევროპულ პარლამენტსა და ევროპული კავშირის საბჭოს შორის კონსესუსის არარსებობის შემთხვევაში მოქმედი ე.წ. „მომრიგებელი კომიტეტი“ რომელიც თანაბრადაა დაკომპლექტებული ორივე ინსტიტუტის წარმომადგენლებისაგან. თუ ისინი საკანონმდებლო აქტის პროექტის მიღების თაობაზე შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, ინიციატივა განსახილველად გადაეცემა ე.წ. მორიგების კომიტეტს, სადაც ორივე ინსტიტუტის წარმომადგენლები თანაბრად არიან წარმოდგენილნი (როგორ ფუნქციონირებს ევროპული კავშირი, 2014, გვ. 32). მიუხედავად იმისა, რომ არც ევროპის კავშირის ზემოხსენებული ორი ინსტიტუტის სტრუქტურა წააგავს ბიკამერალური პარლამენტისას და არც ევროპის კავშირია სახელმწიფო, მისი ზენაციონალური ბუნებიდან გამომდინარე შესაძლოა ეფექტიანი იყოს მისი ამ მაგალითის ეროვნულ დონეზე გადმოტანა, რაც ჩვენი სახელმწიფოსათვის პოტენციური კრიზისის რისკებს კიდევ უფრო მეტად შეამცირებს.

დასკვნა

ნებისმიერი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის არსებობის იდეა, გადის საციცოცხლო მნიშვნელობის ისეთ კრიტერიუმებზე, როგორებიცაა სტაბილურობა და უსაფრთხოება. სწორედ ამ ორის ინდივიდუალურად და მითუმეტეს კუმულაციურად მიღწევა არის სახელმწიფოს მთავარი მიზანი, რომლის რეალიზებაც უდაოა, რომ ქვეყნის დღის წესრიგში პირველ ადგილს უნდა იკავებდეს. ამ გზაზე სახელმწიფო როგორც ობივატელთა ერთობა ისე არ უნდა იყოს წარმოდგენილი, არამედ მხოლოდ თითოეული ადამიანის, როგორც მოქალაქის სრული პასუხისმგებლობით.

საშუალება კი რომლითაც ეს ყოველივე მიიღწევა არის ძირითადი უნარის - ფიქრის გამოყენების შედეგი, ფიქრის, ხვალინდელ დღეზე. შესაბამისად, დღევანდელობაში ყოველივე სამართლებრივი პრინციპის დაცვით დასახული, ხოლო ამაზე დაყრდნობით ხვალინდელი განხორციელებული ცვლილებები მსუყე ნიადაგს შექმნის ზემოთ ხსენებული კონტიტუციური ჩანაწერის პირველი ნაწილის ცხოვრებაში რეალიზებისა და სტაბილურობის მიღწევითვის.

ამ ყოველივედან გამომდინარე, საჭიროა დასკვნის სახით ხაზი გაესვას საკვანძო გარემოებებს. პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ბიკამერალური სახის საკანონმდებლო ხელისუფლების დანერგვა ქართულ რეალობაში როგორც უამრავ ახალ ტენდენციასთან, ისე გარკვეულ რისკებთან იქნება დაკავშირებული, რაც ახალი და მაღალი სტანდარტების გარდაუვალ ფორმირებას

განაპირობებს საკანონმდებლო პროცესში. მეორეს მხრივ, ეს საკითხი მოიცავს დღეისათვის ოკუპირებული ტერიტორიების მომავალში ინტეგრაციის პროცესს, რამდენადაც ბიკამერალური პარლამენტის ერთ-ერთი მახასიათებელი მცირე რეგიონებისა თუ საზოგადოების ჯგუფების საკანონმდებლო ხელისუფლებაში უკეთ წარმოდგენაა. ამასთან ერთად უზარმაზარი, შესაძლოა ითქვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ორგანული კანონის შემუშავებას ისე რომ ამ უკანასკნელს ეფექტიანად შეეძლოს ნებისმიერ სიტუაციაში მოქმედება და რაც მთავარია პოტენციური კრიზისების პრევენცია.

ე. ი. სახელმწიფოც თავის მხრივ შეძლებს კუმულაციურად როგორც სტაბილურობის, ისე უსაფრთხოების უზრუნველყოფას ანუ გაამართლებს თავისი არსებობის იდეას, რასაც მუდმივად ითხოვს საზოგადოება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Giovanni Facchini & Cecilia Testa, 2005. "A Theory of Bicameralism," Royal Holloway, University of London;
2. S. Gordon, Controlling the State: Constitutionalism from Ancient Athens to Today.(Cambridge, Harvard University Press, 1999);
3. James Ketterer, AMorocco=s New Bicameral Parliament: Democratic Obstacle or Catalyst?@ paper presented at Third Workshop of Parliamentary Scholars and Parliamentarians, Wroxton College, Oxfordshire, UK, 8-9 August 1998;
4. Attlande di Diritto Pubblico Comparato a cura di Ferrari G. F., con la collaborazione di Mazza M., Vedeschi A., 2000;
5. საქართველოს კონსტიტუცია;
6. ყურაშვილი კ., ბუჩუკური ა., ბიკამერალიზმის დილემები, ბათუმი, 2011;
7. მაჭარაძე ზ., მთავრობის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლი ბიკამერულ პარლამენტში (ქართულ პერსპექტივასთან კავშირში), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017;
8. როგორ ფუნქციონირებს ევროპული კავშირი, თბილისი 2014.

Bicameralism in Georgian reality - challenges and perspectives

*Salome Benashvili, student
Tbilisi state university*

*Shota Mshvenieradze, student
University of Lille (France)*

Summary

In the modern world, the role and importance of citizens of all democratic states already has a major importance. In such states, human rights are protected and the level of importance of democracy is generally and objectively perceived. This paper is directed at the enforcement of the democratic processes of the democratic state.

Today, Georgia is a state whose sovereignty and territorial integrity are violated, and two separatist regions are not under the control of the central government. The Constitution of Georgia stipulates, that after the restoration of control over the mentioned territories by the central government, the implementation of important constitutional changes should happen and the new model of organization of the state government should be Introduced. In particular, the unicameral parliament currently operating in Georgia should be transformed into a bicameral legislative body, which should be organized in a different manner. According to the constitution, the upper chamber will be represented as the Senate, and the lower chamber will be the Council of the Republic. For now, the legislation specifies several issues regarding the re-organization of the state government and many technical and substantive issues remain among the issues to be determined in the future.

Based on the fact that the restoration of the control of the central government over the temporarily occupied territories of Georgia is a very important issue for our state, which is accompanied by the constitutional provision on the new formation of the legislative authority, the academic circles need to work on the mentioned issue, analyze them and present conclusions based on them. Specifically, to prevent the next generation and the society from facing the uncertainty and ambiguity that will question the issue of unity even in the background of common public joy.

Such a case would obviously weaken the reintegration process, as well as the future political and legal prospects of the state, and ultimately put it at risk of instability.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

SC I E N C E S

მრგვალხერხა ჩარხის ჭრის მექანიზმის ლილვის კრიტიკული კუთხური სიჩქარის განსაზღვრა

*ვახტანგ აბაიშვილი, აკადემიური დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

თანამედროვე მანქანებისა და მექანიზმების კონსტრუქტორების წინაშეა რთული ამოცანა – გაზარდოს მანქანების მწარმოებლობა და რესურსი, შეამციროს მათი მასა. ამ ამოცანის ერთდროული გადაწყვეტა მოითხოვს ისეთი მანქანების შექმნა, რომელთა როტორის კუთხური სიჩქარე საკმაოდ მაღალია. აღსანიშნავია, რომ როტორის ან დისკის მქონე მანქანების კვლევისას დიდი მნიშვნელობა აქვს ვიბროაქტივობის განსაზღვრას, რაც იწვევს მანქანის ნაწილების ვადაზე ადრე მწყობრიდან გამოსვლას. ამასთანავე არარაციონალურია, როდესაც დისკის ბრუნვის სიხშირე პირველკრიტიკულ მნიშვნელობაზე დაბალია, რადგან ეს იწვევს მბრუნავი ნაწილების მასის ზრდას და ზღუდავს მბრუნავი ნაწილების ბრუნვის სიხშირეს.

მრგვალხერხა ჩარხების ჭრის მექანიზმი წარმოადგენს მბრუნავ ლილვზე დამაგრებულ ხერხის დისკს. მბრუნავი ლილვი განიცდის სხვადასხვა სახის რხევებს. გარკვეული ბრუნვის სიხშირის (კრიტიკული სიხშირე) შემთხვევაში იწვევს რეზონანსის მოვლენას, რაც დიდ საშიშროებას წარმოადგენს [ა]. კუთხური სიჩქარის მიახლოებისას კრიტიკული კუთხური სიჩქარის [ა]_კ მნიშვნელობასთან q -ის გადახრა იზრდება ექსცენტრისიტეტის მცირე მნიშვნელობისასაც კი. ამ შემთხვევაში შესამჩნევია დამატებითი რხევები. დისკის ბრუნვა ნორმალურია, დისკის სიმძიმის ცენტრი უახლოვდება მის იდეალურ მდებარეობას და კუთხური სიჩქარე არ აღემატება კრიტიკულ მნიშვნელობას.

საშიშროებას წარმოადგენს არა მარტო კუთხური სიჩქარის კრიტიკული მნიშვნელობა, არამედ კრიტიკული კუთხური სიჩქარის მიდამო, რომლის განსაზღვრა აქტუალური ამოცანაა.

საკვანძო სიტყვები: მრგვალხერხა ჩარხი, სახეხი დისკი, ექსცენტრისიტეტი, ჭრის მექანიზმი, ლილვი, ღუნვა, კუთხური სიჩქარე, კრიტიკული დისკის განტოლება.


შესავალი

მრგვალხერხა ჩარხის ლილვები განიცდის სხვადასხვა სახის რხევებს. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ღუნვის დეფორმაციები ბრუნვის ე.წ. კრიტიკული მნიშვნელობისას იწვევს რეზონანსს, რაც ძლიერ საშიშია.

სამუშაოში განსაზღვრულია ბრუნთა რიცხვის საშიში მნიშვნელობები, რომელიც იწყება კრიტიკული მნიშვნელობების რამდენამდე დაბლა და მთავრდება ასევე კრიტიკული მნიშვნელობებზე მეტი მნიშვნელობისას. ნაჩვენებია, რომ კრიტიკული ზონის სიდიდე მცირდება ექსცენტრისიტეტის მნიშვნელობათა შემცირებისას.

ძირითადი ნაწილი

საანგარიშო სქემაზე წარმოდგენილია მრგვალხერხა ჩარხის ჭრის მექანიზმი. მასზე ნაჩვენებია წერტილი O და K , რომელიც დისკის მბრუნავ ლილვზე დამაგრების წერტილია შესაბამისად არადეფორმირებული და დეფორმირებული ლილვისათვის. S დისკის სიმძიმის ცენტრია.



მრგვალებერხა ჩარხის ჭრის მექანიზმის საანგარიშო სქემა

φ კუთხე KS მონაკვეთის მიერ OX ღერძის დადებით მიმართულებასთან შედგენილი კუთხე, მაშინ

$$x_1 = x - e \cos \varphi; \quad (1)$$

$$y_1 = y - e \sin \varphi. \quad (2)$$

დისკის სიმძიმის ცენტრის მოძრაობის განტოლებაა

$$m\ddot{x} = -\frac{1}{\mu}(x - e \cos \varphi); \quad (3)$$

$$m\ddot{y} = -\frac{1}{\mu}(y - e \sin \varphi), \quad (4)$$

სადაც e არის ექსცენტრისიტეტი, m არის დისკის მასა;

μ არის მაქსველის გავლენის კოეფიციენტი (K წერტილის გადახრა ერთეულოვანი ძალით), რომელიც ითვალისწინებს ლილვის ღუნვაზე დამატებით მოქმედი პარამეტრების გავლენას.

შემოვიტანოთ აღნიშვნა

$$\omega_3^2 = \frac{1}{\mu m}, \quad (5)$$

სადაც ω₃ არის კრიტიკული კუთხური სიჩქარე.

მაშინ (3) და (4) შეიძლება შემდეგნაირად გადავწეროთ

$$\ddot{x} + \omega_3^2 x - e\omega_3^2 \cos \varphi = 0; \quad (6)$$

$$\ddot{y} + \omega_3^2 y - e\omega_3^2 \sin \varphi = 0. \quad (7)$$

დისკის ინერციის მომენტი I, ხოლო მბრუნავი მომენტი M, მაშინ ამ პარამეტრების გათვალისწინებით დისკის განტოლება მიიღებს სახეს

$$I\ddot{\varphi} = M + em\omega_k^2 (y \cos \varphi - x \sin \varphi). \quad (8)$$

დისკის ინერციის რადიუსის ρ-ის გათვალისწინებით (8) მიიღებს სახეს

$$\ddot{\varphi} = \frac{1}{\rho^2} \left(\frac{M}{m_1} + em\omega_k^2 \right) (y \cos \varphi - x \sin \varphi). \quad (9)$$

როდესაც M = 0, მაშინ ადგილი აქვს დამყარებულ მუშაობას, ხოლო როდესაც φ̇ = 0 ანუ φ̇ = const ადგილი აქვს დამყარებულ ბრუნვას.

როდესაც M = 0, მაშინ φ̈-ის მნიშვნელობამ

შეიძლება მიაღწიოს მაქსიმალურ მნიშვნელობას. ამ შემთხვევაში საინტერესოა კუთხური სიჩქარის მნიშვნელობა, რომელიც კრიტიკული კუთხური სიჩქარის რიგისაა.

დამყარებულ რეჟიმში მუშაობისას კუთხური

სიჩქარე მუდმივი სიდიდისაა, მაშინ შეიძლება დავწეროთ

$$\varphi = \omega t + \beta,$$

ამ შემთხვევაში (6) და (7) განტოლებები ასეთი სახით გადაიწერება

$$\ddot{x} + \omega_3^2 x - e\omega_3^2 \cos(\omega t + \beta); \quad (10)$$

$$\ddot{y} + \omega_3^2 y - e\omega_3^2 \sin(\omega t + \beta). \quad (11)$$

(10) და (11) განტოლებათა სისტემის ამოხსნით მივიღებთ დისკის სიმძიმის ცენტრის გადაადგილების გეგმილებს კოორდინატა xoy სისტემაში. აღვნიშნოთ შესაბამისი რხევები $\tilde{x}(\omega_3)$ და $\tilde{y}(\omega_3)$. (10), (11) სისტემის ამონახსნი შემდეგნაირად ჩაიწერება, როდესაც $\omega \neq \pm\omega_3$

$$\left. \begin{aligned} X &= \tilde{X}(\omega_3) + e \frac{\omega_3^2}{\omega_3^2 - \omega^2} \cos(\omega t + \beta) \\ Y &= \tilde{Y}(\omega_3) + e \frac{\omega_3^2}{\omega_3^2 - \omega^2} \sin(\omega t + \beta). \end{aligned} \right\} \quad (12)$$

ხოლო როდესაც $\omega = \pm\omega_3$, მაშინ

$$X = \tilde{X}(\omega_3) + \frac{1}{2} e \omega_3 t \sin(\omega_3 t + \beta), \quad (14)$$

$$Y = \tilde{Y}(\omega_3) \mp \frac{1}{2} e \omega_3 t \cos(\omega_3 t + \beta). \quad (15)$$

რადგან $|\omega| \neq \omega_3$, დისკის მოძრაობა ნორმალურია.

დისკის საკუთარი მილევადი რხევების გარდა შეიმჩნევა დისკის სიმძიმის ცენტრის გადახრა

$$|q| = \sqrt{x^2 + y^2} = e \frac{\omega_3^2}{\omega_3^2 - \omega^2}, \quad (16)$$

ლიტერატურა

1. Кельзон Ф.С., Журавлев Ю.Н., Январев Н.В. Расчет и конструирование роторных машин. Л., 1977.
2. Николаи Е.Л. Теория гироскопов. М.Л., 1968.
3. Bishop R.E., Parkinson F.G. Vibration and Balancing of Flexible Shafts, 1968.
4. Биценок Б., Громмель Р. Техническая механика. М., 1995.

რომელიც კლებადია. როდესაც $|\omega|$ უახლოვდება ω_3 -ს, გადახრა q თანდათან იზრდება და დამატებითი რხევებიც \tilde{X} , \tilde{Y} შესამჩნევი ხდება. როდესაც $|\omega| = \omega_3$, მაშინ დისკი გადაიხრება

$$\dot{q} = \frac{1}{2} e \omega_3, \quad (17)$$

სიჩქარით. ამ შემთხვევაში

$$\dot{M} = \frac{1}{2} e^2 m \omega_3^2. \quad (18)$$

$$q = \pm e \frac{\omega_3^2}{\omega_3^2 - \omega^2}, \quad (19)$$

როდესაც $\omega \leq \omega_3$.

(19)-დან ვღებულობთ

$$\left(1 - \frac{e}{q_0}\right) \omega_3^2 \leq \omega_3 \leq \left(1 + \frac{e}{q_0}\right) \omega_3^2, \quad (20)$$

სადაც q_0 არის დისკის სიმძიმის ცენტრის მაქსიმალური დასაშვები მნიშვნელობა.

(20) გამოსახულება გვიჩვენებს საშიში არის სიდიდეს.

დასკვნა

განსაღვრულია დისკის ლილვის კუთხური სიჩქარის საშიში არის მნიშვნელობა, რომელიც იწყება ω_3 მნიშვნელობაზე დაბლა დამთავრდება ω_3 -ზე გარკვეული სიდიდით მეტ მნიშვნელობაზე. ამ არის შუალედი მცირდება e ექსცენტრისიტეტის შემცირებასთან ერთად.

**Determination of the critical angular velocity of the mechanism
shaft cutting circular saw**

*Vakhtang Abaishvili,
academic doctor of GTU*

Summary

The designer of a modern machine is faced with difficult tasks - to increase the productivity of the machine, reduce its weight and increase its service life. The simultaneous fulfillment of these conditions leads to the creation of machines whose rotors rotate above the first, and often above the second critical speed.

The vibration activity of such rotary machines, if special measures are not taken, leads to premature failure of the bearing units. At the same time, the way of designing machines with a rotor, the rotation frequency of which is lower than the first critical speed, is also irrational, since this leads to a significant increase in the mass of the rotating parts and limits the rotor speed.

The shafts of circular saws are subject to various types of vibrations. At certain speeds (critical speeds) of the saw blade, they lead to typical resonance phenomena, which are very dangerous. When actually calculating critical numbers, the so-called equivalence principle is important.

The design diagram is shown with the middle plane of the saw blade. It schematically shows a point that is located on the axis of the rotation shaft and the point at which the disk attachment point passes due to the bending of the shaft. As the angular velocity increases, additional oscillations appear. The disk begins to rotate restlessly. The center of gravity of the disk approaches its ideal position the closer the value of the angular velocity lies above its critical value. But it is not only the critical angular velocity that is dangerous, but the entire area around the value of the critical angular velocity. The work determined the area of dangerous values of the number of revolutions, which begins slightly below the critical value of the angular velocity and ends slightly above the critical value. Its width depends on the magnitude of the eccentricity.

UFe₂ - UCo₂ სისტემის მყარი ხსნარების მაგნიტური თვისებები

ზურაბ ჩაჩხიანი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლალიტა დარჩიაშვილი, ასისტენტ-პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია UFe₂-UCo₂ სისტემის მყარი ხსნარების მაგნიტური ამთვისებლობა და დამაგნიტება ტემპერატურისა და მაგნიტური ველის დამაბულობის ფართო დიაპაზონებში.

რენტგენულმა სტრუქტურულმა ანალიზმა დაადასტურა შენადნობების C 15 ტიპის კრისტალური სტრუქტურა.

ყველა შესწავლილი ნიმუშისათვის, ფერომაგნიტურ არეში სისტემაში გადაღებულია დამაგნიტების იზოთერმები $\sigma(H)$. დაფიქსირდა სპონტანური დამაგნიტების დამოკიდებულება ტემპერატურაზე და განისაზღვრა კიურის θ_f ტემპერატურა.

ნაჩვენებია, რომ კიურის ფერომაგნიტური ტემპერატურის და სპონტანური დამაგნიტების მნიშვნელობები იკლებს, როდესაც UFe₂-ში რკინის ატომები კობალტის ატომებით იცვლება. უნდა აღინიშნოს, რომ ThCo₂ - ThNi₅ სისტემის შენადნობებისგან განსხვავებით, სადაც ფერომაგნიტურ მდგომარეობაზე გადასვლის ყველა ტემპერატურა უფრო მაღალი იყო, ვიდრე აზოტის ტემპერატურა, UFe₂ - UCo₂ სისტემის ზოგიერთ მყარ ხსნარში θ_f ტემპერატურები არსებობს ჰელიუმიდან - აზოტის ტემპერატურის ინტერვალში (ნიმუშები შემადგენლობით 75% UFe₂, 70% UFe₂ და 65 % UFe₂).

დადგენილ იქნა კიურის ფერომაგნიტური ტემპერატურისა და დამაგნიტების დამოკიდებულება მყარი ხსნარების შედგენილობაზე.

ნაჩვენებია მაგნიტური ამთვისებლობის არსებული ტემპერატურისაგან დამოუკიდებელი არე მყარი ხსნარების UFe₂ - UCo₂ სისტემაში, შეზღუდულია 30% UFe₂- 70% UCo₂ ნაერთებით.

რკინის ატომების UFe₂-ში ჩანაცვლებით შეიმჩნევა კიურის ფერომაგნიტიზმის ტემპერატურის შემცირება. ფერომაგნიტური განლაგება ქრება 60%-65% UFe₂-ს კონცენტრაციის დროს. შემდეგ არის მყარი ხსნარების არეზე დამოკიდებული ტემპერატურული ამთვისებლობა, თუმცა არა ფერომაგნიტურით. 70% UCo₂-ის კონცენტრაციით იწყება ტემპერატურაზე დამოუკიდებელი ნაერთების არე.

გამოკვლეული მყარი ხსნარების მაგნიტური თვისებები ძირითადად განპირობებულია აქტივობების ჯგუფის ატომების ელექტრონულ გარსში 5f და 6d შეუვსებელი ფენების არსებობით [3].

საკვანძო სიტყვები: კიურის ტემპერატურა, მაგნიტური ამთვისებლობა, პარამაგნიტი, კიური-ვეისის კანონი, მაგნიტური დამაბულობა.

შესავალი

აქტივობების ფიზიკური თვისებების შესწავლა წარმოადგენს თავისთავად დამოუკიდებელ ინტერესს მაგნიტური მოვლენების ფიზიკისათვის. ეს გამოწვეულია აქტივობების ნაერთების მრავალფეროვანი მაგნიტური თვისებებით სხვა ელემენტებთან ერთად [1; 2]. ამასთან, აქტივობების თვისებების ექსპერიმენტალურ შესწავლას აფერხებს ამ რიგის მრავალი ელემენტის მაღალი რადიაქტიურობა, რაც იწვევს შესწავლილი ნივთიერებების სწრაფ განადგურებას და რიგ შემთხვევაში დიდ სირთულეებს ქმნის ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში.

საინტერესოა აქტივობების 3d ლითონებთან ნაერთების მყარი ხსნარების კიდევ რამდენიმე სისტემის შესწავლა, რომელშიც დაფიქსირდება გადასვლა ფერომაგნიტიზმიდან პარამაგნიტიზმზე. ადრე აღვნიშნეთ, რომ იზომორფული UFe₂, UCo₂, UMn₂ ნაერთები გვადლევენ მყარი ხსნარების უწყვეტ რიგს. UFe₂ ნაერთი, რომელსაც აქვს კუბური ორიენტირებული მესერი ($a=7,04$), არის ფერომაგნიტური, ხოლო იზომორფული UCo₂ ნაერთი $a=6,98\text{\AA}$ პარამეტრით არის ტემპერატურისგან დამოუკიდებელი პარამაგნიტი.

აგრეთვე არსებობს ურანის ფუძის მყარი ხსნარების სისტემის ანალოგიური ThCo₂-ThNi₅ სისტემა.

UFe₂ - UCo₂ სისტემის მყარი ხსნარების მაგნიტური თვისებების შესასწავლად მომზადებული იქნა შემდეგი შემადგენლობის ნივთიერებები:

UFe ₂ ,	97,5% UFe ₂ – 2,5% UCo ₂ ,	95% UFe ₂ – 5% UCo ₂
	92,5% UFe ₂ – 7,5% UCo ₂ ,	90% UFe ₂ – 10% UCo ₂
	87,5% UFe ₂ – 12,5% UCo ₂ ,	85% UFe ₂ – 15% UCo ₂
	80% UFe ₂ – 20% UCo ₂ ,	75% UFe ₂ – 25% UCo ₂
	70% UFe ₂ – 30% UCo ₂ ,	65% UFe ₂ – 35% UCo ₂
	60% UFe ₂ – 30% UCo ₂ ,	55% UFe ₂ – 35% UCo ₂
	50% UFe ₂ – 30% UCo ₂ ,	45% UFe ₂ – 35% UCo ₂
	40% UFe ₂ – 30% UCo ₂ ,	30% UFe ₂ – 35% UCo ₂
	20% UFe ₂ – 30% UCo ₂ ,	10% UFe ₂ – 35% UCo ₂
	UCo ₂	

საცდელი ნიმუშები მიღებულია ელექტრულ რკალში დნობის მეთოდით [3, 4]

რენტგენულმა სტრუქტურულმა ანალიზმა დაადასტურა შენადნობების C 15 ტიპის კრისტალური სტრუქტურა.

ყველა შესწავლილი ნიმუშისათვის, ისევე, როგორც ეს გაკეთდა ThCo₂-ThNi₅ შენადნობებისათვის, ფერომაგნიტურ არეში სისტემაში გადაღებულია დამაგნიტების იზოთერმები σ(H). დაფიქსირდა სპონტანური დამაგნიტების დამოკიდებულება ტემპერატურაზე და განისაზღვრა კიურის მ_F ტემპერატურა.

ნაჩვენებია, რომ კიურის ფერომაგნიტური ტემპერატურის და სპონტანური დამაგნიტების მნიშვნელობები იკლებს, როდესაც UFe₂-ში რკინის ატომები კობალტის ატომებით იცვლება. უნდა აღინიშნოს, რომ ThCo₂ - ThNi₅ სისტემის შენადნობებისგან განსხვავებით, სადაც ფერომაგნიტურ მდგომარეობაზე გადასვლის ყველა ტემპერატურა უფრო მაღალი იყო, ვიდრე თხევადი აზოტის ტემპერატურა, UFe₂ - UCo₂ სისტემის ზოგიერთ მყარ ხსნარში მ_F ტემპერატურები არსებობს ჰელიუმიდან – აზოტის ტემპერატურის ინტერვალში (ნიმუშები შემადგენლობით 75% UFe₂, 70% UFe₂ და 65 % UFe₂).


მუშაობისას ჰელიუმის ტემპერატურის ზონაში დამაგნიტების აბსოლუტური მნიშვნელობის დადგენის ცდომილება აღმოჩნდება დიდი, თუმცა მოცემული ნიმუშისათვის დამაგნიტების ცვლილების ცდომილება ამ კონკრეტულ ექსპერიმენტში მცირეა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ნიმუშები მცირე ზომისაა და მათი ზომები მაგნიტური

ველის სხვადასხვა წერტილში ხვდება, ხოლო დაყენების მასშტაბები გაკეთებულია ფაქტიურად საშუალო პოზიციისთვის. ამასთან დაკავშირებით აგებული იქნა დამაგნიტების ყველა მრუდის დამოკიდებულება ტემპერატურაზე ფარდობით ერთეულებში.


ერთეულებად მიჩნეული იყო სპონტანური დამაგნიტების მნიშვნელობა 4,2K-ზე. 1-ლ და მე-2 ნახაზებზე მოცემულია დამაგნიტების იზოთერმები და სპონტანური დამაგნიტების დამოკიდებულება ტემპერატურაზე შენადნობისთვის 70% UFe₂ – 30% UCo₂, კიურის ტემპერატურა 80% UFe₂ – 20% UCo₂ ნაერთის განისაზღვრება, როგორც 85°K - 90°K.

ვინაიდან დამაგნიტების მრუდის შემცირება ხდება უშუალოდ, თხევადი აზოტის დუდილის წერტილის ზონაში, ამ ნაერთის მრუდის დამაგნიტება არ აგებულა.


მე-3 ნახაზზე ნაჩვენებია კიურის მ_F ფერომაგნიტური ტემპერატურის დამოკიდებულება შესწავლილი მყარი ხსნარების შემადგენლობაზე. როგორც ამ ნახაზიდან ჩანს, კიურის ფერომაგნიტური ტემპერატურის მნიშვნელობა მონოტონურად იკლებს, რადგან რკინის ატომები იცვლება კობალტის ატომებით და მიისწრაფვის ის ნულამდე 65%-60% UFe₂ კონცენტრაციით.



ნახ. 1. 70% UFe_2 - 30% UCo_2 ნიმუშის დამაგნიტების დამოკიდებულება ველზე (ერთეულად მიღებულია σ_0 მნიშვნელობა 4,2K-ზე)



ნახ. 2. 70% UFe_2 - 30% UCo_2 ნიმუშისთვის სპონტანური დამაგნიტების ტემპერატურული დამოკიდებულება (ერთეულად მიღებულია σ_0 მნიშვნელობა 4,2K-ზე)



ნახ. 3. კიურის ფერომაგნიტური θ_F ტემპერატურის დამოკიდებულება პროცენტულ შემადგენლობაზე მყარი ხსნარის $UFe_2 - UCo_2$ სისტემაში


პარამაგნიტურ ზონაში შესწავლილი ნაერთების ამთვისებლობა დამოკიდებულია 30% UFe_2 კონცენტრაციის ტემპერატურაზე (ნახ. 4).

მე-4 ნახაზზე ჩანს, რომ არე, არსებული ტემპერატურაზე დამოკიდებული ნიმუშების მყარი ხსნარების $UFe_2 - UCo_2$ სისტემაში, შეზღუდულია 30% UFe_2 -70% UCo_2 ნაერთებით, რაც გაცილებით ნაკლებია $ThCo_2 - ThNi_5$ სისტემის ანალოგიურ ზონაში.


მე-5 ნახაზზე გამოსახულია კუთრი ამთვისებლობის შებრუნებული სიდიდის ტემპერატურაზე დამოკიდებულების მრუდი. ეს დამოკიდებულება არ ემორჩილება კიური-ვეისის კანონს. შებრუნებული კუთრი ამთვისებლობის მნიშვნელობის ცვლილება $1/\chi$ T-დან ჰგავს $T^{1/2}$ - ტიპის დამოკიდებულებას. $ThCo_2 - ThNi_5$ სისტემისთვის მსგავსი მრუდების ქცევა, ასევე განსხვავდებოდა კიური-ვეისის კანონისგან.

55% UFe_2 -45% UCo_2 ნაერთი შესწავლილი იქნა პარამაგნიტურ არეში ჰელიუმის ტემპერატურამდე. ამ ნაერთის ამთვისებლობის ტემპერატურული დამოკიდებულება და ამავე დროს ფერომაგნიტიზმის არ არსებობა მიუთითებს, როგორც $ThCo_2 - ThNi_5$ სისტემის შემთხვევაში, ფერომაგნიტური ნაერთებში გარდამავალი ზონის არსებობაზე ტემპერატურაზე დამოკიდებული პარამაგნიტიკის ანალოგიურად.

ამრიგად, $UFe_2 - UCo_2$ სისტემის მაგნიტური თვისებები მსგავსია $ThCo_2 - ThNi_5$ სისტემის თვისებებს.



ნახ. 4. $UFe_2 - UCo_2$ სისტემის მყარი ხსნარების კუთრი ამთვისებლობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე



ნახ. 5. კუთრი ამთვისებლობის შებრუნებული სიდიდის დამოკიდებულება ტემპერატურაზე $UFe_2 - UCo_2$ მყარი ხსნარის სისტემისთვის

რკინის ატომების UF_{e_2} -ში ჩანაცვლებით შეიმჩნევა კიურის ფერომაგნიტიზმის ტემპერატურის შემცირება. ფერომაგნიტური განლაგება ქრება 60%-65% UF_{e_2} -ს კონცენტრაციის დროს. შემდეგ არის მყარი ხსნარების არეზე დამოკიდებული ტემპერატურული ამთვისებლობა, თუმცა არა ფერომაგნიტურით. 70% UCo_2 -ს კონცენტრაციით იწყება ამთვისებლობის ტემპერატურაზე დამოუკიდებელი ნაერთების არე.

რატურის და სპონტანური დამაგნიტების მნიშვნელობები იკლებს, როდესაც UF_{e_2} -ში რკინის ატომები კობალტის ატომებით იცვლება.

ნაჩვენებია, რომ კიურის θ_f ფერომაგნიტური ტემპერატურა დამოკიდებულია შესწავლილი მყარი ხსნარების შედგენილობაზე. კიურის ფერომაგნიტური ტემპერატურის მნიშვნელობა მონოტონურად იკლებს, რადგან რკინის ატომები იცვლება კობალტის ატომებით და მიისწრაფის ნულამდე 65%-60% UF_{e_2} კონცენტრაციით.

დასკვნა

ამრიგად, კიურის ფერომაგნიტური ტემპე-

გამოყენებული ლიტერატურა

1. TRZEBIATOWSKI W. Magnetismus Struktur und Eigenschaften magnetischer Festkörper, VEB Deutschen Verlag, Leipzig 1967, p.88.
2. GRUNZWEIG I., KUZNIETZ M. J.Appl.Phys., 39, 905 (1968).
3. ВОИНСОВСКИЙ С. В. Магнетизм, Москва 1971 г.
4. PETROV G., STRESS S. and KIESLER G. Metalkunde, 54, 473 (1963).

Magnetic Properties of UF_{e_2} - UCo_2 System Solid Solutions

*Zurab Chachkhiani, professor
Georgian Technical University*

*Lalita Darchiashvili, assistant professor
Georgian Technical University*

Summery

The paper presents the analyses of magnetic receptiveness and magnetizing in the wide range of temperature and magnetic field tension. X-ray structural analysis has proved the crystal structure of C 15 alloy. (H) Magnetizing isotherms in ferromagnetic area have been depicted for each sample.

Dependence of spontaneous magnetizing on temperature has been fixed, as well as Q_c curie temperature has been determined.

It has been revealed that ferromagnetic temperature and spontaneous magnetizing values lower, in UF_{e_2} ferrum atoms are changed with cobalt atoms. It must be mentioned, that in deference with $ThC_{02} - ThN_{15}$ alloys, where the temperature of transition to ferromagnetic state was higher than nitrogen temperature, in some UF_{e_2} - UCo_2 system solid solutions Q_c temperature existed due to helium – in the interval of nitrogen temperature (samples containing 75% UF_{e_2} , 70% UF_{e_2} and 60% UF_{e_2}).

The dependence of curie ferromagnetic temperature on the consisting of solid solutions has been proved.

Due to the replacement into ferrum UF_{e_2} atoms, the lowering of curie ferromagnetic temperature is observed. Ferromagnetic order disappears in case of 60%-65% UF_{e_2} concentration. Then comes dependence of temperature receptiveness on the area of solid solution, though non ferromagnetic.

The area of alloys not depended on temperature starts after 70% concentration of UCo_2 .

The investigated magnetic properties of solid solutions mainly is conditioned due to the existence of unfilled layers of 5f and 6d in membrane.

Key words: curie temperature, magnetic receptiveness, paramagnet. Cutie-veis law, magnetic tensity.

ხელოვნური ინტელექტი და საქართველო

*ბენაშვილი ირაკლი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ხელოვნური ინტელექტი არის პრაქტიკული ინსტრუმენტი საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც გამოიყენება გადაწყვეტილების მხარდაჭერისთვის, შედგენის, თარგმანის, მოლაპარაკებების მხარდაჭერისა და ტენდენციების და მომავალი მოვლენების ანალიზისთვის. ხელოვნური ინტელექტის დიპლომატია მოიცავს ინფორმაციას ხელოვნური ინტელექტის გავლენის შესახებ გეოპოლიტიკაზე, ხელოვნური ინტელექტის, როგორც დიპლომატიური დღის წესრიგის საკითხზე და ხელოვნური ინტელექტის, როგორც დიპლომატიის ინსტრუმენტზე. გეოპოლიტიკის თვალსაზრისით, განვითარებული ხელოვნური ინტელექტის მქონე ქვეყნებს შეუძლიათ გამოიყენონ მეტი სამხედრო, ეკონომიკური და სოციალური ძალა. ხელოვნური ინტელექტი არის დიპლომატიური დღის წესრიგის თემა, სადაც მოლაპარაკებები მიმდინარეობს სხვადასხვა შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებზე. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო მცირე ზომის განვითარების ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, ხელოვნური ინტელექტის განვითარებაც საკმაოდ ნელა მიმდინარეობს. Georgia Mind წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის ბიზნეს ასოციაციას, რომლის მთავარი მისიაც AI-ს დანერგვის პოპულარიზება და ხელშეწობაა კერძო სექტორებში, ასევე ბიზნესში. ასოციაციის მთავარი მიზნებია: ცნობადობა გაზარდოს კერძო სექტორში ხელოვნური ინტელექტის შესახებ, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევის ჩატარება, მოძიება ნიჭიერი ადამიანების, მათი გადამზადება და რეკრუტირება. ასოციაციის მიზანია უზრუნველყოს სახელმწიფოსთვის საკანონმდებლო ბაზა და დაეხმაროს მის ფორმულირებას, ასევე შექმნას და გააზიაროს სხვადასხვა ინდუსტრიაში ბიზნესსპერატივების ტრანსფორმირების ქეისები ტრადიციული მეთოდებიდან, AI-ს გამოყენებამდე.

ხელოვნური ინტელექტი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი სფეროა ტექნოლოგიებში და ამჟამად ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს მრავალი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების საკითხში. ხელოვნურ ინტელექტს თავდაცვის სფეროში ძირითადად შემდეგი მიმართულებებით გამოიყენებენ: დაზვერვა, ლოჯისტიკა, კიბეროპერაციები, საინფრომაციო ოპერაციები,

მართვა და კონტროლი, დრონები. საქართველო არსებულ მიდგომებს და ტენდენციებს საკმაოდ ჩამორჩება, ჯერჯერობით ისევ არ გვაქვს ხელოვნური ინტელექტის მარეგულირებელი ორგანო, ეროვნული განვითარების კონცეფცია, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ამ კუთხით მხოლოდ ერთეულ მაგალითებს ვხვდებით.

მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, თუ უახლოეს მომავალში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება და განვითარება აისახება ქვეყნის უსაფრთხოების კუთხით.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი; საერთაშორისო ურთიერთობები; პოლიტიკა.

შესავალი

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, მნიშვნელოვანი პროგრესი იყო ხელოვნური ინტელექტის (AI) სფეროში, რომელიც სულ უფრო და უფრო ხდება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი (ინტელექტუალური ციფრული პერსონალური ასისტენტებიდან და ჭკვიანი სახლის მოწყობილობებიდან ავტონომიურ მანქანებამდე, ჭკვიანი შენობებისა და სამედიცინო რობოტების ჩათვლით).

მოსალოდნელია, რომ ეს მიღწევები გავლენას მოახდენს პოლიტიკის რამდენიმე სფეროზე (ეკონომიკური, სოციალური, განათლება და ა.შ.), დიპლომატიაში, ინფრასტრუქტურასა და ზოგადად საზოგადოებაზე და მთავრობები, ტექნიკური საზოგადოება და კერძო სექტორის აქტორები მთელ მსოფლიოში სულ უფრო ხშირად განიხილავენ მათ.

ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელოვნურ ინტელექტზე დამყარებული სერვისების შექმნისათვის აუცილებელი ტექნიკურ-პროგრამულ საშუალებათა ხელმისაწვდომობა. ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია ფაქტობრივად ყველა ტრადიციული მართვის მიდგომების სასიკეთოდ გარდაქმნას. საერთაშორისო ურთიერთობები ყოველთვის იყო რთული, დამაბული გარემო, რომელიც მოითხოვს სწრაფ და ზუსტ გადაწყვეტილებებს. ამ სფეროში ხელოვნურმა ინტელექტს შეუძლია შეასრულოს სხვადასხვა როლი, როგორცაა მონაცემთა ანალიზი, სხვადასხვა სცენარის პროგნოზირება და ამ მხრივ გადაწყვეტილების მიმღებთა დახმარება.

საგარეო პოლიტიკაში ხელოვნური ინტელექტი შეიძლება გამოიყენებოდეს დიპლომატიურ საკითხებში ასისტენტად. გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკის ინსტიტუტებში, შეუძლიათ უშუალოდ გადავიდნენ განსჯის და გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე დიპლომატიურ ურთიერთობებში და მოლაპარაკებებში, შრომატევად გამოთვლით ამოცანებს ამ შემთხვევაში ხელოვნური ინტელექტის სახით წარმოდგენილი ასისტენტი შეასრულებს. დროის ოპტიმალური გამოყენების ეს თვისება სამყაროში, რომელიც ყოველ წამს უფრო სწრაფი ტემპით იცვლება და მყისიერ რეაქციას და გადაწყვეტილებებს მოითხოვს, გახდა მნიშვნელოვანი და გამოიწვია საერთაშორისო ურთიერთობებში ფუნდამენტური ცვლილებების შესაძლებლობა.

ამასთან, ამ ფენომენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკი საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არის დისბალანსის ახალი ფორმა, რომელსაც ეწოდება "გლობალური ციფრული უფსკრული", ამ მხრივ ზოგიერთი ქვეყანა სარგებლობს ხელოვნური ინტელექტის უპირატესობებით, ზოგი კი ჩამორჩება. მაგალითად, 2030 წლის შეფასებით ვარაუდობენ, რომ ჩრდილოეთ ამერიკა და ჩინეთი სავარაუდოდ განიცდიან ყველაზე დიდ ეკონომიკურ სარგებელს ხელოვნური ინტელექტისგან, ხოლო განვითარებადი ქვეყნები - ხელოვნური ინტელექტის მიღების დაბალი მაჩვენებლით - ზომიერ ეკონომიკურ ზრდას დააფიქსირებენ. ხელოვნურმა ინტელექტმა შესაძლოა შეცვალოს ძალთა ბალანსი ქვეყნებს შორის. არსებობს შემოფოთება ახალი შეიარაღების შეჯიბრის შესახებ, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის, ხელოვნური ინტელექტის დომინირებისთვის.

ექსპერტთა, ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საერთაშორისო ურთიერთობებზე; როგორცაა ახალი საკითხების საერთაშორისო დღის წესრიგში დაყენება, გეოსტრატეგიული ურთიერთობების გამოწვევა, დიპლომატიისა და მომლაპარაკებლებისთვის ინსტრუმენტის გამოყენება და ადამიანის უფლებების საკითხებზე ახალი შესაძლებლობების შექმნა. ხელოვნური ინტელექტი რჩება და მისი პროგრესი არ შეჩერდება. ამიტომ, მისი მართვა უნდა მოხდეს ისე, რომ მისი შესაძლო უარყოფითი ეფექტები შემცირდეს ან გაკონტროლდეს. [1]

თუ გავითვალისწინებთ არსებულ მიდგომებსა და ტენდენციებს, სამხედრო სფეროში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა ქვეყნებს. საქარ-

თველოში ამ დრომდე ვერ ვხვდებით ხელოვნური ინტელექტის მარეგულირებელ ორგანოს, ეროვნული განვითარების კონცეფციას, სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას. მხოლოდ ერთეული მაგალითები ვხვდებით როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორშიც, თუმცა მათი ფუნქციონირება და განვითარება ვიწრო-ორგანიზაციულ ჭრილში ხდება მხოლოდ, რადგან საქართველოს არ აქვს ერთიანი ეროვნული ხედვა, რომელთან თავსებადობა მოთხოვნადი აღმოჩნდებოდა რომელიმე ამ კერძო შემთხვევისათვის[2].

ხელოვნური ინტელექტი არ გამოიყენება როგორც წარმოებისა და რობოტიკის, ისე კვლევით და პროგრამულ ნაწილში. განსაზღვრული არაა შესაბამისი სტრატეგიები და არ არის გამოყოფილი არც დაფინანსება. ყოველწლიური ბიუჯეტი კვლევებისა და განვითარების ხარჯების მიმართულებით მხოლოდ 64 ათასი ლარია, რაც ძალიან მცირეა და აფეხერხებს, ართულებს მნიშვნელოვან მიზნობრივ ოპერაციულ და ტექტიკურ დაგეგმვასა და განხორციელებას. მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია ასევე, ის რომ არაა დანერგილი კიბერუსაფრთხოების ისეთი საშუალებები, რომლებიც ხელოვნურ ინტელექტზე იქნება დაფუძნებული. თუ შევხედავთ ზოგად ციფრულ მზაობას, ამ მხრივ გარკვეული პროგრესი არის ქვეყანაში, თუნდაც ინტერნეტმართველობის მხრივ, თუმცა სამხედრო სფეროსთვის ეს საკმარისი არ არის. ეფექტურ კვლევით და განვითარების საშუალებებს სჭირდება კომპიუტერული სიმძლავრეები, ამდენად უნდა მოხდეს თავდაცვით შესყიდვებში პრიორიტეტების მოდიფიცირება და შესაბამისი მიმართულებების განსაზღვრა.

რეკომენდაციის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარგი იქნება თუ ახლო მომავალში მოხდება ხელოვნური ინტელექტის გამოყენების და განვითარების ასახვა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფციაში და ეროვნულ სამხედრო სტრატეგიაშიც. აგრეთვე, მიზანშეწონილი იქნება საფრთხეების შეფასების დოკუმენტაციის შესაბამისი მოდიფიკაცია.

მნიშვნელოვანია, შესწავლილ იქნას შესაბამისი ინსტიტუციური და სახელმწიფო შესაძლებლობები, განისაზღვროს პრიორიტეტული მიმართულებები და დასახულ იქნას მათი განსახორციელებელი გზები. მეტად მნიშვნელოვანია მოხდეს ნატოსა და ამერიკულ დოქტრინალურ მიდგომათა კონცეპტუალიზაცია ეროვნული სამხედრო სტრატეგიის კუთხით.[2]

კარგი იქნებოდა საქართველოში, ამერიკელ პარტნიორებთან ერთად შექმნილიყო ტექნოლოგიური

„ლუგარის“ მსგავსი სამხედრო ჰაბი, რომელიც საწყის ეტაპზე გააკონტროლებდა სასაზღვრო პერიმეტრებს ხელოვნური ინტელექტის დახმარებით, რომელიც ამოიცივებდა სახეებსა და ობიექტებს.

დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, საქართველოში ნატოსთან თანამშრომლობით შექმნილიყო გეოსპატიალური ცენტრი, რომელიც დააკვირდებოდა და გააკონტროლებდა გეოგრაფიულ არეალებს რობოტიკითა და ხელოვნური ინტელექტით. ეს მნიშვნელოვანია, არამარტო საზღვრების გასაკონტროლებლად, არამედ დემარკაციისთვისაც. მსგავსი ცენტრი საქართველოს მისცემდა გარკვეულ რეგიონულ უპირატესობას და გაზრდიდა მის გეოპოლიტიკურ ღირებულებებსაც. [3]

ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეკომენდაციად შეიძლება ჩავთვალოთ დრონების საწინააღმდეგო სარადარო კამერების შექმნა. მათი საშუალებით მოხდებოდა ობიექტების დეტექცია კონფლიქტურ ზონებსა და სხვა პონტენციური საფრთხის შემცველ ზონებში. ეს თავისთავად შეამცირებდა ადამიანთა გარისკვას და მათ დანაკარგს. კარგი იქნებოდა, ასევე 31-ე ქარხნის წარმოების მოდელირება ისე, რომ იაფი დრონების გამოშვება მოხდეს, რომლებზეც მოთხოვნა ძალიან მაღალია გარდა იმისა, რომ თავდაცვითი ფუნქციით შეიძლება მათი გამოყენება, აგრეთვე მნიშვნელოვნად გაზრდიდა სამხედრო საბიუჯეტო შემოსავლებს.

ხელოვნური ინტელექტის და რობოტიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავდაცვის და ომის ტრადიციულ მეთოდთა შეცვლა ხდება. ხელოვნური ინტელექტი ინერგება წარმოების ინდუსტრიებსა და სამხედრო დოქტრინებში. სამხედრო პერსონალი მუდმივად გადის გადამზადებას და ადაპტაციას. ინერგება ტექნიკა, რომელსაც შეუძლია სახის და ხმის ამოცნობა, მონაცემების დამუშავების ალგორითმი დიდ შესაძლებლობებს აძლევს პატარ ქვეყნებსაც. ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი, რაც იცვლება თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში, ის არის, რომ აგრესორს, ტექნოლოგიურ შესაძლებლობებთან შეჯახების შედეგად მოსალოდნელი დიდი ზიანის გამო, ნაკლები სურვილი უჩნდება უშუალოდ სამხედრო თავდასხმებისა. [3]

ავტონომიური საშუალებების გამოყენება სამხედრო პერსონალის გამოყენებას ამცირებს და ადამიანური რესურსის დანაკარგიც შესაბამისად, მცირდება და ამდენად, აღნიშნული საშუალებების ეფექტურობა საკმაოდ მაღალია. სტრატეგიულ საპარტნიორო და სამოკავშირეო თავსებადობას სჭირდება შესაბამისი ადაპტაცია. სამხედრო

სფეროში, წარმოების კუთხით არაერთმა ქვეყანამ დაინახა მნიშვნელოვანი მოგების დაინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობა.

მანქანათმცოდნეობის, კომპიუტერული დამუშავებისა და „დიდი მონაცემების“ სწრაფმა და არსებითმა მიღწევებმა გამოიწვია გლობალური ინტერესი და ინვესტიციების აფეთქება ხელოვნურ ინტელექტში (AI). ხელოვნური ინტელექტის მიმზიდველობა მომდინარეობს გაბატონებული რწმენიდან, რომ ის რადიკალურად გარდაქმნის ცხოვრებას, როგორც ჩვენ ვიცით, რაც გავლენას მოახდენს სექტორების ფართო სპექტრზე, ჯანდაცვის, განათლებისა და ტრანსპორტიდან თავდაცვამდე, იარაღის განვითარებასა და კიბერუსაფრთხოებამდე. როდესაც სახელმწიფოები იბრძვიან ამ განვითარებადი ტექნოლოგიის შესაძენად, მეცნიერებმა დაიწყეს ფიქრი მის შედეგებზე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში (IR). მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი იმედოვნებს, რომ ხელოვნური ინტელექტი შეიძლება გამოყენებულ იქნას ჯანმრთელობის გლობალური შედეგების გასაუმჯობესებლად და ვაჭრობის გასაადვილებლად, სხვები უფრო პესიმისტურად არიან განწყობილნი და აფრთხილებენ კონფლიქტის ესკალაციას და დემოკრატიული ნორმების ეროზიას. ხელოვნური ინტელექტი და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები ხელს უწყობს ამ დებატებს იმის გამოკვლევით, იქნება თუ არა ხელოვნური ინტელექტის „მსოფლიოს ტრანსფორმირებადი განვითარება“ გამოწვევას, ძირს უთხრის ან დაადასტურებს ძირითად დაშვებებსა და იდეებს, რომლებიც ქმნიან IR თეორიის საფუძველს. [1]

დასკვნა

მართალია, საქართველოს დამოუკიდებლად გაუჭირდება ყოველივე ზემოთქმულის განხორციელება, თუმცა აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში და იმის გათვალისწინებით, რომ პარტნიორული მიდგომები ხასგამული არის აშშ-ს თავდაცვის დოქტრინაშიც, იძლევა იმის საშუალებას რომ დაიწყოს ამ მიმართულების განვითარებაზე ეფექტური მუშაობა. ხელოვნური ინტელექტის მსოფლიოში არსებული შესაძლებლობების დანეგვა, შესაძლებელს გახდის არაერთი განსახორციელებელი საკითხისა და პრობლემის დაძლევის თავდაცვის და სასაზღვრო კუთხით. აგრეთვე, შესაძლებელს გახდის ამაღლდეს თავსებადობის ხარისხი და დაინერგოს წვრთნის კუთხით პროგრამული განვითარება როგორც სამხედრო, ისე სადაზვერვო პერსონალისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Mehdi Salami - Artificial intelligence and the future of international relations;
2. Institute for Development of freedom of information- Artificial Intelligence: meaning, international standards, ethical norms, recommendations and conclusion; Tbilisi 2021
3. ბოძაშვილი ლევან, ხელოვნური ინტელექტი და უსაფრთხოება; თბილისი; 2021წ.

Artificial intellect and Georgia*Benashvili Irakli, PhD student**Georgian Technical University***Summary**

Artificial intelligence is a practical tool in international relations, providing for decision support, drafting, translation, negotiation support and analysis of trends and future events. Artificial Intelligence Diplomacy contains information on AI as Diplomatic Intelligence as tools for Diplomatic Intelligence. A vision of geopolitics, the release of advanced artificial intelligence can wield more military, economic and social power. Artificial intelligence is a topiArtificial intelligence (AI) has become a crucial tool in the world of international relations, providing unparalleled support for decision-making, drafting, translation, negotiation, and analysis of trends and future events. The deployment of advanced AI can offer significant military, economic and social power, which is a critical concern on the diplomatic agenda where various agreements and treaties are being negotiated.

Georgia, being a country with a small and developing economy, is taking active steps towards developing AI. Georgia Mind, an AI business association, aims to promote and facilitate the implementation of AI in the private sector and businesses. The association is committed to increasing awareness of AI, providing an international center for finding talented people, training and recruiting them, and establishing a robust legal framework for the state.

AI is one of the fastest-growing areas of technology and a top priority for national security. It will be used across intelligence, logistics, cyber operations, information operations, management, and control. It is concerning that Georgia is lagging behind in terms of AI regulation, with no national development determination, strategy, action plan, or regulatory body in place. Only a few units have been established.

Therefore, it is imperative that the use of AI is reflected in terms of the country's security in the near future. The development of AI is crucial for Georgia's economic and national security, and the government must take bold steps to ensure that the country stays on par with international AI standards.c on the diplomatic agenda where various agreements and treaties are being negotiated.

Therefore, as Georgia is a country with a small developed economy, the development of artificial intelligence is also being prepared. Georgia Mind is an artificial intelligence business association whose home is to promote and facilitate the implementation of AI in the private sector as well as in business. The association's mission is to: increase awareness of artificial intelligence in the private home, and there is also an international center for finding talented people, training and recruiting them. The purpose of the association is to provide the legal framework of the state and its formation, as well as to create and share various industries in business operations.

Artificial intelligence is one of the fastest growing areas of technology and one of the top priorities for national security. Artificial intelligence fields will be used in the following directions: intelligence, logistics, cyber operations, information operations, management and control, timings. Georgia is lagging behind the trends, there is still no artificial intelligence regulatory body, national development determination, strategy and action plan, in this regard we only see examples of units.

It will be a significant step forward if the use of artificial intelligence in the near future is reflected in terms of the country's security.

Keywords: artificial intelligence; international relations; politics..

ეკონომიკა და ბიზნესი

ECONOMICS AND BUSINESS

ხელოვნური ინტელექტის ზეგავლენა ეკონომიკაზე

*ელისაბედ ხახუტაშვილი, ასოც. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ასმათ ფიფია, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

დღეს აქტუალურია ახალი ტექნოლოგიების - ხელოვნური ინტელექტის, ინტელექტუალური მანქანების, კომპიუტერული პროგრამების, ციფრული ეკონომიკის ფორმების პრობლემების დანერგვა, რაც იძლევა ბიზნესის ახალი მოდელების შექმნას, შრომითი ბაზრის რეზრენდინგს, შეცვლის ეკონომიკურ კომპანიებისა და კლიენტებს შორის ურთიერთქმედებას, ასევე მათ დანერგვას სხვადასხვა სფეროში, რასაც ეძღვნება წინამდებარე სტატია.

გენეტიკური საქმიანობის დიაგნოსტიკიდან გადასვლა სამრეწველო ავტომატიზაციაზე გამოიწვევენ ფართო მასშტაბურ ცვლილებებს ეკონომიკურ, სოციალურ და ადმინისტრაციულ სფეროში.

ახალი ინტელექტუალური ეკონომიკა წარმოქმნის ხელოვნური ინტელექტის ნოვატორულ პოტენციალს ბაზრისთვის და საზოგადოებისთვის. ხელოვნურ ინტელექტს კომპიუტერული სისტემების უნარი აქვთ შეისწავლონ და შეასრულონ ინტელექტუალური ამოცანები; გააანალიზონ მონაცემები და მიიღონ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად ადამიანის ჩაურევლად, რაც გამოიწვევს ეკონომიკის გაზრდას.

ასევე დიდი როლი ენიჭება ეკონომიკური პროცესების და ფინანსურ ურთიერთკავშირებს მაკრომოდელირებასი და პროგნოზირებაში, სამრეწველო კომპანიების, ბანკების ეკოსისტემაში, მუშავდება ახალი მეთოდები, იქმნება ალგორითმები.

ხელოვნური ინტელექტი გახდა ჩვენი ცხოვრების ნაწილი, სახელმწიფოს ხერხემალი, მთავარი

იარაღი სოფლის მეურნეობაში, თავდაცვაში, მედიცინაში, ეხმარება ადამიანებს მენეჯმენტში, ხარისხის მართვაში.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი. კომპიუტერული პროგრამები, ბიზნესის რეზრენდინგი, ციფრული ეკონომიკა, ინტელექტუალური ეკონომიკა, კომპიუტერული სისტემები, ალგორითმები.

შესავალი

ხელოვნური ინტელექტი დაკავშირებულია მეცნიერებთან მაკარტის და მარვინ მინსკის სახელებთან, ხოლო რაც შეეხება ხელოვნური ინტელექტის იდეა აღებულია მითოლოგიიდან და გამოყენებული იყო თალოსის მიერ, რომელიც დამარცხებული იყო კოლხეთის მეფის - მედეას მიერ. XXI საუკუნეში ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით 1950 წელს შეიქმნა IBM-ის მიერ პროგრამა, რომელსაც ჭადრაკის თამაში შეეძლო და 1997 წელს დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში - გარი გასპაროვი, ხოლო 2018 წელს თბილისს ეწვია ყველაზე განვითარებული ჰუმანოიდი, ულამაზესი სოფია, რომელიც დღესაც აგრძელებს განვითარებას და საუდის არაბეთის მოქალაქეა [1].

დღეს ხელოვნურ ინტელექტს მრავალი სფერო იყენებს: მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერება, ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია, თავდაცვაში (დრონი). ხელოვნური ინტელექტი მუდმივად ვითარდება. დიდ როლს თამაშობს ინვესტიციების განხორციელებაში პროგრამული უზრუნველყოფით, აპარატურით, მომსახურებით.

ყველაფერმა ამან უზარმაზარი ბაზების ევოლუციურმა და ანალიტიკურმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა დიდი რაოდენობის მონაცემების სწრაფი გაანალიზება ადამიანის გარეშე. ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების სრულყოფამ ტელეკომუნიკაციის საშუალებით შედარებითი გახადა დაფარვის კავშირების სიჩქარისა და მომსახურების ფასები, რის საფუძველზე იცვლება ბიზნესი და ეკონომიკა კონკურენციის გაწევის საფუძველზე [2].

მომავალში ინვესტიციები ხელოვნურ ინტელექტში, განახორციელებენ პროგრამულ უზრუნველყოფას აპარატურის და მომსახურების თანახმად რაც გარდაუვალია.

ძირითადი ნაწილი

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ეკონომიკაში და ბიზნესში იძლევა ეკონომიკურ ეფექტს. მხედველობასი მიიღება შემდეგი ფაქტორები: მსოფლიო შრომითი ბაზრის ავტომატიზაცია: აუცილებელია თანამშრომლობის ჩვევების რადიკალური ცვლილებები და მათი ექსპლოატაცია ცალკეულ ორგანიზაციებში. ხელოვნური ინტელექტის ზეგავლენა მსოფლიო ეკონომიკაში შვიდი ძირითადი მიმართულებით წარიმართება [3].

1. წარმოების გაზრდით;
2. მოცემულ ეტაპზე არსებული პროდუქტების და მომსახურების შეცვლით;
3. ინოვაციებით პროდუქტების და მომსახურების სფეროში, მათი გაფართოებით;
4. ეკონომიკური გაზრდა გლობალური ნაკადების გაზრდით;
5. ფასების დადგენით და რეინვესტირებით;
6. ხელოვნური ინტელექტის დანერგვის ხარჯების გათვალისწინებით;
7. უარყოფითი გარე ფაქტორების მხედველობაში გათვალისწინებით ხელოვნური ინტელექტი ბრძოლას უცხადებს კონკურენტუნარიან კომპანიებს, შრომით ბაზარს.

სახელმწიფო ეკონომიკას. ხელოვნური ინტელექტი აერთიანებს ტექნოლოგიას:

1. მანქანურ დროს;
2. ბუნებრივ ენას;
3. ვირტუალურ დამხმარეებს;
4. რობოტიზირებული პროცესების ავტომატიზაციას;
5. მანქანური სწავლების გაფართოებას.

გავრცელებული მოდელებია:

1. Narrow AI ცნობილია, როგორც სუსტი, კონკრეტული ამოცანების ან ფუნქციების შესასრულებლად.

2. General AI ზოგადი (ძლიერი) ხელოვნური ინტელექტის მოდელი, რომელიც ადამიანის დონის ინტელექტის მფლობელია. მას შეუძლია აღიქვას, ისწავლოს და შეასრულოს ნებისმიერი ინტელექტუალური მოდელი;

3. Machine Learning ორიენტირებულია ალგორითმებზე და მოდელებზე. კომპიუტერებს შესაძლებლობას აძლევს ისწავლოს და გააუმჯობესოს მონაცემები;

4. Deep Learning იყენებს ნერვულ ქსელებს მაღალი ხარისხის ინფორმაციის შესაგროვებლად. წარმატებულია გამოსახულების და მეტყველების ამოცნობაში და ბუნებრივი ენის დამუშავებაში.

5. Reintorcement Learnining განმტკიცების სწავლება. ის სწავლობს, როგორ მიიღოს საუკეთესო გადაწყვეტილება;

6. Natural Language Processing ფოკუსირებულია კომპიუტერისთვის ადამიანის ენის გაგებაზე. უზრუნველყოფს ისეთი დავალებების შესრულებას, როგორც არის მეტყველების აღქმა, ენის თაგრმნა, განწყობის ანალიზი და ტექსტის გენერირება.

7. Computer Vision ორიენტირებულია ვიზუალური ინფორმაციის აღქმაზე და მოიცავს ისეთ ამოცანებს, როგორცაა ფოტოების აღქმა, ობიექტების ამოცნობა, გამოსახულებების სეგმენტაცია და ვიდეო ანალიზი;

8. Expert Systems პროგრამები, რომლებიც შექმნილია ექსპერტული გადაწყვეტილების მისაღებად, კონკრეტული პრობლემების მოსაგვარებლად.

არსებობს ხელოვნური ინტელექტის რამოდენიმე კატეგორია: სუსტი და ძლიერი. **სუსტი ხელოვნური ინტელექტი** განასახიერებს სისტემას, რომელიც შექმნილია ერთი კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად. მოიცავს ვიდეო თამაშებს და პასუხობს პერსონალური ასისტენტების კითხვებს.

ძლიერი – ეს სისტემები ასრულებენ ადამიანის მსგავს ამოცანებს. ისინი დაპროგრამებულნი არიან ისეთი სიტუაციების მოსაგვარებლად, რომლებშიც რეალურად ადამიანის ჩარევას საჭიროებს. ასეთი ტიპის სისტემების ნახვა შესაძლებელია აპლიკაციებში, როგორც არის თვით-მართვადი მანქანები, საავადმყოფოს საოპერაციო ოთახები. არსებობს ხელოვნური ინტელექტის განსაკუთრებული სისტემები, როგორც არის იდეა, მანქანები რომლებიც იმდენად განვითარებულია, რომ ადამიანები ვეღარ უწყობენ ფეხს და დამოუკიდებლად შეძლებენ განვითარებას ექსპოტენციალოური სიჩქარით. ეკონომიკას კიდევ უფრო მეტად ზრდის ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ტელეკომუნიკაციასთან ერთად ბიზნეს

მოდელის რებრენდინგით.

პრაქტიკულად ეს ნიშნავს იმას, რომ ხდება ინფრასტრუქტურის და ტექნოლოგიების სრულყოფა. აუცილებელი გახდა შედარებით დაფარვის კავშირის სიჩქარისა და მომსახურების ფასების შემცირება კონკურენციის გაწვევის საფუძველზე. აქედან გამომდინარე ხელოვნური ინტელექტი ტელეკომუნიკაციასაც აძლევს საშუალებას ხარჯების შემცირებას, ოპერაციების გამარტივებას ციფრული მონაცემების საშუალებით.

წარმოებული მონაცემების დიდი რაოდენობა გადის უკაბელო ქსელში, რითაც ხელოვნური ინტელექტი აუმჯობესებს მომხმარებლის გამოცდილებას, რითაც ზეგავლენას მოახდენს შემოსავლებზე, ბიზნეს კომპანიებზე და ეკონომიკაზე.

მთლიანობაში, ტელეკომუნიკაციებში ხელოვნურმა ინტელექტმა ფოკუსირება უნდა მოახდინოს ბიზნესის ორგანიზაციის ჰიბრიდულ მოდელზე, რაც გამოიწვევს კომპანიის ეკონომიკურ ფინანსურ ზრდას, სახელმწიფოს ფინანსურ გაძლიერებას.

დასკვნა

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი გარემოებები მიუთითებს, რომ ხელოვნური ინტელექტი მუდმივად ვითარდება, პროგრესირებს და მოიცავს საქმიანობის ყველა სფეროს. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მომხმარებელთან ურთი-

ერთობას დიდ თუ მცირე ზომის კომპანიებში. ის დინამიურად განვითარებადი სისტემაა. საბანკო სფერო ერთ-ერთია, რომელიც ხელოვნური ინტელექტს აქტიურად იყენებს მიუხედავად მისი ნაკლოვანებებისა, რაც გამოსწორებადია. განვითარების შემდეგ საფეხურზე.

ხელოვნური ინტელექტის უდიდესი გამარჯვება და წარმატება აღინიშნა მედიცინაში 2024 წლის 4 თებერვალს. გავრცელდა ინფორმაცია მასკის მიერ პროექტის „Neuealink“-ის განხორციელების შესახებ, რომელსაც ეწოდებოდა Telepathy (ტელეფატია) - აზროვნების მართვა, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ტელეფონით ან კომპიუტერით პრაქტიკულად ნებისმიერი მოწყობილობით ურთულესი ოპერაციების ჩატარება, რაც დღეს გულზე ტარდება ტელეკომუნიკაციით (მედიცინაში). პირველმა ადამიანმა მიიღო ინპლანტი, პაციენტს აღუდგა მოძრაობის უნარი, მიმდინარეობს რეაბილიტაცია.

ამრიგად, მსოფლიოში პირველად მოხდა ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით ადამიანს ჩაურევლად ტვინის იმპლანტი, როგორც ავრცელებს ინფორმაციას კომპანია ილონა მასკი „Neuealink“-მომავალში ხელოვნური ინტელექტი იქნება ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, როგორც ინტერნეტი და სხვა ტექნოლოგიები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ჩხაიძე, ოთ. თავდიაშვილი, გ. ნინუა, ს. ბარნოვი - ხელოვნური ინტელექტი (პრაქტიკული მეტოდური მითითებები). სტუ, კოლსანტინგის სამეცნიერო ცენტრი, თბ. 2020.
2. ინფორმაციული თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი ხელოვნური ინტელექტის. თბ. 2021.
3. მ.კუბლაშვილი, ზ.ისაკიანი. ხელოვნური ინტელექტის და ექსპერტული სისტემის საფუძველები. თბ 2006.
4. თ.გოდერძიშვილი ხელოვნური ინტელექტი და კრეატიული აზროვნება, იდეების გენერაციის მომავალი თბ. 2023.
5. მ. ჩხაიძე, ოთ. თავდიაშვილი, გ.ნინუა, ს.ბარნოვი ხელოვნური ინტელექტი თბ 2023.
6. Creativity Research Journal 20, 34-39 (2008).
7. Ромашкин Т.Н. и др. Цифровое предпринимательство. Ч., 2018.
8. Клинтон Е. и др. Искусственный интеллект и экономика. К., 2019.

The Impact of Artificial Intelligence on the Economy

*Elisabed Khahutashvili, Associate Professor
Georgian Technical University*

*Asmat Pipia, Doctor of Business Administration
Georgian Technical University*

Summary

The introduction of artificial intelligence-intelligent machines, computer programs in the economy allows the creation of new business models, the rebranding of the labor market, which in turn will change the interaction between economic companies and customers.

The transition from the diagnostic of genetic activity to industrial automation will lead to large-scale changes in the economic, social and administrative spheres.

The new intelligent economy generates the innovative potential of artificial intelligence for markets and society.

Artificial intelligence has the ability of computer systems to learn and perform intelligent tasks, analyze data and make quick decisions independently, without human intervention, which in its turn increases the economy.

A great role is also given to economic processes and financial relationships in macro modeling and forecasting in the ecosystem of industrial companies and banks. New methods are developed, algorithms are created.

Artificial intelligence has become part of our lives, the backbone of the state, the main weapon in agriculture, medicine and other fields. It helps people in management, quality management and implementation of strategic projects.

Despite some shortcomings and difficulties, artificial intelligence is developing dynamically, achieving success in business or economy, or in other areas, in the future it will become an integral part of humanity.

Keywords: artificial intelligence, computer programs, business rebranding, digital economy, intellectual economy, computer systems

**ახალი გეოპოლიტიკური ლანდშაფტი და რეგიონული კონკურენცია სამხრეთ კავკასიაში
(სავაჭრო კავშირები, ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივები და
„ნდობა“, როგორც ანტიდოტი)**

*თეა ბიძინაშვილი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ბექა მაისურაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ბოლო პერიოდში განვითარებული გეოპოლიტიკური მოვლენების ფონზე, სამხრეთ კავკასიის რეგიონის უზარმაზარმა პოტენციალმა, როგორც ენერგორესურსების სანდო მიმწოდებელმა, მის მიმართ ინტერესის ახალი იმპულსის ზრდა გამოიწვია. როგორც არსებული ინფრასტრუქტურა, ისე ახალი ინიციატივები აჩვენებს, რომ რეგიონს ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობასთან ერთად ენერგეტიკული და სავაჭრო დერეფნების გამოუყენებელი პოტენციალი გააჩნია.

მას შემდეგ, რაც მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შედეგად გლობალური მიწოდების ჯაჭვები მოიშალა, ცხადი გახდა, რომ გლობალური ეკონომიკის მუდმივი სიცოცხლისუნარიანობა, განსაკუთრებით, ნებისმიერი პოტენციური მომავალი კრიზისის პირობებში, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეძლებენ დაინტერესებული მხარეები ახალი სატრანსპორტო და ლოგისტიკური მარშრუტების მოძიებას. ამის გათვალისწინებით, არსებული ვითარება უკვე უბიძგებს მსოფლიო სატრანსპორტო კომპანიებს უფრო სტაბილური და ალტერნატიული მარშრუტების მოძიებისკენ. ამ თვალსაზრისით კი სამხრეთ კავკასია და ცენტრალური აზია ტრანზიტის ერთადერთ მდგრად ვარიანტად გამოიყურება. აქედან გამომდინარე, ექსპერტები აქტიურად განიხილავენ ცენტრალური აზიის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და საქართველოს გავლით ტვირთბრუნვის გაზრდის შესაძლებლობებს. შესაბამისად, არსებული სავაჭრო გზების დივერსიფიკაციის შესაძლებლობა ყველა მხარის განხილვის საგანს წარმოადგენს.

დღესდღეობით იზრდება ორმხრივი, სამხრეთ-დასავლეთ-დასავლეთი შეთანხმებების მნიშვნელობა სამხრეთ კავკასიის მარშრუტის განვითარებისთვის. ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის, ანუ „შუა დერეფნის“ განვითარებისთვის მზარდი საჭიროებები მოითხოვს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას.

აღნიშნული საკითხი არაერთხელ იქნა განიხილული რეგიონის ლიდერების - განსაკუთრებით თურქეთისა და ყაზახეთის პრეზიდენტების მიერ. ეს ქვეყნები, ისევე როგორც აზერბაიჯანი და საქართველო, უკვე შეთანხმდნენ ერთობლივი საწარმოს შექმნაზე, რომელიც გადაჭრის ყველა საკითხს „შუა დერეფნის“ საშუალებით გადასატან ტვირთებთან დაკავშირებით ე.წ. „გამჭოლი ტარიფების“ დაწესების, ტვირთის დეკლარირების, ერთიანი IT გადაწყვეტილებების გამოყენებისა და ტრანზიტული ტვირთების კონსოლიდაციასთან მიმართებაში.

ახალი სტრუქტურის ფარგლებში იგეგმება საერთაშორისო ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის დაკავშირება კასპიის ზღვის პორტებთან და დერეფნის გაფართოება ირანის, სპარსეთის ყურის ქვეყნების, ჩრდილოეთ აფრიკისა და ინდოეთის ჩართვის ხარჯზე. ამასთან, დაგეგმილია 150 ათასამდე დამატებითი კონტეინერისა და დაახლოებით 35 ათასი მანქანის ტრანსპორტირება ცენტრალური აზიის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით. ეს ცვლილებები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს „შუა დერეფნის“ შემდგომ განვითარებაში.

და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ ირანიც და აზერბაიჯანიც ირანის ტერიტორიის გავლით ნახევანამდებ გზის პროექტზე მუშაობენ. ბაქომ და თეირანმა არცთუ ისე დიდი ხნის წინ ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს ახალი საკომუნიკაციო კავშირების შექმნის შესახებ, რომელიც მოიცავს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობას. მხარეები გეგმავენ საზღვარზე გამშვები პუნქტის აშენებას, რომელიც მინიმუმ ათასი ტვირთის (ექსპორტი, იმპორტი და ტრანზიტ) მიღებას შეძლებს დღე-ღამეში 500 შესვლითა და 500 გამოსვლით. ჯერ-ჯერობით დღის წესრიგში რჩება ზანგეზურის დერეფნის გახსნა სომხეთის ტერიტორიაზე. ეს საკითხი საკამათოა, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული ურთიერთობებისა და 2020 წლის 44-დღიანი ომის

შედეგების გათვალისწინებით. თუმცა, როგორც რკინიგზის, ასევე ზანგეზურის დერეფნის გავლით საავტომობილო გზების მუშაობის განახლებასთან დაკავშირებული საკითხები ორივე ქვეყნის ლიდერის მიერ 2022 წლის 6 აპრილს ბრიუსელში იქნა განხილული. აზერბაიჯანმა, თავის მხრივ, უკვე მიიღო ზომები გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით და უახლოეს წლებში აპირებს გაზარდოს ტვირთების გადაზიდვის მოცულობა კასპიის ზღვის გავლით.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და განსაკუთრებით, აზერბაიჯანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი ევრაზიის რეგიონის სატრანზიტო მარშრუტებთან დაკავშირებით არის ის, რომ ამ რეგიონზე სხვა მარშრუტებთან შედარებით არ ვრცელდება საერთაშორისო შეზღუდვები ან აკრძალვები. ნებისმიერ შემთხვევაში, ისეთი წარმატებული მეგაპროექტები, როგორცაა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და სამხრეთ კავკასიის მილსადენი, აჩვენებს, რომ რეგიონი ღიაა ბიზნესისთვის.

სტატიაში განხილულია 2020 წლის ნოემბერში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე გაჩენილი ახალი შესაძლებლობები ორივე ქვეყნის გავლით სატრანსპორტო მარშრუტების შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც მთლიანად ცვლის რეგიონის ეკონომიკურ რუკას.

საკვანძო სიტყვები: სამხრეთ კავკასია, ენერგორესურსები, სატრანზიტო დერეფნები, სატრანსპორტო მარშრუტები, ეკონომიკური თანამშრომლობა, სავაჭრო კავშირები, რკინიგზები და მაგისტრალები.

შესავალი

საქართველო არა მხოლოდ ის ადგილია, სადაც გლობალურ მოთამაშეთა ინტერესები იკვეთება, არამედ ის წერტილიც, სადაც ერთმანეთთან თანხვედრაშია რეგიონალურ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის ხაზები (მათ შორის რუსეთს, თურქეთსა და ირანს შორის). გასაგები მიზეზებიდან გამომდინარე, საქართველო ყოველთვის სამი დიდი სახელმწიფოს სამკუთხედში იყო მოქცეული. მისი ტერიტორია, ეთნიკური შემადგენლობა და შიდა სტრუქტურა ხშირად დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რომელი პოლუსისკენ (რუსული, თურქული თუ სპარსული) იყო მიმართული ქართული სამთავრობო საგარეო ვექტორი.

რეგიონულ სახელმწიფოთა ინტერესები ამა თუ იმ მოცემულ პატარა ქვეყანაში უმთავრესად

ხასიათდება მისი წარმომადგენლობითობით ამ ქვეყანაში ფინანსური, მატერიალური და ადამიანური ნაკადების თვალსაზრისით. მცირე ქვეყნის რეგიონალურ სახელმწიფოზე დამოკიდებულების ხარისხიც სწორედ ასეთი წარმომადგენლობითობის მასშტაბით განისაზღვრება. სხვადასხვა სიდიდის ეკონომიკის ურთიერთქმედებისას პატარა ქვეყნები უფრო დამოკიდებულნი ხდებიან დიდ სახელმწიფოებზე.

რეგიონულ სახელმწიფოებსა და მცირე ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთხემოქმედების მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს ვაჭრობა. მისი სტრუქტურა განსაზღვრავს პატარა ქვეყნის დამოკიდებულების ხარისხს გარე მოთამაშეებზე და სავალუტო შემოსავლების დამატებითი წყაროების საჭიროებას შიდა ბაზარზე.

მართალია, ეთნოკონფლიქტებისა და მეზობლებს შორის გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის მუდმივი ბრძოლიდან გამომდინარე, ისტორიული გამოცდილება არ იძლევა ოპტიმისტურად განწყობის საფუძველს, რამდენადაც სამხრეთ კავკასიის ისტორიაში თანამშრომლობის გამოცდილება პრაქტიკულად არ არსებობს. შესაბამისად, რეგიონალური ინტეგრაციის პროექტები ყოველთვის კრახისთვის იყო განწირული, თუ არ ჩავთვლით საბჭოთა ეპოქას, როდესაც სამივე რესპუბლიკა მჭიდროდ იყო ინტეგრირებული ავტორიტარულ პოლიტიკურ სისტემაში, იზოლირებული დანარჩენი მსოფლიოსგან (Thomas De Waal, 2012). როგორც პოლიტოლოგი ლოურენს ბროერსი აღნიშნავს, „თანამშრომლობის გამოცდილების ნაკლებობამ, უფრო დიდი სახელმწიფოების ჩარევასთან ერთად, სამხრეთ კავკასია გადააქცია რეგიონად, რომელსაც ახასიათებს „რეგიონალური განხეთქილება“ (Ohanyan, 2018), მაგრამ მიუხედავად ამისა, ყარაბაღში, სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2020 წლის შეთანხმებამ არასტაბილურ მშვიდობასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა სამხრეთ კავკასიაში ახალ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ცვლილებებსა და კონკურენციას რეგიონში არსებულ და პერსპექტიულ სატრანზიტო დერეფნებს შორის მათი აღდგენა-მშენებლობის თვალსაზრისით, რასთან დაკავშირებითაც არაერთი სახელმწიფოს ინტერესი იკვეთება, რამაც შესაძლოა მთლიანად შეცვალოს რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური რუკა (Anjaparidze, 2021). ამასთან, შესაძლოა აღმოჩნდეს თავისებური ლაკმუსის ტესტიც თანამშრომლობის შემდგომი შესაძლებლობების პერსპექტივების თვალსაზრისითაც.

ძირითადი ნაწილი

2020 წლის სომხეთ-აზერბაიჯანის ომის შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში სავაჭრო კავშირები და ეკონომიკური თანამშრომლობა თანდათანობით აღდგენას იწყებს. რკინიგზებისა და მაგისტრალების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტებმა შესაძლოა ახალი სიცოცხლე შესძინოს რეგიონს, მაგრამ ვინ მიიღებს სარგებელს და ვინ დაკარგავს?

ყარაბაღის მეორე ომმა შეცვალა სამხრეთ კავკასიის გეოგრაფია, რამაც უზარმაზარი ადამიანური დანაკარგები გამოიწვია, მაგრამ ვერ აღმოფხვრა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული ძირითადი პოლიტიკური უთანხმოება. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ კონფლიქტმა პირველად ერთი თაობის მეხსიერებაში, რეგიონში ახალი სავაჭრო კავშირებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერების პერსპექტივები მოიტანა.

მოსკოვის შუამავლობით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დადებულმა სამხრეთმა ხელშეკრულებამ, რადიკალურად შეცვალა ყარაბაღის კონფლიქტის დინამიკა. გარდა იმისა, რომ დოკუმენტში მითითებულია - აზერბაიჯანი საკუთარ თავს უბრუნებს მეოთხედზე მეტი საუკუნის წინ დაკარგულ მიწებს, პერსპექტიულად გამოყურება ეკონომიკური რუკაც. შეთანხმების მეცხე და ბოლო პუნქტში აღნიშნულია, რომ „რეგიონში ყველა ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირები განიბლოკება. სომხეთის რესპუბლიკა იძლევა აზერბაიჯანის რესპუბლიკის დასავლეთ რეგიონებსა და ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის სატრანსპორტო მიმოსვლის უსაფრთხოების გარანტიას, ორივე მიმართულებით მოქალაქეების, სატრანსპორტო საშუალებებისა და ტვირთის შეუფერხებელი გადაადგილების ორგანიზების მიზნით. სატრანსპორტო მიმოსვლაზე კონტროლს ახორციელებს რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამსახურის ორგანოები“.¹

საუბარია რამდენიმე სატრანსპორტო მიმოსვლის გზაზე, რომლებიც 1990-იანი წლების დასაწყისიდან დაკეტილია, რის გამოც სომხეთი და აზერბაიჯანული ექსკლავი ნახიჩევანი მთელი ამ ხნის განმავლობაში მსოფლიოსგან დიდწილად მოწყვეტილი იყო. თუ ეს მიმოსვლის გზები განიბლოკება, ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მთავარი შედეგი იქნება - „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ მარშრუტის აღდგენა, რომელიც რუსეთს აზერბაიჯანის

გავლით სომხეთთან და ირანთან დააკავშირებს. ასეთი დამატებითი იმპულსი ეკონომიკის განვითარებისთვის არ დააზარალებს არც ერთ მხარეს, რამდენადაც ორივე ქვეყანა - როგორც სომხეთი, ისე აზერბაიჯანი განიცდის სიღარიბეს, უმუშევრობასა და ემიგრაციას.

სარკინიგზო კომუნიკაციების აღდგენა ასევე დადებითად აისახება გარემოზე, რამდენადაც განტვირთავს სამხრეთ კავკასიის სავაჭრომობილო გზებს. სომხეთსა და აზერბაიჯანში რკინიგზის შედარებით მცირე მონაკვეთების აღდგენაც კი ბევრად უფრო სიცოცხლისუნარიანს გახდის „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ 7200 კმ-იან საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანს, რომელიც გულისხმობს სარკინიგზო მაგისტრალს ფინეთიდან ინდოეთამდე რუსეთისა და სპარსეთის ყურის გავლით.

2021 წლის თებერვალში აზერბაიჯანმა გამოაცხადა, რომ იწყებდა რკინიგზის 108 კილომეტრიანი მონაკვეთის რეკონსტრუქციას (Huseynov, 2018) აზერბაიჯანის ფუზულის რაიონის ქალაქ ჰორადიზიდან სომხეთის საზღვრამდე. თუ რკინიგზის ვაკისი სრულად აღდგება, 2020 წელს შეთანხმებაზე ხელმომწერი სამივე ქვეყანა მოგებული რჩება. აზერბაიჯანი დაუკავშირდება მის ექსკლავს ნახიჩევანს და შემდგომ თურქეთს. რუსეთისთვის ამ მონაკვეთის გახსნა ნიშნავს, რომ ოცდაათი წლის შემდეგ, პირველად შეძლებს ტვირთის გადაზიდვას კავკასიის მთებისა და პროდასავლური საქართველოს გვერდის ავლით - პირდაპირ სომხეთსა და ირანში, სპარსეთის ყურემდე.

სომეხი ოფიციალური პირები და მეწარმეები უკვე ხედავენ პროექტთან დაკავშირებულ პერსპექტივებსა და უპირატესობას, განსაკუთრებით ახალ საიმედო ალტერნატიულ კავშირს რუსეთთან, მის პარტნიორთან ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში. 2021 წლის იანვარში სომხეთის ექსპორტიორთა კავშირის თავმჯდომარის რაფი მხჩიანის განცხადებით, „სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კომუნიკაციების აღდგენა ქვეყანას „კავკასიის კარიბჭედ“ აქცევს“ (მხჩიანის განცხადება, 2021)

2021 წლის მარტში, აზერბაიჯანთან დამატებით ახალ რაუნდამდე, ნიკოლ ფაშინიანი დიდი ენთუზიაზმით საუბრობდა ამ გეგმებზე და აცხადებდა: „კომუნიკაციების განბლოკვა ორმხრივად მომგებიანია <...> ეს მომგებიანია აზერბაიჯანისთვის, რადგან ის მიიღებს საკომუნიკაციო კავშირს ნახიჩევანთან. ეს სასარგებლოა სომხეთისთვისაც, რადგან ჩვენ უნდა გვქონდეს საიმედო სარკინიგზო და სახმელეთო კავშირები

¹ რა წერია ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებაში, რომელიც სომხეთს, აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის გაფორმდა. 10.11.2020 rb.gy/w6xew

რუსეთის ფედერაციასა და ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს“ (Pashinyan, 2023). მან ასევე ცალკე გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ კომუნიკაციების აღდგენა გაზრდიდა სპილენძის ექსპორტს სომხეთიდან.

რუსეთი - სომხური პროდუქციისთვის მომგებიან და მნიშვნელოვან ბაზარს წარმოადგენს: კონიაკი, ქსოვილები, ახალი ხილი თუ ბოსტნეული აქტიურად რეალიზდება რუსეთში. ტრანსპორტირების ხარჯები ამჟამად საკმაოდ მაღალია: სატვირთო მანქანებს მოძრაობა უწევთ ან საქართველოს ფოთის პორტით, რასაც დიდი დრო სჭირდება, ან საქართველოს „სამხედრო გზის“ გასწვრივ - ზემო ლარსის მიმართულებით, ჩრდილოეთ ოსეთისკენ - ეს არის მარშრუტი, რომლითაც სომხური ექსპორტის 80% რუსეთში შედის. მთებში გამავალი გზა ხშირად გაუვალი ხდება საცობებისა თუ უამინდობიდან გამომდინარე და ზოგჯერ მოულოდნელად იკეტება რუსი მესაზღვრეების მიერ, რაც ქმნის რისკებს, განსაკუთრებით, მალფუჭებადი ხილისა და ბოსტნეულს დანიშნულების პუნქტამდე დროულად მიწოდების თვალსაზრისით. შესაბამისად, ფინანსურ ზარალთან არის დაკავშირებული მათთვის, ვინც ამ მარშრუტს ირჩევს.

სომხეთი დამატებით ეკონომიკურ სარგებელს იღებს, თუ თურქეთთან არსებული საზღვარი, რომელიც 1993 წლიდან დაკეტილია, გაიხსნება და ქალაქ გიუმრსა და ყარსს შორის სარკინიგზო მიმოსვლა აღდგება. საქონლის გადაზიდვებისთვის ამ გზით სარგებლობის შესაძლებლობა ექნება არა მარტო სომხეთსა და თურქეთს, არამედ აზერბაიჯანს, ირანს, რუსეთსა და ა. შ. მაგრამ, მისი აღდგენა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. 2014 წლის საერთაშორისო ანგარიშის თანახმად, ბაქოსა და ყარსს შორის ხაზის რეკონსტრუქციის ან შეკეთების ღირებულება 433,7 მილიონ დოლარად არის შეფასებული², თუმცა, ეს გაცილებით

ნაკლებია, სამ სხვა სარკინიგზო პროექტის ღირებულებასთან შედარებით, რომელიც 2020 წლის ომამდე განიხილებოდა, რომელმაც შეცვალა რეგიონული გეოპოლიტიკა (Ibadoghlu, & Charaia, 2014).

ერთ-ერთი პროექტი, რომელიც შეიძლება შეჩერდეს, არის ნახჩევანსა და ყარსს შორის 223 კილომეტრიანი განშტოების ხაზის მშენებლობის გეგმა, რომელთან დაკავშირებითაც აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებმა დაახლოებით 200 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტი შეიტანეს 2021 წლის „შუმის ორმხრივი

თანამშრომლობის დეკლარაციაში“. მაგრამ ორივე ქვეყანას სერიოზული საბიუჯეტო პრობლემები აქვს და მათმა მთავრობებმა შესაძლოა უარი თქვან ზემოაღნიშნულ გეგმაზე, თუ სომხეთის გავლით ნაკლებად ძვირადღირებული ალტერნატიული მარშრუტი განხორციელდება. ყოველ შემთხვევაში, ნახჩევანის პროექტი თურქეთის 2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ ყოფილა.

მეორე პროექტი, რკინიგზა - ირანის საზღვრიდან სომხეთამდე, არასოდეს განიხილებოდა სერიოზულად, რამდენადაც სამხრეთ სომხეთის მთიანი რელიეფი მას საკმაოდ ძვირადღირებულსა და რთულს ხდის.

მესამე, დაახლოებით 400 მილიონ დოლარად შეფასებული სარკინიგზო პროექტი, რომლის განხორციელებაც ასევე ნაკლებსავარაუდოა ჯერჯერობით, არის 164 კილომეტრიანი ხაზი, რომელმაც სამხრეთ აზერბაიჯანის ქალაქი ასტარა ირანის ქალაქ რაშთთან უნდა დააკავშიროს. პროექტი დიდი ხანია ფინანსური პრობლემების „მძევალი“ იყო დასავლეთის მიერ ირანის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებიდან გამომდინარე (Article: Trials begin... 2018).

არსებულ ვითარებაში ირანს თავისუფლად შეუძლია საკუთრი სარკინიგზო ქსელის გამოყენება, რომელიც ნახჩევანის საზღვრის გავლით ჯულფამდე მიდის, შემდეგ კი შეძლებდა აზერბაიჯანსა და სომხეთში აღდგენილი ხაზებით სარგებლობას. ეს შეესაბამება იმ ქვეყნის პოლიტიკურ პრიორიტეტებს, რომელიც დაინტერესებულია სომხეთთან პარტნიორობითა და მისი გაძლიერებით, - აზერბაიჯანისა და თურქეთის საპირწონედ. მარშრუტი სომხეთის გავლით შეიძლება გახდეს ის მონაკვეთი, რომელიც აკლია „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანს, რომელიც მიზნად ისახავს ფინეთიდან ირანში უმეტესწილად სახმელეთო მარშრუტით მგზავრობის დროის შემცირებას ექვსი კვირიდან 22-25 დღემდე სუეცის არხის გავლით (Article: Missing Link on the Russia, 2021).

განსაკუთრებით მწვავე კამათს იწვევს გეგმები სომხეთის გავლით აზერბაიჯანულ ანკლავ ნახჩევანამდე სატრანსპორტო დერეფნის აღდგენასთან დაკავშირებით, რომელიც გაწერილი იყო 2020 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებაში, თუმცა, კონკრეტული მარშრუტი მითითებული არ ყოფილა.

აზერბაიჯანი ორ ნაწილადაა გაყოფილი და მისი დიდი ნაწილი გამოყოფილია მცირე - ნახჩევანის ავტონომიური რესპუბლიკისგან, რომლის მოსახლეობა ოფიციალური მონაცემებით

დაახლოებით 459 000 ადამიანს შეადგენს. ექსკლავის ეკონომიკა მძიმედ დაზარალდა იზოლაციის შედეგად, რამაც დიდი რაოდენობით მუშა ხელის თურქეთში გადინება გამოიწვია. საბჭოთა პერიოდში ნახევანი ეკონომიკურად დამოკიდებული იყო სომხეთზე, რომელიც მას გაზით ამარაგებდა და ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით მიმოსვლას უზრუნველყოფდა. 1989-1990-იანი წლების სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის შემდეგ, საზღვარი სომხეთთან ჩაიკეტა, ნახევანსა და დანარჩენ აზერბაიჯანს შორის პირდაპირი მიმოსვლა კი ექსკლავიურად საკაერო გზით ხორციელდება, ერთადერთი სახმელეთო გზა - შესაძლებელია მხოლოდ ირანის ან საქართველოს გავლით თურქეთიდან.

1992 წლიდან მოყოლებული, ნახევანი საქონლის დიდ ნაწილს საავტომობილო გზით, თურქეთის გავლით იღებს, რომელთანაც 8 კმ-იანი სიგრძის საერთო საზღვარი აკავშირებს. გაზი კი შეთანხმების თანახმად, ირანის გავლით მიეწოდება, რომლის შედეგად ირანი გაზის 15%-ის ტრანზიტის მოსაკრებელს იღებს. თურქეთის მიერ ახალი გაზსადენის ნახევანში აშენების შემთხვევაში აღნიშნული გარიგება სავარაუდოდ - გაუქმდება (David O'Byrne, 2020).

2020 წლის ომის შემდეგ, აზერბაიჯანის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ნახევანის იზოლაციის დასრულება და რესპუბლიკასთან სომხეთის გავლით სახმელეთო კომუნიკაციების აღდგენა წარმოადგენს, რისთვისაც, დიდი ალბათობით, საჭირო იქნება ახალი სატრანსპორტო მარშრუტის მშენებლობა სომხეთის სამხრეთით მდებარე ქალაქ მელრის 43 კილომეტრიანი მონაკვეთის გავლით, ირანის საზღვართან ახლოს. ეს სავარაუდო მარშრუტი კი დიდი ხანია ორ ქვეყანას შორის კამათის წყაროა. მელრის დერეფანმა სომხეთის ტერიტორიაზე უნდა გაიაროს და აზერბაიჯანი ნახევანის ექსკლავთან დააკავშიროს. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესის კვეთას. ჯერ კიდევ 1970-იან წლებში, სომხეთის კომუნისტური პარტიის ლიდერი კარენ დემირჩიანი აქტიურად ეწინააღმდეგებოდა მელრის გავლით მთავარი ავტომაგისტრალის პროექტს და თვლიდა, რომ მისი განხორციელება შეასუსტებდა სომხეთის პოზიციებს აზერბაიჯანთან ურთიერთობაში. საგულისხმოა, რომ 1999-2001 წლებში, აღნიშნული მარშრუტი წარმოადგენდა ორი ქვეყნის ლიდერის - ჰეიდარ ალიევისა და რობერტ კოჩარაიანის მოლაპარაკებების მთავარ საკითხს. იმ დროს ალიევი ფრთხილად შესთავაზა გარკვეული

დათმობები მთიანი ყარაბაღის სუვერენიტეტთან დაკავშირებით ნახევანში ახალი დერეფნის გარანტიების სანაცვლოდ, თუმცა, შეთანხმება მაინც ვერ მოხერხდა კორიდორის სტატუსთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობიდან გამომდინარე.

2020 წლის ომის შემდეგ, აზერბაიჯანი ძლიერ პოზიციებში აღმოჩნდა და ამ უკანასკნელის ოფიციალურმა პირებმა ნახევანის გზას ზანგეზურის დერეფანი შეარქვეს (ამ რეგიონს აზერბაიჯანში ზანგეზურს უწოდებენ). აზერბაიჯანი არ ერიდება ომის შედეგების გამოყენებას, რათა სომხეთს სატრანსპორტო და ტერიტორიულ დათმობებზე წასვლა აიძულოს. აზერბაიჯანის დიპლომატიური აკადემიის დეკანის, ანარ ვალიევის განცხადებით, „აზერბაიჯანს არ სჭირდება საკონტროლო-გამშვები პუნქტები და შეჩერებები საზღვარზე <...> ჩვენ გვაქვს ზემოქმედების ბერკეტები, გვაქვს დრო და შეგვიძლია ვუკარნახოთ პირობები“ (Kucera, 2021).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2021 წლის აპრილში ილჰამ ალიევის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ სომხეთის შემფოთება გამოიწვია. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა მოცემულ მხარეს ისტორიულად აზერბაიჯანის ტერიტორია უწოდა (XX საუკუნის ბოლომდე მელრში აზერბაიჯანელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ცხოვრობდა) და განაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში ბაქო აღნიშნულ დერეფანს ძალის გამოყენებით მოაწყობდა: „ჩვენ განვახორციელებთ ზანგეზურის დერეფანს, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა ეს სომხეთს. თუ უნდა - შესაძლებელია“

საკითხის უფრო მარტივად გადაწყვეტა, თუ არა - ძალით გადაწყვეტთ. ისევე, როგორც ადრე და ომის დროს, როდესაც ვამბობდი, რომ ნებაყოფლობით უნდა დაეტოვებინათ ჩვენი მიწები, თორემ ძალით გავძევებდით და ასეც მოხდა. ასეთი იქნება ზანგეზურის დერეფნის ბედიც. ჩვენი მთავარი მეტოქე დროა, რადგან რკინიგზისა და საავტომობილო გზის გაყვანას დრო სჭირდება. ამიტომ, ამ პროექტის განსახორციელებლად მობილიზებულია ყველა ძალა. ამრიგად, აზერბაიჯანელი ხალხი დაბრუნდება ზანგეზურში, რომელიც 101 წლის წინ წაგვართვეს“ (Huseynov, 2023).

სომხეთისთვის აზერბაიჯანული დერეფნის გეგმა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს: ქვეყანა დაკარგავს პოლიტიკურ კონტროლს მარშრუტზე, რასაც ემატება და ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ალიევის ისტორიული პრეტენზიები აღნიშნულ მიწასთან დაკავშირებით. 2021 წლის 2 ოქტომბერს სომხეთის უშიშროების საბჭოს მდივანი არმენ გრიგორიანი აღნიშნავდა: „აუცილებელია გავიგოთ

დერეფნის ლოგიკა. ჩვენ უკვე განვაცხადეთ, რომ სომხეთის ტერიტორიაზე არ შეიძლება იყოს სუვერენული დერეფანი. შესაძლოა სომხეთის ტერიტორიაზე გაიხსნას დერეფნები ან გზები, რომლითაც სარგებლობა შეეძლება

აზერბაიჯანელებს ან თურქებს აზერბაიჯანთან დასაკავშირებლად. ეს ვარიანტი შესაძლებელია, მაგრამ ეს გზები სუვერენული სომხეთის კონტროლის ქვეშ იქნება“ (Article: Armenia will not allow, 2021).

ამდენად, სომხური მხარე უარს არ აცხადებს „საკომუნიკაციო არხების“ გახსნაზე - მედრის დერეფანზე, მაგრამ მოითხოვს სომეხი მებაჟეებისა და მესაზღვრეების მიერ მის გაკონტროლებასა და სომხეთის ტერიტორიული სუვერენიტეტის პატივისცემას“. ანუ, როგორც ერევანში სტრატეგიული პოლიტიკური და ეკონომიკური კვლევების ცენტრის თავმჯდომარე ბენიამინ პოლოსიანი აღნიშნავს, „მთავარი საკითხია არა თავად მარშრუტები, არამედ მათი სტატუსი“ (Interviews: Founding Director of Yerevan.... 2022). მისივე განცხადებით, სომხეთში სერიოზულ შემფოთებას იწვევს ნახჩევანში გზის გავლის იდეა ქვეყნის სამხრეთით, ქალაქ გორისა და სისიანზე, რამდენადაც შესაძლოა მოლაპარაკებების პროცესში აზერბაიჯანულმა მხარემ წამოსწიოს საკითხი ლაჩინის დერეფნის სტატუსთან დაკავშირებით, რომელიც სომხეთიდან მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანის ლაჩინის რეგიონის გავლით მიდის. საგულისხმოა, რომ 2020 წელს ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, აღნიშნული დერეფანი რუსი სამშვიდობოების კონტროლის ქვეშ იმყოფება. აზერბაიჯანი უკმაყოფილოა გზაზე კონტროლის არ არსებობით და შესაძლოა დაჟინებით მოითხოვოს სომხეთის ტერიტორიაზე ანალოგიური დერეფნის ქონის უფლება. ალტერნატივის სახით მედრის სარკინიგზო გზის ნაცვლად, სომხეთმა აზერბაიჯანს შესთავაზა რკინიგზის აღდგენა სომხეთის ჩრდილოეთით, რომელიც ქალაქ იჯევანს აზერბაიჯანულ ქალაქ ქაზახთან აკავშირებს და უკვე 30 წელია დაკეტილია. თუმცა, ამ შემთხვევაში აზერბაიჯანს მოუწევს უარი თქვას მისთვის სასურველ მარშრუტზე მედრის გავლით, რაც ნაკლებსავარაუდოა. გარდა ამისა, აღნიშნული გზა მთიან ზონაში გადის მრავალრიცხოვანი გვირაბებით, რეკონსტრუქცია კი დროსა და ფინანსურ ინვესტიციებს მოითხოვს (Investments/ Rehabilitation of the Armenian Railway Infrastructure).

აღნიშნულ დავაში სამხრეთ კავკასიის სამივე დიდი მეზობლის რეგიონალური ინტერესები

იკვეთება. თურქეთი - მთლიანად აზერბაიჯანის მხარესაა: მას სომხეთის ტერიტორიის გავლით ქვეყანაში შეუზღუდავი წვდომა სჭირდება. ახლა ის იყენებს მოხერხებულ სატრანზიტო მარშრუტს აზერბაიჯანისა და კასპიის ზღვისკენ საქართველოს გავლით, მაგრამ მარშრუტი ნახჩევანზე უფრო მოკლეა და ბრტყელ რელიეფზე გადის.

რუსეთისთვის ნახჩევანის გავლით მარშრუტის აღდგენა ეკონომიკურად მომგებიანია და როგორც 2020 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებიდან ჩანს, ამ დერეფანზე პოლიტიკური კონტროლის მოპოვებასაც შეეძლება. შეთანხმებაში ნათქვამია, რომ რუსი მესაზღვრეები „კონტროლს განახორციელებენ სატრანსპორტო კომუნიკაციებზე“. რა გამოხატულებას ჰპოვებს ეს კონტროლი პრაქტიკაში - მაგალითად, ექნებათ თუ არა რუს სამხედროებს სატრანსპორტო მოძრაობის შეჩერების ან შეზღუდვის უფლებამოსილება და რის საფუძველზე - სავარაუდოდ, მოგვიანებით გაირკვევა.

ირანი ზოგადად, მხარს უჭერს სომხეთს და გამოხატავს შემფოთებას იმის გამო, რომ თურქეთამდე მიმავალი აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილის ნახჩევანთან დამაკავშირებელი „სუვერენული დერეფანი“, შესაძლოა საფრთხედ გადაიქცეს ირანიდან სომხეთის გავლით „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ მიმართულებით სატრანზიტო მარშრუტებისთვის. 2021 წლის ოქტომბერში ამ და ზოგიერთ სხვა საკითხზე აზერბაიჯანსა და ირანს შორის დაწყებული დავებისას, ირანული საინფორმაციო სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ იქნა ირანის დეპუტატ მოჯთაბა ზონურს განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ აზერბაიჯანის მიერ „ირანის სომხეთთან წვდომის მოწყვეტის“ მცდელობები ძალზე არასასურველი იყო, ხოლო ირანის დამუქრების შემთხვევაში, აზერბაიჯანსა და თურქეთს (ისევე, როგორც ისრაელს) „დიდი საფასურის გადახდა“ მოუწევდათ (Regional states would pay.... 2021).

თუ პოლიტიკური კომპრომისი მიღწეული იქნება და სომხური და აზერბაიჯანული მატარებლები და სატვირთო მანქანები დაიწყებენ მოძრაობას ორი ქვეყნის ტერიტორიაზე, უსაფრთხოების პრობლემები სავარაუდოდ დარჩება. 2021 წლის იანვარში სომხეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა არამ სარგსიანმა ერთ-ერთ გაზეთთან ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ „საბჭოთა დროსაც კი, სომხეთიდან ნახჩევანში გამავალ მატარებლებს ქვებს ესროდნენ და ჩამსხვრეული მიწებით ბრუნდებოდნენ. იგივე მოხდა აზერბაიჯანშიც, როდესაც

სომხეთში მომხდარი მიწისძვრის დროს იქ ჰუმანიტარული დახმარება მიჰქონდათ“.

რაც შეეხება საქართველოს, ზემოაღნიშნული განსახილველი სატრანსპორტო პროექტების განხორციელების შემთხვევაში, შესაძლოა, სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს. ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, ვიდრე სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის საზღვრები ჩაკეტილი იყო, ქვეყანა პოზიციონირებდა, როგორც მთავარი სატრანზიტო კვანძი სამხრეთ კავკასიის ცენტრში მოქმედი მაგისტრალებითა და რკინიგზით, რომლის საშუალებითაც საქონელი თურქეთიდან და დასავლეთიდან ბაქოს, ერევანსა და შემდეგ შუა აზიას მიეწოდებოდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს აღნიშნული სტატუსისა და საერთაშორისო სატრანზიტო მარშრუტის პოტენციალის რეალიზებისთვის გაცილებით მეტი ძალისხმევის გაწევა მოუწევს, განსაკუთრებით იმ ვითარებაში, როდესაც ოკუპანტი რუსეთი მის გვერდზე გაწევას ცდილობს.

„ეს პროექტები გათვლილია დაახლოებით შვიდ წელზე. საქართველოს აქვს ორი წელი სტრატეგიული დაგეგმვისთვის“, - აცხადებს თბილისში საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციის წარმომადგენელი რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქეთის სარკინიგზო დამაკავშირებელ გეგმებთან დაკავშირებით. თუმცა, 2020 წელს საქართველოში ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ აღნიშნული საკითხები პრაქტიკულად არ განხილულა, ქვეყანაში არსებული შიდაპოლიტიკური პრობლემებიდან გამომდინარე.

საქართველოს პრეტენზია, საერთაშორისო სატრანსპორტო კვანძის როლთან დაკავშირებით, დაფუძნებულია მის შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარეობაზე.

საქართველო წარმოადგენს საკვანძო სატრანზიტო ქვეყანას ევრაზიის კონტინენტზე ენერგორესურსების მომხმარებელ და მიმწოდებელ ქვეყნებს შორის ურთიერთობის სისტემაში. ამავდროულად, იგი არის ასევე კონკურენტულ გეოპოლიტიკურ სტრატეგიათა გადაკვეთის წერტილი ენერგეტიკის სექტორში. სატრანსპორტო კუთხით, საქართველოს ინტერესები წინააღმდეგობაში მოდის რეგიონულ სახელმწიფოთა ინტერესებთან ორი ძირითადი მიმართულებით. კერძოდ, ეს არის მილსადენები და რკინიგზა. მილსადენების მშენებლობის თვალსაზრისით, იკვეთება წინააღმდეგობრივი ტენდენციები რუსეთის ინტერესებსა და თურქეთის, ირანისა და ყაზახეთის ინტერესებს შორის. მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელნი დაინტერესებულნი

არიან საქართველოს ტერიტორიაზე გაზისა და ნავთობის მილსადენების დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით გატარებით, რუსეთი პირიქით, ამ შემთხვევაში ეკონომიკურ ზარალს განიცდის.

მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე 2006 წლიდან გადის და ერთმანეთთან აკავშირებს აზერბაიჯანის ნავთობტერმინალებს თურქეთის პორტთან, წარმოადგენს ევროკავშირისა და შეერთებული შტატების კოლექტიური სტრატეგიის შედეგს, რომელიც რუსეთის ნედლეულის ევროპული გასადების ბაზრებისგან ჩამოცილებასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში მისი გავლენების შემცირებას ემსახურება. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი გახდა რუსეთის გვერდის ავლით გამავალი პირველი ნავთობსადენი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ტერიტორიაზე. კიდევ ერთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურას წარმოადგენს „ბაქო-თბილისი-ერზრუმის“ (სამხრეთ კავკასიური) გაზსადენი, რომელიც 2007 წლიდან ფუნქციონირებს. საქართველოზე გამავალი მილსადენები წარმოადგენს როგორც რესურსების მიმწოდებლების, რომლებიც წარმოადგენილნი არიან ყაზახეთისა და აზერბაიჯანის სახით, ისე სატრანზიტო სახელმწიფოს - თურქეთის ინტერესების ფაქტორს საქართველოს შიდა სტაბილურობასთან დაკავშირებით.

ირანისა და რუსეთისთვის საქართველოს მნიშვნელობა განპირობებულია მის ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის კომუნიკაციების მშენებლობის შესაძლებლობით. ევროკავშირი დიდი ხანია განიხილავს კავკასიას, როგორც „მეოთხე დერეფანს“ - ევროპაში ნახშირწყალბადების მიწოდების დამატებით გზად.

ამ მიზნით ჩაფიქრებულ იქნა ნაბუკოს პროექტი. ეს უკანასკნელი შეიცვალა გაზის „სამხრეთი კორიდორის“ კონცეფციამ, რომელშიც არაოფიციალურად იგულისხმება ტრანს-ანატოლიური (TANAP) და ტრანს-ადრიატიკული (TAP) გაზსადენების მშენებლობა, აგრეთვე „ბაქო-თბილის-ერზრუმის“ გაზსადენის გაფართოება.

ასევე განიხილება თურქმენეთისა და ირანის გაზის სამხრეთ კორიდორთან დაკავშირების პერსპექტივა. TANAP-ის მშენებლობა, რა თქმა უნდა ხელსაყრელია ირანისთვის, რასაც ვერ ვიტყვით რუსეთზე, რომლის წილი ევროპის გაზის ბაზარზე ამ შემთხვევაში შესაძლოა შემცირდეს. აქვე აღნიშნულ უნდა იქნას, რომ რუსეთი თავის მხრივ

ავითარებს კონკურენტულ პროექტს „თურქული ნაკადის“ სახით, რომელმაც შეცვალა „სამხრეთ ნაკადი“.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, თემურ გოჩიტაშვილის განცხადებით „თუ დღემდე საქართველო გაზის მხოლოდ რეგიონული მნიშვნელობის სატრანზიტო ქვეყანას წარმოადგენდა (ახორციელებდა აზერბაიჯანული გაზის ტრანზიტს თურქეთში და რუსული გაზის ტრანზიტს სომხეთში), ახლა იგი უკვე საერთაშორისო მასშტაბის მოთამაშედ ჩამოყალიბდა. ამიერიდან ქვეყნის ტერიტორიაზე გატარებული გაზი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საერთაშორისო, ძირითადად ევროკავშირის ენერგეტიკული ბაზრების დივერსიფიკაციისა და მიწოდების უსაფრთხოების ამაღლებში. შედეგად, მნიშვნელოვნად ამაღლება საქართველოს პროგრესულ საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პერსპექტივებიც“ (გოჩიტაშვილი, 2019).

დასკვნა

ამრიგად, 2020 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიაში სატრანსპორტო რუკა რადიკალურად იცვლება. განახლებული მარშრუტების პროექტების შექმნისა და აღდგენის განხორციელების თვალსაზრისით, ეკონომიკური მიზანშეწონილობა საკმაოდ დამაჯერებელია რეგიონის ყველა სახელმწიფოსთვის, მაგრამ პოლიტიკური ვითარება კვლავ დამაბულია როგორც რეგიონში, ასევე მეზობელ სახელმწიფოებს შორის და სახეზეა ნდობის მწვავე დეფიციტი, რაც შესაძლოა შემაფრთხილებელი გარემოება აღმოჩნდეს გარკვეული პროექტების განხორციელების თვალსაზრისით.

მაგალითად, აზერბაიჯანის ნახჩევანთან სატრანსპორტო კავშირების აღდგენის გეგმები სამხრეთ სომხეთის გავლით შეზღუდულია უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე. აზერბაიჯანსა და თურქეთს უკვე აკავშირებს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, რომელიც საქართველოზე გადის. ახალი მარშრუტი სამხრეთ სომხეთის გავლით ნახჩევანის იზოლაციიდან გამოყვანისა და რესპუბლიკის ეკონომიკის ზრდის შესაძლებლობას იძლევა, თუმცა, რეალურად დიდი მნიშვნელობის მატარებელი იგი მხოლოდ მასზე გამავალი ტვირთების მინიმალური შემოწმებისა და ინსპექტირების დაქვემდებარების პირობებში გახდება, რამდენადაც სომხეთის მტკიცებით, მას

არ სჭირდება „დერეფანი“ თავის ტერიტორიაზე, რომელზეც მას არ ექნება კონტროლი და ირანი - მხარს უჭერს ამ პოზიციას.

რეგიონში არსებული პოლიტიკური რყევები და უნდობლობა გავლენას ახდენს განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების შესაძლებლობებსა და ინვესტორების მოზიდვაზეც. თურქეთი და აზერბაიჯანი, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულნი ახალი ვითარების შედეგად გაჩენილი შესაძლებლობების გამოყენებით, - ბიუჯეტის მწვავე დეფიციტს განიცდიან. განიხილებოდა თვალსაზრისი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისთვის დახმარებისთვის ჩინეთისთვის მიმართვასთან დაკავშირებით, მაგრამ როგორც ჩანს, იგი ჯერჯერობით ფსონებს უფრო მოკრძალებული პროექტების ინვესტირებაზე დებს. პოტენციურ ინვესტორად შესაძლოა განხილულ იქნას არაბთა გაერთიანებულ სამხრეთში, რომელიც ბოლო პერიოდში სომხეთთან და საქართველოსთან ურთიერთობების გამყარებას ცდილობს, თუმცა, ქვეყანას აღნიშნული მიმართულებით დაინტერესება ჯერ არ გამოუხატავს.

ენერგეტიკულმა მილსადენებმა და სატრანსპორტო დერეფნებმა აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით თურქეთში გაუხსნა გზა კასპიის რესურსებს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთისკენ.

თეორიულად ამ მარშრუტებს შეუძლია დააკავშირონ რუსეთი თურქეთთან და ირანთან, დაამყარონ ახალი კავშირები სამხრეთსა და ჩრდილოეთს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რამაც შესაძლოა გააძლიეროს რუსეთის ყოფნა რეგიონში და ახლებურად დააკავშიროს ერთმანეთთან კასპიის ზღვა, ხმელთაშუა ზღვა და სპარსეთის ყურე.

თუმცა, აღნიშნული გეგმები საქართველოს მთავრობას შემფოთებას იწვევს, რამდენადაც რუსეთის მიერ დაფინანსებული ნებისმიერი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ძირს უთხრის საქართველოს როლს, როგორც საკვანძო სავაჭრო გზას, რომელიც აკავშირებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს კასპიის ზღვასა და ხმელთაშუა ზღვას შორის. ამასთან, არსებობს პროცესებში სომხეთის ან ირანის ჩართვის მცდელობის შედეგად საქართველოს თამაშვარე მდგომარეობაში აღმოჩენის რისკიც.

ზოგიერთი დაგეგმილი პროექტი დადებითად არ აღიქმება არც სომხეთის მხრიდან, ბაქოსა და ანკარას მიმართ ნდობის ნაკლებობისა და

უპირველეს ყოვლისა, მთიანი ყარაბაღის სტაბილიზაციასა და მშვიდობის დამყარებასთან დაკავშირებით კომპლექსური გეგმის არ არსებობიდან გამომდინარე.

ამდენად, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მიუხედავად იმისა, რომ ეთნოკონფლიქტებისა და მეზობლებს შორის გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის მუდმივი ბრძოლის გამო ისტორიული გამოცდილება არ იძლევა ოპტიმისტურად განწყობის საფუძველს, ფაქტია, რომ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან თანამშრომლობით დაინტერესებული ყველა მხარის სტრატეგიულ ინტერესებშია ამ ჯერ კიდევ პრობლემურ რეგიონში ვითარების ნორმალიზება და თანდათანობით გარდაქმნა სტაბილური თანამშრომლობის რეგიონად ყველა მხარის ინტერესების უპირობო გათვალისწინებით.

თუმცა, გამოცდილება ცხადყოფს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას ყოველთვის არ ხდება ობიექტური მოცემულობის მხედველობაში მიღება.

თითოეული მხარე ეძებს საკუთარ გზებს წინააღმდეგობების გადასაჭრელად და ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მიაჩნია, რომ დრო მის სასარგებლოდ მუშაობს. მაგრამ სულ უფრო აშკარაა, რომ მთავარი და ყველაზე მტკივნეული პრობლემები (პოლიტიკურ-ეთნიკური კონფლიქტები, კასპიის ნავთობის ტრანსპორტირება და სატრანსპორტო მარშრუტები) შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ერთობლივად და საჭიროების შემთხვევაში, სხვა დაინტერესებულ მხარეთა დახმარებითა და შუამავლობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოჩიტაშვილი თემურ „TANAP-ის ამოქმედების შედეგად საქართველო საერთაშორისო მასშტაბის მოთამაშედ ჩამოყალიბდა“. 2019. rb.gy/nr27u
2. რა წერია ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებაში, რომელიც სომხეთს, აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის გაფორმდა. 10.11.2020 rb.gy/w6xew
3. Anjaparidze Z. (2021) “The Second Karabakh War and Georgia’s Threatened Transit Role”, The Jamestown Foundation;
4. Trials begin on Qazvin-Rasht line, published 26.11.2018 by Railway Pro Magazine; rb.gy/oy2y7
5. Missing Link on the Russia-India corridoe: will it ever be made? published 06.07.2021, rb.gy/ki184
6. Pashinyan N. “We must clearly demonstrate that consolidation is our first response to crisis situations”; rb.gy/efwx2
7. Armenia will not allow ‘corridors’ through its territory- National Security Council secretary, published on October. 21. 2021, rb.gy/lfpuz
8. Regional states would pay big price if they threaten Iranian interests: MP , Islamic Republic News Agency, Oct 4, 2021. <https://en.irna.ir/news/84493607/Regional-states-would-pay-big-price-if-they-threaten-Iranian>
9. De Waal T. (2012) - A Broken Region: The Persistent Failure of Integration Projects in the South Caucasus , Vol. 64, No. 9, Special Issue: Many Faces of the Caucasus (November 2012), pp. 1709-1723 (15 pages), University of Glasgow; <https://www.jstor.org/stable/23274952>
10. Huseynov V. (2021) - Azerbaijan Embarks on Construction of Nakhchivan Railway, Published by: Eurasia Daily Monitor Volume: 18 Issue: 54, April 5, 2021,
11. Huseynov V. (2023) Uncertainty Looms Over Zangezur Corridor as Armenian-Azerbaijani Disputes Persist, Published by Eurasia Daily Monitor, Volume20, Issue:39, March 7, 2023. rb.gy/q5mrs
12. Ibadoghlu G., Charaia V. (2014) Rehabilitation of the Railways in the South Caucasus: Assessment of the Potential Economic Benefits, International Alert. pdf. https://mail.international-alert.org/sites/default/files/caucasus_railwaysrehabilitationpt2_n_2014pdf;
13. Interviews: Founding Director of Yerevan based Center for Political and Economic Strategic Studies Benyamin Poghosyan: “I believe that Armenia and Turkey could establish diplomatic relations until the end of 2022”, 10.01.22, The Asia Today, rb.gy/c5s6r
14. Investments/Rehabilitation of the Armenian Railway Infrastructure, rb.gy/kinra

15. Kucera J. Tension again spikes between Armenia and Azerbaijan; (Azerbaijan has stepped up its blockade of key Armenian roads and the two sides have repeatedly exchanged fire amid reported diplomatic progress), Nov. 15, 2021, rb.gy/fuxnw
16. Ohanyan A. (2018) - Russia Abroad: Driving Regional Fracture in Post-Communist Eurasia and Beyond. Georgetown University Press; <https://www.jstor.org/stable/j.ctv75db6w>
17. O'Byrne D. (2020) Article: Turkey to build gas pipeline to supply Nakhchivan (The move would sideline Iranian gas sales to the Azerbaijani exclave and help Ankara get back in Washington's good graces.) rb.gy/ew5il.
18. <https://www.azatutyun.am/a/31043662.html>
19. <https://jam.news.net/undermining-the-percekeeping-mission-of-russia-reaction-in-nk-to-the-provokations-of-azerbaijan>

**The new geopolitical landscape and regional competition in the South Caucasus
(Trade links, prospects for economic cooperation and "trust" as an antidote)**

*Tea Bidzinashvili, associate professor
Georgian Technical University*

*Beka Maisuradze, PhD student
Georgian Technical University*

Summary

Against the background of recent geopolitical events, the huge potential of the South Caucasus region as a reliable supplier of energy resources has led to a new impetus of interest in it. Both existing infrastructure and new initiatives show that the region has untapped potential in energy and trade corridors, as well as its favorable geographical location.

As global supply chains have been disrupted as a result of current world processes, it has become clear that the continued viability of the global economy, especially in the face of any potential future crisis, depends on the extent to which stakeholders are able to find new transport and logistics routes. Taking this into account, the current situation is already pushing the world's transport companies to look for more stable and alternative routes. From this point of view, the South Caucasus and Central Asia seem to be the only sustainable option for transit. Therefore, experts are actively discussing the possibilities of increasing cargo turnover through Central Asia, Azerbaijan, Turkey and Georgia. Accordingly, the possibility of diversification of the existing trade routes is the subject of discussion by all parties.

Today, the importance of bilateral, trilateral and multilateral agreements for the development of the South Caucasus route is increasing. The growing needs for the development of the Trans-Caspian international transport route, that is, the "Middle Corridor", require concrete steps to be taken.

The mentioned issue has been repeatedly discussed by the leaders of the region - especially the presidents of Turkey and Kazakhstan. These countries, as well as Azerbaijan and Georgia, have already agreed to create a joint venture that will solve all issues related to cargo transported through the so-called "Middle Corridor". In relation to the establishment of "penetrating tariffs", the declaration of cargo, the use of unified IT solutions and the consolidation of transit cargoes.

Within the framework of the new structure, it is planned to connect the international North-South corridor with the ports of the Caspian Sea and expand the corridor to include Iran, the Persian Gulf countries, North Africa and India. In addition, it is planned to transport up to 150 thousand additional containers and about 35 thousand cars through Central Asia, Azerbaijan and Georgia. These changes will make a significant contribution to the further

development of the "Middle Corridor".

Finally, it should be noted that both Iran and Azerbaijan are working on a road project through Iranian territory to Nakhchivan. Not so long ago, Baku and Tehran signed a memorandum of understanding on the creation of new communication lines, which includes the construction of relevant infrastructure. The parties plan to build a check-point on the border, which will be able to receive at least a thousand cargoes (export, import and transit) with 500 entries and 500 exits per day. For now, the opening of the Zangezur Corridor on the territory of Armenia remains on the agenda. The issue is controversial given the current relations between Armenia and Azerbaijan and the aftermath of the 2020 44-Day War. However, issues related to the resumption of both railway and road operations through the Zangezur corridor were discussed by the leaders of both countries on April 6, 2022 in Brussels. Azerbaijan, for its part, has already taken measures to increase capacity and plans to increase the volume of cargo transportation across the Caspian Sea in the coming years.

The most important aspect for the countries of the South Caucasus and especially for Azerbaijan regarding the transit routes of the Eurasian region is that this region is not subject to international restrictions or prohibitions compared to other routes. In any case, successful megaprojects such as the Baku-Tbilisi-Kars railway, the Baku-Tbilisi-Ceyhan oil pipeline and the South Caucasus pipeline show that the region is open for business.

The article discusses the new opportunities arising from the ceasefire agreement between Armenia and Azerbaijan in November 2020 regarding the creation of transport routes through both countries, which will completely change the economic map of the region.

Keywords: South Caucasus, energy resources, transit corridors, transport routes, economic cooperation, trade links, railways and highways.

ინოვაციური განვითარება, როგორც სამშენებლო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდის ფაქტორი

პაატა გოგეშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

რ. როსველის თაობების მიხედვით ინოვაციური პროცესის ცვლილების მოდელების საფუძველზე სტატიაში წარმოდგენილია ინოვაციური პროცესის კომბინირებული და ინტეგრირებული მოდელები საინვესტიციო-სამშენებლო ბიზნესში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეხუთე თობის საინვესტიციო მოდელის შემუშავების პროცესს, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტებს საინვესტიციო-სამშენებლო სფეროში საშუალებას აძლევს წამყვანი პოზიცია დაიკავონ მასობრივ საბინაო მშენებლობაში. ნაშრომში ასახულია ინოვაციების როლი და ადგილი თანამედროვე კომპანიების მიერ საინვესტიციო-სამშენებლო პროცესის განხორციელებაში, აგრეთვე საინვესტიციო-სამშენებლო ციკლის გარდაუვალი ცვლილებები და განახლება სამომხმარებლო ღირებულებითი სისტემის პერიოდული გავლენის პირობებში.

სტატიაში განხილულია მეცნიერის მიერ განალიზებული ინოვაციური სამეწარმეო მენეჯმენტის ორმოცდლიანი გამოცდილება; მის მიერ გამოყოფილი მოდელების ხუთი თაობა. აღნიშნულია, რომ როსველის მოდელი ყოველთვის ექვემდებარება ბაზარზე მიმდინარე მნიშვნელოვან ცვლილებებს: ეკონომიკურ ზრდას, კონკურენტებს შორის აქტიურ ბრძოლას, ინფლაციას, რესურსების ნაკლებობას. პირველ მოდელად განხილულია ტექნოლოგიური ბიძგის წრფივი მოდელი, რომელიც ხასიათდება ეტაპებს შორის ცალმხრივი კავშირით. მეორე მოდელის წარმოშობის მიზეზად დასახელებულია ბაზრის გაჯერება პროდუქტებით და მისი რეალიზაციის პრობლემები. მესამე თაობის მოდელის წარმოშობის მიზეზად დასახელებულია წარმოების რაციონალიზაცია. ბიზნეს სუბიექტების მხრიდან საკუთარი პოზიციებისა და პროდუქტების გაძლიერებაზე და გაერთიანებაზე, ყურადღების გადატანამ განაპირობა პროდუქციის პორტფელის ჩამოყალიბება. წარმოიშვა კომბინირებული მოდელი, რომელიც ფოკუსირებულია ტექნოლოგიურ და საბაზრო ფაქტორებზე. მოდელის მაგალითი ყურადღებას ამახვილებს ინვესტიციისა და მშენებლობის პროცესის მთავარ შიდა მახასიათებლებზე: მის პარალელურ და ინტეგრაციულ ხასიათზე. როსველის მიერ შემოთავაზებულ მეხუთე თაობის მოდელში მნიშვნელოვანია კავშირების ფორმირება, რაც გამოიწვია სტრატეგიული ქსელებისა და ინტეგრაციების განვითარებამ. ერთდროულად მიმდინარე პროცესს დაემატა ინოვაციების წარმოების, დანერგვისა და პოპულარიზაციის ფუნქცია.

საკვანძო სიტყვები: საინვესტიციო-სამშენებლო პროცესი, ინოვაციური პროცესი, ინოვაციური განვითარების მოდელები, საბინაო მშენებლობა, უძრავი ქონების ობიექტი.

შესავალი


დღეისათვის ინოვაციური საქმიანობა სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად არის მიჩნეული. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინოვაციური პროცესის და ქსელური ურთიერთქმედების შესწავლას და მის განხორციელებას საინვესტიციო-სამშენებლო სფეროში [9]. მოგეხსენებათ, ახალი პროდუქტი ან ტექნოლოგიური პროცესი, რომელმაც მიიღო ბაზრის აღიარება, ახასიათებს ბიზნეს სუბიექტის ინოვაციური საქმიანობის საბოლოო შედეგს და მასზე კომერციულ მოთხოვნას. ამას თან ახლდა ყველა ეტაპი: გამოკვლევიდან განხორციელებამდე, ფიქრებიდან და იდეებიდან მათ მატერიალურ ობიექტად გადაქცევამდე.

დიდი რეზონანსი გამოიწვია სტატია „ინოვაციური პროცესის ბუნების შეცვლა“, რომელიც 1994 წელს გამოქვეყნდა რიო როსველის მიერ. მან გამოხმაურება ჰპოვა სპეციალისტებთან, რადგან მასში კლასიფიცირებულია ინოვაციური პროცესის მოდელები თაობების მიხედვით. მეცნიერმა გააანალიზა ინოვაციური სამეწარმეო მენეჯმენტის გამოცდილება ბოლო 40 წლის განმავლობაში (1950-1990) მან გამოყო ე.წ. მოდელების ხუთი თაობა. რ. როსველი აღნიშნავს, რომ მოდელი ყოველთვის ექვემდებარება ცვლილებას, განსაკუთრებით ბაზარზე მიმდინარე მნიშვნელოვან ცვლილებებს: ეკონომიკურ ზრდას, კონკურენტებს შორის აქტიურ ბრძოლას, ინფლაციას, რესურსების ნაკლებობას.

როსველის მიერ აღწერილ ნაშრომში წრფივი მოდელი (პირველი თაობა) 1950-იან წლებში პირველ პოზიციას იკავებს (სურ. 1). როგორც ნახაზიდან

ჩანს, ეს არის თანმიმდევრული ჯაჭვი, რომელიც სათავეს იღებს ფუნდამენტური კვლევებიდან და მთავრდება პროდუქტის დამზადებითა და გაყიდვით. ეს სქემა მიუთითებს, რომ ეტაპებს შორის კომუნიკაციები მხოლოდ ერთ მხარესაა მიმართული, და წინა ეტაპებთან ურთიერთქმედება არ იგულისხმება. ანუ ყოველი ეტაპი ცალმხრივად იღებს ბოლო ეტაპის შედეგს.


წარმოებაზე, ანუ ინოვაციური პროცესის საწყის ეტაპზე. პროდუქციის გაყიდვისა და რეალიზაციის ეტაპი თავისთავად მიიჩნეოდა, ამიტომ მას ნაკლები დრო ეთმობოდა. 1970-იანი წლების დასაწყისში წარმოიშვა „მოთხოვნით მოზიდვის“ წრფივ მოდელად - მეორე თაობად (ნახ. 2) გარდაქმნის აუცილებლობა. მისი წარმოშობის მიზეზი იყო ბაზრის გაჯერება პროდუქტებით და მისი რეალიზა-



ნახაზი 1. ტექნოლოგიური ბიძგის წრფივი მოდელი

XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისიდან 12-15 წლის განმავლობაში მოთხოვნა აჭარბებდა მიწოდებას და ბაზარი არ იყო გაჯერებული ახალი პროდუქტებით. სწორედ ეს გახდა ტექნოლოგიების განვითარების მიზეზი. ბიზნეს სუბიექტებმა (ორგანიზაციებმა) გააკეთეს ფსონი კვლევისა და გამოგონებების სფეროს გაძლიერებაზე, რამაც გამოიწვია მეთოდური პროდუქტის გამოშვება. ინოვაციების უმეტესობა ინერგებოდა მზარდ მრავალეროვნულ ორგანიზაციებში, განურჩევლად ინსტიტუტებისა. ამის მიზეზი იყო ორგანიზაციების ფოკუსირება

ციის პრობლემები. ბიზნესსუბიექტებმა დაიწყეს ბრძოლა ბაზრის წილის მოსაპოვებლად, რამაც აიძულა მათ გადაეტანათ ყურადღება კვლევებიდან საბაზრო მოთხოვნის განსაზღვრაზე. ბაზარი გახდა მნიშვნელოვანი და იძულებული გახდნენ რეაგირება მოეხდინათ მის მოთხოვნაზე. ორგანიზაციები იწყებენ კვლევითი პროექტების ანალიზის გამოყენებას ხელმისაწვდომი რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მიზნით. იმისათვის, რომ პროდუქცია ბაზარზე რაც შეიძლება მალე მოხვდეს, იწყება მჭიდრო კომუნიკაცია კვლევით განყოფილებასა და წარმოებას შორის.




ნახაზი 2. მოთხოვნით მოზიდვის წრფივი მოდელი

შემდეგი მოდელი - მესამე თაობის მოდელია. ის გაჩნდა 70-იანი წლების შუა ხანებში და მიზეზი იყო წარმოების რაციონალიზაცია. ბიზნეს სუბიექტებმა თავიანთი საქმიანობა გაამახვილეს საკუთარი პოზიციებისა და პროდუქტების გაძლიერებაზე და გაერთიანებაზე, რამაც განაპირობა პროდუქციის პორტფელის ჩამოყალიბება. ისეთი პროცესები, როგორც კვლევა, განვითარება და მარკეტინგი გაერთიანდა; მათ შორის კომუნიკაციამ ხელი შეუწყო ხარჯების შემცირებას. წარმოიშვა კომბინირებული მოდელი, რომელიც ფოკუსირებულია ტექნოლოგიურ და საბაზრო ფაქტორებზე. ინოვაციის წყაროებია როგორც შედეგები, ასევე ბაზრის მოთხოვნები. კომბინირებული მოდელი, როგორც პირველი ორი, თანმიმდევრული ეტაპების ჯაჭვზეა დაფუძნებული. მაგრამ უკვე ეტაპებს შორის უკუკავშირით. საინვესტიციო-სამშენებლო სფეროში საინოვაციო პროცესის კომბინირებული მოდელი შემუშვდა გასული საუკუნის ბოლოს და ამ საუკუნის დასაწყისში (ნახ. 3) და წარმოადგენს პირველი ორის

ინტეგრაციას, მაგრამ აქცენტით ტექნოლოგიურ შესაძლებლობებსა და ბაზრის მოთხოვნას შორის ურთიერთობაზე.

როდესაც განვითარებული ქვეყნების ეკონომიკამ კრიზისი განიცადა 80-იანი წლების დასაწყისში წლების განმავლობაში, მათმა სტრატეგიებმა შეცვალა კურსი და ყურადღება დროთათვის ბრძოლაზე შეიცვალა. გაჩნდა ახალი ინტეგრირებული მოდელი, ანუ ინტეგრირებული წარმოებასთან და იყო უფრო მჭიდრო თანამშრომლობა მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან. სხვადასხვა კომპანიები, ორგანიზაციების განყოფილებები გააერთიანა ძალები ახალი საცხოვრებელი კომპლექსის (უმრავი ქონების) შესაქმნელად, რამაც საბოლოოდ ხელი შეუწყო პროდუქტის განვითარების დროის შემცირებას და, პარალელურად, დანახარჯების შემცირებას. ბიზნეს სუბიექტებმა მიაქციეს განსაკუთრებული ყურადღება ჰორიზონტალურ თანამშრომლობასა და ერთობლივი კომპანიების შექმნას.




ნახაზი 3. ინოვაციური პროცესის კომპლექსური მოდელი საინვესტიციო-სამშენებლო სფეროში


როგორც მეოთხე თაობის G4 მოდელის მაგალითი, განვიხილოთ ახალი პროდუქტის შემუშავების პროცესი ეტალონის კომპანიების ჯგუფში. ეს მოდელის მაგალითი ყურადღებას ამახვილებს ინვესტიციისა და მშენებლობის პროცესის მთავარ შიდა მახასიათებლებზე: მის პარალელურ და ინტეგრაციულ ხასიათზე. ეტალონის კომპანიების ჯგუფს აქვს ურთიერთქმედების კარგად ჩამოყალიბებული ქსელი, რომელიც წარმოადგენს პროცესის მესამე თაობაში (ნახ. 4). კვლევები აჩვენებს, რომ კომპანია Etalon ჯგუფის წარმატება დიდწილად განპირობებულია ჯვარედინი ფუნქციონალური მუშაობის ფართო გამოყენებით. ეტალონის კომპანიები ადრეულ ეტაპზე მიმართავენ მომხმარებლებს და არკვევენ მათ შეხედულებებს ახალ საკუთრებაზე. კომპანიები ანალიზებენ პერსპექტიულ მოთხოვნას და შემდეგ ბოლო ეტაპზე საინვესტიციო და სამშენებლო საქმიანობის ინოვაციური პროცესის საფუძველზე ახალი პროდუქტი ჩართულია ბაზრის მოთხოვნის ფორმირებაში.

ახალი პროდუქტის შექმნა უფრო ეფექტურია, თუ კომპანიებს შორის მჭიდრო ურთიერთქმედება თავიდანვე დაიწყება. მარკეტოლოგებმა უნდა გაანალიზებთ იდეა და მხარდაჭერის მთელი პროცესი სპეციალური ჯვარედინი ფუნქციური ჯგუფის მიერ. გარდა ამისა, ორგანიზაციები ადრეულ ეტაპზე ურთიერთობენ მომხმარებლებთან და განსაზღვრავენ მათ შეხედულებას ახალ პროდუქტზე, ორგანიზაციები იდენტიფიცირებენ პერსპექტიულ მოთხოვნას, რის შემდეგაც ინოვაციური პროცესის ბოლო ეტაპებზე მონაწილეობენ ბაზრის მოთხოვნის ფორმირებაში. (ნახ. 5).

ნახაზზე მოცემულია, მომწოდებლებს, ქვეკონტრაქტორებს და ინვესტიციების და სამშენებლო პროცესში სხვა მონაწილეებს შორის თანამშრომლობა. ნახ. 5 გვიჩვენებს როსველის მიერ შემოთავაზებულ მეხუთე თაობის მოდელს. ამ მოდელში წინა ხაზზე გამოდის კავშირების ფორმირება, რაც გამოიწვია სტრატეგიული ქსელებისა და ინტეგრაციების განვითარებამ. ერთდროულად მიმდინარე პროცესს დაემატა ინოვაციების წარმოების,



ნახაზი 4 . ახალი პროდუქტის შემუშავები პროცესი კომპანია ეტალონში



ნახაზი 5. მეხუთე თაობის ინოვაციური პროცესის მოდელი

დანერგვისა და პოპულარიზაციის ფუნქცია. თანმხლები ინოვაცია ეფუძნება სამშენებლო ინფორმაციული მოდელირების ტექნოლოგიების გამოყენებას – BIM ტექნოლოგიები. მეხუთე თაობის ინოვაციური პროცესის მოდელი უზრუნველყოფს სუბიექტებისთვის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას საინვესტიციო და სამშენებლო სექტორში და უძრავი ქონების ბაზარზე ლიდერობის მიღწევას.

დასკვნა

90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე მთელი ყურადღება გამახვილებულია შეზღუდული რე-

სურსების საკითხზე, რამაც გამოიწვია ქსელური ორგანიზაციის სამეწარმეო საქმიანობა. ცვლილება განიცადა თვით ინოვაციური პროცესის ორგანიზებისადმი მიდგომამ. იგი ეფუძნება პარტნიორული ურთიერთობების შექმნას, გაძლიერებას და განვითარებას, ინტეგრირებულ მარკეტინგს. წამყვანი პოზიციის დაკავებას საბინაო მშენებლობაში. იცვლება ეკონომიკა, კერძოდ, მისი სტრუქტურა „მშენებლობის“ სექტორულ კონტექსტში, როდესაც ტექნოლოგიური პროცესები უძრავი ქონების ობიექტების მშენებლობა და შექმნა მუდმივად იცვლება და ახლდება მომხმარებელთა ღირებულებითი სისტემის გავლენით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Асаул А. Н., Загидуллина Г. М., Емельянов О. О., Фалтинский Р. А. Механизмы обеспечения инновационного развития субъектов предпринимательства. СПб. : АНО ИПЭВ, 2016. 400 с. Сер.: «Экономическое возрождение России». DOI 10.17513/пр.302.
2. Асаул А. Н., Асаул М. А., Заварин Д. А., Рыбнов Е. И. Инновации в инвестиционно-строительной сфере / под ред. А. Н. Асаула. М. : Издательство Юрайт, 2017. 207 с.
3. Асаул А. Н., Заварин Д. А., Иванов С. Н., Рыбнов Е. И. Современные проблемы инноватики. СПб. : АНО ИПЭВ, 2016. 208 с.
4. Асаул А. Н., Горбунов А. А., Заварин Д. А. Особенности инвестиционного планирования инновационных инвестиционно-строительных проектов. Ч. 1 // Экономика строительства. 2015. № 5 (35). С. 30–39. 21
5. Асаул А. Н., Горбунов А. А., Заварин Д. А. особенности инвестиционного планирования инновационных инвестиционно-строительных проектов. Ч. 2 // Экономика строительства. 2016. № 1 (37). С. 32–43.
6. Асаул А. Н., Скуматов Е. Г., Локтева Г. Е. Методологические аспекты формирования и развития предпринимательских сетей / под ред. д. э. н., проф. А. Н. Асаула. СПб. : Гуманистика, 2004. 256 с. DOI 10.17513/пр.307.
7. Щербина Г. Ф. Моделирование архитектуры бизнеса вертикально интегрированного строительного холдинга // Экономические науки. 2012. № 87. С. 261–268.

Summary

Based on R. Roswell's models of innovation process change according to generations, the article presents combined and integrated models of innovation process in investment-construction business. Special attention is paid to the development process of the fifth Tobi investment model, which allows the entities carrying out entrepreneurial activities in the investment-construction field to take a leading position in mass housing construction.

The paper describes the role and place of innovations in the implementation of the investment-construction process by modern companies, as well as the inevitable changes and renewal of the investment-construction cycle under the periodic influence of the consumer value system.

The article discusses the forty-year experience of innovative entrepreneurial management analyzed by the scientist; Five generations of models allocated by him. It is noted that the Roswell model is always subject to significant changes in the market: economic growth, active competition between competitors, inflation, lack of resources. As the first model, the linear model of the technological push is considered, which is characterized by a one-way connection between the stages. The reason for the emergence of the second model is the saturation of the market with products and the problems of its realization. The reason for the emergence of the third generation model is the rationalization of production. The focus of business entities on strengthening and unifying their own positions and products led to the formation of product portfolios. A combined model focusing on technological and market factors emerged. The example model focuses on the main internal characteristics of the investment and construction process: its parallel and integrative nature. In the fifth generation model proposed by Roswell, the formation of connections is important, which resulted in the development of strategic networks and integrations. At the same time, the function of production, implementation and promotion of innovations was added to the ongoing process.

Keywords: Investment-construction process, innovative process, innovative development models, housing construction, real estate object.

ღრუბლოვანი ტექნოლოგიების როლი ბიზნესის განვითარებაში

კონსტანტინე კუქსინი, ინფორმატიკის ბაკალავრი,
პროგრამისტი

რეზიუმე

გლობალურ სამყაროში, ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირებისთვის, საჭირო ბიზნესპროექტების შერჩევისა და მათი განხორციელებისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომლებიც მუდმივად ვითარდება და იხვეწება.

„ღრუბლოვანი ტექნოლოგიები“, თავისი გამოჩენით, რადიკალურად შეცვალეს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, არქიტექტურა და პროგრამული უზრუნველყოფა, რომელსაც უზრუნველყოფენ პროვაიდერები და რის შემდეგაც კომპანიები მხოლოდ სტრატეგიულ მიზნებზე არიან ორიენტირებულები. მათ აღარ სჭირდებათ თანხის დახარჯვა ინფრასტრუქტურის შესყიდვაზე, მხარდაჭერასა და მძლავრი გამოთვლითი რესურსების დაგეგმვაზე.

„ღრუბლოვანი ტექნოლოგიების“ პროვაიდერებს საკმაოდ გავრცელებული და დროში გამოცდილი სერვისები აქვთ, რომლებსაც იყენებენ როგორც დიდი კორპორაციები, ასევე მცირე ბიზნესები, არაკომერციული ორგანიზაციები და სამთავრობო ორგანიზაციები, ცალკეული მომხმარებლები. ისინი ისე იყენებენ ამ რესურსს, რომ მის ფიზიკურ და ქსელურ მახასიათებლებზე წარმოდგენაც კი არ აქვთ. კომპანიების ღრუბლოვანი ტექნოლოგიებზე გადასვლა გამოიწვია დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავებამ, რომლებიც სრულად ვეღარ ხორციელდებოდა ლოკალური რესურსებით. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მონაცემთა ბაზების საცავები, წარმოების რესურსების მართვა, გრაფიკულ და ვიდეოინფორმაციის შენახვა და მომსახურება.

„ღრუბლის“ ამოქმედებამდე კომპანიები შეისყიდებდნენ საკმაოდ ძვირადღირებულ ტექნოლოგიებსა და ინფრასტრუქტურას, რომლის შექმნა და შენარჩუნებაც კომპანიებისთვის წარმოადგენდა საკმაოდ ძვირ სიამოვნებას.

„ღრუბლოვანი ტექნოლოგიების“ გამოყენება უფრო მეტად მომგებიანია მსხვილი კომპანიებისათვის. ეს გამოწვეულია გაცილებით იმ მცირე დანახარჯებით, რომელიც იძლევა მათთვის სრულყოფილი ბიზნეს-მოდელის შექმნის შესაძლებლობას. ამ სისტემაში მოსახვედრად კი საკ-

მარისია ინტერნეტთან წვდომა, რათა გამოყენებულ იქნეს ღრუბელზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფა. ამასთან ღრუბლოვანი სტრუქტურა მომხმარებელს საცავის ადგილის დაზოგვის საშუალებასაც აძლევს და ნაკლებად იტვირთება სამუშაო მაგიდა.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია „ღრუბლოვანი საცავის“ მომხმარებლის მიერ გადაგზავნილი მონაცემები ერთდროულად ინახება რამდენიმე სერვერზე, რომ მომხმარებელს უწყვეტი წვდომა ჰქონდეს საჭირო დოკუმენტაციაზე, იქნება ეს მის მიერ შენახული, თუ მოსაძიებელი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთი სერვერი გათიშულია ან დაკარგა მონაცემები.

საკვანძო სიტყვები: ღრუბლოვანი ტექნოლოგიები, აუტოსორსინგი, ღრუბელი, ღრუბლოვანი საცავი, სერვერი, კომპანია.

შესავალი

დღეისათვის IT ტექნოლოგიებს შორის რევოლუციურ მიღწევას წარმოადგენს AWS-ის გლობალური ინფრასტრუქტურა, რომელიც კომპანიებს ოპერატიული ინფორმაციის 6 კონტინენტზე გადაზღვეულ, იზოლირებულ და დაცულ ღრუბლოვანი საცავში განთავსების საშუალებას აძლევს. ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენებით მცირდება მართვასთან დაკავშირებული ხარჯები და ამასთან, ბიზნესმენებსაც უფრო მეტი დრო რჩებათ ბიზნესის განვითარების მიზნებისთვის. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და მომგებიანია მსხვილი კომპანიებისათვის.

რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესებს, ისინი იყენებენ ისეთ ტექნოლოგიას, როგორცაა აუტოსორსინგი. ის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ბაზარზე, ითავსებს კომპანიის გარკვეულ ბიზნეს საქმიანობებს, რომელიც ბიზნესის პრაქტიკაში იქცა ჩვეულებრივ საქმიანობად. მცირე და საშუალო ბიზნესები იღებენ ისეთ მომსახურებებსა და უნარებს, რომელთა განვითარებაც მათ უჭირთ ფინანსური თუ ადამიანური რესურსების არყოფნის გამო. ეს კი ნიშნავს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესებს შეუძლიათ დიდი ინვესტიციების გარეშე გაზარდონ საკუთარი ბიზნესი, განსაკუთრებით კი შემცირებული



ხარჯებითა და გაზრდილი ეფექტურობით. კომპანიების აუტოსორზე გატანილი სხვადასხვა საქმიანობები გამოირჩევა ფულის დაზოგვის უპირატესობით, რადგან გარეშე კომპანიების მომსახურებით მცირე და საშუალო ბიზნესებს ნაკლები ხარჯი აქვთ, ვიდრე IT სპეციალისტების დაქირავებით.

ძირითადი ტექსტი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ღრუბლოვანი ტექნოლოგიების“ გამოყენება მომგებიანია უფრო მსხვილი კომპანიებისთვის, რომელიც გაცილებით ნაკლები დანახარჯებით იძლევა სრულყოფილი ბიზნეს-მოდელის შექმნის შესაძლებლობას. მის სისტემაში მოსახვედრად სრულიად საკმარისია ინტერნეტთან კავშირი ინფრასტრუქტურისა (IaaS) და პროგრამული უზრუნველყოფის (SaaS) სერვისების გამოსაყენებლად. „ღრუბლოვანი ტექნოლოგიების“, ანუ ღრუბელზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების უპირატესობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ნებისმიერი სექტორის კომპანიებს ექმნებათ უამრავი სარგებლის მიღების შესაძლებლობა, მაგალითად ნებისმიერი ადგილიდან შესძლებენ ისინი მის სერვისებთან წვდომას სხვადასხვა მოწყობილობების გამოყენებით, იქნება ეს ნოუტბუქი, პლანშეტი თუ სხვა მოწყობილობა. ამის შემდეგ მომხმარებელს შეეძლება თავიანთი ფაილებისა და პარამეტრების სხვა მოწყობილობებზე გადატანა. მიუხედავად ამ უპირატესობისა, კომპანიების უმეტესობა მზად არ არის ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიის ასათვისებლად.

თუმცა Cloud Computing-ს გაცილებით მეტი შესაძლებლობები გააჩნია, ვიდრე ფაილების წვდომა სხვადასხვა მოწყობილობებზე. Cloud Computing-ის საშუალებით მომხმარებლებს ექმნებათ ჩვეულებრივი ბრაუზერის გამოყენებით თავიანთი ელფოსტის ნახვის შესაძლებლობა ნებისმიერ მოწყობილობაზე და ამასთან Dropbox და Google

Drive სერვისების გამოყენებით შეეძლება ფაილების შენახვა. მათ ოპერატიულობა აღარ შეეხებათ, რადგან კონტროლს ახორციელებენ ისინი, ვისაც უხდიათ. ასეთ სისტემებს უფრო გამოიყენებენ კორპორაციული მომხმარებლები. არსებობს უფასო ღრუბლოვანი სერვერებიც, რომელსაც იყენებენ ჩვეულებრივი მომხმარებლები.

Cloud Computing სერვისების დახმარებით მომხმარებელი ქმნის თავისი დოკუმენტების სარეზერვო ასლებს, მაგალითად, მუსიკის, ფაილების და ფოტოების, რომელიც ხელმისაწვდომო იქნება მყარი დისკის დაზიანების შემთხვევაშიც კი. გარდა ამისა, ღრუბლოვანი საცავი ძალიან კარგი საშუალებაა მონაცემთა არქივის შესანახად, რადგან ისინი ინახება გრძელვადიანი დროით და არ საჭიროება ხშირ წვდომას, მაგალითად ფინანსური ჩანაწერები. უფრო ხშირად კი „ღრუბელში“ დაცული ფაილები ჯგუფური თანამშრომლობისთვის გამოიყენება.

გამოყენების მხრივ, ღრუბელი არსებობს: კერძო, საჯარო და ჰიბრიდული.

კერძო ღრუბელი ხელმისაწვდომია მხოლოდ ერთი ორგანიზაციის ფარგლებში, საჯარო ღრუბელი ხელმისაწვდომია მრავალი ორგანიზაციისათვის, ხოლო ჰიბრიდული ღრუბელი წარმოადგენს ორივეს კომბინაციას.

სანამ „ღრუბელი“ ამოქმედდებოდა კომპანიებს უხდებოდათ ინფორმაციის ძვირადღირებული ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის შესყიდვა, შექმნა და შენარჩუნება. მას შემდეგ კი, რაც „ღრუბლოვანი ტექნოლოგიები“ ამოქმედდა და დაინერგა დიდ კომპანიებში, სრულიად შეიცვალა ამ კომპანიების ხარჯები. გაიზარდა ამ კომპანიების ხარჯების დაზოგვის პოტენციალი. მათ მიეცათ ძვირადღირებული სერვერული ცენტრებისა და IT განყოფილებების სწრაფი ინტერნეტ კავშირებით შეცვლის შესაძლებლობა, სადაც თანამშრომლები საჭიროების შემთხვევაში დავალებების შესასრულებლად ურთიერთობენ ღრუბელთან. ღრუბლოვანი სტრუქტურა მომხმარებელს საცავის ადგილის დაზოგვის საშუალებასაც აძლევს და ნაკლებადაც იტვირთება სამუშაო მაგიდა. გარდა ამისა ხდება პროგრამული უზრუნველყოფის უფრო სწრაფი განახლება, რადგან პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიები საკუთარ პროდუქტს მომხმარებელს აწვდიან ინტერნეტის საშუალებით და არა ხელშესახები მეთოდებით, როგორცაა დისკები და ფლემ დრაივები. მაგალითისთვის, Adobe-ს მომხმარებლებს მის აპლიკაციებზე წვდომის საშუალება ეძლევათ Creative Cloud-ში გამოწერის საშუალებით, რომელიც დაფუძნებულია

ინტერნეტზე. მათ შეუძლიათ ჩამოტვირთონ ახალი ვერსიები და თავიანთი პროგრამებიც მარტივად დააფიქსირონ.

„ღრუბლოვანი საცავის“ მომხმარებელი თავისი მოწყობილობების, იქნება ეს კომპიუტერი, ლეპტოპი, ტაბლეტი ან სმარტფონი, ინტერნეტის საშუალებით აგზავნის დამოიძიებს მისთვის საჭირო ფაილებს დისტანციურ მონაცემთა სერვერიდან. ამ შემთხვევაში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მონაცემები ერთდროულად ინახება რამდენიმე სერვერზე, რათა მომხმარებელს უწყვეტი წვდომა ჰქონდეს საჭირო დოკუმენტაციაზე, იქნება ეს მის მიერ შენახული, თუ მოსაძიებელი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთი სერვერი გათიშულია ან დაკარგა მონაცემები. მაგალითისთვის, თუ მომხმარებელს მოპარეს ლეპტოპი ან სმარტფონი, სადაც მის მომხმარებელს მყარ დისკზე შენახული ჰქონდა გარკვეული დოკუმენტები, მაგრამ ამავე დროს ეს დოკუმენტები განთავსებული იყო „ღრუბლოვანი საცავში“, საბოლოოდ არ დაიკარგება და მოძიებული იქნება ინტერნეტის საშუალებით.

„ღრუბლოვანი საცავში“ შენახვის სისტემას აქვს კიდევ ერთი დადებითი ფუნქცია. გარკვეული ტიპის ინფორმაციის განსათავსებლად სისტემა შეიძლება იყოს სპეციალიზებული, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი სახის მონაცემების ზოგად შენახვას. ასეთ მონაცემებს მიეკუთვნება ფოტოები, აუდიო ფაილები, პრეზენტაციები, ცხრილები და ტექსტური დოკუმენტები.

„ღრუბლოვანი საცავი“ შექმნილი იყო ჯერ კიდევ 1960 წელს კომპიუტერული მეცნიერების დოქტორის ჯოზეფ კარლ რობნეტ ლიკლიდერის მიერ. დაახლოებით ოცი წლის შემდეგ CompuServe-მა მომხმარებლებს შესთავაზა მცირე მოცულობის ადგილი ზოგიერთი ფაილის შესანახად. პირველად, ვებზე დაფუძნებული მონაცემების შენახვის სერვისი გამოშვებული იქნა 1990-იანი წლების შუა პერიოდში AT&T-ს მიერ, რომელიც განკუთვნილი იყო პირადი და საქმიანი ურთიერთობებისთვის. ნელ-ნელა იხვეწებოდა სხვადასხვა სერვისები, რომელთაგან უამრავმა მიიქცია მომხმარებლის ყურადღება. დღეისათვის, მიმდინარე გლობალურ სამყაროში, გლობალური მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, შედარებით პოპულარული პროვაიდერები არიან Amazon Web Services (AWS): Amazon S3, IBM Cloud: IBM Cloud Object Storage, Alibaba Cloud: Alibaba Cloud Object Storage Service, Apple: iCloud, Dropbox: Dropbox, Google: Google Drive.

ღრუბლოვანი საცავი დიდ დახმარებას უწევს

კომპანიებს, რომელთაც სჭირდებათ მონაცემების შენახვა, ამასთან კომპანიებს აღარ უჩნდებათ მონაცემთა შენახვის ინფრასტრუქტურის შექმნის საჭიროება და ეზოგებათ მათ ადგილი და ფინანსები. კომპანიებს საშუალება ეძლევათ მომენტალურად გააფართოვონ, ან პირიქით, შეამცირონ ღრუბლოვანი საცავებზე წვდომა, რადგან იცვლება მათი შენახვის საჭიროებები. მაგალითად, სმარტფონები ღრუბლის დახმარებით გვადლევენ იმის საშუალებას, რომ შევინახოთ ბევრად მეტი მედია ფაილი, მათ შორის: ვიდეო, სურათი, აუდიო, ვიდრე კონკრეტული დევიისის ფიზიკური მეხსიერება დაიტევს.

გარდა უპირატესობებისა, „ღრუბლოვანი ტექნოლოგიებს“ გააჩნია გარკვეული ნაკლოვანებებიც და არსებობს გარკვეული რისკებიც. განსაკუთრებით პრობლემურია უსაფრთხოება, როცა საქმე ეხება ინფორმაციას სამედიცინო ჩანაწერებსა და ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით. რეგულაციებიდან გამომდინარე ღრუბლოვანი გამოთვლით სერვისებს გაძლიერებული აქვთ უსაფრთხოებისა და შესაბამისობის ზომები, მაგრამ მაინც მუდმივ საკითხად რჩება უსაფრთხოება. მართალია სასიცოცხლო ინფორმაციას იცავს დაშიფვრა, მაგრამ მონაცემები გაქრება, თუ დაიკარგება დაშიფვრის გასაღები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ღრუბლოვანი გამოთვლითი კომპანიების სერვერები კიდევ ერთი საფრთხის ქვეშ იმყოფება. სერვერები ბუნებრივი კატასტროფების, ელექტროენერჯის გათიშვის და შიდა შეცდომების მსხვერპლიც შეიძლება გახდეს. ბუნებრივი კატასტროფები და ელექტროენერჯის გათიშვა გასაგებია, მაგრამ, რაც შეეხება შიდა შეცდომებს, გამომდინარე იქიდან, რომ ერთი პორტალით ინფორმაციაზე წვდომისა და მანიპულირების საშუალება აქვს ბევრ ადამიანს, შემთხვევითმა შეცდომამ შეიძლება მთელი სისტემა მოიცვას.

ღრუბლოვანი გამოთვლითი სერვისები მრავალ ფუნქციას სთავაზობს თავის მომხმარებლებს. მათ შორისაა: ელფოსტა, შენახვა, სარეზერვო და მონაცემთა მოძიება, აპლიკაციების შექმნა და ტესტირება, მონაცემების ანალიზი, აუდიო და ვიდეო ნაკადი, პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდება მოთხოვნით.

Cloud Computing შედარებით ახალი სერვისია, რომელსაც იყენებს როგორც დიდი კორპორაციები, ასევე მცირე ბიზნესები, არაკომერციული ორგანიზაციები და სამთავრობო ორგანიზაციები, ცალკეული მომხმარებლები, რომლებიც ისე იყენებენ რესურსს, რომ მის ფიზიკურ და ქსელურ

მახასიათებლებზე წარმოდგენაც კი არ აქვთ. კომპანიების ღრუბლოვანი ტექნოლოგიებზე გადასვლა გამოიწვია დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავებამ, რომლებიც სრულად ვეღარ ხორციელდებოდა ლოკალური რესურსებით. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მონაცემთა ბაზების საცავები, წარმოების რესურსების მართვა, გრაფიკულ და ვიდეო ინფორმაციის შენახვა და მომსახურება.

ღრუბლები არსებობს სხვადასხვა სახის, რომლებიც განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. ღრუბლოვანი სერვისის სახის შერჩევაზე გადაწყვეტილება მიიღება მას შემდეგ, როცა შესრულდება ორგანიზაციის ინფორმაციულ მოთხოვნათა და ადგილობრივი რესურსების ანალიზი. ზოგიერთი მომხმარებელი ღრუბელზე ინახავს ყველა ტიპის მონაცემს, ზოგიერთი ინახავს გარკვეული ტიპის მონაცემებს კერძო სერვერებზე, დანარჩენს კი ღრუბელზე. მომსახურების მიწოდების მხრივ კორპორატიული მსხვილი სერვერებია: Amazon Web Services (AWS), Microsoft Azure, Google Cloud Platform (GCP), IBM Cloud, Alibaba Cloud.

რაც შეეხება საქართველოს, „ღრუბლოვანი ტექნოლოგიები“ დანერგილია ჯორჯიან ავია სერვის ეიჯენსიში (GASA) და საკმაოდ წარმატებითაც, რომელიც არის Office 365. ასევე ღრუბლოვანი საცავი „One Drive ბიზნესი“. აღნიშნულ კომპანიაში ტექნიკური სამუშაოები შეასრულა კომპანია „სინტაქსმა“. კომპანია სინტაქსს ეკუთვნის ასევე კომპანია „აქსისში“ განხორციელებული „ღრუბლოვანი ტექნოლოგიის“ ტექნიკური სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოები მიმდინარეობდა Microsoft-თან დადებული თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე. „One Drive ბიზნესის“ ღრუბლოვანი საცავი დღეისათვის ყველაზე პრაქტიკული და ხელმისაწვდომი საშუალებაა მომხმარებლებისთვის შენახული ინფორმაციისა და ნებისმიერი ტიპის ფაილების მოსაძიებლად მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ინტერნეტის საშუალებით.

„ღრუბლოვანი ტექნოლოგიები“ ასევე დანერგილია კომპანიებში: კრედო ბანკი და საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგება.

გარდა ზემოთ ნახსენები კომპანიებისა, ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენების ჩართვა ხდება ელექტრონული სწავლების სასწავლო პროცესებში და მოწყობილობებში, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა არქიტექტურასა და ოპერაციულ სისტემებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ღრუბლოვანი ტექნოლოგიების (ლიცენზირებული მაიკროსოფტის

მიერ) გამოყენებით კომპანიები ოპერატიულ ინფორმაციას განათავსებენ ორ კონტინენტზე, სადაც გადაზღვეულია და დაცულია ღრუბლოვანი საცავები. ეს კი საგრძნობლად ამცირებს გარკვეულ ხარჯებს და კომპანიებიც გაცილებით მეტ დროს უთმობენ ბიზნესის განვითარებას. საჭირო ინფორმაციაზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ უფლება. ქსელურ უსაფრთხოებას და დაცულობას უზრუნველყოფს კონტროლის რამდენიმე მექანიზმი.

მიუხედავად დიდი გარანტიებისა, გარკვეული რისკები მაინც არსებობს. მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, კიბერშემოტყევების გარკვეული შემთხვევების დროს არსებული დაცვის მექანიზმები დაცვას ვეღარ უზრუნველყოფენ. ამიტომ, მსოფლიოს გამოცდილი პროვაიდერები მუდმივად მუშაობენ რისკების გამოვლენასა და მათ აღმოფხვრაზე.

დასკვნა

უახლესი საინფორმაციო „ღრუბლოვანი ტექნოლოგიური“ მიღწევები დიდხანს დარჩება მოწინავე მიმართულებად ინფორმაციულ ტექნოლოგიებში. არამარტო სასურველი, ცოტა ხანში საჭირო და აუცილებელიც გახდება კომპანიების ღრუბლოვანი ტექნოლოგიებზე გადასვლა, რადგან ლოკალური რესურსებით დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავების განხორციელება უჭირს განსაკუთრებით დიდ კომპანიებს.

ინფორმაციის „ღრუბლის“ უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს მისი მოქნილი სისტემა, რაც ამ ტექნოლოგიის აქტუალობას ზრდის და მომავალში კიდევ უფრო გაზრდის, რადგან ის, განსაკუთრებით მსხვილ კომპანიებში, ინფორმაციის მოგროვებასა და დამუშავებაში არსებული პრობლემების აღმოფხვრის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ღრუბლოვანი ტექნოლოგიებს გააჩნია არის ის, რომ მონაცემები ერთდროულად ინახება რამდენიმე სერვერზე, რათა მომხმარებელს უწყვეტი წვდომა ჰქონდეს საჭირო დოკუმენტაციაზე, იქნება ეს მის მიერ შენახული, თუ მოსაძიებელი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთი სერვერი გათიშულია ან დაკარგა მონაცემები.

საყურადღებოა „ღრუბლოვანი საცავში“ შენახვის სისტემის კიდევ ერთი დადებითი ფუნქცია. გარკვეული ტიპის ინფორმაციის განსათავსებლად სისტემა შეიძლება იყოს სპეციალიზებული, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი სახის მონა-

ცემების ზოგად შენახვას. ასეთ მონაცემებს მიეკუთვნება ფოტოები, აუდიო ფაილები, პრეზენტაციები, ცხრილები და ტექსტური დოკუმენტები.

ღრუბლოვანი საცავი დიდ დახმარებას უწევს და მომავალშიც გაუწევს კომპანიებს, რადგან საცავში მონაცემების შენახვით კომპანიებს აღარ დასჭირდებათ მონაცემთა შენახვის ინფრასტრუქტურის შექმნა. ამასთან დაეზოგებათ

დრო და შეუმცირებს ფინანსურ ხარჯებს, კომპანიებს კი საშუალება მიეცემათ მეტი დრო დაუთმონ ბიზნესის განვითარებას. მათი მონაცემები კი შენახული იქნება გადაზღვეულ და დაცულ ღრუბლოვან საცავებში, სადაც ქსელურ უსაფრთხოებას და დაცულობას უზრუნველყოფს კონტროლის რამდენიმე მექანიზმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქ.შენგელია, “გლობალური კომპანიების ზეგავლენა და საქართველოს პერსპექტივები“, ჟურნ. „ეკონომიკა“, 2016;
2. ქეთევან შენგელია, „ცხოვრების დონის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები საქართველოში“, ჟურნ. „ეკონომიკა“, 2017.
3. <https://crashbox.ru/ka/iron/chto-takoe-oblachnye-tehnologii-i-oblachnye-tehnologii-i-hranenie-dannyh-oblaka/>-რა არის ღრუბლოვანი ტექნოლოგია. ღრუბლოვანი ტექნოლოგიები და მონაცემთა შენახვა. ღრუბლები. ზოგადი პირობები;
4. <https://cloud.smart-it.com/ge/news-post/cloud-technologies-improve-business-efficiency/>რა სარგებელს იღებს ბიზნესი ღრუბლოვანი სისტემის გამოყენებისას?;
5. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/312372/1/Ghrublovani_Da_Grid_Kompiutingi.pdf-ღრუბლოვანი და გრიდ კომპიუტინგი;
6. <https://openscience.ge/bitstream/1/1850/1/Churadze%2C%20Khavtasi%2C%20Tsagareishvili%20Samagistro.pdf>-ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენება მართვასა და ბიზნესში, საქართველოში არსებული გამოწვევები;
7. https://gtu.ge/book/doq_tofuria.pdf-ღრუბლოვანი პლატფორმაზე ბიზნეს
8. გადაწყვეტილებათა იმპლემენტაცია;
9. ling Dong, Lun Han et al, The Shallow Analysis of the Enlightenment of Cloud Computing to Distance Education, 2010 International Conference on e-Health Networking, Digital Ecosystems Technologies pp-301-303;
10. Беренс В. Хавранек П. Руководство по оценке эффективности капиталовложения. Перевод с английского “Manual for the Preparation of Industrial Feasibility Studies”, UNIDO, M., 2005;
11. <http://wdi.worldbank.org>;
12. www.microsoft.com;
13. <http://wdi.worldbank.org>.

The role of the cloud technologies in business development

*Konstantine Kuksini, Bachelor of Informatics
Software Developer, AWS Certified Solutions Architect*

Summary

In the globalized world, continually advancing information technologies play a pivotal role in ensuring the successful operation of businesses, aiding in the selection of essential projects, and facilitating their effective implementation.

Cloud technologies have fundamentally transformed the infrastructure, architecture, and software landscape of information technology. These innovations, provided by service providers, enable companies to streamline op-

erations, allowing them to concentrate exclusively on strategic objectives. They are no longer required to allocate funds for the acquisition, maintenance, and strategic planning of robust computing resources, as cloud technologies efficiently handle these aspects.

Cloud technology providers offer extensively tested services that cater to a diverse range of users, including large corporations, small businesses, non-profit organizations, and government entities. Even individual users can access resources without the need for an understanding of the underlying physical and network characteristics. The shift of companies to cloud technologies was prompted by the need to process vast amounts of information that local resources could no longer efficiently handle. Examples include database repositories, production resource management, as well as the storage and delivery of graphic and video information and services

Before the advent of the "Cloud" companies used to invest heavily in acquiring expensive technologies and infrastructure. The establishment and maintenance of such systems constituted a significant financial burden for businesses.

However, the adoption of "cloud technologies" has proven to be a more financially advantageous approach for large companies. This is primarily due to substantially lower costs, enabling the development of an optimal business model. Accessing the system merely requires an internet connection, facilitating its utilization on a cloud-based platform.

Moreover, the cloud structure allows users to conserve storage space, resulting in a less congested desktop environment. Most importantly, data submitted by users of "cloud storage" is stored simultaneously on multiple servers. This ensures uninterrupted access to essential documents, whether stored or actively being searched, even if one server experiences downtime or data loss.

In essence, the shift to cloud technologies has not only alleviated financial burdens on companies but also enhanced accessibility and data security, making it a highly advantageous solution in the realm of modern business operations.

Keywords: Cloud Technologies, Outsourcing, Cloud, Cloud Storage, Server, Company.

მობილური აპლიკაციები კულტურის სფეროში

მაია ჯამბაზიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მობილური აპლიკაციების გამოყენების ეფექტურობა კულტურის სფეროს ორგანიზაციების მართვასა და მისიის განხორციელებაში. ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ მობილური აპლიკაციები თანამედროვე კომუნიკაციის განუყოფელ ნაწილად იქცა. ბიზნესისა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მოქმედი ორგანიზაციები საკუთარ საქმიანობის, სრვისებისა თუ შეთავაზებების აქტიურად საკომუნიკაციოდ ეფექტურად იყენებენ მობილური აპლიკაციების შესაძლებლობებს. თავის მხრივ მობილური აპლიკაციების შემქმნელებს განვითარების ახალ-ახალ ეტაპზე გადაყავთ ეს ტექნოლოგიური პროდუქტი და ადამიანის საქმიანობის თითოეული სფეროს მოთხოვნის შესაბამისად ხვეწენ მის ვიზუალურ, ტექნოლოგიური თუ ფუნქციონალურ ნაწილს. მობილური აპლიკაციებს უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება კულტურის ორგანიზაციებსა და პროექტებში გამოყენებისათვის - როგორც თანამედროვე ბიზნეს პროექტების განუყოფელი ნაწილი - ისევე, როგორც ბიზნეს პროექტის სხვა მახასიათებლები, მობილური აპლიკაციებიც კულტურის ინდუსტრიალიზაციის პროცესში კულტურული პროექტების, შემოქმედებითი ინდუსტრიების აუცილებელ ატრიბუტად გვევლინება, თუმცა მათი გამოყენება საქართველოში კულტურის სფეროში ჯერჯერობით ძალზე ნაკლებად არის დანერგილი. სტატიაში განვიხილავთ მობილური აპლიკაციების ზოგად მახასიათებლებს და განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ მობილური აპლიკაციების როლსა და გამოყენებას კულტურის სფეროს ორგანიზაციებში. განვიხილავთ მობილური აპლიკაციების გამოყენების ტენდენციებს კულტურის სფეროს სხვადასხვა დარგში, აქტუალურ ტრენდებს კულტურის სფეროს ორგანიზაციებისათვის, დამახასიათებელ რუბრიკებს, ინტერფესის მახასიათებლებს, მოცემულობებს, შეთავაზებებს, დანერგილ პრაქტიკას მსოფლიოს მოწინავე კულტურული ორგანიზაციების გამოცდილებას მობილური აპლიკაციების დანერგვასა და მართვაში, მომხმარებლებთან კომუნიკაციის, საკუთარი პროდუქტის შეთავაზების, კულტურის ნიმუშებისა თუ ღონის-

ძიებების მედიაში, მომხმარებელთან უკუკავშირისა და მონიტორინგის შესაძლებლობებს და კულტურის ორგანიზაციების მიზნების მიღწევაში მობილური აპლიკაციების - ამ უახლესი ტექნოლოგიური პროდუქტის შესაძლებლობებსა და მისი რეალიზაციის გზებსა და გამოცდილებებს. აღნიშნულ საკითხებს სტატიაში განვიხილავთ ქართულ რეალობასთან მიმართებაში, კერძოდ, საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი კულტურული ორგანიზაციის - საქართველოს ეროვნული მუზეუმისათვის შექმნილი მობილური აპლიკაციის ბრიფს: რამდენად არის მის შექმნაში გათვალისწინებული მსოფლიოს უდიდეს მუზეუმებში მობილური აპლიკაციების გამოყენების გამოცდილება და პრაქტიკში გამოყენების შედეგად მიღებული მონაცემები, რა არის მისი ძირითადი მახასიათებლები, შექმნის საფუძვლების მოცემულობები, მთავარი რუბრიკები, ვიზუალური და ტექნიკური მახასიათებლები, ფუნქციონალის მახასიათებლები, მომხმარებელთან - მუზეუმის ვიზიტორებთან კავშირისა და უკუკავშირის შესაძლებლობები და მათი უპირატესობები, თუ როგორ არის მიწოდებული შეთავაზებული სერვისები, გათვალისწინებულია თუ არა კონფიდენციალობის თუ პირადი მონაცემების დაცვის პირობები.

საკვანძოსიტყვები: მობილური აპლიკაცია; კულტურა; კულტურის ორგანიზაცია; შემოქმედებითი ინდუსტრიები; კულტურული მემკვიდრეობა; აპლიკაციის ბრიფი

შესავალი

ციფრული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების განვითარებამ მრეწველობის ტრადიციულ სექტორებზე ზემოქმედების პარალელურად ხელი შეუწყო ახალი ინდუსტრიების განვითარებას და არსებული დარგების მოდერნიზებას. ამ მხრივ, განსაკუთრებული ძვრებია კულტურასა და შემოქმედებით სფეროში, სადაც ციფრული ტექნოლოგიები და კომუნიკაცია არა მხოლოდ ახალი სტანდარტების დამამკვიდრებელია, არამედ სრულიად ახალი შესაძლებლობებისა და მოწვევების წინაშე აყენებს კულტურასა და შემოქმედებასთან დაკავშირებულ დარგებს, რომლებიც არა მხოლოდ ითვისებენ ტექნოლოგიურ სიახლეებს, არამედ კულტურა და შემოქმედებითი

სფერო გვევლინება ინფორმაციის კონტენტის, ფორმის, ვიზუალის, მოხმარების წესებისა თუ არეალის განმსაზღვრელად და უფრო მეტიც, ამ მახასიათებლებით შემქნილი ახალი პროდუქტიც თავისთავადაც გვევლინება კულტურული და შემოქმედებითი პროდუქტის მახასიათებლების მატარებელად.

კულტურისა და შემოქმედებითი სფეროსთვის გამოწვევაა როგორც თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების ათვისება და გათავისება ამ დარგების წინაშე მდგარი ფუნდამენტური ამოცანების მიღწევისათვის, ასევე თანამედროვეობით განსაზღვრული სოციალური, ეკონომიკური მიზნებისათვის, არსებული ინდუსტრიების განვითარებისათვის ხელშეწყობისა და ასევე, ახალი კულტურული და შემოქმედებითი პროდუქციის შექმნასა და დამკვიდრების თვალსაზრისით.

თანამედროვე ხედვით კულტურა და შემოქმედებითი სფერო ახალ ინდუსტრიებად მოიაზრება. მათი განვითარებისათვის კი სრულიად ახალ შესაძლებლობათა პლატფორმას ქმნის კომუნიკაციის თანამედროვე სტანდარტები, რაც საბოლოოდ ახალ ინიციატივებად და განვითარების მამოძრავებელ ძალად იქცევა მრეწველობის სხვადასხვა სფეროსათვის.

უმნიშვნელოვანესია პროცესების კვალდაკვალ შევისწავლოთ და გავანალიზოთ თანამედროვე საკომუნიკაციო მიღწევების შესაძლებლობები, მათი გამოყენებით უკვე მიღებული შედეგები და განვითარების ტენდენციები და ხელი შევუწყოთ ჩვენი კულტურული, შემოქმედებითი და საგანმანათლებლო პოტენციალის ინტეგრირებას ამ პროცესში ზოგადი პროგრესისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ძირითადი ნაწილი

მობილური მოწყობილობების მოხმარებისა და განვითარების პარალელურად იგივე ტემპით, ინტენსივობითა და შეუქცევადობით მიმდინარეობს მობილური აპლიკაციების განვითარება და დღესდღეობით არ არსობებს სფერო, რომელსაც მობილური აპლიკაცია არ მოიცავდეს, მათ შორის არის კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციები.

მობილური აპლიკაცია საშუალებას აძლევს ვიზიტორს, არა მხოლოდ თანამედროვე ფორმატით მიიღოს კულტურის ორგანიზაციის სერვისები, არამედ გახადოს ისინი საკუთარ მოთხოვნებზე მორგებული, პერსონალური და ინდივიდუალური, დაგეგმოს საკუთარი ვიზიტი, მოარგოს თავის

შესაძლებლობებს, მართოს ვიზიტის დრო, ისარგებლოს კულტურული კონტენტით არამხოლოდ უშუალოდ ობიექტზე, არამედ დისტანციურად, მიიღოს, გაითავისოს, დაამუშავოს, დააფიქსიროს და გადასცეს არამხოლოდ ინფორმაცია, არამედ ემოცია და შთაბეჭდილება.

მობილური აპლიკაცია გვიქმნის ფუფუნებას გავიხანგრძლივოთ კულტურულ მემკვიდრეობასთან კონტაქტი ვიზიტამდე და ვიზიტის შემდგომ, განურჩევლად დროისა და მანძილისა.

კულტურულ ორგანიზაციას კი, მობილური აპლიკაცია აძლევს საშუალებას საკუთარი საქმიანობის პროდუქტი უშუალოდ, პერსონალური მოხმარებისთვის მიაწოდოს საზოგადოებას, უწყვეტ რეჟიმში მოახდინოს მომხმარებელთან კონტაქტი, მიიღოს უკუკავშირი, გაანალიზოს და დაგეგმოს მომავლის პროდუქტები.

კულტურის ორგანიზაციების მობილურ აპლიკაციები შემუშავებულია დეველოპერებისა და კულტურული დაწესებულების თანამშრომლობით, ისინი ძირითადად უფასოდაა ხელმისაწვდომი ან უფასოდ არის ხელმისაწვდომი მათი ძირითადი კონტენტი. მათი ძირითადი ფუნქციონალია:

- ◆ აპლიკაციის ობიექტის იდენტიფიკაცია;
- ◆ შემოთავაზებული ფუნქციები;
- ◆ აუდიოგაიდები;
- ◆ ვიტრინა;
- ◆ ვირტუალური ვიზიტი;
- ◆ ინფორმაცია ლოკაციის შესახებ;
- ◆ ენების არჩევანი;
- ◆ კონტენტი ბავშვებისთვის;
- ◆ ინფორმაცია შშმ პირებისათვის სხვადასხვა სივრცეების ხელმისაწვდომობის შესახებ;
- ◆ ზოგიერთ შემთხვევაში, სერვისი შშმ პირებისთვის;
- ◆ რუბრიკები და მათი განშტოებები;
- ◆ რუბრიკების სახელები და რაოდენობა ვარიანტებს სხვადასხვა აპლიკაციაში მისი დანიშნულებისა და თემების მიხედვით;

მედიაციის ფორმები:

- ◆ ტექსტური;
- ◆ აუდიო;
- ◆ ვიდეო;
- ◆ ფოტო;
- ◆ გრაფიკული გამოსახულება;
- ◆ ლოკაციის ვიზუალიზაცია;
- ◆ 2D, 3D რუკები;
- ◆ გეოლოკალიზაცია 360°;
- ◆ გარემოს რეკონსტიტუცია ფორმისა და ფორმების სინთეზი;

- ◆ შეთავაზებული აქტივობები
- ◆ ინფორმირება/ვიზიტის მომზადება
- ◆ ადგილზე მისასვლელად ინფორმაცია, პრაქტიკული რჩევები
- ◆ ბილეთის ყიდვა
- ◆ ადგილზე ორიენტირება

ინფორმაციის მიღების ხერხები:

- ◆ დაწერილი ტექსტი
- ◆ ხმოვანი ჩანაწერი
- ◆ თვალსაჩინოება:
 - უძრავი სურათი
 - ვიდეო
 - AR
 - ვირტუალური ვიზიტი

მანიპულაციები სურათებზე:

- ◆ გადიდება;
- ◆ დაპატარავება;
- ◆ გადაადგილება;
- ◆ გაზიარება;
- ◆ მანიპულაციები 3D და ვირტუალური რეალობის კონტენტზე;
- ◆ ფოტოების გადაღება, შენახვა, გაზიარება;
- ◆ დროის მართვისთვის განკუთვნილი შეთავაზებები: მაგალითად რუბრიკა „რჩეულები“, რომელიც გვაძლევს საშუალებას ყველაზე გამორჩეული ექსპონატები ვნახოთ ერთად დაჯგუფებული და ამ ინფორმაციის მიხედვით დავგეგმოთ ჩვენი ვიზიტი;

გემოყენებული ტექნოლოგიები:

- ◆ 3D, AR, VR, Tag FRID, QR კოდი, NFC, გეოლოკალიზაცია;
- ◆ გეოლოკალიზაცია;
- ◆ საქართველოში კულტურის სფეროში მობილური აპლიკაციების ინტეგრირების მხოლოდ პირველი მცდელობები გვხვდება, რისი მიზეზიც ერთი მხრივ ამ პროდუქტის სიძვირეა, მეორე მხრივ კი კულტურის სფეროს წინაშე მდგარი სხვა გამოწვევებთან შედარებით ნაკლები აქტუალობა.

ციფრული კომუნიკაციების ინტეგრირების მხრივ აღსანიშნავია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის სხვადასხვა ძეგლის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით VR ტექნოლოგიების გამოყენება.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში არის კროსოვერული თანამშრომლობის ქეისი - მობილური აპლიკაცია შეიქმნა სრულიად უსასყიდლოდ საქართველოს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ.

შემუშავდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის მობილური აპლიკაციის ბრიფი, რომელიც შემდეგ მონაცემებს მოიცავს:

1. პრაქტიკული ინფორმაცია

1. მუშაობის განრიგი
2. ტარიფები, ბილეთების ყიდვა
3. საგანამართლებლო პროგრამები
4. კოლექციები, ექსპონატები
5. გამოფენები
6. ღონისძიებები
7. ხელმისაწვდომობა
8. ტრანსპორტი
9. კვების ობიექტები
10. ვიზიტორთათვის განკუთვნილი სერვისები

2. ინფორმაციის მიწოდება ვიზიტის დროს

1. საშუალებები:
 - ტექსტური
 - აუდიო
 - ვიდეო
1. აუდიოგაიდი: პერსონალური, ინტერაქტიული, შინაარსის არჩევანის ფუნქციით, ინტერესის და ასაკობრივი მისადაგებით
2. ვიზიტის განმავლობაში იგივე ან მახლობელ სივრცეში მიმდინარე საინტერესო მოვლენის შესახებ ინფორმირება (შეტყობინებების მიღების გზით)
3. გარემოში ორიენტირება (ბლუთუსის აქტივაციის გზით)

3. შთაბეჭდილების შექმნა და კონტაქტის გახანგრძლივება – ფიდელიზაცია

1. თავად აპლიკაციის მაღალი ხარისხი, მოხმარების სიმარტივე და პრაქტიკულობა, შინაარსობრივი და ვიზუალური მხარე
2. დისტანციური – ტაქტილური ვიზიტი
3. ექსპონატების, კოლექციების, გამოფენების ფოტოები
4. ფოტოების დაზუმების ფუნქცია + ტექსტური განმარტებები
5. ფუნქცია – „ჩემს რჩეულებში“ დამატება
6. ფუნქცია – მოვლენის მონიშვნა კალენდარზე
7. ფუნქცია – სოციალურ ქსელში გაზიარება – მუზეუმში ყოფნის ფაქტის, კონკრეტულ ღონისძიებაზე დასწრების, მისი საკუთარ კალენდარში მონიშვნის, ამა თუ იმ ექსპონატის, თუ კოლექციის.
8. სიახლეების გამოწერა
9. შთაბეჭდილების გაზიარება – სოც ქსელებში და სხვადასხვა საკომუნიკაციო აპლიკაციების საშუალებით

4. კონფიდენციალობა – მუზეუმი მობილური აპლიკაციით კომუნიკაციის დროსაც ინარჩუნებს აკადემიზმის და კულტურული მედიაციის მაღალ სტანდარტს და აძლევს საშუალებას მომხმარებელს დაიცვას პირადი სივრცე.

დასკვნა

თანამედროვე ხედვით კულტურისა და შემოქმედების სფერო მიიჩნევა ბიზნესისათვის კონტენტისა და ინსპირაციის შექმნელებად და სწორედ ამ სფეროს განვითარებაში ეძებენ სხვადასხვა სფეროს ბიზნესები საკუთარი შესაძლებლობების გაფართოების, მეტი მომხმარებლის მოზიდვის, ზრდის შესაძლებლობას, ამიტომაც კულტურა და

შემოქმედებითი სფერო ყველაზე მზარდ, ყველაზე მეტი სამუშაო ადგილების შექმნელ, ყველაზე თანამედროვე ინდუსტრიებად მიიჩნევა.

კომუნიკაციის თანამედროვე სტანდარტებით კულტურის სფეროს აღჭურვა უაღრესად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კულტურული, საგანმანათლებლო, საინფორმაციო, პოპულარიზაციის მიზნებისათვის, არამედ კულტურის, როგორც თანამედროვე ინდუსტრიის შესაძლებლობების რელევანტური გამოყენებისათვის ქვეყნის სხვადასხვა ინდუსტრიების განვითარების ხელშესაწყობად - რაც მზარდაჭერილი და წახალისებული უნდა იყოს სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკისა და სხვადასხვა სტრუქტურების მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. HORN, U., KELLER, R., & NIEBERT, N. (1999). Services mobiles interactifs-La convergence de la radiodiffusion et des communications mobiles. UER-revue technique, (281), 14-19.
2. Chapelain, B. De nouvelles médiations numériques au service de la culture augmentée, Hermès, n° 61, 2011, pp. 106-112.
3. Collectif. Innovation, Les Cahiers du musée des Confluences, vol. 7, 2011.
4. Daignault, L. et Cousson, C. Quand la technologie s'invite au musée, La Lettre de l'OCIM, n° 137, 2011, pp. 5-11.
5. Economou, M. and Meintani, E. Promising Beginnings? Evaluating Museum Mobile Phone Apps. 2011. En ligne : www.idc.ul.ie/techmuseums11/paper/paper8.pdf
6. Petrie, M. and Tallon, L. The Iphone Effect? Comparing Visitors' and Museum Professionals' Evolving Expectations of Mobile Interpretation Tools, in Trant, J. and Bearman, D. (eds) Museums and the Web 2010: Proceedings. Toronto : Archives & Museum Informatics, 2010. En ligne : www.archimuse.com/mw2010/papers/petrie/petrie.html

Mobile applications in the field of culture

*Maia Jambazishvili, PhD student
Georgian Technical University*

Summary

The article discusses the effectiveness of using mobile applications in the management and mission implementation of cultural organizations. Following the development of technologies, mobile applications have become an integral part of modern communication. Organizations operating in various fields of business or public life effectively use the capabilities of mobile applications to actively communicate their activities, services and offers. In turn, the developers of mobile applications take this technological product to a new stage of development and improve its visual, technological or functional part in accordance with the requirements of each field of human activity. Mobile applications are becoming more and more important for use in cultural organizations and projects - as an integral

part of modern business projects - as well as other features of a business project, mobile applications also appear as a necessary attribute of cultural projects and creative industries in the process of industrialization of culture, although their use in the field of culture in Georgia is still limited. It is very little implemented. In the article, we will discuss the general characteristics of mobile applications and pay special attention to the role and use of mobile applications in cultural organizations. We will discuss the trends in the use of mobile applications in various fields of the cultural sphere, current trends for cultural organizations, disfiguring rubrics, interface features, conditions, offers, implemented practices, the experience of the world's leading cultural organizations in implementing and managing mobile applications, communicating with users, offering their own products, cultural samples or events. In mediation, customer feedback and monitoring opportunities and in achieving the goals of cultural organizations mobile applications - the possibilities of this latest technological product and the ways and experiences of its realization. In the article, we will discuss the mentioned issues in relation to the Georgian reality, in particular, the brief of the mobile application created for one of the largest cultural organizations in Georgia - the National Museum of Georgia: to what extent the experience of using mobile applications in the world's largest museums and the data obtained as a result of its use in practice are taken into account in its creation, what are its main characteristics .

ფსიქოლოგია

PSYCHOLOGY

ინდივიდის ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის მნიშვნელობები სოციალური სამუშაოს პრაქტიკის განვითარებაში

*ლაშა ჩეკურიშვილი
სოციალური მეცნიერებების დოქტორი*

რეზიუმე

ბიოლოგიური ანდა პიროვნული განვითარების შესატყვისი სოციალური ცხოვრების საჭიროებებით განსაზღვრული ისეთი მოთხოვნილებები, რომლებიც არ არის რეალიზებული, საუკეთესოდ ახასიათებს ცხოვრების პირობებს და ავლენს აქტუალურ პერსონალურ ინტერესებს. რა დროსაც, უკმაყოფილების განცდა განაპირობებს ინდივიდის ისეთ მოქმედებებს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება, შეცვალოს მიმდინარე გარემოებები არსებული შესაძლებლობების გამოყენებით. იმისათვის, რომ ადამიანმა კონკრეტული ზომები მიიღოს, მან უნდა გააცნობიეროს მოთხოვნილებები და ინტერესები, რაც აუცილებელი წინაპირობაა ქცევის მოტივაციის ფორმირებისთვის. მაგრამ, არის შემთხვევები, როდესაც ასეთი აქტივობის განმსაზღვრელი ნიშნების ობიექტური შინაარსის გაცნობიერების ხარისხი არ არის აბსოლუტურად ადეკვატური და დევიაციის სიტუაციაში მნიშვნელოვანია იმ გარემოებების შესაძლო ცვლილებები, რომელშიც იმყოფება ინდივიდი, რაც მისი ქცევის ობიექტური საფუძველია.

ურთიერთობა ქცევის განუყოფელი ნაწილია და დესტრუქციული ხასიათის აქტივობებზე დამოკიდებულ ადამიანს, როგორც წესი, საზოგადოებრივ კომუნიკაციაში უყალიბდება პრობლემები და უჭირს პიროვნული განვითარების განმსაზღვრელ მნიშვნელობებზე კონცენტრირება. რასაც განსაკუთრებული ზიანი მოაქვს არა მარტო მისთვის, არამედ მისი ოჯახისა და საზოგადოებისათვის.

სოციალიზაციის და სხვა საშუალებების გან-

სხვავებების გავლენით, ადამიანის სოციალურად მნიშვნელოვანი სტაბილური მახასიათებლები და მისი ასაკობრივი მოთხოვნილებების ცვალებადობის პროცესით განსაზღვრული ქცევის განწყობა, უპირატესად, ისეთ პირველად ჯგუფებში ყალიბდება, რომლებიც ხასიათდება არაფორმალური, უაღრესად პირადულ გრძნობებთან დაკავშირებული და ნდობაზე დამყარებული პიროვნული ურთიერთობებით.

სუბიექტის მიერ გარემო სიტუაციაზე რეაქციის თავისებურება დამოკიდებულია მისი ურთიერთობის ხასიათზე იმ სოციალურ წრესთან, რომელსაც ის მიეკუთვნება და იმის მიუხედავად, რომ ატიპიური მოქმედების ფაქტორები შეიძლება ინდივიდისგან დამოუკიდებლად არსებობდეს, თვითაქტუალიზაციის ტენდენციის გასაძლიერებლად საჭირო მოტივაცია და იდენტიფიცირებული მისწრაფებების გათვალისწინებით, შესაძლებლობების განვითარების დონის ჩამორჩენის რისკების დაძლევის ნებისყოფა, შეიძლება გაუმჯობესდეს ღირებულებებზე დაფუძნებული გამოცდილების გაზიარებით და პროგრესის ხელშეწყობაზე ორიენტირებული კოლაბორაციით. რადგან, პიროვნების საზოგადოებაზე დამოკიდებულება არეგულირებს ქცევას და ავლენს ცხოვრებისეულ პოზიციას, ამასთან ერთად, აყალიბებს მსოფლმხედველობას და ზნეობრივ პრინციპებს. შედეგად, სოციალურ ღირებულებებთან მიმართებით ფორმირებული ადამიანის განწყობები ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ინტერესების რეალიზებისათვის აწესრიგებს მისი საქმიანობის სტრა-

ტეგიულ დამოკიდებულებებს და ადგილობრივი ძირითადი მახასიათებლების ათვისებით, ახორციელებს ისეთ ნორმატიულ მოთხოვნებს, როგორებიც მას დაეკისრა, როგორც საზოგადოების წევრს.

საკვანძო სიტყვები: გარემო, სიტუაციები, ადიქცია, ქცევის კორექცია.

შესავალი

ჩვეულებრივ, უმეტეს შემთხვევაში, ადამიანი პირადი გამოცდილების კრიტიკულ გადამუშავებას, თავისი ქცევის და აზროვნების ანალიზს, გაცნობიერებას, შეფასებას, დაგეგმვასა და კონტროლს, ახორციელებს როგორც საზოგადოების წევრი და არა როგორც იზოლირებული სუბიექტი. ასეთ დროს უკეთესად ხდება იმ ფაქტორების გაგება და ახსნა, რომლებიც გავლენას ახდენენ როგორც საკუთარ, ასევე სხვის ქცევაზე და მნიშვნელოვნად ეხმარება ადამიანს განახორციელოს ისტორიასა და პერსპექტივაში პოზიციონირება.

ძირითადი ნაწილი

ინდივიდი ცალკეული ადამიანია, მისი ყველა ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური, როგორც ტიპური, ასევე განსაკუთრებული ინდივიდუალური მახასიათებლების ერთობლიობაში. მასში თავმოყრილია ადამიანის რასის ზოგადი თვისებები, რომლებიც ემპირიულ სინამდვილეში სხვადასხვა ფორმებით ვლინდება და უმეტეს წილად, საზოგადოების დამოკიდებულებების გავლენით, ინკულტურაციის პროცესში ვითარდება.

ინდივიდის სოციალური ინტეგრაცია უმთავრესად ისეთ პირობებშია, რა დროსაც თავის სუბიექტურ დონეზე პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნორმებს და ორიენტირებულია ასეთი ღირებულებების ათვისებასა და თავის ცხოვრებაში გამოყენებაზე. ხოლო მსგავსი დამოკიდებულებების არ არსებობის შემთხვევაში, მაღალი ალბათობით, წარმოიქმნება დევიაცია და ყალიბდება მისი საზოგადოებისაგან იზოლაციის ფაქტობრივი გარემოებები.

ფიზიკური და მენტალური განვითარების კონკრეტულ ეტაპზე გარემოში მიღწეულმა ფსიქოსოციალურმა ადაპტაციამ, უფრო გვიან შეიძლება შეცვალოს ინდივიდის ხასიათი და განსაკუთრებული როლი შეასრულოს მის ცხოვრებაში. თუ რამდენად გადალახავს მიმდინარე პერიოდში არსებულ სოციალიზაციის ცალკეულ მონაკვეთს, იმდენადვე შეძლებს, ადამიანი გაუმკლავდეს მომდევნო ცხოვრებისეულ გამოწვევებს. პიროვ-

ნული სრულყოფის კონკრეტულ ეტაპთან დაკავშირებული ამოცანები კრიტიკული ხდება მხოლოდ სიცოცხლის ციკლის გარკვეულ მომენტებში და ერთ-ერთი ასეთი გამოწვევა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვები. მაგრამ, ამის მიუხედავად, თითოეული მათგანი სუბიექტის მთელ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას [7] და შემეცნების დინამიკაში, გარემო ფაქტორებით განპირობებულ სტაბილურად მიუღებელ სიტუაციაში, რეფლექსური გავლენით, თავის ტვინის კომპენსატორული მექანიზმები ხშირად ადიქციას უქმნის საფუძვლებს [1].

სოციალური ქცევა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოქმედების გარკვეული საშუალებისადმი მზადყოფნაზე და ასეთი მზაობა ინდივიდს მოცემულ სოციალურ სიტუაციაში აკავშირებს ქცევისთვის წინა მოქმედების პირობებთან, რომელშიც გარკვეული საჭიროებების რეალიზაციის სტაბილური მიდრეკილება ყალიბდება. ამიტომ, ადამიანის აზრთა მსვლელობის და ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტისას, ან სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას, მისი ქცევის განმსაზღვრელი ფუნდამენტური შეხედულებების ერთობლიობის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის საფუძველი სწორედ, რომ გარემოსთან კავშირია. რაც მისივე ობიექტურ საქმიანობაში, კომუნიკაციაში და შემეცნების პროცესში ვლინდება.

პიროვნების ძირითად მახასიათებლებს მისი ინტერესების ზოგადი ორიენტაცია აყალიბებს და ღირებულებითი ორიენტაციის სისტემა, როგორც ზოგადი სოციალური პირობების ზემოქმედების პროდუქტი, განზოგადებულია მრავალფეროვანი სოციალური ობიექტებისა და სიტუაციების მიმართ მის დამოკიდებულებებში. ხოლო შემდგომ, ამის შედეგად წარმოქმნილი სიტუაციური სოციალური განწყობები არის როგორც შეფასებისა და მოქმედებისადმი მზადყოფნა სპეციფიკურ, მიკროსოციალურ, საქმიანობის პირობებში [8].

მაღალ იდეალებს დიდი პოტენციალი აქვს პიროვნების სოციალიზაციის პრობლემების გადასაჭრელად. მიმდინარე ყოფა-ცხოვრების ფაქტორების გავლენით, სოციალური და კულტურული სისტემების შემადგენელი ღირებულებები ინსტიტუციონალიზდება საზოგადოებრივ ნორმებში და როლურ მოლოდინებში. ეს უკანასკნელი კი, ვინაიდან, საზოგადოების თვალსაზრისით, საზოგადო ღირებულებების ათვისების ტენდენციიდან გადახრა და როლური სტანდარტებიდან წასვლა, საერთო ნორმის დარღვევაა, სუბიექტურ დონეზე ინტერნალიზდება მოთხოვნილებებში და ინკულტურაციის პროცესში, მთელი ცხოვრების

განმავლობაში პროგრესული ქცევის მოდელებზე ორიენტაციით, ყალიბდება ის მენტალური ნიშნები, რითაც პიროვნება თავის მოქმედებებში ხელმძღვანელობს. სწორედ უნივერსალური ღირებულებებისა და სტანდარტების გავლენით, ინდივიდი სოციუმთან კომუნიკაციაში თვითშეფასებით აყალიბებს თავისი პიროვნების შესახებ წარმოდგენებს, საზოგადოების კეთილდღეობის ხარისხის მიხედვით ახდენს პირადი მდგომარეობის ანალიზს და მიღებული შეფასებები საფუძველს უქმნის მის სოციალურად რეფლექსურ გარდაქმნებს. რადროსაც, როგორც საზოგადოების, ისე უშუალოდ კონკრეტული ადამიანის საკეთილდღეოდ გარემოში არსებული სოციალური პოლიტიკისა და პრაქტიკის ეფექტიანობის სრულყოფისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ობიექტურ რეალობასთან ადაპტაციისათვის ინდივიდის უნარების გაუმჯობესებაზე ყურადღების გამახვილება და საჭირო პირობების სწორად, მიზანდასახული განხორციელებისათვის ხელისშეწყობა. აგრეთვე, საკუთარი ნიჭიერებისა (ცოდნის ან მოღვაწეობის

სფეროში საქმის დამოუკიდებლად და კარგად გაკეთების უნარი) და პიროვნული პოტენციალის თვითრეალიზაციის მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილებისათვის, მის მიერ ნორმატიული ქცევის საშუალებების ათვისება.

დასკვნა

გარემოში საერთო მნიშვნელობებზე დაფუძნებული ქცევის წესების მიღება ხელს უწყობს ადამიანის არსებობას საზოგადოებაში;

საზოგადო ღირებულებებზე ორიენტაცია ასტიმულირებს განვითარებული ქცევის ფორმებს;

ღირებულებებში გარკვევა და ფასეულობების შეთვისებით ცნობიერების ამაღლება აუმჯობესებს ინდივიდის ცხოვრების ხარისხს;

საზოგადოებრივ პირობებში პიროვნების სუბიექტურ დონეზე ჩამოყალიბებული შესაძლებლობების სტაბილური თვითშეგრძნება გავლენას ახდენს სოციალური კონფლიქტების ალბათობის ხარისხისა და გავრცელების არეალის შემცირებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩეკურიშვილი ლ. დევიაციის რისკ-ფაქტორების მოქმედებაზე სწავლის მოტივთა განსხვავებული გავლენა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“, 2022 წ. №1 (36) გვ. 246-251
2. Миллс Ч.Р. Социологическое воображение / пер. с англ. О.А. Оберемко. под общ. ред. и с предисл. Г.С. Батыгина. Москва: Издательский Дом NOTA BENE, 2001
3. Дюркгейм Э. Самоубийство: социологический этюд / Пер. с фр. А.Н. Ильинского. Под редакцией В.А. Базарова. Москва: Мысль, 1994
4. Фрейд З. Массовая психология и анализ человеческого "Я". Москва, 1926
5. Томас У., Знаниецкий Ф. (5 Марта 2013 г.). Методологические заметки. Получено из LIVEJOURNAL: <https://grey-sky09.livejournal.com/3930.html>
6. Хоманс Дж. (30 Марта 2015 г.). Социальное поведение как обмен. Получено из СоцЛаб (библиотека и др.) Теории социального обмена: https://vk.com/doc5787984_378286622?hash=ZZkhJm258P2cwHuSOgpWEkfn2C8zLAVy81RZtyCLal4
7. Крайг Г., Бокум Д. Психология развития / Пер. с англ. 9-е издание. Санкт-Петербург: Питер (Серия Мастера психологии), 2005
8. Ядов В.А. Личность как предмет изучения, Социальная психология: История, Теория, Эмпирические исследования / Под ред. Е.С. Кузьмина, В.Е. Семенова, Ленинград: Изд-во Ленингр. ун-та, 1979
9. Мид Д.Г. Философия настоящего. Москва: Высшая Школа Экономики, 2014

Meanings of the psychological anthropology of the individual in the development of social work practice

Lasha Chekurishvili
Doctor of Social Sciences

Summary

Such necessities which are determined by the needs of social life corresponding to biological or personal development, which are not realized, best characterize the conditions of life and reveal actual personal interests. At any time, the feeling of dissatisfaction leads to such actions of the individual, through which it will be possible to change the current circumstances by using the available opportunities. In order for a person to take concrete measures, he must understand needs and interests, which are an important prerequisite for the formation of motivation for behavior. But, there are cases when the degree of awareness of the objective content of the defining signs of such activity is not absolutely adequate, and in the situation of deviation, possible changes in the circumstances in which the individual is, which are the objective basis of his behavior, are important.

Communication is an integral part of behavior, and a person addicted to destructive activities usually has problems in social communication and it is difficult to concentrate on the defining values of personal development, which brings special harm not only to him, but also to his family and society.

Under the influence of differences in socialization and other means, the socially important stable characteristics of a person and the mood of behavior determined by the process of changing his age needs are mainly formed in such primary groups, which are characterized by informal, highly personal feelings and personal relationships based on trust.

The peculiarity of the subject's reaction to the environmental situation depends on the nature of his relationship with the social circle to which he belongs, and despite the fact that the factors of atypical action may exist independently of the individual, the motivation necessary to strengthen the tendency to self-actualization and, taking into account the identified aspirations, the will to overcome the risks of falling behind in the level of development of abilities, can be improved. By sharing experiences based on values and collaboration focused on promoting progress. Because a person's dependence on society regulates his behavior and reveals his life position, at the same time, it forms his worldview and moral principles. As a result, a person's attitudes formed in relation to social values for the realization of fundamentally important interests regulate the strategic attitudes of his activity and by utilizing the main local characteristics, implements such normative requirements as he was assigned as a member of society.

Key words: environment, situations, addiction, behavior correction.

პიროვნული და ემოციური მახასიათებლების როლი ქრონიკული თავის ტკივილების (შაკიკი, დამაბული თავის ტკვილი) ეპიგენეზში

*სალომე საბიაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*არსენ ბურჯალაიანი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

თავის ტკივილი, განსაკუთრებით კი ქრონიკული თავის ტკივილი, თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. თავის ტკივილი ერთ-ერთი იმ სიმპტომთაგანია, რომლის გამოც ადამიანები ყველაზე ხშირად მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებებს. (მოსახლეობის დაახლოებით 70%-ს ეპიზოდური ან ქრონიკული თავის ტკივილები აწუხებს). თავის ტკივილი ხშირად 40-ზე მეტი დაავადების (შფოთვითი აშლილობები, დეპრესია, ჰიპერტონიული დაავადება, თირკმლის და ენდოკრინული პათოლოგიები, ნერვული სნეულებები და სხვა) წამყვანი სიმპტომია.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მედიცინისთვის თავის ტკივილის მეურნალობის მეთოდები ცნობილია, მაგრამ ექიმებს მაინც უჭირთ ტვინის შინაგანი მუშაობის ყველა საიდუმლოების გაგება. ბევრი კითხვა კვლავ ღია რჩება: როგორია წარმოქმნის მექანიზმები? ვის არის რისკჯგუფში? რაზე დამოკიდებული თავის ტკივილების სიხშირე და ინტენსივობა?...

ქრონიკული თავის ტკივილების სხვადასხვა ფორმებიდან მოწინავე ადგილებს დამაბული თავის ტკივილია (54%) და შაკიკი (25%) იყოფენ.

მიუხედავად იმისა, რომ დამაბულობის თავის ტკივილი და შაკიკი ნევროლოგიური წრის დარღვევებად განიხილებიან, საზღვარგარეთის მკვლევართა უმრავლესობა თავის ტკივილით დაავადებულ პაციენტების 90%-ში სხვადასხვა სახის ფსიქიკურ დარღვევებს გამოყოფენ. ეს კი იმის საფუძველი ხდება, რომ თავის ტკივილი ერთ-ერთ ფსიქოსომატურ დაავადებად მივიჩნიოთ.

დამაბულობის თავის ტკივილი როგორც წესი, ფსიქიკური დამაბულობის ფონზე ჩნდება. ასეთი ტკივილი მწვავე ან ქრონიკულ სტრესთანაა პირდაპირ კავშირში. დამაბულობის თავის ტკვილის მქონე პაციენტების უმრავლესობა თავის ტკივილის გაჩენას მათ ცხოვრებაში მომხდარ ფსიქოტრამვირებად მოვლენას (მოვლენებს) უკავშირებს. რაც შეეხება შაკიკს, ის გლობალური მნიშვნელობის დაავადებათა სიაში იქნა შეყვანილი

2000 წელს. ამის მიზეზი მისი ფართო გავრცელება და პაციენტებში ცხოვრების ხარისხის ცვლილებების გამოწვევა იყო.

მკვლევართა უმრავლესობა ცალკე საუკბრობს ქრონიკული თავის ტკივილების მქონე ადამიანების პიროვნულ და ემოციურ თავისებურებებზე.

რა არის ზოგადად პიროვნება? განსაზღვრებათა უმრავლესობაში ინდივიდუალურობის ან ინდივიდუალურ განსხვავებათა მნიშვნელობაა ხაზგასმული. პიროვნებაში ისეთი განსაკუთრებული თვისებებია წამროდგენილი, რომელთა მეშვეობითაც კონკრეტული ადამიანი დანარჩენებისგან განსხვავდება. რომ შევისწავლოთ კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფში მყოფი ადამიანების პიროვნული თავისებურებები, გავიგოთ რომელი სპეციფიკური თვისებები თუ მათი კომბინაციები განასხვავებენ მათ სხვა დანარჩენი ჯგუფებისგან, აუცილებელია მათი ინდივიდუალურ განსხვავებათა შესწავლა.

შესავალი

რთულია მოვძებნოთ ადამიანი, ვისაც ერთხელ მაინც არ ჰქონია თავის ტკივილი. ძლიერი თავის ტკივილი ერთ-ერთი იმ სიმპტომთაგანია, რომლის გამოც ადამიანები ყველაზე ხშირად მიმართავენ ექიმს. მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს (დაახლ. 70%) ეპიზოდური ან ქრონიკული თავის ტკივილები აწუხებს. თუმცა თავის ტკივილების ყველაზე გავრცელებულ ფორმებს დამაბულობის თავის ტკივილი (70%) და შაკიკი (25%) წარმოადგენენ.

დამაბულობის თავის ტკივილი და შაკიკი ტრადიციულად ნევროლოგიურ დარღვევებად განიხილებიან, თუმცა თანამედროვე მკვლევართა უმრავლესობა თავის ტკივილით დაავადებულ პაციენტების 90%-ში სხვადასხვა სახის ფსიქიკურ დარღვევებს ხედავს. ეს კი იმის საფუძველი ხდება, რომ თავის ტკივილი ერთ-ერთ ფსიქოსომატურ დაავადებად განვიხილოთ.

ფსიქოსომატურ საზღვრებში სხვადასხვა პიროვნულ ნიშნებსა და ფსიქოსომატურ დაავადებებს შორის კავშირებს იკვლევენ, რაც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს.

ძირითადი ნაწილი

რა არის თანამედროვე გაგებით ტერმინი ფსიქოსომატიკა? ფსიქოსომატიკა (ბერძნ. Psyche - სული, soma - სხეული) - მიმართულებაა მედიცინასა (ფსიქოსომატური მედიცინა) და ფსიქოლოგიაში, რომელიც შეისწავლის ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენას მთელი რიგი სომატური დაავადებების წარმოშობაში.

ტერმინი "ფსიქოსომატური" დაავადების გამომწვევ მხოლოდ ფსიქიკურ სიმპტომებს არ გულისხმობს. მასში ის პროცესებიც მოიაზრება, რომლებიც ცნობიერად, თუ არაცნობიერად ავადმყოფობის პროცესში მიედინებიან.

არსებობს სხვადასხვა სახის ფსიქოსომატური დარღვევები: კვებითი დარღვევები (ბულემია, ანორექსია), კანის სხვადასხვა დაავადებები, მთელი რიგი ალერგიული რეაქციები, ყლაპვის აქტის დარღვევა, მხედველობითი ფუნქციის დარღვევა, საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევა, გულსისხმარღვთა სისტემის დარღვევა, რესპირატორული სისტემის დარღვევა, ენდოკრინული დარღვევები, სახსრებისა და კუნთების ცალკეული დაავადებები, ქრონიკული თავის ტკივილები (მაგ. შაკიკი) და სხვა.

ამბობენ, რომ თავის ტკივილი, განსაკუთრებით კი შაკიკი ფსიქიკასა და სხეულს მართავს. ეს ფრაზა რომ სრულ სიმართლეს შეესაბამება, ჩვენ თვითონ შეიძლება დავამტკიცოთ ყოველდღიური დაკვირვებით. სხეული, ეს მრავალმხრივ რთული და სათუთი მექანიზმი ყოველდღიურად ჩვენი გაცნობიერებული სურვილების, მოთხოვნების, იდეების და მისწრაფებების გავლენით, უამრავ მოქმედებას ასრულებს. ცხადია, რომ ჩვენი გრძნობებისა და ემოციების უმეტესობა ფიზიოლოგიური პროცესების მუშაობით გამოიხატება. ეს იქნება პულსის გაძლიერება შიშის დროს, სისხლის წნევის აწევა მრისხანებისას, სიწითლე სახეზესირცხვილისგრძნობისდროსთუსხვა. ყველა ეს ფიზიოლოგიური ფენომენი ჩვენი ნერვული იმპულსებისა და სისხლძარღვოვანი, კუნთოვანი, ენდოკრინული სისტემების ურთერზემოქმედების შედეგია.

ზრდასრული ადამიანი, რომელსაც სომატური სახის დაავადება აქვს, რაღაც მომენტში ფსიქიკურად ახალშობილის მსგავსად ფუნქციონირებს. რადგან ახალშობილს არ შეუძლია გამოიყენოს სიტყვები, ემოციურ ტკივილზე ფსიქოსომატურად რეაგირებს. ასევე სრულიად შესაძლებელია, რომ ფსიქოსომატურ მდგომარეობაში, ისეთში, როგორიც მაგალითად თავის ტკივილია, ჩვენი სხეული

ფსიქოლოგიურ საფრთხეზე ისე რეგირებდეს, თითქოს ეს საფრთხე ფიზიოლოგიურ ხასიათს ატარებდეს.

აღსანიშნავია, რომ თეორიულად ნებისმიერი დაავადება ფსიქოსომატურია, რადგან ემოციური ფაქტორები ნერვული რეგულაციის გზებით ყველა სომატურ პროცესზე ახდენენ გავლენას. ფსიქიკურსა და სომატურს შორის, როგორც ყველა დაავადებულ, ისე ყველა ჯანმრთელი ორგანიზმის შემთხვევაში, მუდმივი მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს. ამ თვალსაზრისით შეიძლება ვთქვათ, რომ არ შეიძლება არც მხოლოდ სუფთა სომატური, და არც სუფთა ფსიქიკური დაავადების არსებობა. ყველა დაავადება ფსიქოსომატურია, იმდენად რამდენადაც, საქმე დაავადებულ ორგანიზმს ეხება.

მკვლევარების აზრით, ავადმყოფობის გამომწვევი მრავალი ფაქტორი არსებობს:

- ◆ გენეტიკური და კონსტიტუციური მზაობა;
- ◆ მუცლადყოფნის და ახალშობილობის პერიოდის ორგანული დარღვევები;
- ◆ ახალშობილობის და ბავშვობის დროს შემთხვევითი ფიზიკური ტრავმატული გამოცდილება;
- ◆ მტკივნეული გრძნობებისა და ემოციურ განცდების პროექციები...

ამგვარად, საერთო ფსიქოსომატური სურათი რომ ავაგოთ, ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ.

მთლიანობაში, როგორც ფ. ალექსანდერი ამბობს, ვეგეტატური ფუნქციების ემოციური დარღვევა ორ ძირითად კატეგორიად შეიძლება დაიყოს: ისინი შეესაბამებიან შემდეგ ორ ემოციურ წყობას:

- ◆ ექსტრემალურ სიტუაციაში, ან ბრძოლისთვის, ან გაქცევისთვის მომზადება;
- ◆ პასიურ მდგომარეობაში გადასვლა. (Александр Ф. 2006 г. გვ. 42-46).

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად ყველა მკვლევარი ქრონიკული თავის ტკივილების, განსაკუთრებით კი შაკიკის აღწერისას, ერთმნიშვნელოვნად ამ ავადმყოფობას პირველ ჯგუფს მიაკუთვნებს.

ემოციურ ფაქტორთა სპეციფიკურობის საკითხი

სომატურ აშლილობებში ემოციურ ფაქტორთა სპეციფიკურობის საკითხი ფსიქოსომატური მედიცინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ამავედროულად, ჯერჯერობით გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს. ფ. ალექსანდერის სპეციფიკურობის თეორიის მიხედვით, თითოეულ ემოციურ მდგომარეობას თავისი სპეციფიკური სინდრომი გააჩნია. მაგალითად, ტაქიკარდია და ჰიპერტენზია

(არტერიული წნევის მომატება) შიშისა და სიბრახის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ.

ალექსანდერის სპეციფიურობის თეორია ემოციურ სტიმულებსა და ფიზიოლოგიურ გამოხატულებებს შორის დამოკიდებულების ორ ძირითად ტიპს გამოყოფს: 1. შფოთვის გამომწვევ სიტუაციასთან აქტიური შეხვედრისთვის მომზადება, 2. უკან დახევა. მეცნიერის აზრით, ფსიქოდინამიური თუ ემოციური ფაქტორების სპეციფიურობის შესახებ საკითხი მაინც საკმაოდ ბუნდოვანია, რადგან ისეთი მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური გამოვლინებები, როგორცაა შფოთვა, ჩახშობილი მტრული და ეროტიული იმპულსები, არასრულფასოვნების და დანაშაულის გრძნობები, ფრუსტრაცია, ნებისმიერი სომატური აშლილობების შემთხვევაში არსებობენ. ამგვარი ფაქტები ნათლად გვაჩვენებენ, რომ სპეციფიურობის პრობლემა ჯერ კიდევ არ შეიძლება გადაჭრილად ჩაითვალოს. აუცილებელია მისი შემდგომი კვლევა/მიტება.

პიროვნების ტიპსა და დაავადებას შორის მიმართება

ფსიქოსომატური მედიცინის ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას პიროვნების ტიპსა და დაავადებას შორის კავშირის საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს. დიდი ხანია არსებობს მოსაზრება, რომ პიროვნების გარკვეული ტიპები ამა თუ იმ დაავადებებისადმი არიან მიდრეკილნი. არსებობს ფაქტები, რომლებიც პიროვნულ თვისებებსა და ავადმყოფობებს შორის კავშირზე მიუთითებენ. მაგალითად სიტყვაში “მელანქოლია” ინტუიციურად იგულისხმებოდა ცოდნა იმის შესახებ, რომ ნაღვლის ბუშტის დაავადებების მქონე ავადმყოფებისათვის დეპრესიული ბუნება იყო დამახასიათებელი. გულსისხლძარღვოვანი სისტემის დაავადებები კი შფოთვასთან იყვნენ კავშირში. მსგავსი დაკვირვებები და აღმოჩენები სხვა დაავადებების შემთხვევაშიც ხდებოდა.

ამ მხრივ მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩენა გააკეთა ცნობილმა ამერიკელმა ფსიქიატრმა, ჰელენ დანბარმა. თავის მონოგრაფიაში “პროფილების გამოკვლევები”, მან ავადმყოფობასა და პიროვნების ტიპს შორის კორელაციები აღწერა. დანბარმა დაადგინა, რომ დიაბეტიკ პაციენტებს ჯანმრთელებთან შედარებით, უფრო მეტად უჭირთ ინფანტილური დაქვემდებარებულობის მდგომარეობიდან დამოუკიდებელ მდგომარეობაში გადასვლა. ისინი დამოუკიდებლობისკენ სიტყვით ილტვიან და არა საქმით. დანბარის მიერ გამოყოფილი პროფილებიდან დიდ ყურადღებას იქცევს

სისხლძარღვოვანი სისტემის დაავადების მქონე ავადმყოფთათვის დამახასიათებელი პროფილი. ასეთი პაციენტებისთვის დამახასიათებელია: მიზან-სწრაფულობა, შედეგზე ორიენტირებულობა, დროში გახანგრძლივებული მიზნებისადმი საკუთარი აქტივობის დაქვემდებარების ტენდენცია და სხვა. (Dunbar F. 1954; გვ. 27-45)

პიროვნების სურათი შაკიკის დროს

მკვლევარები უკვე წლებია ეძებენ პირდაპირ კავშირს ხასიათის ნიშნებსა და შაკიკს შორის. ჯერ კიდევ ფროიდი ცდილობდა ამ კავშირების დანახვას. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე, შაკიკით დაავადებულ ადამიანებში ხასიათის რამდენიმე საწინააღმდეგო ნიშანი გამოვლინდა. გამოიკვეთა ერთობ საინტერესო ნიუანსი. იმის მიუხედავად, რომ შაკიკის მქონე ადამიანთა უმეტესობა საქმოსანი და აქტიური პიროვნებაა, მაინც ცდილობს პასუხისმგებლობისგან გაქცევას და ეშინია წარუმატებლობის. როგორც წესი, ეს ადამიანები საკუთარი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი, თვითკრიტიკულნი არიან და ძალიან მტკივნეულად განიცდიან მათი მისამართით გამოთქმულ კრიტიკას. სხვისი დახმარებისთვის ყოველთვის მზად არიან, რადგან არას თქმა უჭირთ. ეს თვისება მათ ხშირად პიროვნულ ზიანს აყენებს. ასევე, თავიანთ მოთხოვნილებებზე თითქმის ყოვეთვის სდუმან და ღიად არ საუბრობენ.

ამგვარად, შაკიკით დაავადებული ადამიანის პიროვნული პორტრეტი დაახლოვებით ასე გამოიყურება: ერთის მხრივ, აქტიური პიროვნება, პასუხისმგებლიანი, დისციპლინირებული, მუდმივად წარმატებისკენ მიმავალი. მეორეს მხრივ კი, შინაგანად საკუთარ თავში დაურწმუნებელი (მორცხვიც კი) ადამიანი, რომელსაც სირთულეები აშინებს და ცდილობს მათ გაექცეს. ფსიქოლოგების აზრით, სწორედ ეს ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებები წარმოადგენენ ამ დაავადების საფუძველს.

რაც შეეხება ზოგადად ქრონიკული თავის ტკივილებით დაავადებული ადამიანის პიროვნულ პროფილს, ვულფი თავის ნაშრომებში აღნიშნავდა (1948), რომ ეს არის პატიოსანი, პასუხისმგებლიანი, აკურატული, მუდმივად წარმატებაზე ორიენტირებული ადამიანი, რომელიც ”ეცემა” მაშინ, როცა თითქმის უკვე მიღწეული აქვს მიზანს. აღსანიშნავია, რომ თავის ტკივილით დაავადებული პაციენტების მაღალ ინტელექტუალიზმს თითქმის ყველა ავტორი აღნიშნავს, და ამასთანავე მიუთითებს სუსტად განვითარებულ ემოციურ სფეროზე. ლოჩი (Loch; 1965) ამბობს, რომ ალბათ „საჭიროა აზროვნებდე შედარებით მაღალ დონეზე,

რათა გახდეს თავის ტკივილით დაავადებული პაციენტი.“ (საბიაშვილი, 2016; გვ 116-121)

ემოციური ფაქტორები

ბევრი ავტორი ამტკიცებს, რომ შაკიკის და ზოგადად ქრონიკული თავის ტკივილების ეტიოლოგიაში უმნიშვნელოვანეს როლს ემოციური ფაქტორები ასრულებენ. ეს კვლევები ნაწილობრივ თავის ტკივილების გამომწვევ ფაქტორებს ეხება, ნაწილობრივ კი თავის ტკივილებით დაავადებული ადამიანების პიროვნულობის ტიპიურ თავისებურებებს.

დამაბული თავის ტკივილის მქონე პირებისგან შაკიკით დაავადებულები განსხვავდებიან ემოციური თავისებურებებით. ამ თავისებურებებზე მრავალი მეცნიერი, ფსიქოლოგი საუბრობს თავის ნაშრომებში. მაგალითად, ალექსანდერი თვლიდა, რომ შაკიკი აგრესიული ემოციების შეკავებას უწყობს ხელს. ამგვარად, შაკიკი შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ვეგეტატიური ნევროზი. თავის ტკივილის მქონე ადამიანების ჩახშობილ სიბრაზესა და აგრესიულ იმპულსებზე საუბრობს კარენ ჰორნიც, რომელმაც თავის პაციენტებზე დაყრდნობით გამოყო და დეტალურად აღწერა ეს ემოციური ფაქტორები. (Хорни Карен, 2022, გვ. 18-25)

მთელი რიგი მეცნიერ-მკვლევარებისა მუშაობდნენ ამ საკითხზე. ყურადღებას იქცევას ტიუნერისა და დრეიპერის ე.წ. “კონსტიტუციური” პიროვნების ტიპი შაკიკით დაავადებულ ავადმყოფებში. ფიზიკურად მათ აკრომეგალიოდური (აკრომეგალია - სხეულის ნაწილებისა და ორგანოების არაპროპორციული ზრდა) ნიშანთვისებები აქვთ თანდაყოლილი. რაც შეეხება პიროვნულობას, მათთვის ემოციური განვითარების შეფერხებაა დამახასიათებელი, მაგრამ IQ (გონებრივი ინტელექტი) საშუალოზე მაღალი რჩება. ასევე, ხშირად აღენიშნებათ სექსუალური ადაპტაციის სირთულეები. ტიუნერის და დრეიპერის აზრით, შაკიკის თავის ტკივილები პირველად მაშინ ჩნდება, როცა ადამიანი ოჯახზე დამოკიდებულების განცდას კარგავს და ეჯახება დამოუკიდებელი ცხოვრების პასუხისმგებლობას. შაკიკისკენ მიდრეკილ პირებში აღინიშნება უკიდურესი მიჯაჭვულობა დედასთან, რომლისგან გათავისუფლებაც მათ უბრალოდ არ შეუძლიათ.

ასევე ძალიან საინტერესო პიროვნების ტიპი – “ფარისევლური” - ოლგა კნოფმა გამოყო. პიროვნების ამ ტიპში ოლგამ გააერთიანა შაკიკით დაავადებული ადამიანები, რომელთაც შემდეგი თავისებურებები ახასიათებდათ: პატივმოყვარეობა, სიმშვიდე, ჩაკეტილობა, დესპოტურობა, სიამაყე,

მგრძობიარეობა და იუმორის გრძობის არქონა.

აღსანიშნავია, რომ არც ტიუნერი და დრეიპერი, არც კნოფი, საკუთარ აღწერებში უფრო ღრმად არ მიდიან. ამიტომ, უფრო საინტერესოა ფრომ-რაიჰმანის საფუძვლიანი კვლევა, რომელიც ინტენსიური ფსიქოთერაპიის მეთოდით მკურნალობდა შაკიკით დაავადებულ 8 პაციენტს. ავტორმა შაკიკით დაავადებულ პაციენტებში ამგვარი თავისებურება გამოყო: ავადმყოფებს თავიდან მტრული და შურის შემცველი იმპულსები ინტელექტით გამორჩეული ადამიანების მიმართ უჩნდებათ, რაც შემდეგ საკუთარი თავისკენ მიმართულ დანაშაულის განცდაში გადაიზრდება.

აუცილებლად აღნიშვნის ღირსია ჰაროლდ ვულფის კომპულსური (compulsive—იძულებითი) პიროვნების ტიპი. ამ ტიპის ნიშნებია: პერფექციონიზმი, შეჯიბრების გადაჭარბებული ტენდენცია, პატივმოყვარეობა, პასუხისმგებლობის გადანაწილების უუნარობა, რიგიდულობა. ვულფის თანახმად, შაკიკიანებისთვის დამახასიათებელია გულისწყრომა, რომელიც საკუთარ თავზე აღებული პასუხისმგებლობის ვერგამკლავების და საკუთარი პერფექციონისტული ამბიციების შესაბამისად ცხოვრების ვერქონის შედეგია. ფრუსტრაციის ეს მდგომარეობა იწვევს მუდმივ დამაბულობას და დაღლილობას, რაც შაკიკის შეტევის მაპროვოცირებელი ფაქტორი ხდება.

დამაბული თავის ტკივილიც ხშირად შაკიკის თანმხლებია. განსაკუთრებით მისი ქრონიკული სახე. ამიტომ “ბრძოლა, წყენა და შფოთვა ორივე სახის თავის ტკივილის ჩამრთველი ფაქტორებია.” თავის ტკივილის შეტევები იწყება მაშინ, როცა ადამიანი ეჯახება ამოცანას, რომლის ამოხსნასაც დიდძალი ძალისხმევა სჭირდება ან სულაც მის ძალებს აღემატება.

უფრო მეტად საინტერესოა ის ფაქტი, თუ რამდენად ერთგვაროვანია შაკიკის და დამაბული თავის ტკივილის გამომწვევი ემოციური ფაქტორები.

ქრონიკული თავის ტკივილების შესახებ პუბლიკაციების უმეტესობაში საუბარია ჩახშობილ ან შევიწროვებულ მტრულ იმპულსებზე. ძლიერი თავის ტკივილის შეტევას, განსაკუთრებით კი შაკიკის შეტევის პროვოცირებას როგორც წესი, შეკავებული, გამოუხატავი მრისხანება იწვევს. ფსიქოთერაპიის პროცესში ხშირად ვაკვირდებით თერაპევტები გასაოცარ ფაქტს, - თავის ტკივილები წყდება მაშინვე, როგორც კი პაციენტი აცნობიერებს თავის გამოუხატავ აგრესიას და აძლევს მას გამოხატვის საშუალებას.

აღსანიშნავია, რომ ფსიქოსომატურ დაავადებებს ყოველთვის თან ახლავს მეორადი სარგებელი. ანუ დაავადება ასრულებს ერთგვარ დამცავ ფუნქციას; მაგალითად, სხეულის საზღვრებს განსაზღვრავს. თერაპევტის მხრიდან ამ მეორადი სარგებლის აღმოჩენა თავის ტკივილის მქონე პაციენტების მკურნალობის პროცესისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

შაკიკის და დამაბული თავის ტკივილის შეტევები შეიძლება სხვადასხვა სომატური ან ფსიქიკური ფაქტორებით პროვოცირდეს. მაგალითად, ძილის რიტმის დარღვევით, დავიანებული ან ნაადრევი გაღვიძებით, ასევე ამინდის ცვლადობით, კვების რეჟიმის დარღვევით, სინათლის გამაღიზიანებლებით, ძლიერი ხმაურის ზემოქმედებით და ა. შ. თუმცა ლიტერატურაში ძირითადად, შაკიკის და დამაბული თავის ტკივილის მაპროვაცირებელი ერთი ფსიქიკური ტიპია აღწერილი. საუბარია ინტენსიურ ძალისხმევაზე, როცა გარკვეული დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება ხდება

და/ან საჭიროა წინასწარ განსაზღვრული მიზნის (მიზნების) მიღწევა, გარკვეული ვალდებულებების შესრულება. თავის ტკივილის შეტევები ყველაზე მეტად სწორედ ასეთ დროს ხდება.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქრონიკული თავის ტკივილები სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ ფსიქოსომატურ დაავადებად და ამ პრობლემის მქონე ადამიანებს შევთავაზოთ ბევრად მეტი, ვიდრე მხოლოდ მედიკამენტოზური მკურნალობა. როგორც შაკიკი, ისე დამაბული თავის ტკივილების მქონე ადამიანები ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ძალზედ მნიშვნელოვან საკვლევ ჯგუფს წარმოადგენს. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს მათი პიროვნული და ემოციური ფაქტორების გამოყოფა-შესწავლას, რადგან ფსოქოთერაპიულ პროცესში ამ მახასიათებლებზე აქცენტების სწორი დასმა პრობლემის მოგვარების უმნიშვნელოვანეს და ძალზედ რეალურ შანსს იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Хорни Карен; Переводчик: Боковиков А. Издательство: Питер, 2022 г.
2. Александер Ф. Психосоматическая медицина; Принципы и применение; Перевод с англ. А. М. Боковинова, В. В. Старовойтова; М.:Институт Общегуманитарных Исследований, 2006 г.
3. Dunbar H.F. Emotions and bodily Changes. New York, Columbia univ. press. 1954
4. სალომე საბიაშვილი; ალექსითიმურობისა და აგრესიის მაჩვენებელი თავის ტკივილით (შაკიკი) დაავადებულ პაციენტებში; 2016;

**The role of personal and emotional characteristics in the epigenesis of chronic headaches
(migraine, tension headache)**

*Salome Sabiashvili, PhD student
Georgian Technical University*

*Arsen Bourjalian, professor
Georgian Technical University*

Summary

Headache, especially chronic headache, is one of the most urgent problems of modern medicine. Headache is one of the symptoms for which people most often go to medical facilities (about 70% of the population suffers from episodic or chronic headaches).

Headache is often a leading symptom of more than 40 diseases (anxiety disorders, depression, hypertensive disease, kidney and endocrine pathologies, nervous diseases and others).

Despite the fact that modern medicine knows the methods of headache treatment, but doctors still find it difficult to understand all the secrets of the inner workings of the brain.

Many questions still remain open: what are the mechanisms of occurrence? Who is in the risk group? What does the frequency and intensity of headaches depend on?

Among the various forms of chronic headaches, tension headache (54%) and migraine (25%) share the leading places.

Although tension headaches and migraines are traditionally considered neurological disorders, foreign researchers identify different types of mental disorders in 90% of headache patients. This is the basis for considering headache as a psychosomatic disease.

As a rule, tension headache appears in the background of mental tension. Such pain is directly related to acute or chronic stress. The majority of patients with tension headache associate the onset of headache with a psychotraumatic event (events) in their life.

As for migraine, it was included in the list of diseases of global importance in 2000. The reason for this was its wide distribution and causing changes in the quality of life of patients.

The majority of researchers talk separately about the personal and emotional characteristics of people with chronic headaches. What is a person in general? In most of the definitions, the importance of individuality and individual differences is emphasized.

There are special features in the personality, through which a specific person differs from the rest. To study the personal characteristics of people in a specific target group, to understand which specific features or their combinations distinguish them from other groups, it is necessary to study their individual differences.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალ „განათლების“

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოსაქვეყნებლად სტატიის მოცულობა უნდა იყოს მინიმუმ 8 და მაქსიმუმ 20 ნაბეჭდი გვერდი, აწყობილი უნდა იყოს A4 ფორმატის ფურცლის ცალ გვერდზე, 1.5 ინტერვალით, შრიფტი 12. სამუშაო ქაღალდის ველის ზომები: მარცხენა – 30 მმ, ზედა – 20 მმ, ქვედა – 20 მმ, მარჯვენა – 20 მმ;

შეგიძლიათ ნაშრომის ფიზიკური ვერსიის წარდგენა, ელექტრონული ვერსია კი შეიძლება წარმოადგინოთ დისკით, ან გამოაგზავნოთ ჟურნალის ელექტრონულ მისამართზე.

სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილ იქნას ქართულ და უცხოურ ენებზე. უცხოურ ენაზე დაწერილი ნაშრომის ტექსტი იწყება რეზიუმეთი იმ ენაზე რა ენაზეც არის თვითონ ტექსტი.

სტატიის სტრუქტურა:

1. სტატიის სათაური;
2. ავტორის/ავტორების სახელი (სრულად), გვარი, სამეცნიერო წოდება, თანამდებობა, სამუშაო ადგილი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტა.
3. რეზიუმე ქართულ ენაზე ან იმ ენაზე, რა ენაზეც არის სტატია (მინიმუმ 230 სიტყვა);
4. საკვანძო სიტყვები (4-5 სიტყვა);
5. შესავალი
6. ძირითადი ნაწილი
7. დასკვნა
8. ლიტერატურის სია ქართულ და ინგლისურ ენაზე
9. რეზიუმე ინგლისურ ენაზე (მინიმუმ 300 სიტყვა)
10. ციტირების მითითება უნდა მოხდეს აპა სტილით.

წარმოდგენილი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ◆ ნახაზებისა და ფოტოების კომპიუტერული ვარიანტი უნდა იყოს JPI ან TIF ფორმატში;
- ◆ ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა აიწყოს სილფაინის შრიფტით. უცხო ენებზე შერულებული ნაშრომი – Times New Roman შრიფტით;
- ◆ სტატია გაფორმებული უნდა იყოს წიგნიერად, სწორმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ◆ ავტორი (ავტორები) პასუხს აგებენ ნაშრომის შინაარსსა და ხარისხზე;
- ◆ ერთი სტატიის ავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორს;
- ◆ ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტთა გამოსაქვეყნებელ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი დარგის მიმართულების ხელმძღვანელის ან პროფესორის მოკლე რეცენზია-რეკომენდაცია.
- ◆ რედაქცია უფლებას იტოვებს, საჭიროების შემთხვევაში, გამოსაქვეყნებელ ნაშრომს ჩაუტაროს დამატებითი რეცენზირება, გამოქვეყნების მიზანშეწონილობის დასადგენად.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება შემდეგ მისამართზე:

თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კორპ. VI, სართ. VIII, ოთახი № 805^b

ტელ.: +995 599 557 993; +995 577 938 858; ელ-ფოსტა: ganatleba2018@gmail.com

ჟურნალის ყველა ნომრის ნახვა შეგიძლიათ web-გვერდზე:

web-გვერდი: <https://old.gtu.ge/Journals/newsletters/>

ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ – <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/482648>

ელ-ფოსტა: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300

DOI: <https://doi.org/10.36073/2346-8300>